ქეკუნა ფცექრიშვილი

ენათმეცნიერული ნარკვევები წერილები მოგონებანი



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2019

წიგნის პირველ ნაწილში წარმოდგენილია ენათმეცნიერული დაკვირვებანი, მეორეში კი მოგონებების სახით საუბარია იმ ადამიანთა შესახებ, რომლებიც კეთილსინდისიერი შრომა-საქმიანობითა და პიროვნული ღირსებებით სამაგალითონი არიან თაობებისათვის.

რედაქტორები: **რუსუდან ზექალაშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ივეტა ვაშაკიძე

© ჯ. ფეიქრიშვილი, 2019

გამომცემლობა „უნივერსალი", 2019
თბილისი, 0186, ს. ფოლიბაშვილის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-551-8

შინაარსი

წინასიტყვა 5

ნაწილი პირველი 7

წავსულიყავდი ტიპის დიალექტური ზმნური ფორმების გავრცელების საკითხისათვის 9
ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში დასავლური დიალექტების შესწავლის ტრადიცია 15
მასალები დიალექტური ვინების ისტორიისათვის.....35
ქეთევან ძოწენიძის მონოგრაფია „სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით“ 45
იტალიელი მეცნიერის – ლუიჯი მანტოვანის ქართველოლოგიური ნაშრომები.....54
ერთი სიტყვის (ნიჭი) სემანტიკური ევოლუციის შესახებ ქართულში 66
აღდგომის დღესასწაულის აღმნიშვნელი ტერმინების ისტორიისათვის ქართულში.....72
სიტყვა „დაფრანგულის“ მნიშვნელობა ქართულ დიალექტებში (ზოგადი მიმოხილვა) 78
ზოგიერთი რელიგიური ფორმულის დაწერილობისათვის თანამედროვე ქართულში...81
შესავალი 81
„ქრისტე აღსდგა“ თუ „ქრისტე აღდგა“?.....83
სიტყვა *„ღმერთის“* დაწერილობისათვის.....85
ამინ და ***ამენ*** ფორმათა მონაცვლეობისათვის 90
კვლავ ***წმინდა*** და ***წმიდა*** ფორმათა გამოყენების საკითხისათვის 93

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის ფილიალი ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლაში 102

ნაწილი მეორე 119

ჩემი მასწავლებლები 121

შესავალი 121
თინა ჭელიძე (ჩემი პირველი მასწავლებელი) 123
თინათინ ბახტაძე 125
დავით მაჭავარიანი 130
პოლიკარპე ჯაჯანიძე (მოგონებები მადლიერი მოწაფისაგან) 138
ქეთევან ძოწენიძე 147
გაბრიელ მეგრელიშვილი 153
„ნეკროლოგის მაგიერ“ ანუ ჩემი მასწავლებელი პროფესორი ივანე ქავთარაძე 160
„სიკეთის ნერგი იხარებს“ (პროფესორ რაფიელ შამელაშვილის ხსოვნას) 182
ჩემი უფროსი მეგობარი ლეილა კვანტალიანი 195

ფილმი სტუდენტების გახსენება 205

ია სუსარეიშვილი 205
შოთა ასათიანი 209

საქართველოზე შეყვარებული უცხოელი მეგობრები 214

მიშელ ვან ესბროკი 214
კრისტიან ბარო 222

წინასიტყვა

წიგნი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: პირველში შეტანილია **ენათმეცნიერული ნარკვევები, წერილები**, რომელთა შორის ზოგი დაიწერა ამ ბოლო წლებში, მაგრამ მათი საჯარო წაკითხვა არ მომხდარა. ამათ გარდა, აქვეა ძალიან შემოკლებული ფორმით (თითქმის თეზისების სახით) დაბეჭდილი სხვა მასალებიც, ძირითადად საგაზეთო სტატიები. ამჯერად მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ამ გამოკვლევების ვრცელი ვარიანტების გამოქვეყნება. მათ შორის რამდენიმე მათგანი, ე. წ. „რელიგიური ფორმულები", სიტყვათა სემანტიკური ევოლუციის ჩვენებისა და მათი მოკლე გრამატიკული ანალიზის გარდა, მართლწერის საკითხებსაც მოიცავს.

კრებულის ამავე ნაწილში მკითხველი გაეცნობა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის (ახლანდელი უნივერსიტეტის) ქართული ენის კათედრის ისტორიისათვის ფასეულ მასალას ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლაში შექმნილი ერთერთი სასწავლო დანაყოფის – კათედრის ფილიალის შესახებ. ეს ოფიციალური დოკუმენტები დავალაგეთ თანმიმდევრულად, შევავსეთ ფილიალის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საინტერესო ინფორმაციებით და გზადაგზა ჩვენეულ კომენტარებთან ერთად წარმოვადგინეთ გამთლიანებული სახით.

წიგნის მეორე ნაწილი – **მოგონებები** ეძღვნება იმ ადამიანთა ხსოვნას, რომლებიც სხვადასხვა დროს

უანგარო, კეთილი საქმეებით შემოვიდნენ ჩემს ცხოვრებაში. ესენი იყვნენ სკოლის მასწავლებლები, ინსტიტუტის ლექტორები, ჩემი უფროსი მეგობრები. სამწუხაროდ, მათ გვერდით მოიხსენიებიან ჩემი ყოფილი სტუდენტებიც, ნაადრევად რომ შეუერთდნენ მარადისობას.

ბოლოს, რუბრიკით – „საქართველოზე შეყვარებული უცხოელი მეგობრები", საუბარია ორ პიროვნებაზე, რომლებიც განსხვავებული საქმითა და ინტერესებით იყვნენ დაკავშირებული საქართველოსთან, მაგრამ ორივეს აერთიანებდა ამ ქვეყნისა და მისი ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა. ისინი (როგორც ქართული კულტურის უამრავი სხვა უცხოელი გულშემატკივარი) ჩვენთვის დღესაც სამაგალითონი არიან, მათგანაც ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ.

P. S. კვლავაც გამოვიტანე სამზეოზე ჩემი არქივის მასალები, მათთან ერთად ისევ გავაცოცხლე მეხსიერებაში შემორჩენილი სხვა მოგონებებიც – ხსოვნა გულისა...

წიგნის ხასიათის გამო ზოგჯერ ვერ ავცდით ერთი და იმავე ინფორმაციის განმეორებას.

ნაწილი პირველი

წავსულიყავდი ტიპის დიალექტური ზმნური ფორმების გავრცელების საკითხისათვის

1960 წელს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებში (ტ. XXII) დაიბეჭდა ქ. ძოწენიძის სტატია „თურმეობითი მეორის ერთი თავისებურება ზემოიმერულში“.[1] მასში განხილულია **გავჩერებულიყავდი** ტიპის წარმოება, რომელიც, ავტორის აზრით, ქართული დიალექტებიდან ნიშანდობლივი ჩანს მხოლოდ ზემოიმერულისათვის, ისიც საჩხერისა და ჭიათურის რაიონების თითო სოფელში. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი შემდგომი მსჯელობისათვის პირველ რიგში წარმოვადგენთ ზემოდასახელებული სტატიის მოკლე მიმოხილვას.

სალიტერატურო ქართულის ნორმათა მიხედვით, ერთპირიანი ზმნების მეორე თურმეობითი აღწერითად იწარმოება: საუღლებელი ზმნის მიმღეობას ემატება მეშველი ზმნა წყვეტილის მწკრივის ფორმით: ვიყავ, იყავ, იყო. შესაბამისად, მიიღება გავჩერებულიყავი, გაჩერებულიყავი, გაჩერებულიყო ტიპის ზმნები.

ქ. ძოწენიძის დაკვირვებით, ამგვარი წარმოება ზემოიმერულშიც ძირითადია, თუმცა საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხასა და ჭიათურის რაიონის სოფელ ხალიფაურის მცხოვრებთა მეტყველებაში მეშველი ზმნები ვიყავ, იყავ (I-სა და II პირში) პარალელური **ვიყავდი, იყავდი** ფორმითაც დადასტურებულა. სტატიაში დამოწმებულია სათანადო მაგალითებიც:

---

[1] სტატია შეტანილია ქ. ძოწენიძის წიგნში „ზემოიმერული კილოკავი“, თბ., 1973, გვ. 269-272 (გვერდები მითითებულია ამ წიგნის მიხედვით).

პირველი პირი

რო გავჩერებულიყავდი, მეც დავსოლდებოდი; ხომ ვერ მნახევდი, მე რო დავმალულიყავდი; მალა უნდა მივსულიყავდით და გვეთქვა სიმართლეი...

მეორე პირი

რო დამალულიყავდი, თავი მეგეჭრებოდა; მოსულიყავდი და გამთბარიყავდი; რო დასახლებულიყავდით ერთი აქეთ და ერთი იქით, რა გიჭირდათ (მაგალითები იხ. გვ. 270)...

ვიყავ, იყავ ზმნების ნაცვლად გამოყენებულ **ვიყავდი, იყავდი** ფორმებში, ავტორის აზრით, **დ** სუფიქსი არის უწყვეტლის სავრცობი, რომელიც გაჩენილია ფონეტიკური ცვლილებით, კერძოდ: ერთპირიანი ვიყავ (მე), იყავ (შენ) და ორპირიანი ვყავდი (მე მას), ჰყავდი (შენ მას) ფორმათა კონტამინაციით მიღებულია ერთპირიანი **ვიყავდი** მე/**იყავდი** შენ...

ნაშრომში ქ. ძოწენიძე მსჯელობს აგრეთვე საანალიზო ფორმათა გავრცელების არეალზეც: „საგულისხმოა, რომ ეს ფონეტიკური ცვლილება ერთპირიან ზმნათა თურმეობითი მეორის პირველი და მეორე პირის ფორმებში დიდი ხნის ფეხმოკიდებული არ უნდა იყოს, რადგანაც ტერიტორიულად გავრცელების ფარგლებიც ვიწრო აქვს და არც უფროსი თაობის (მოხუცთა) მეტყველებაში შეინიშნება. ეს თავისებურება, სპეციალური ლიტერატურის მონაცემებით, ქართული ენის არც ერთ სხვა კილოში არ დასტურდება“ (გვ. 269).

გავჩერებულიყავდი ტიპის ფორმათა ზემოთ წარმოდგენილი კვალიფიკაცია სარწმუნოდაა მიჩნეული სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგალითად, (ვ)**იყავდი** ფორმა ცალკე ერთეულადაა შეტანილი (როგორც დამოუკიდებელი მორფემა)

„ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“; იქვე შენიშნულია: „ი-ყავდ-ი ვნებითის კონტამინაციური (ი-პრეფიქსიანი და დ სუფიქსიანი) წარმოების შედეგი ჩანს“ (გვ. 251). გარდა ამისა, ბ. ჯორბენაძე „ქართულ დიალექტოლოგიაშიც“ საგანგებოდ მსჯელობს ზემოიმერულისათვის ნიშანდობლივ ამ საინტერესო მოვლენაზე და დასძენს: „ქვემოიმერულისათვის ასეთი რამ უცხოა. იგი ახალი წარმონაქმნი ჩანს“ (გვ. 431).

ასეთია სტატიის ძირითადი შინაარსი და მისი შეფასება სამეცნიერო ლიტერატურაში.

ქ. ძოწენიძის ამ ნაშრომს გავეცანი სტუდენტობის დროს, როცა, ჩემი ლექტორების მითითებით, პირველად დავიწყე მშობლიური სოფლის – ახალშენის – მეტყველებაზე დაკვირვება, ტექსტების ჩაწერა. ეს სოფელი მდებარეობს ხონის რაიონში, ქვემო იმერეთში; დააარსეს 1910 წელს სამხრეთ საქართველოდან (მესხეთიდან) გადმოსახლებულმა მესხებმა. იმერულ გარემოცვაში მოქცეული მესხური მეტყველება ნელ-ნელა იცვლებოდა და დაახლოებით ნახევარი საუკუნის შემდეგ იქცა **მესხურ** და **იმერულ კილოთა შერევის** საუკეთესო ნიმუშად. უკვე 1960-იანი წლებიდან დიალექტურ ფორმათა შერევის ეს პროცესი აშკარად თვალსაჩინო იყო. სწორედ ამ დროიდან ვიწერდი ტექსტებსა თუ ცალკეულ ერთეულებს უშუალოდ ინფორმატორებისგან.

1965 წელს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარვადგინე საკმაოდ ვრცელი მოხსენება **„სოფელ ახალშენის მეტყველება, როგორც კილოთა შერევის ნიმუში“**. მასში ერთ-ერთ თავისებურებად დასახელებული მქონდა ქ. ძოწენიძის მიერ ზემოიმერულში დადასტურებული **გავჩერებულიყავდი** ტიპის ზმნური ფორმებიც:

არ ვიცოდი, კრებაზე თუნა წავსულიყავდი; ბარემ საღამომდე დარჩენილიყავდი, რაღას მოდიოდი; მეც იქ ვყოფილიყავდი, კაი იქნებოდა[1]... (გვ. 30).

ცოტა მოგვიანებით, 1992 წელს, ქუთაისში დაიბეჭდა ჩვენი წიგნი **„მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა“**. მასში სალექსიკონო ერთეულის დასაზუსტებელ საილუსტრაციო მაგალითების კონტექსტებში შეტანილი იყო ჩვენთვის საინტერესო ფორმებიც:

იმდენი (=ოლონდ) მივსულიყავდი, სხვას არაფელ მთხოვდნენ (გვ. 50); დექი (=ბარემ) მე მივსულიყავდი, არ ჯობდა? (გვ. 41); არნა წავსულიყავდით (გვ. 63).

მართალია, სტუდენტობისდროინდელ ჩემს მოხსენებაში, რომელშიც ძირითადად წარმოდგენილი იყო საკითხის აღწერითი ანალიზი, გამოყენებული ლიტერტურის ჩამონათვალში დამოწმებული მქონდა ქ. ძოწენიძის ზემოდასახელებული ნაშრომიც, როგორც ანალოგი ჩვენს მეტყველებაში გამოვლენილი ფორმებისა, თუმცა ამგვარ ზმნებზე საგანგებო თეორიული მსჯელობა არ მქონია.

წავსულიყავდი ტიპის ფორმები იმდენად ხშირად გამოიყენებოდა ჩვენს მეტყველებაში, რომ, ალბათ, თავიდანვე განსაკუთრებულ თავისებურებად არც მიმიჩნევია, რადგან ზოგადად ახალშენელთა მეტყველება მესხურ და იმერულ

[1] სტუდენტობის დროს დაწერილი ეს ნაშრომი დაიბეჭდა მოგვიანებით ჩვენს წიგნში „მესხურ და იმერულ დიალექტთა შერევა ახალშენის მეტყველებაში“ (თბ., 2007), თუმცა მანამდე, 1978 წელს, საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტების შრომებში (ტ. IX) დაბეჭდილ სტატიაშიც „ზმნის ზოგიერთი თავისებურება წულუკიძის რაიონის სოფელ ახალშენის მცხოვრებთა მეტყველებაში“ დამოწმებული მქონდა ეს სამი მაგალითი (იხ. ზემოდასახელებული წიგნი, გვ. 105).

კილოთა შერევით ავლენდა სხვადასხვა სახის მეტად საინტერესო ფორმებსა და ენობრივ კონგლომერატებს. აქედან გამომდინარე, ჩანს, იმ დროს სპეციალურად არ გამიმახვილებია ყურადღება ჩვენს მეტყველებაში თურმეობითი მეორის ამ თავისებური წარმოების გავრცელების არეალსა და მისი მოხმარების სიხშირეზეც.[1]

ამჯერად გვინდა **წავსულიყავდი** ტიპის წარმოებასთან დაკავშირებით გამოვკვეთოთ რამდენიმე საკითხი, კერძოდ, სასურველია:

1) დაზუსტდეს საანალიზო ფორმათა გავრცელების არეალის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ტრადიციული ინფორმაცია;

2) ხელახლა გადამოწმდეს მთლიანად ზემოიმერულში, პირველ ყოვლისა, საჩხერისა და ჭიათურის რაიონებში, საკვლევი წარმოების გამოყენების შემთხვევები დღევანდელ მეტყველებაში;

3) საგანგებოდ იქნეს შესწავლილი თურმეობითი მეორის – **წავსულიყავდი** ტიპის ფორმათა საკითხი ქვემოიმერულსა და მესხურ-ჯავახურში (მხოლოდ ჩვენი მასალებით ძნელი სათქმელია, ისინი მესხურისაგან მომდინარეობენ, თუ იმერულის გავლენით არის შეძენილი);

4) თანამედროვე ეტაპზე დიალექტური ტექსტების, მათი თეორიული გამოკვლევების საფუძველზე საჭიროა საბოლოოდ დაზუსტდეს ჯერ კიდევ 60 წლის წინ ქ. ძოწენიძის მიერ შესწავლილი ერთი საინტერესო ენობრივი მოვლენის განვითარების გზა;

5) ახალშენის მეტყველებაში გამოვლენილი ნიმუშებიც

[1] ალბათ, კიდევ იმიტომაც, რომ მაშინ ამ ფორმათა გამოყენებაში აშკარად არ შეიმჩნეოდა ასაკობრივი სხვაობა – იგი გვხვდებოდა როგორც ახალგაზრდების, ისე მოხუცების მეტყველებაში.

დროულად აისახოს დიალექტოლოგიური კორპუსის მასალებში, რათა უფრო ხელმისაწვდომი გახდეს იგი სპეციალისტებისათვის.

დასკვნა: წავსულიყავდი ტიპის წარმოება, ჩვენ მიერ გამოვლენილი ანალოგიური ფორმების მიხედვით, ბუნებრივად ველარ ჩაითვლება ოდენ ზემოიმერულის ნიშანდობლიობად. მეორე მხრივ, ახალშენის მეტყველებაში თავჩენილი საანალიზო ფორმები გვავარაუდებინებს მათს არსებობას მესხურ-ჯავახურსა და ქვემოიმერულშიც.

ჩვენი წინასწარი დაკვირვებით (ადგილობრივთა ზეპირი ინფორმაციით), თურმეობითი მეორის თავისებური ფორმები კვლავაც გამოიყენება საჩხერის რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაში (ამიტომ სჭირდება საკითხს შემდგომი სიღრმისეული შესწავლა).

გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ დიალექტური მასალების ჩაწერა და მისი ანალიზი განსაკუთრებით საშური საქმეა თანამედროვე ქართულ სინამდვილეში, როცა არნახული ტემპებით იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო, ქვეყანაში ძლიერდება მიგრაციის პროცესი და ისედაც დაცარიელებულ სოფლებში თანამედროვე ტექნოლოგიების, ტექნიკური საშუალებების ზეგავლენით (რასაც ემატება თაობათა ბუნებრივი ცვლა), დიალექტებს – ცოცხალ მეტყველებას – ნაკლებად აქვს თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა; ასეთ პირობებში, ვინ მოთვლის, ხალხური მეტყველების საუნჯიდან რამდენი უცნობი მარგალიტი იკარგება...

2015

თბილისი

ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში დასავლური დიალექტების შესწავლის ტრადიცია[1]

ეძღვნება ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების მე-20 წლისთავს

ქართული დიალექტების კვლევის მესაძირკვლედ ითვლება **აკაკი შანიძე**. მან 1911 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტმა, პრაქტიკულად დაიწყო ეს საქმე მთის კილოების შესწავლით (მათი მიმოხილვა წარმოადგინა 1915 წელს ნაშრომში „ქართული კილოები მთაში"). ცოცხალ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვებამ ახალგაზრდა მკვლევარი დაარწმუნა, რომ ქართული დიალექტების საფუძვლიანი შესწავლა მეტად საშური და აუცილებელი იყო, რადგან იგი მდიდარ მეცნიერულ სამკალს იძლეოდა სხვადასხვა პროფილის მკვლევართათვის. სხვაგვარად: დიალექტოლოგიური მასალის აღნუსხვა და მეცნიერული ანალიზი ფასეული ჩანდა არა მხოლოდ ლინგვისტური თვალსაზრისით, არამედ ამა თუ იმ კუთხის ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და, საერთოდ, ისტორიული წარსულის შესასწავლად.

მთის კილოთა მონაცემების საფუძველზე **ა. შანიძემ** დაადგინა ზმნურ პირის პრეფიქსთა ფუნქციები; კვლევის შედეგები ჩამოაყალიბა მონოგრაფიაში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში", რის-

[1] სტატიის მოკლე ვარიანტი დაიბეჭდა 2013 წელს კრებულში „ქართველური მემკვიდრეობა", XVII (ქუთაისი).

თვისაც მიენიჭა **ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი 1920** წელს (ეს იყო პირველი სადისერტაციო ნაშრომი, დაცული თბილისის უნივერსიტეტში).

ა. შანიძემ ახალგახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, ცალკე სასწავლო დისციპლინად შემოიღო **ქართული დიალექტოლოგია**, თავად ივალდებულა ამ კურსის წაკითხვა და იმთავითვე დააწესა საზაფხულო არდადეგებზე სტუდენტების გაგზავნა საქართველოს რეგიონებში დიალექტოლოგიური მასალების ჩასაწერად... სწორედ ა. შანიძის ძალისხმევით ქართული დიალექტოლოგია დაეფუძნა მყარ მეცნიერულ ნიადაგს და დაიწერა მისი ისტორიის პირველი ფურცლები.

1933 წლიდან ეს **ტრადიცია გაგრძელდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში**. აქაც ა. შანიძე კითხულობდა დიალექტოლოგიაში ლექციებს, პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება კი მიანდო თავის ერთ-ერთ საუკეთესო მოწაფეს, თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, ვარლამ თოფურიას.

ქუთაისის პედინსტიტუტში ენათმეცნიერების განხრით მთლიან სასწავლო-სამეცნიერო პროცესს, ა. შანიძის გარდა, პირველივე დღეებიდან წარმართავდნენ **გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია.** ისინი კითხულობდნენ ლექციებს და სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ კათედრებსაც: გ. ახვლედიანი ზოგადი ენათმეცნიერების კათედრას განაგებდა 1933-1937 წლებში, არნ. ჩიქობავა იყო ქართული ენის კათედრის პირველი გამგე; 6 თვის შემდეგ იგი შეცვალა ვ. თოფურიამ 1938 წლამდე... თბილისის უნივერსიტეტის ლინგვისტური სკოლის ამ თვალსაჩინო წარმომადგენლებმა ქუთაისის პედინსტიტუტის შესაბამის კათედ-

რებს დაანათლეს მაღალი მეცნიერული პოტენციალი, ახალი სასიცოცხლო ძალა მისცეს მშობლიური ენის სწავლებასა და შესწავლას.

ცნობილია, რომ ა. შანიძემ და არნ. ჩიქობავამ ფიზიკურად ვეღარ შეძლეს ქუთაისში ხანგრძლივად მუშაობა, მაგრამ მათ მიერ დაწყებული საქმიანობა წლითიწლობით უფრო ნაყოფიერი და მრავალმხრივი ხდებოდა, რაშიც დიდი ღვაწლი მიუძღოდა ვ. თოფურიას, აგრეთვე თბილისის უნივერსიტეტის შედარებით ახალგაზრდა ლექტორებს: შ. ძიძიგურს, ს. ჟღენტს, გ. როგავას...

ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა მომდევნო წლებშიც აქტიურად თანამშრომლობდნენ ქართული ენის კათედრასთან – ხელმძღვანელობდნენ ასპირანტებს, განსაკუთრებით ზრუნავდნენ ადგილობრივ კურსდამთავრებულთაგან ახალი კადრების მომზადებაზე, სისტემატურად მონაწილეობდნენ ქუთაისში გამართულ სასწავლო-სამეცნიერო ღონისძიებებში... მათი უდიდესი დამსახურება იყო ისიც, რომ **ქუთაისის პედინსტიტუტი მალე იქცა დასავლური დიალექტების შესწავლის მნიშვნელოვან ცენტრად**. ეს შემთხვევითი როდი იყო: ქ. ძოწენიძის შეფასებით, ა. შანიძისა და ვ. თოფურიას დიალექტოლოგიურმა გამოკვლევებმა საფუძველი ჩაუყარა ქართული დიალექტების სტრუქტურისა და ისტორიის მეცნიერულ შესწავლას – ისტორიულ დიალექტოლოგიურ ძიებას, არნ. ჩიქობავას ნაშრომებმა კი სათავე დაუდო თეორიულ დიალექტოლოგიას.

ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში დიალექტოლოგიური მასალის შეკრება-მოძიებისა და კვლევის მესვეური გახდა **სტუდენტთა საენათმეცნიერო წრე ვ. თოფურიას ხელმძღვანელობით**. წრის წევრები: პ. ჯაჯანიძე, ქ. ძოწენიძე, ა. კიზირია, მ. ალავიძე, გრ. იმნაიშვილი, ი. ვარლამიშვილი

და სხვები კათედრის დავალებით დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში ზაფხულობით იწერდნენ დიალექტოლოგიურ თუ ფოლკლორულ ტექსტებს, რომლებსაც განიხილავდნენ წრის სხდომებზე მოხსენებების სახით და, რაც მთავარია, ხელმძღვანელის დახმარებით ითვისებდნენ მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევებს, პირველ ნაბიჯებს დგამდნენ ამ მიმართულებითაც. მ. ალავიძის ინფორმაციით, „1933-1938 წწ. მთელს ინსტიტუტში გამოირჩეოდა სტუდენტთა საენათმეცნიერო წრე. აქ აღიზარდა რამდენიმე მეცნიერი, მწერალი, ჟურნალისტი". ამგვარი ნაყოფიერი საქმიანობის შედეგად კათედრაზე (გამგე ვ. თოფურია) მოკლე დროში დაგროვდა სტუდენტების მიერ ჩაწერილი საკმაოდ მრავალფეროვანი მასალა, რომელიც ნაწილ-ნაწილ მზადდებოდა გამოსაცემად. მაგალითად, 1938 წელს ვ. ბერიძის რედაქციით თბილისში წიგნად დაიბეჭდა **მ. ალავიძის** „ლეჩხუმური ლექსიკონი", რასაც მალე მოჰყვა მისივე გამოკვლევა „ლეჩხუმურის თავისებურებანი" (ქუთ. პედინსტ. შრ., ტ. II, 1941).

ცნობისათვის: ქ. ძოწენიძის, მ. ალავიძის, პ. ჯაჯანიძის, ლ. კვანტალიანის მიერ ჩაწერილი ტექსტები საილუსტრაციო მასალად შეტანილია „ქართული დიალექტოლოგიის" I ტომში (თბ., 1961).

დიალექტოლოგიური კვლევის ტრადიცია ქუთაისის პედინსტიტუტში არ შენელებულა 1940-იანი წლებიდანაც. კათედრის გამგეები: ს. ჟღენტი (1938-1942), გ. როგავა (1942-1958) ახალგაზრდა კადრების საკვლევაძიებო საქმიანობას ამ მიმართულებითაც საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ. მათი რეკომენდაციებით სპეციალურ გამოცემებში ხშირად იბეჭდებოდა კათედრის წევრთა შრომები.

მიხეილ ალავიძე ქუთაისის პედინსტიტუტის კურსდამთავრებულთაგან პირველი იყო, რომელმაც დიალექტოლოგიაში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე **„ქართული ენის ლეჩხუმური დიალექტის ლექსიკა“** (1955 წ.). საკვალიფიკაციო მონოგრაფიის მომზადებას უძღოდა ხანგრძლივი შრომა: სტუდენტობის დროიდან მოყოლებული ლეჩხუმში ჩაწერილი ტექსტების მრავალგზის გადამოწმება, ახლის მოძიება, ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის სტრუქტურა-სემანტიკისადმი კრიტიკული მიდგომა, დასკვნების გამოტანისას მაქსიმალური სიზუსტის დაცვა და ა. შ. ალბათ, სხვაგვარად არც შეიძლებოდა; კურსდამთავრებულებს, შემდგომში ქართული ენის კათედრის ძირითად წევრებს, მასწავლებლებისაგან მემკვიდრეობით გადმოეცათ მეცნიერებისადმი ფაქიზი დამოკიდებულება, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა და შრომისმოყვარეობა. სწორედ ამაზე მეტყველებს ხელმძღვანელის – ვ. თოფურიას – ერთ-ერთი წერილი მ. ალავიძისადმი (დედანი ავტოგრაფითურთ დაცულია ნაშრომში „ვარლამ თოფურია, ხსოვნის წიგნი“, თბ., 2012).

დიდად პატივცემულო მიხეილ!

მივიღე თქვენი წერილი და მოლოცვა. დიდი მადლობა. გთხოვთ ასევე მიიღოთ ჩემგან და ჩემი ოჯახისაგან გულთბილი მოლოცვა და კეთილი სურვილები წარმატებათა და გამარჯვებათა ყოველ სასარგებლო საქმეში.

თქვენი დავალება შევასრულე, ერთი ცალი ამონაბეჭდი გადავეცი ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგეს სტეფანე მენთეშაშვილს. გიმადლობათ.

თქვენი შრომის ამონაბეჭდი გადავათვალიერე (დაკავებული ვიყავი და ვერ წავიკითხე), შთაბეჭდილება დამაკმა-

ყოფილებელია. ზოგან სიზუსტე აკლია, მაგრამ ეს ყველა ლექსიკონის დამახასიათებელია. ეცადეთ, რამდენადაც შეიძლება, ზუსტი განმარტება იყოს. აი, სახელდახელოდ უმნიშვნელო შენიშვნა:

„ბ ე ღ ლ ი თ ვ ა ლ ი“ (სვან. ბელლითვალ). უჩვენეთ, რომელ კილოშია „ბელლითვალ“. იგი საერთოდ სვანური არ არის.

„ბ ზ ღ ი ლ ი“ კვერცხი მწერისა თუ მწერის კვერცხები ერთად დაყრილი თუ მიყრილი (ხორცზე და მისთანათა);

„ჭ ი პ ი“ ბალღის მისაგებებლად(!).

ასეთები ყოველთვის იქნება. ვერ წავიკითხე, თორემ მეტს მოგწერდით.

გისურვებთ წარმატებებს და დისერტაციის მალე დამთავრებას.

იყავით სულ კარგად.

პატივისცემით ***ვ. თოფურია***
10.I.1955.

მ. ალავიძემ დასავლური დიალექტების შესწავლას მიუძღვნა მრავალი საინტერესო, მეცნიერულად მეტად ფასეული გამოკვლევა: „დავით კლდიაშვილის ლექსიკონი“ (ქუთ. პედინსტ. შრ., ტ. VI, 1946), „მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიისათვის“ (იქვე, ტ. IX, 1949), „ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა“ (თბ., 1951), „ოკრიბული ლექსიკონი“ (ქუთ. პედინსტ. შრ., ტ. X, 1950-1951), „მასალები ლეჩხუმური ლექსიკონისათვის“ (იქვე, ტ. XIII, 1955), „ქვემორაჭული ტოპონიმიკური ლექსიკონი“ (იქვე, ტ. XVII, 1957), „ქართული დიალექტური ლექსიკიდან“ (იქვე, XXIV, 1962) და ა. შ.

„მ ი ხ ე ი ლ ალ ა ვ ი ძ ე საფუძვლიანად იცნობდა ქართველურ ენათა ლექსიკასა და ტოპონიმიკას; იკვლევდა ქართულ-

ზანურ და ქართულ-სვანურ სუბსტრატთა პრობლემებს; იმერულ, რაჭულ და ლეჩხუმურ დიალექტთა ურთიერთმიმართებას... **მისმა გამოკვლევებმა ლეჩხუმურ დიალექტს საკუთარი ადგილი მიუჩინა ქართულ კილოთა შორის**... ქეგლ-ში აისახა იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში მის მიერ მოპოვებული მასალა... არნ. ჩიქობავასთან ერთად გამოსცა ქ. ძოწენიძის მონოგრაფია იმერულ დიალექტზე (ორტომეული)" (ლ. კვანტალიანი, ქართული ენა ენციკლოპედია, თბ., 2008).

პოლიკარპე ჯავახიძე დასავლურ დიალექტებს სწავლობდა სტუდენტობის დროიდან, პერიოდულად იწერდა იმერული კილოს მიხედვით ცოცხალი მეტყველების ნიმუშებს, რომელთა საფუძველზე გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომიც: „ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი" (1948), „მასალები იმერული ლექსიკონისათვის" (1949, 1950-1951)...

მას შემდეგ, რაც პ. ჯავახიძემ 1952 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ძველ ქართულში (ა. შანიძის ხელმძღვანელობით), ძირითადი ყურადღება გადაიტანა **გურული კილოს** შესწავლაზე, კერძოდ, მისი უმთავრესი მიზანი გახდა გურულის თავისებურებათა კვლევა აჭარულთან მიმართებით. იგი წლების მანძილზე გურიასა და აჭარაში აგროვებდა მასალებს და სოფელ-სოფელ შეკრებილ ცოცხალი მეტყველების ნიმუშებს გამოწვლილვით აანალიზებდა. ცალკეულ სტატიათა („ხოლმეობითის გადმონაშთებისათვის გურულში", 1955; „გურული კილოს მორფოლოგიის საკითხები", 1956; „მასალები გურული ლექსიკონისათვის", 1957; „ნაწევარი გურულსა და ქვემო აჭარულში", 1958; „აჭარული დიალექტის ზოგიერთი საკითხი", 1960; „აჭარული ლექსიკონის მასალე-

ბი“ 1961; „გურული დიალექტის ფონეტიკის საკითხები“, 1968 და ა. შ.) საფუძველზე მომზადდა პ. ჯაჯანიძის მონოგრაფია **„გურული დიალექტი აჭარულთან მიმართებაში“**, რომელსაც სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს, ავტორს კი მიანიჭეს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი 1971 წელს.

პ. ჯაჯანიძის სადოქტორო დისერტაცია ერთ-ერთი საყურადღებო გამოკვლევაა დიალექტოლოგიაში. მასში წარმოდგენილი მასალა მიჩნეულია სანდო და ფასეულ ლიტერატურულ წყაროდ, გამოტანილი დასკვნები კი ანგარიშგასაწევი და გასაზიარებელია. მაგალითად, გ. მჭედლიძის აზრით, საგულისხმოა დისერტანტის დაკვირვებანი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ, გურულებისა და აჭარლების წინაპრები შორეულ წარსულში იბერიელები იყვნენ. უპირველეს ყოვლისა, ამას აჩვენებს აღმოსავლური დიალექტის ფენების არსებობა გამოკვლეულ კილოებში, თუმცა მისი ელემენტები სხვა დიალექტებისა და ენების გავლენითაც მნიშვნელოვნადაა სახეცვლილი... გურული და აჭარული წარმოადგენს ქართული ენის როგორც აღმოსავლურ (საიდანაც იგი წარმოიშვა), ისე დასავლურ დიალექტთა და ზანურის შენარევს (გ. მჭედლიძე, 1985, გვ. 154).

1977 წელს პოლიკარპე ჯაჯანიძემ ცალკე წიგნად გამოსცა **„გურული დიალექტი, I“**. ესაა ტექსტები და სალექსიკონო მასალა, რომელიც დამატების სახით ერთვოდა მონოგრაფიას.

დიალექტოლოგიური საკითხები ყოველთვის იყო აქტუალური თემა პ. ჯაჯანიძის სამეცნიერო საქმიანობაში. სიცოცხლის ბოლომდე ინტერესით აკვირდებოდა დასავლურ კილოებში თავჩენილ ამა თუ იმ ენობრივ მოვლენას, ტოპონიმიკური ერთეულების სტრუქტურასა და ისტორიას.

იგი ამ მიმართულებითაც ღირსეულად აგრძელებდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის ტრადიციას, რომელსაც ჯერ კიდევ 1933 წლიდან დაუდეს სათავე მისმა სახელოვანმა მასწავლებლებმა ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ პ. ჯაჯანიძის ხელმძღვანელობით 1970 წელს ფილოლგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა აღწერეს წყალტუბოს რაიონის ტოპონიმები (კათედრის ლაბორანტებმა: მ. გოშხეთელიანმა და ჟ. ფეიქრიშვილმა ეს მასალები სათანადო ინსტრუქციის მიხედვით დაამუშავეს და ბარათების სახით გადაუგზავნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკის ლაბორატორიას), რომელთა საფუძველზე დაიწერა პ. ჯაჯანიძის ერთ-ერთი ვრცელი და საინტერესო ნაშრომი „წყალტუბოს რაიონის ტოპონიმები“ („მაცნე“, №3, 1974).

კლარა კუბლაშვილმა 1960 წელს დაიცვა დიალექტოლოგიაში საკანდიდატო დისერტაცია („ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში“), 1984 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი“. მონოგრაფია ცალკე წიგნადაც გამოიცა 1985 წელს იმავე სახელწოდებით.

წლების განმავლობაში დასავლური კილოების (ძირითადად იმერულის) ცოცხალ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვებამ დისერტანტი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ, ამ რეგიონისათვის ნიშანდობლივი ენობრივი მოვლენებიდან გამომდინარე, **ქვემოიმერული შეიძლება ჩაითვალოს ცალკე დიალექტად** და არა იმერულის ერთ-ერთ კილოკავად, როგორც ტრადიციულად იყო მიჩნეული სამეცნიერო ლიტერატურაში.

ქეთევან ძოწენიძე – ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი თაობის კურსდამთავრებული – სტუდენტობისას ისმენდა ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, არნ. ჩიქობავასა და ვ. თოფურიას ლექციებს. იგი, როგორც ბეჯითი სტუდენტი და ნიჭიერი მკვლევარი, უშუალოდ ვ. თოფურიამ გამოარჩია სტუდენტთა საენათმეცნიერო წრეში პირველივე წლებიდან.

1941 წელს დაამთავრა ასპირანტურა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და დაბრუნდა ქუთაისში პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრაზე. მიუხედავად იმისა, რომ ა. შანიძე თავის სამაგალითო და უსაყვარლეს მოწაფეს წლების მანძილზე დაჟინებით იწვევდა თბილისის უნივერსიტეტში სამუშაოდ, რათა მის ნიჭიერებასა და განსაკუთრებულ აზროვნებას მეტი გასაქანი მისცემოდა, ქ. ძოწენიძეს არასოდეს არ მიუტოვებია ქუთაისი და სიცოცხლის ბოლომდე უმწიკვლოდ ემსახურებოდა მეცნიერებას, ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდას.

ქ. ძოწენიძემ 1950 წელს ა. შანიძის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ძველ ქართულში თემაზე „სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით“.

ქ. ძოწენიძე, როგორც კათედრის სხვა წევრები, ვიწრო პროფილის მკვლევარი არ ყოფილა. იგი, ჯერ კიდევ სტუდენტი, აქტიურად მონაწილეობდა დიალექტოლოგიური მასალების შეკრება-შესწავლაში. მას შემდეგაც სისტემატურად აკვირდებოდა იმერეთის ამა თუ იმ სოფლის მცხოვრებთა მეტყველებას. 1948 წელს გამოაქვეყნა საყურადღებო ნაშრომი „ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება“ (ქუთ. პედინსტ. შრ., ტ.VIII, 1948); ა. შანიძის აზრით, მასში „მოცემულია ქვემოიმერული ვანური თქმის უხუთური მეტ-

ყველების ფონეტიკურ-გრამატიკულ თავისებურებათა სრული ნუსხა და მათი ენათმეცნიერული კვალიფიკაცია".

1950-იანი წლებიდან ქ. ძოწენიძის სამეცნიერო საქმიანობის ძირითად ობიექტად იქცა იმერული დიალექტის ზემოიმერული კილოკავის მონოგრაფიული შესწავლა. მისი აზრით, ზემოიმერული, რომელშიც აშკარად ჩანდა როგორც ქართლურის, ისე ქვემოიმერულის გავლენის კვალი, მეტად საინტერესო მასალას იძლეოდა ენათმეცნიერული თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ამ მიმართულებით წარმოებული მისი მრავალწლიანი კვლევის შედეგები საბოლოოდ გამთლიანდებოდა **სადოქტორო დისერტაციის სახით**. მართლაც, ამ გეგმით შეუდგა ქ. ძოწენიძე ახალ, დიდ, საინტერესო და საპასუხისმგებლო საქმეს. 1951 წელს გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „**ევ** სუფიქსისათვის ზემოიმერულ კილოკავში" (ქუთ. პედინსტ. შრ., ტ. XI). მას შემდეგ ყოველწლიურად იწერებოდა საყურადღებო გამოკვლევები ზემოიმერულთან დაკავშირებით და ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა სპეციალურ გამოცემებში.

ქეთევანის მასწავლებლებმა კარგად უწყოდნენ მოწაფის მუშაობის სტილი – უდიდესი პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება ყოველგვარ საქმიანობაში, მისი განსაკუთრებული უნარი კვლევა-ძიებისა, ამიტომაც ხშირ-ხშირად შეახსენებდნენ, მეტი დრო დაეთმო სამეცნიერო საქმიანობისათვის. ამასთან დაკავშირებით წარმოვადგენთ ამონარიდებს მისი დიდი მასწავლებლების წერილებიდან:

ქეთევანს სალამი!

... მინდა მოგილოცოთ საკვალიფიკაციო შრომის კეთილად დაცვა. იმ ხანად ცუდად ვიყავი და სხდომაზე ვერ მო-

ვედი, გისურვებთ (თუ ვისურვებ) მოვსწრებოდე თქვენს სადოქტორო დისერტაციასაც.

... ახლა რასა იქმთ? ეცადეთ, თემატიკაზე გარკვეული თანამიმდევრობით მუშაობა არ შეგიწყდეთ. ახალი საკვალიფიკაციო შრომაც ნაწილ-ნაწილ უნდა დამუშავდეს: დრო ბევრი უნდა და დამშვიდებით უნდა გაკეთდეს.

გახსოვდეთ, რომ საქმის მცოდნე და პატიოსანი მუშაკი ჩვენს დარგში არც ისე ბევრია და ეს გარკვეულ ვალდებულებას გაკისრებთ სპეციალობის წინაშე.

იყავით მხნედ. გისურვებთ მუშაობაში წარმატებას.

თქვენთვის კეთილის მსურველი ***არნ. ჩიქობავა***[1]

4.XI.1951.

ქეთო ჩემო!

მივილე შენი საახალწლო მოლოცვა დეპეშით... მეც გისურვებ ყოველივე კარგს და, სხვათა შორის, მალე რომ მომელოცოს პავლეს ეპისტოლეების გამოცემა[2] *და დოქტორობა.*

იცოცხლე მრავალს, მრავალს, მრავალს წელს ტანის სიმრთელით, გულის სიწრფოებით, სულის სიმშვიდით, თანაც მრავალნაყოფიერი შრომით.

მარად თქვენი კეთილის მსურველი ***ა. შანიძე***

4.I.1962.

---

[1] სტატიაში გამოყენებული არნ. ჩიქობავას, ა. შანიძის, ვ. თოფურიას, ი. ქავთარაძის წერილები დამოწმებულია ქ. ძოწენიძის პირადი არქივის მასალებიდან.

[2] საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ ქ. ძოწენიძემ ხელმძღვანელისაგან მიიღო ახალი დავალება: დისერტაციისათვის მის მიერ დამუშავებული **პავლეს ეპისტოლეების** ქუთაისური და თბილისური ხელნაწერები მოემზადებინა სასტამბოდ, რათა დროულად გამოცემულიყო იგი წიგნად.

ქუთაისის ინსტიტუტში ქ. ძოწენიძე ყოველთვის იყო სანიმუშო ლექტორი, ძირითადი დასაყრდენი სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობაში, აქტიური მონაწილე საზოგადოებრივი ღონისძიებებისა. ამ მხრივ მისი მოღვაწეობა კიდევ უფრო მრავალფეროვანი და ნაყოფიერი გახდა 1960-იანი წლებიდან, როცა იგი ქართული ენის კათედრას განაგებდა. ქ. ძოწენიძე და მისი კოლეგები ყოველთვის გრძნობდნენ თავიანთი მასწავლებლების თანადგომასა და მზრუნველობას. გარდა ამისა, თანამშრომლობდნენ თბილისისა და სხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის კათედრებთან; მონაწილეობდნენ რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში, აქტიურად იყვნენ ჩართული ქართული ენათმეცნიერული სკოლის საერთო საქმიანობაში და თვალსაჩინო წვლილი შეჰქონდათ ლინგვისტური აზროვნების განვითარებაში. ამაზე მეტყველებს აგრეთვე ქვემოთ წარმოდგენილი ამონარიდები არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, ი. ქავთარაძის წერილებიდან:

დიდად პატივცემულო ქეთო!

მოგილოცავთ ამ დიდ დღესასწაულს და გისურვებთ წინსვლასა და წარმატებებს.

ასეთი სათხოვარი მაქვს თქვენთან:

1. თუ შეიძლება გამომიგზავნეთ თქვენი ჩაწერილი ტექსტები იმერულის (ზემო, ქვემო) შესახებ, რაოდენობა 1,5-2 თაბახი. სასურველია სხვადასხვა რაიონისა იყოს, შინაარსით ნაირ-ნაირი, დასაბეჭდად ვარგისი. დაბეჭდილი არაა საჭირო. უჩვენეთ, ვისგანაა ჩაწერილი, სად, როდის და ვის მიერ. დაიბეჭდება. თუ თქვენ წინააღმდეგ არა ხართ, იმერულის გარდა სხვაც თუ გაქვთ, ისიც გამომიგზავნეთ, დედანს დაგიბრუნებთ.

2. ჩემი სახელით სთხოვეთ ბ. მიშა ალავიძესაც. თუ შეიძლება გამომიგზავნოს ლეჩხუმურის ტექსტები სხვადასხვა კუთხისა. ლექსები არ მინდა.

3. გთხოვთ მომაწოდოთ ცნობები იმერულის გავრცელებულობის შესახებ (ცალკე ზემოსი და ცალკე ქვემოსი), თუ ასეთი მოგეპოვებათ.

*გარდა ამისა, იბეჭდება დღემდე გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი წერილები სახელთა ბრუნების შესახებ, თქვენ გქონიათ წაკითხული ორი მოხსენება: **განთანდებულისა** და მიცემითის ფუნქციების შესახებ. მინდოდა დაბეჭდილი თეზისები მოგეწოდებინათ.*

*თუ თქვენთვის ძნელი არ არის, მათხოვეთ სტუდენტთა კონფერენციებისა და პედაგოგიური პერსონალის სესიების დაბეჭდილი თეზისები, სადაც სახელთა და მათი ბრუნების (ემფატიკური **ა**, ფუძე, ბრუნვა, თანდებ., მსაზღვრელ-საზღვ., არტიკლი) შესახებ რამეა დაბეჭდილი, უკლებლივ დაგიბრუნებთ. არ მინდა რამე გამომრჩეს.*

კარგი იქნება სტუდენტთა გაერთ. კონფერციების სესიათა თეზისებიც. თუ გაქვთ.

არა მაქვს თქვენი ინსტიტუტის შრომების I-VI და XII ტომები. მაცნობეთ, თუ რამეა დაბეჭდილი საჩვენო, განსაკუთრებით სახელთა შესახებ.

მაპატიეთ, რომ ამდენს გაწუხებთ, მაგრამ თქვენი დახმარების შედეგი არც თქვენ გეწყინებათ.

*პატივისცემით **ვ. თოფურია***
7.XI.1955

ღრმად პატივცემულო ამხანაგო ქეთო!

უპირველესად გისურვებთ სახელოვან წარმატებებს თქვენს საქმიანობაში და ჯანმრთელობას.

ეს წერილი ამჯერად პირადად თქვენ გამოგიგზავნეთ, მაგრამ იგი უნდა გააცნოთ თქვენი კათედრის ყველა წევრს, რადგანაც ყველას თანაბრად ეხება.

როგორც იცით, ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით მუშაობა გაიშალა უნივერსიტეტშიც. გადაწყდა, რომ გამოიცეს ვრცელი კრებული (დაახლ. ასეთი სათაურით: „უნივერსიტეტი 40 წლის მანძილზე“ ან „მეცნიერება საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავზე“), რომელშიც წარმოდგენილი იქნება მეცნიერების ყველა დარგის მიღწევები.

ენათმეცნიერული დარგის მიმოხილვას მიეძღვნება ჩემი და დოც. ილია ცერცვაძის სტატია. ასეთი სტატია პირადად მე აკადემიის, უნივერსიტეტისა თუ სამინისტროს დავალებით ორჯერ გავაკეთე, მაგრამ ამჟამად მინდა ყველაზე სრული და უკეთესი იყოს, ყველა ისე ჩანდეს მასში, როგორც შეეფერება მის მდგომარეობას ობიექტურად (და არა მარტო ისე, როგორც თითოეულ პირს მოესურვებოდა!).

მე კარგად ვიცნობ თქვენი კათედრის წევრების შრომებს, მაგრამ მაინც ვსარგებლობ თქვენი თავაზიანობით და გაწუხებთ შემდეგზე:

1. ძალიან სასწრაფოდ მომაწოდეთ თქვენი კათედრის წევრთა დაბეჭდილი შრომების (შედის ავტორეფერატებიც) სია (მითითებით სად და როდის დაიბეჭდა), აგრეთვე დაბეჭდვის პროცესში მყოფი შრომების სია.

2. მანქანაზე საბეჭდი ქაღალდის ერთ-ორ გვერდზე ცალკეულად ჩამომიწერეთ ამ შრომების მოკლე ანოტაციები (ასეთი ვარაუდით: 10-გვერდიანი შრომა 10 სტრიქონში).

... ეს თხოვნა გეხებათ თქვენ, პ. ჯაჯანიძეს, მ. ალავიძეს, დ. გეწაძეს და სხვებს. იმედი მაქვს არ დამზარდებით და ყველა ამხანაგი ამ პატარა თხოვნას (რომელიც მათაც უნ-

და აინტერესებდეთ!) შემისრულებს, რაც შეიძლება ჩქარა.

პატივისცემით ***ივანე ქავთარაძე***

P. S. გთხოვთ გადასცეთ ჩემი სალამი ჩვენს კოლეგებს.

5.IV.1957

დიდად პატივცემულო ქეთევან!

უნივერსიტეტში 1962 წლის დეკემბერში დაარსდა ვაჟა-ფშაველას კაბინეტი პროფ. გრ. კიკნაძის ინიციატივით. მან გადაწყვიტა, ვაჟას თხზულებათა სრული სიმფონია-ინდექსი დაამუშაოს სტუდენტების დახმარებით. მას სასურველად მიაჩნია, ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტობამ ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელობით მიიღოს მონაწილეობა ამ სამუშაოს შესრულებაში. დავპირდი, წერილს თქვენ მოგწერდით და აი, გწერთ...

პატივისცემით ***არნ. ჩიქობავა***

1963 წელი

ცნობისათვის: 1964 წელს ქ. ძოწენიძის ხელმძღვანელობით ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა (მაშინ IV კურსის სტუდენტი ვიყავი) დავამუშავეთ ვაჟა-ფშაველას ერთი ტომი (პროზიდან) კაპიტალური კოლექტიური ნაშრომისათვის „ვაჟა-ფშაველას სიმფონია-ლექსიკონი“ (ჟ. ფ.).

პედაგოგიურ ინსტიტუტში სალექციო კურსების წაკითხვა, 1958 წლიდან კათედრის გამგეობა, უამრავი სხვა საზოგადოებრივი დავალება; გარდა ამისა, ზემოიმერული მეტყველების ნიმუშებისა თუ დარგობლივი ლექსიკის ზედმიწევითი სიზუსტით ჩაწერა და შემდგომ მათი სიღრმისეული ანალიზი ქეთევან ძოწენიძისაგან მოითხოვდა უდიდეს ენერგიასა და დროს. ამიტომაც თითქმის ორი ათეული წელი გაუგრძელდა მას სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობა.

მან აღნუსხა და მეცნიერულად გამოიკვლია იმერეთის 93 სოფლის (ზემო იმერეთის – 80, ქვემო იმერეთის – 13) მეტყველება, რომელთა ენათმეცნიერულ კვალიფიკაციას უძღვნა 15 საკმაოდ ვრცელი ნაშრომი. პარალელურად შეადგინა და სასტამბოდ გაამზადა ზემოიმერული ლექსიკონი.

სამწუხაროდ, ავტორმა ვერ მოასწრო ზემოიმერულის ენობრივ ანალიზთა გამთლიანება ერთ მონოგრაფიად, თუმცა ამ ფორმითაც იგი დიალექტოლოგიის ისტორიისათვის მრავალფეროვან და საინტერესო მასალას იძლეოდა. ამიტომაც, სადისერტაციო ნაშრომის კონსულტანტის არნ. ჩიქობავას წინადადებით, გადაწყდა ქ. ძოწენიძის ამ ნაშრომების გამოცემა ორ ტომად (ტექნიკური სამუშაო მთლიანად შეასრულა და ორტომეული სასტამბოდ გაამზადა ქალბატონი ქეთევანის დისწულმა ლ. კვანტალიანმა).

1973 წელს არნ. ჩიქობავასა და მ. ალავიძის რედაქტორობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში დაიბეჭდა მონოგრაფიის პირველი წიგნი **„ზემოიმერული კილოკავი“** (ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები, 564 გვერდი), 1974 წელს კი – მეორე წიგნი **„ზემოიმერული ლექსიკონი“** (646 გვერდი).

სამეცნიერო წრეებში ორტომეულს მაღალი შეფასება მისცეს, დაიწერა გამოხმაურება-რეცენზიები, აღიარებდნენ მის მნიშვნელობას არა მხოლოდ დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, არამედ ზოგადმეცნიერული ასპექტითაც: „კვლევაძიებისას ვინც კი შეეხება იმერეთს, ამ ნამუშაკევს გვერდს ვერ აუვლის. მასში საჭირო ცნობებს იპოვის ყველა – ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ბუნებისმეტყველი...“ (მ. ალავიძე, 1973, გვ. 10).

ქ. ძოწენიძის კლასიფიკაციით, იმერული კილო აერთიანებს ზემოიმერულ და ქვემოიმერულ კილოკავებს. შუაიმე-

რულად მიჩნეული თერჯოლის, ტყიბულის, მაიაკოვსკის (ახლ. ბაღდათის – ჟ. ფ.) რაიონების მცხოვრებთა მეტყველება ნარევი შემადგენლობისაა – მასში ზემოიმერულის ნიშნებიც გვხვდება და ქვემოიმერულისაც... თანაც ამ რაიონების მცხოვრებთა მეტყველებაში არ დასტურდება ისეთი საერთო, თავისთავადი მოვლენები, რომ შესაძლებელი იყოს მათი ერთ კილოკავად გაერთიანება ქვემოიმერულისა და ზემოიმერულის საპირისპიროდ. ის თავისებურებანი, რომლებიც შუაიმერულად წოდებულ მეტყველებაში შეიმჩნევა, თქმის ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს. მოძიებული მასალების გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე **ქ. ძოწენიძემ შუაიმერული მეტყველება ქვემოიმერულ კილოკავს მიაკუთვნა.**

თავისი მნიშვნელობით გამორჩეულია აგრეთვე „ზემოიმერული ლექსიკონი". იგი სანიმუშოა შედგენის პრინციპებით, მასალის მრავალფეროვნებით, ცალკეულ სიტყვა-სტატიათა დახვეწილი, ზუსტი განმარტებით.

„ზემოიმერული ლექსიკონი" შეიცავს 6 ათასზე მეტ სიტყვასა და გამოთქმას სოფლის მეურნეობის (მიწათმოქმედების), შინამრეწველობა-ხელოსნობისა და საოჯახო საქმიანობის სხვადასხვა დარგიდან, იმერელთა წარსული და თანამედროვე ყოფა-ცხოვრებიდან...

„ქ. ძოწენიძემ ცოცხალი მეტყველების ამოუწურავი საუნჯიდან უცნობი მარგალიტები გამოავლინა. ათასობით სიტყვა და ფორმა აღმოაჩინა და გადაარჩინა დაკარგვას... მან წარუშლელი კვალი გაავლო ქართველოლოგიაში" (მ. ალავიძე, 1973, გვ. 12).

„ქ. ძოწენიძის მიერ მოპოვებული უცნობი დიდძალი ზემოიმერული მასალა ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ სარეზერვო ფონდს გაამდიდრებს. იგი საჭირო და ფასეულია ქართველურ ენათა ისტორიული შედარებითი

შესწავლისათვის", – წერდა ფრანგული ჟურნალი „რევიუ დე ქართველოლოჟი" 1975 წლის ნომერში (იხ. ს. თურნავა).

„ლექსიკონში გათვალისწინებულია არა მარტო თავად ავტორის მიერ შეკრებილი, არამედ სხვა წყაროებში დამოწმებული სიტყვარი... გამოცემა ცხოველი ინტერესის შემცველია.... გვაწვდის ახალ ცნობებს, აზუსტებს ცალკეულ სიტყვათა არსებულ განმარტებებს, ამიტომ მთელი ეს ლექსიკური მასალა ჩვენი დიალექტოლოგიის ძვირფასი შენაძენია" (ა. ღლონტი).

დასავლური კილოების შესწავლა 1970-იანი წლების შემდგომაც იყო ქართული ენის კათედრის სამეცნიერო საქმიანობის ერთ-ერთი საინტერესო ნაწილი, ტრადიცია ნაყოფიერად გრძელდებოდა. ამა თუ იმ კუთხის ცალკეული სოფლისა თუ რაიონის მეტყველების ენობრივ ანალიზს დიდი ადგილი ეკავა აგრეთვე სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის თემატიკაში; განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა ამ რეგიონების ტოპონიმების აღნუსხვა-შესწავლა. მაგალითად, ოკრიბის ტოპონიმიას მიეძღვნა **ლუიზა გვენეტაძის** საკანდიდატო დისერტაცია (დაიცვა 1984 წელს), წლების მანძილზე ვანის რაიონის ტოპონიმებს სწავლობდა **მერი გოშხეთელიანი,** იწერებოდა სადიპლომო ნაშრომები და ა. შ.

ძირითადად სტუდენტობის წლებში მოძიებული მასალების საფუძველზე მომზადდა (და ცოტა მოგვიანებით გამოიცა) აგრეთვე წიგნები: **ჟუჟუნა ფეიქრიშვილის** „მესხური დიალექტის სალექსიკონი მასალა" (1992) და „მესხურ და იმერულ დიალექტთა შერევა ახალშენის მეტყველებაში" (2007); **ლეილა უკლებას** „იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა" (2010) და ა. შ.

ქართული ლინგვისტური სკოლის კორიფეების მიერ ქუთაისის პედინსტიტუტში 1933 წლიდან დაფუძნებული

დიალექტოლოგიური კვლევის მდიდარი ტრადიციის უშუალო გამგრძელებელი 1990-იანი წლებიდან გახდა ქუთაისის უნივერსიტეტთან არსებული **ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი** (დირექტორი პროფ. ტ. ფუტკარაძე), რომელიც საიუბილეო თარიღს, დაარსების მე-20 წლისთავს, ხვდება მრავალფეროვანი შემოქმედებითი საქმიანობით.

ლიტერატურა

ალავიძე მ., ქეთევან ძოწენიძე (ცხოვრება და ღვაწლი): „ქეთევან ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი“, თბ., 1973.

გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

დანელია კ., წიგნი და მისი ავტორი: გაზ. „ახკომი“, 1973, 6.03.

თოფურია ვ. – ხსოვნის წიგნი, თბ., 2012.

თურნავა ს., ფრანგული ჟურნალის ფურცლებზე: გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1975, 18.09.

კვანტალიანი ლ., მიხეილ ალავიძე; პოლიკარპე ჯაჯანიძე: ქართული ენა ენციკლოპედია, თბ., 2008.

მჭედლიძე გ., ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, თბ., 1985.

ფეიქრიშვილი ჟ., პოლიკარპე ჯაჯანიძის ცხოვრება და ღვაწლი: ქართული ენის მოამაგენი, თბ., 2006.

ფეიქრიშვილი ჟ., სრულყოფილებასთან ახლოს – ასეთი იყო ქეთევან ძოწენიძე, თბ., 2013.

ღლონტი ა., ქართული ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი: გაზ. „ქუთაისი“, 1974, 23 აგვისტო.

შამელაშვილი რაფ., დისერტაციის დაცვა არ შედგება: გაზ. „ქუთაისი“, 1969, 11 ოქტომბერი.

ჩიქობავა არნ., მონოგრაფია იმერულ დიალექტზე: გაზ. „ქუთაისი“, 1973, 17.02.

ჯაჯანიძე პ., ადამიანი, პედაგოგი, მეცნიერი (ქეთევან ძოწენიძე): გაზ. „ქუთაისი“, 1969, 18/X.

ქ. ძოწენიძის პირადი არქივის მასალები.

2013 წელი

მასალები დიალექტური *ვინების* ისტორიისათვის

ვინ ნაცვალსახელი საერთო ქართველური წარმომავლობის უძველესი ლექსიკური ერთეულია, იმდროინდელი, როცა სახელებს არ მოეპოვებოდა ბრუნებისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორიები. ამიტომაა, რომ მას არ გააჩნია ბრუნების სრული პარადიგმა; ძირითადად წარმოდგენილია ორი ფორმით: ვინ, ვის.

სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, ვინ ნაცვალსახელს რიცხვის კატეგორიაც არა აქვს, სიმრავლე შეიძლება გამოიხატოს ფუძის გაორკეცებით: ვინ მოვიდა? შდრ. ვინ და ვინ მოვიდნენ.

ვინ ნაცვალსახელის ზოგად თავისებურებათა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მსჯელობდნენ სხვადასხვა დროს. ყველა მკვლევარი მიუთითებს, რომ თანამედროვე ქართულში **ვინ**-ის მიერ სიმრავლის გამოხატვის ერთადერთ საშუალებად დასაშვებია მხოლოდ **ვინ და ვინ** (მხოლობითის ფუძის გაორკეცება). მაგრამ დღეს ისიც აშკარაა, რომ ზეპირმა მეტყველებამ ამ ფუძეგაორკაცებული წარმოების პარალელურად შეარჩია უფრო მარტივი ფორმა **ვინები**. ენის ეს ახალი ტენდენცია მკვლევართათვის უკვე ცნობილი იყო გასული საუკუნის 50-იან წლებამდეც. მაგალითად, ა. შანიძის დაკვირვებით, „ვინ ნაცვალსახელს მრავლობითი რიცხვი ჩვეულებრივ არა აქვს, მაგრამ ცდა კი არის მისი გაჩენისა (ხაზი ჩვენია – ჟ. ფ.). „ყარაულებად ვინები არიან“-ო, ვკითხულობთ ყაზბეგის „მამის მკვლელში“. სიმრავლის გამოსახატავად ჩვეულებრივ „ვინდავინ“ იხმარება: „ვინდავინ იყო კრებაზე?“ (შანიძე, გვ. 103).

გარდა ამისა, სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზის

იყო აღნიშნული, რომ დიალექტური **ვინები** უმართებულოა, სალიტერატურო ენისათვის მიუღებელი (ნ. აბესაძე, ც. კალაძე, არ. მარტიროსოვი, შ. ძიძიგური, ლ. კვანტალიანი, ბ. ჯორბენაძე, ა. არაბული, რ. ზექალაშვილი...).

წერილობითი მასალების გათვალისწინებით, **ვინები** ცოცხალ მეტყველებაში, კერძოდ, მთის კილოებში, ალბათ, XIX საუკუნემდეც არსებობდა[1], რამდენადაც იგი უკვე დადასტურებულია ალ. ყაზბეგის თხზულებებში, ასევე მომდევნო პერიოდის (XX საუკუნის 60-იან წლებამდე) ჩაწერილ დიალექტურ ტექსტებში. მაგალითად:

გავალ მწყემსებთან, იქ გავიგებ, ყარაულად ვინები არიან (ყაზბეგი[2], გვ. 305);

რო დაინახა ეს უცხო ხალხი, შორიდან ჰკითხა:

– ვინები ხართო? (დიალექტ. I, მოხეური, გვ. 45);

– აი, ჩვენცაო, ვინც ვმღერითო, ხვალე-ზეგ დაგვჭამდენო; ვინებიც იცინიანო, ხვალ დაშჭამდენო, ევინებიც ტირიანო, მაგეებს დღეს დასჭამდენო (დიალექტ. I, გუდამაყრული, გვ. 98);

– დედაკაცო, ვინები არიანო (დიალექტ., I, მთიულური);

– ვინებიც ქალს მაყრად გამაჴყვებიან (ქავთარაძე, გვ. 40);

– ჩუენაო საით მიგურეკეო, ვინები ვართო (იქვე);

---

[1] **ვინები** არაა შეტანილი სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“, არც დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში. ჩანს, საბას დროს საერთოდ ქართული ენის კილოებში, განსაკუთრებით, ქართლურში, საანალიზო ფორმები ჯერ კიდევ არ გამოიყენებოდა, თორემ სულხან-საბას თხზულებებსა თუ ლექსიკონში მაინც აისახებოდა.

[2] ალ. ყაზბეგის თხზულებათა I ტომზე დართულ ლექსიკონში (შეადგინა შ. ძიძიგურმა) **ვინები** ასეა განმარტებული: „მრავლობითი რიცხვი ნაცვალსახელისა ვინ (ფართოდ გავრცელებულია მოხეურში“ (იხ. გვ. 566).

მოსულა და უთქომს: – ვინები ხართ თქუენაო? (იქვე, გვ. 125);
სამი კაცი ჩაგიჭოცეს, ეს ვინები მოვიდესო (იქვე, 132).[1]

გასული საუკუნის 60-იან წლებში **ვინები||ვინებიც** ფორმა სხვა საკითხებთან დაკავშირებით დამოწმებულია ნ. აბესაძის, ც. კალაძის, არ. მარტიროსოვის ნაშრომებში და იქვე მითითებულია, რომ იგი უმართებულოა – დიალექტური. იმავე პერიოდში დაიწერა ლ. კვანტალიანის მონოგრაფია „მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის შეთანხმება ქართულში“. მასში ავტორი მისამართ სიტყვასთან მიმართებითი ნაცვალსახელების რიცხვში შეთანხმების დროს ქართულში გამოვლენილ დარღვევებზე მსჯელობისას ეხება ვინები ნაცვალსახელსაც (იმოწმებს სპეციალურ ნაშრომებსაც), საილუსტრაციო მაგალითად დასახელებულია „ვინებიც იცინიანო, ვინებიც ტირიანო“, იქვე შენიშნულია: **ვინ** ნაცვალსახელის **ებ**-იანი ფორმა **ვინები**, რომელიც შეიძლება ხანდახან გამოჩნდეს დიალექტებში, სალიტერატურო ენისათვის უცხოა... „კილოებში გამოვლენილი ებიანი ფორმა (ვინები) გავრცელებას ვერ პოულობს (ხაზი ჩვენია – ჟ. ფ.) (ლ. კვანტალიანი, გვ. 64, 94).

ცხადია, ზემოაღნიშნული ვარაუდი მკვლევრისა ემყარებოდა იმ პერიოდის ქართულ ენობრივ სინამდვილეს, პირველ ყოვლისა, დიალექტურ ტექსტებს, რომელთა მიხედვით, **ვინე-**

[1] ქართული დიალექტოლოგიის I ტომში შეტანილი მოხეური კილოს ტექსტები ჩაწერილია ი. ქავთარაძის მიერ 1948 წელს. ავტორის მონოგრაფია „ქართული ენის მოხეური დიალექტი (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი)“ დაიბეჭდა 1985 წელს. ჩვენ მიერ დამოწმებული საანალიზო მაგალითები ამოღებულია ამ წიგნიდან.

ბი ნიშანდობლივი ჩანდა მხოლოდ მთის კილოებისათვის, მაშინ როცა იგი ჯერ კიდევ არ იყო გამოვლენილი დასავლური დიალექტების ნაბეჭდ მასალებში და სასაუბრო ენაშიც არ შეიმჩნეოდა[1].

ვინები, როგორც ახალი ენობრივი ერთეული, გასული საუკუნის ბოლომდე სამეცნიერო წრეებში არც კი განიხილებოდა ზოგადად ქართულისათვის დამახასიათებლად. მაგრამ უკანასკნელ ათწლეულებში, მისი გავრცელების თვალსაზრისით, შეიცვალა ვითარება: **ვინები** გამოჩნდა დასავლურ დიალექტებშიც, იმავდროულად უფრო შესამჩნევი გახდა აღმოსავლურ კილოებში და ზოგადად ქართველთა სასაუბრო ენაში. ასე რომ, თანდათან აშკარად იკვეთებოდა **ვინების** გააქტიურების პროცესი.

ჩვენი დაკვირვებით, ზეპირ მეტყველებაში ასე მოჭარბებით თავჩენილი **ვინები** უფრო ხშირია თბილისისა და, საერთოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთა საუბარში, ვიდრე დასავლურ კილოებში.

ჩვენს შეკითხვაზე – რატომ იყენებს **ვინ და ვინ**-ის ნაცვლად უმართებულო ფორმა **ვინებს**, რესპონდენტთა უმრავლესობის პასუხი ასეთია: „**ვინები** უფრო მოკლე სიტყვაა და გამოსათქმელადაც ადვილია“; „მე **ვინები** უფრო მომწონს, **რაებიც** ხომ არის?“; „დაწერით, ალბათ, არ დავწერ, არ ვიცი, მაგრამ ზეპირად მაინც გამოვიყენებ“...

ამ ბოლო ათწლეულში **ვინები** განსაკუთრებით ხშირია ახალგაზრდების, ბავშვების მეტყველებაში. ამ პროცესს ერთგვარად ხელს უწყობს რადიო- და სატელევიზიო გადაცემები, სოციალური ქსელები და საკომუნიკაციო სხვა სა-

[1] ლ. კვანტალიანის ეს გამოკვლევა დაიწერა 1964-1965 წლებში, მასალებით შეივსო 1972 წელს, მაგრამ დაიბეჭდა 1983 წელს.

შუალებები. მეტიც: თითო-ოროლა ნიმუში შეიძლება შეგვხვდეს მხატვრულ ლიტერატურაშიც:

ხო იცი მაგენი ვინები არიან? (გ. ხოფერია, 2003, გვ. 14);

გამამგზავნა ნახეი ვინები არიანო (თ. ჯაფარიძე, 2001);

ვინები ხართ, ვის დაჰკარგვიხართ? (თ. აბულაშვილი, 2001);

ნიმუშები ზეპირი მეტყველებიდან:

– დედა, ხვალ კინოში კიდევ ვინები წამოვლენ?;

– გიოს დაბადების დღეზე ვინები იქნებიან?;

– ბებო, იცი, ესენი ვინები არიან? (ლ. კაბულაშვილი, 5 წლის);

ნეტა ვინები კითხულობენ ამდენ სისულელეებს, ყოველდღე რომ წერენ ფეისბუქის პოსტებზე!;

ნეტა ვინები გამოვლენ ეს ტყუპები. ძაან ნიჭიერები არიან;

რას ვიზამთ; გვინდა თუ არა გვინდა, დღეს ვინები მაინც არსებობს.

სასაუბრო ენიდან უამრავი ასეთი მაგალითის დასახელება შეიძლება. ეს პროცესი იმდენად თვალსაჩინოა, რომ ცალკეული ინდივიდისათვის დღეს **ვინები** მიჩნეულია ერთგვარ მარჯვე, მეტად მორგებულ ენობრივ საშუალებად.

სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, ჩვენც მივუთითებდით, რომ **ვინები** გრამატიკულად არასწორია, თუმცა მისი გამოყენების სიხშირე მიგვანიშნებდა ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური მსჯელობის აუცილებლობაზეც.

როგორც წესი, ნებისმიერ ენაში შემთხვევით – კანონზომიერების გარეშე – არ ჩნდება თუნდაც ცალკეული ახალი ფორმა, ენობრივი მოვლენა; ხელოვნურადაც რომ შეიქმნას იგი, მაინც მალევე დაიკარგება, თუ ვერ მოიპოვა

მომხმარებელი ენობრივი კოლექტივის „სანქცია“... მაგრამ, რამდენადაც საანალიზო **ვინების** განვითარების გზა სხვაგვარად წარიმართა, ამდენად, ჩვენი აზრით, ამ პროცესის გააქტიურების გარკვეულ საფუძვლად სავარაუდოა რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის შეიძლება იყოს:

ა) მისამართ სიტყვასთან **ვინ** ნაცვალსახელის რიცხვში ფორმობრივი შეთანხმების აუცილებლობა; ბ) სხვა ნაცვალსახელთა წარმოების ანალოგია; გ) შინაგანი კანონზომიერებიდან გამომდინარე, ენის მისწრაფება რთული კონსტრუქციების გამარტივებისა და ეკონომიურობისაკენ, წარმოთქმის გაადვილებისა და აღწერითი წარმოების ორგანულით შეცვლის ტენდენცია და ა. შ.[1]

1. სამეცნიერო ლიტერატურაში მონოგრაფიულადაა შესწავლილი **ვინ (ვინც)** ნაცვალსახელის რიცხვში შეთანხმების საკითხი როგორც მისამართ სიტყვასთან, ისე (ქვემდებარედ გამოყენების შემთხვევაში) უშუალოდ მასთან დაკავშირებულ ზმნა-შემასმენელთან. ძველი ქართულიდან მოყოლებული, დღევანდელი ვითარების ჩათვლით, მართებულად არის მიჩნეული ასეთი ტიპის წინადადებები: მოიხსენიეს **მხედრები,** ვინც ველზე დარჩა მკვდარია“ (ვაჟა).

გამოდის, რომ **ვინც** მხოლობითის ფორმით შეეწყობა მრავლობითში მდგარ მისამართ სიტყვას (მხედრები – ვინც), მეორე მხრივ, იგივე **ვინც** მასთან დაკავშირებულ ზმნა-შემასმენლისაგან მოითხოვს მხოლობითი რიცხვის ფორმას (ვინც დარჩა).

თუმცა წერილობითი ძეგლები, დიალექტური მეტყველება მრავლად წარმოაჩენს ამ ნორმის დარღვევის შემ-

[1] საკითხის დასმის წესით, წარმოვადგენთ ჩვენეულ მოკლე მიმოხილვას.

თხვევებს: „ვინც ახლო სოფლებიდან იყვნენ, ისინი შინ დაბრუნდნენ“ (ე. ნინოშვილი) (წესის მიხედვით უნდა ყოფილიყო „ვინც იყო“).

ჩანს, მეტყველი ინდივიდისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა **ვინც** ფორმასთან ზმნა-შემასმენლის მხოლობითი რიცხვი და აზრობრივად (მრავლობითის ფორმით) შეითანხმა იგი. სხვაგვარად: ქვემდებარისა და შემასმენლის ეს აზრობრივი შეთანხმება (ისინი – ვინც იყვნენ) უფრო მისაღები აღმოჩნდა ფრაზის სემანტიკისა და მისი გამომსახველობითი ნიუანსების გადმოსაცემად.

ვინ ნაცვალსახელის მქონე, გრამატიკულ ნორმებს დაქვემდებარებული კონსტრუქციის („ისინი, ვინც იყო“ ტიპის) წინადადებებში სტილისტური თვალსაზრისით იქმნება არაერთი უხერხულობა. მაგალითისთვის დავიმოწმებთ ერთ ფრაზას:

– ვინ იყო სტეფანე ზუბალაშვილი?

– სამაგალითო მეცენატი.

შდრ. – ვინ იყო ზუბალაშვილები?

– სამაგალითო მეცენატი (თუ: მეცენატები)?

შდრ. ვინ იყვნენ ზუბალაშვილები?

– სამაგალითო მეცენატები.

როგორც ჩანს, ცოცხალი მეტყველება თავად ირჩევს მისთვის სასურველ ფორმას, თუნდაც გრამატიკულად მიუღებელს, მაგრამ მისთვის „მისაღებს“. ამ მსჯელობის მიხედვით, **ვინების** გაჩენის გზაც დაახლოებით ასე შეიძლება ვივარაუდოთ: სტუმრები ვინ იყო > სტუმრები ვინ იყვნენ > სტუმრები ვინ და ვინ იყვნენ > სტუმრები ვინები იყვნენ.

რამდენადაც **ვინ** სულიერი საგნის აღმნიშვნელი ქვემდებარეა, მოლაპარაკე ინდივიდისათვის უფრო მისაღები

აღმოჩნდა ზმნა-შემასმენელთან **ვინ** ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმით შეწყობა: ბავშვები თამაშობენ – შდრ. ვინ თამაშობენ > ვინები თამაშობენ.

2. **ვინების** გაჩენა-დამკვიდრებაში, ალბათ, ვერ გამოვრიცხავთ სხვა ნაცვალსახელთა წარმოების ანალოგიასაც. აქ შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი შემთხვევა:

ა) **რაები** დღეს საკმაოდ გავრცელებულია გრამატიკულად მართებული **რანი** და **რა და რა** ფორმების გვერდით (პირველი ძალზე იშვიათია, მეორესაც ხშირად „რაები“ ცვლის). გამოდის, რომ ამ პარალელური ფორმებიდან „ენისათვის“ უფრო მისაღებია რაები, როგორც მარტივი წარმოება; ალბათ, მისთვის ასევე ბუნებრივი იქნება მარტივი **ვინები** რთული **ვინ და ვინ**-ის ნაცვლად (რაები მოიტანა, ვინები მოვიდნენ – შდრ. რა და რა მოიტანა, ვინ და ვინ მოვიდნენ).

ბ) დიალექტურ მასალათა გათვალისწინებით, **ვინების** წარმოქმნა-გააქტიურებას უთუოდ ხელს შეუწყობდა **ამაები, მაგაები || მაგეები, ისები, მაგნები** და მსგავსი **ებ** სუფიქსიან ნაცვალსახელთა ანალოგიაც:

ამაებით რომ ძვრას ვერ მიყოფენ, გასაგებია (გ. თავაძე, გვ. 191);

მაგაებს თავი დაანებე და პური გვაჭამე (ალ. ყაზბეგი, გვ. 325);

ისები რო დასვენებულები არიან (დიალექტ. I, მოხეური, გვ. 49);

ძაუგში ჩავიდა და იმეებს უთხრა (ი. ქავთარაძე, გვ. 104);

მაგნები მიწის მგლებად არიან ცნობილნი (გ. ხოფერია, 2005, გვ. 11).

ამგვარი ფორმები არ არის მხოლოდ ერთი ან რამდენიმე კილოსათვის დამახასიათებელი, იგი ნიშანდობლივია ყველა

დიალექტისათვის, საერთოდ, ცოცხალი მეტყველებისათვის და ბუნებრივად იჩენს თავს მხატვრულ ლიტერატურაშიც. ეს ფაქტი სამეცნიერო გამოკვლევებში არაერთგზისაა აღნიშნული. მაგალითად, ქართულ დიალექტებში სახელთა მრავლობითის წარმოებაში თავჩენილ თავისებურებებზე მსჯელობისას ბ. ჯორბენაძე საგანგებოდ ეხება ნაცვალსახელებსაც და წერს: „მესამე პირის ნაცვალსახელთა მრავლობითის ფორმები უპირატესად **ებ** სუფიქსით იწარმოება: ესე-ებ-ი||ეს-ებ-ი „ესენი“, ის-ებ-ი „ისინი“, ვინ-ებ-ი||ვინეები, რეები, ისნ-ები, „ისინი“, აგე-ნ-ებ-ი (**ებ** გასდევს ბრუნების მთელ პარადიგმას: ემე-ებ-მა „ამათ“ (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 268, 282, 358, 466, 556...).

3. ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად საგულისხმოა აგრეთვე ქართული ენის ზოგადი ბუნება-კანონზომიერება – აღწერითთან შედარებით მეტი გასაქანი მისცეს ორგანულ წარმოებას, გაამარტივოს რთული კონსტრუქციები და გააადვილოს წარმოთქმა.

მაგალითად: ათასმმეტი > ცამეტი, აღვიარებ > ვაღიარებ; ღმრთაებრიობა > ღვთაებრიობა... **ვინ და ვინ** წავიდნენ > ვინები წავიდნენ; **რა და რა** მოითხოვეს > რაები მოითხოვეს და ა. შ.

მაშასადამე, სალიტერატურო ენისათვის მიუღებელი ფორმა – **ვინები** დღეს რეალური ფაქტია. მის მომავალს, ალბათ, ენა და დრო გადაწყვეტს.[1]

---

[1] საკითხის შემდგომი ანალიზისათვის ფასეული იქნება, ერთი მხრივ, მეგრულ-სვანურისა და, მეორე მხრივ, მთის კილოების დღევანდელი ვითარების გათვალისწინება. გარდა ამისა, დასაზუსტებელი იქნება ისიც, თუ რა ტიპის ზმნებს შეეწყობა ვინები (ჩვენი წინასწარი დაკვირვებით, **ვინ** ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმა ყველა ზმნასთან არ გვხვდება).

ლიტერატურა

აბესაძე ნ., ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში: თსუ, 93, 1960.

აბულაშვილი თ., მოთხრობა: გაზ. „ჩვენი მწერლობა“, 2001, 2-9 მარტი.

არაბული ა., მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

ზექალაშვილი რ., ქართული ენა (მოკლე პრაქტიკული კურსი), თბ., 2018.

თავაძე გ., მზემამულ ხეთი, ქუთაისი, 2005.

კალაძე ც., განსაზღვრება ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961.

კვანტალიანი ლ., მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის შეთანხმება ქართულში, თბ., 1983.

მარტიროსოვი არ., ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964.

ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის მორფოლოგია (შევსებული და გადამუშავებული გამოცემა), თბ., 2018.

ქავთარაძე ი., ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.

ქართული დიალექტოლოგია., I, თბ., 1961.

ყაზბეგი ალ., თხზულებანი, ტ. I, თბ., 1962.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

ხოფერია გ., ანა კარენინა და ბებიაჩემი, ქუთაისი, 2003.

ხოფერია გ., მესამე მსოფლიო ომი, ქუთაისი, 2005.

ჯაფარიძე თ., გაზ. „ჩვენი მწერლობა“, 2001, 20-27 ივლისი.

ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

ქეთევან ჯოწენიძის მონოგრაფია

„სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით“

ქეთევან ჯოწენიძემ 1950 წლის 28 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით“.

მონოგრაფია მანქანაზე დაბეჭდილი 262 გვერდია. შედგება წინასიტყვაობისა და ხუთი თავისაგან:

I. არსებითი სახელი

II. ზედსართავი სახელი

III. რიცხვითი სახელი

IV. ნაცვალსახელი

V. საზღვრულ-მსაზღვრელი

თითოეული თავი მოიცავს ქვეთავებს (მონოგრაფიის სარჩევი იხ. გვ. 50).

წინასიტყვაობაში ავტორი მიუთითებს, რომ მონოგრაფიისათვის საანალიზო მასალად გამოყენებულია პავლეს ეპისტოლეების სამი ხელნაწერი. არც ერთ მათგანს არ ახლავს ანდერძი, შესაბამისად, არაა მინიშნებული ხელნაწერის გადაწერის ადგილი, დრო, გადამწერისა და მომგებლის ვინაობა. დისერტანტმა, პირველ ყოვლისა, ხელნაწერთა სხვადასხვა ნუსხის ურთიერთშეჯერებისა და ამ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში იმხანად არსებულ სავარაუდო მოსაზრებათა გათვალისწინებით ეპისტოლეთა

შედგენის თარიღად **X საუკუნე** დაასახელა. ხელნაწერთა ქრონოლოგიის დაზუსტებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მკვლევრისათვის, რადგან საკითხის თეორიული ანალიზი უნდა მისადაგებოდა IX-X საუკუნეებში მოქმედ ნორმებს და ამის მიხედვით გამოკვეთილიყო სახელთა ბრუნების თავისებურებანი. „თემის დამუშავებისას მთლიანად ვემყარებოდით სამ ხელნაწერს, – წერს დისერტანტი. – სახელთა ბრუნებისას ჯერ განვიხილავდით ძველი ქართულის მოქმედ ნორმებს, შემდეგ, თუ იყო, ამ ნორმიდან გადახვევებს, როგორც ჩვენი ხელნაწერების **თავისებურებათა განმსაზღვრელებს.**"

სწორედ ამ პრინციპითაა დაწერილი მთელი ნაშრომი. მასში გამოვლენილია მრავალი ახალი ენობრივი ფაქტი, მეტად ფასეული დაკვირვებანი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის თვალსაზრისით. ნათქვამის ნათელსაყოფად ამჯერად მოვიხმობთ ორიოდე ენობრივი მოვლენის ავტორისეულ კვალიფიკაციას.

1. იმხანად სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობდა მოსაზრება, რომლის თანახმად, ქართულში გან-თანდებულიანი მოქმედებითი გამოხატავდა მოქმედების საწყის პუნქტს სივრცესა და დროში, მიუგებს კითხვებზე საიდან? რა დროიდან?

ძველი ქართულის (კერძოდ, ხელნაწერთა) საილუსტრაციო მასალა სხვაგვარ ჩვენებას იძლეოდა. აქედან გამომდინარე, დისერტანტმა დაასაბუთა, რომ გან-თანდებულიანი მოქმედებითის თავდაპირველი ფუნქცია იყო **მოქმედების საწყისის გამოხატვა დროში; ადგილის აღნიშვნა მას შედარებით გვიან დაეკისრა.** ეს ფუნქცია მისთვის მერეულია.

2. საკვალიფიკაციო მონოგრაფიის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი იყო ემფატიკური ა ხმოვნის გამოყენების

შემთხვევათა დაზუსტება-ანალიზი. ძველი ქართულის ნორმების მიხედვით, ემფატიკური ხმოვანი მოუდიოდა მხოლოდ საზოგადო სახელებს სამ ბრუნვაში: მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში.

ქ. ძოწენიძეს უნდა გაერკვია ორი ძირითადი საკითხი: ა) დაცულია თუ არა ძველი ქართულის ნორმები ა-ს ხმარების თვალსაზრისით; ბ) როდის არა აქვს საზოგადო სახელებს მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში ემფატიკური დაბოლოება.

დისერტანტის დაკვირვებით, ემფატიკური ა ხელნაწერებში დაცულია ყველგან, სადაც მას ძველი ქართულის ნორმები მოითხოვს, მხოლოდ მაშინ არ დაერთვის საზოგადო სახელს, როცა იგი კომპოზიტის ან შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია, ანდა გამოყენებულია ზმნიზედად. ეს წესი სისტემებრაა გატარებული.

გარდა ამისა, მონოგრაფიაში საგულისხმო მოსაზრებანია გამოთქმული მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ - ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი ს ბრუნებასთან დაკავშირებით, გაანალიზებულია ნ ა ნ ე ვ რ ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ ი ს ბრუნების თავისებურებანი და ა. შ. ხელნაწერების საფუძველზე წარმოდგენილი იყო ზუსტი სურათი ძველ ქართულში სახელთა ბრუნების თავისებურებების შესახებ. ეს გახლდათ პირველი სრულყოფილი გამოკვლევა, რომელიც ძველი ქართული გრამატიკის ერთ ნაწილს – სახელთა ბრუნებას შეეხებოდა. **დისერტაციის ძირითადი დასკვნები ახალი სიტყვა იყო ქართულ ენათმეცნიერებაში.** მეცნიერხელმძღვანელის, ა. შანიძის, სიტყვებით რომ ვთქვათ, დისერტაცია ჩინებული გამოვიდა.

ოფიციალურმა ოპონენტებმა – პროფესორებმა ვარლამ თოფურიამ, ილია აბულაძემ და ფაკულტეტის საბჭოს მთელმა შემადგენლობამ მაღალი შეფასება მისცეს ქ. ძო-

წენიძის ნაშრომს და ერთხმად მიანიჭეს დისერტანტს საძიებელი ხარისხი, ამასთანავე ავტორს მოსთხოვეს მისი სასწრაფოდ დაბეჭდვა.

ვ. თოფურიას შეფასებით, „დისერტანტმა სულ ცოტა სამი მნიშვნელოვანი საკითხი გაარკვია და ამდენად ჩვენი ცოდნა გაამდიდრა. ეს საკითხებია:

1) ემფატიკური ხმოვნის უხმარობა ბრუნვებში;

2) **გან**-თანდებულიანი მოქმედებითის ფუნქცია;

3) ნაწევრის ადგილის განსაზღვრა.

ამ მთავარი მიღწევების გარეშეც შრომის ყოველი თავი, გამოუკლებლივ, რაიმე ახალს და ამდენად დადებითს შეიცავს, იქნება ეს მოვლენის დადგენა თუ მისი ახსნა. ძველ ქართულთან საერთო თუ განსხვავებული მოვლენები ისე რელიეფურად არის წარმოდგენილი და საკითხები ისე მკვეთრად და ნათლად დასმული, რომ მკაფიოდ ჩანს ავტორის ძალა და შესაძლებლობა, როგორც მკვლევარისა, საფუძვლიანი ცოდნა მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურისა, უნარი უზადო ანალიზისა და შედეგთა განზოგადებისა და, რაც ხაზგასასმელია, უნარი მისაბაძი წერისა...

ავტორის განკარგულებაში არსებული მასალა იმდენად ერთფეროვანი და საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ შეიძლებოდა მიგვეღო ფაქტებით აღსავსე საკმაოდ უგემურად დაწერილი ნაშრომი.

დისერტანტის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მასალა ისე ზომიერად და შერჩევითაა მოწოდებული, ისე მოხდენილადაა დალაგებული და გაუცვეთელი წინადადებებითაა გადმოცემული, იმდენი ცოცხალი აზრი ახლავს, რომ გამოკვლევა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს“...

ოფიციალური ოპონენტის, **ი. აბულაძის**, დასკვნაში გამოკვეთილია დისერტაციის დიდი მნიშვნელობა საკითხის თეორიული კვლევის ასპექტით: „სადისერტაციო ნაშრომში მის ავტორს გამოვლინებული აქვს ახალი მომენტებიც. მაგალითად, **გან**თანდებულიანი მოქმედებითის ფუნქცია. ნაჩვენებია ამ მოვლენის ჩასახვისა და განვითარების სურათი არა მარტო პავლეს ეპისტოლეების მიხედვით, არამედ ძველი ქართული ენის სხვა თარგმნილი თუ ორიგინალური ძეგლების მიხედვითაც. ასე იქცევა სხვა შემთხვევაშიც ავტორი, როცა კი საგულისხმო რაიმე მომენტს შენიშნავს კვლევის დროს მისი ძეგლის მიხედვით დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით.

ამრიგად, სადისერტაციო ნაშრომში არა მარტო უბრალო აღნუსხვა მოგვეპოვება სახელთა ბრუნებისა, რომელიც ადასტურებს არა მხოლოდ იმას, რაც დღემდის გამოთქმულა მეცნიერებაში მის შესახებ, არამედ მასში ცდაცაა, ზოგიერთი კორექტივი იქნეს შეტანილი ამა თუ იმ მომენტის შეფასებაში, ისე რომ აღინიშნოს ახალიც და ამით საკუთარი სიტყვა ითქვას საკითხის კვლევის დარგში.

ავტორის ენა კარგია. მისი ნაწერი ყოველმხრივ გამართულია, სტილი ნათელია.“

წარმოდგენილი ნაშრომის შესაფასებლად აღარ გავაგრძელებთ სპეციალისტთა მოსაზრებების ციტირებას, ჩვენი მხრიდან ამჯერად დავამატებთ:

ქეთევან ძოწენიძის მონოგრაფია **„სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით“** ქართულ ლინგვისტიკაში ყოველთვის იქნება ერთერთი საინტერესო, ანგარიშგასაწევი და ფასეული გამოკვლევა. სასურველია (და აუცილებელიც) იგი წიგნად გამოიცეს, რათა უფრო ხელმისაწვდომი გახდეს თანა-

მედროვე მკითხველისთვისაც, განსაკუთრებით – სპეციალისტებისთვის, სტუდენტებისათვის[1].

ქ. ძოწენიძის საკანდიდატო დისერტაციის სარჩევი

წინასიტყვაობა

I. არსებითი სახელები
1. მრავლობითი რიცხვის წარმოება
2. საზოგადო სახელები
3. ემფატიკური ხმოვანი
4. საკუთარი სახელები
ა) ადამიანთა სახელები
ბ) გეოგრაფიული სახელები

II. ზედსართავი სახელი

III. რიცხვითი სახელი

IV. ნაცვალსახელი
1. პირის ნაცვალსახელები
2. ჩვენებითი
3. კითხვითი
4. კუთვნილებითი
5. კითხვით-კუთვნილებითი
6. მიმართებითი
7. ურთიერთობითი

[1] ეს საკითხი ქ. ძოწენიძის საიუბილეო ღონისძიებაზე მე თავად გავახმოვანე. მაშინ ფაკულტეტის დეკანატმა, ქართული ენის კათედრამ თანხმობა განაცხადეს ქ. ძოწენიძის საკანდიდატო დისერტაციის წიგნად დაბეჭდვაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, რატომღაც დღემდე ვერ მიიყვანეს საქმე ბოლომდე.

2019. ჟ. ფ.

8. განსაზღვრებითი
9. განუსაზღვრელობითი
10. უარყოფითი

V. საზღვრულ-მსაზღვრელი
1. ატრიბუტული მსაზღვრელი
ზედსართავი სახელი მსაზღვრელად
მიმღეობა მსაზღვრელად
რიცხვითი სახელი მსაზღვრელად
ჩვენებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად
კითხვითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად
კუთვნილებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად .....
განსაზღვრებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად.....
განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად
უარყოფითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად

სახელგვარული სინტაგმები

2. ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი
ა) მსაზღვრელი უძღვის საზღვრულს
ბ) მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს (გენეტიური მსაზღვრელი)
გენეტიური მსაზღვრელი საზოგადო სახელია
გენეტიური მსაზღვრელი საკუთარი სახელია

3. ნაწევრიანი სახელის ბრუნება

გამოყენებული ლიტერატურა
(შეტანილია წინასიტყვაობაში – ჟ. ფ.)
1) ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი ხელნაწერის მიხედვით. ა. შანიძის გამოცემა, თბ., 1945.

2) იუსტინე აბულაძე – ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი, თბ., 1949.
3) საქმე მოციქულთა ძველი ხელნაწერების მიხედვით. იუსტინე აბულაძის გამოცემა, თბ., 1949.
4) თედო ჟორდანია – ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, I ნაკვეთი.

შენიშვნა:

ახალი აღთქმის ხელნაწერი ტექსტებით ქეთევან ძოწენიძის დაინტერესება პროფ. აკაკი შანიძის დამსახურება იყო. ქეთევანმა ხელმძღვანელისაგან იმთავითვე მიიღო ორი დავალება: 1) **ეპისტოლეების მიხედვით დაეწერა თეორიული მონოგრაფია** და გაერკვია სახელთა ბრუნების თავისებურებანი, 2) **რედაქციულად დაემუშავებინა თბილისსა და ქუთაისში დაცული ეპისტოლეთა ხელნაწერები და ცალკე წიგნად გამოეცა სრული ტექსტი.**

წლების მანძილზე ქ. ძოწენიძემ მართლაც შრომატევადი სამუშაო შეასრულა ეპისტოლეთა ტექსტის დადგენისათვის, დაწვრილებით შეისწავლა თითოეული ხელნაწერი და გაარკვია მათი რედაქციული სახე. ა. შანიძე ხშირად შეახსენებდა ხოლმე ქეთევანს ეპისტოლეების გამოცემის თაობაზე[1], მაგრამ, სამწუხაროდ, ქ. ძოწენიძე ფიზიკურად

---

[1] თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ ორიოდე ნიმუშს ა. შანიძის მიერ ქეთევანისადმი გაგზავნილი პირადი წერილებიდან:

„მოლოცვისათვის დიდად გმადლობთ და გთხოვთ, არ მიწყინოთ გაბედულობა. მე კი გისურვებთ, თქვენს ეპისტოლეთ არ დასტყობოდეთ ხანდაზმულობა.“ ა. შანიძე, 2 იანვარი, 1959.

„ქეთო ჩემო, მეც გისურვებ ყოველივე კარგს და, სხვათაშორის, მალე მომელოცოს პავლეს ეპისტოლეების გამოცემა და დოქტორობა.“ ა. შანიძე, 4 იანვარი, 1962.

ველარ ახერხებდა ახალი აღთქმის ამ საყურადღებო ძეგლის წიგნად გამთლიანებას. ამიტომ, ა. შანიძის წინადადებითა და ქეთევანის თანხმობით, ამ საქმის დასრულება ივალდებულა პროფესორმა კორნელი დანელიამ. მან დაამუშავა მისი მასწავლებლის – ქეთევან ძოწენიძის მიერ გადაგზავნილი მასალები (7 საერთო რვეულის მოცულობისა), შეუდარა სხვა ახალ წყაროებს და გაამზადა სასტამბოდ.

1974 წელს ა. შანიძის რედაქციით დაიბეჭდა **„პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები“** (გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან ძოწენიძემ და კორნელი დანელიამ).

სამწუხაროდ, ქ. ძოწენიძე ვერ მოესწრო ამ წიგნის გამოცემასაც, მაგრამ, საბედნიეროდ, დარჩა მისი სოლიდური ნაშრომები, რომლებმაც ავტორს ქართული ენათმეცნიერების ისტორიაში დამსახურებულად მოუპოვეს ერთ-ერთი ნიჭიერი და გამორჩეულად მოაზროვნე მეცნიერის სახელი.

წაკითხულია მოხსენებად 2017 წლის 9 ივნისს ქ. ძოწენიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო-სამეცნიერო კონფერენციაზე.

იტალიელი მეცნიერის – ლუიჯი მანტოვანის ქართველოლოგიური ნაშრომები

იტალიელი ქართველოლოგის მამა **ლუიჯი მანტოვანის** ნაყოფიერი მოღვაწეობა ფართოდაა ცნობილი სამეცნიერო წრეებში. ქართული ენისადმი მიძღვნილი გრამატიკებითა და ლექსიკონებით იგი უცხოელ მკითხველს აცნობს ქართულ ენას, ქართულ კულტურას.

ლ. მანტოვანი დაიბადა 1931 წლის 9 იანვარს იტალიაში, ვერონის ახლოს, სოფელ სან პიეტრო დი ლავანიოში. მღვდლის ხარისხი მიიღო 1955 წელს. დაამთავრა პადუის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი და მილანის წმინდა საგალობლების ინსტიტუტი. იგი იმთავითვე არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ წმინდა ბერული ცხოვრებით, პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობასაც: ასწავლიდა იტალიურსა და ლათინურ ენებს, მუსიკას, ისტორიას, გეოგრაფიას ვერონის საშუალო სკოლაში (რომლის დირექტორიც თავად იყო წლების განმავლობაში). დაწერილი აქვს საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის სახელმძღვანელო „იტალიური ენის მცირე გრამატიკა“ (1991)...

ლ. მანტოვანი საფუძვლიანად ფლობს რამდენიმე ენას: ლათინურს, ბერძნულს, იტალიურს, ფრანგულს, ინგლისურს, ესპანურს, პორტუგალიურს, ქართულს, რუსულს.

მომავალი ქართველოლოგი მეოთხედი საუკუნის წინ გაეცნო ქართულ ენას. პირველივე დღიდან განსაკუთრებით მოიხიბლა მისი მუსიკალური ჟღერადობით, შემდეგ დაინტერესდა ამ ენის მეტად ორიგინალური სტრუქტურითა და გრამატიკული სისტემით. ასე რომ, ღვთისაგან მომადლებულმა ენათმეცნიერულმა ალღომ და

სრულიად ახალი ენობრივი სამყაროს ახლოს გაცნობის სურვილმა მამა ლუიჯი მანტოვანი მალე ისე მჭიდროდ დააკავშირა ქართულ ენას, რომ იმ დროიდან მისი შემოქმედებითი ცხოვრების ძირითად მიმართულებად ქართველოლოგიური კვლევა იქცა.

1995 წლიდან მამა ლუიჯი შესაშური ინტერესითა და შრომისმოყვარეობით შეუდგა ამ რთულსა და მეტად ფასეულ საქმიანობას; კონსულტაციებს იღებდა ქართველი კოლეგებისაგან და ასე – ნელ-ნელა იდგმებოდა პირველი ნაბიჯები ქართული ენის სიღრმეში შესასვლელად...

1998 წლიდან ლუიჯი მანტოვანი გახდა საქართველოს მკვიდრი, ძირითადად ცხოვრობს ქუთაისში (არის ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მღვდელი). ამიერიდან მას მიეცა შესაძლებლობა უფრო ახლოს გასცნობოდა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, მათს ადათ-წესებსა და ხასიათს, უშუალოდ დაჰკვირვებოდა ქართულ ენას, სიღრმისეულად შეესწავლა ქართული კულტურა და ა. შ.

1999 წლის აპრილში მამა ლუიჯი მანტოვანი მივიწვიეთ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში **ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე.** სტუმარმა თავისი დამოკიდებულება საქართველოსა და ქართული ენისადმი გამოხატა შემდეგი სიტყვებით: „ბედნიერი ვარ, რომ თქვენთან ვიმყოფები დედაენის დღესასწაულთან დაკავშირებით. მე მჯერა, რომ ეს დღესასწაული განსაკუთრებულია საქართველოსათვის, **ეს თქვენი სიამაყეა,** რადგან მშობლიური ენის სიყვარული ნიშნავს საკუთარი სამშობლოს სიყვარულს... ყოველი ენა ხალხის სულის სარკეა და, აგრეთვე, მისი ქვეყნის თითქმის ისტორიული სინთეზიც...

მე ძალიან მომწონს თქვენი ენა. ქართული არის საოც-

რად მდიდარი და მუსიკალური ჟღერადობით გამორჩეული ენა – რთული, მაგრამ ლამაზი...

ჩემი დაახლოება ქართულ ენასთან განაპირობა მსახურების სურვილმა, ჯერ პირადად ჩემთვის, ხოლო შემდეგ მათთვის, ვისაც ქართული ენის შესწავლის სურვილი აქვს... დღეს ბევრი პიროვნება გამოხატავს ამ ენის გაცნობის სურვილს. აქედან წარმოიშვა ჩემი წიგნები: „ქართული ენის მცირე გრამატიკა" (რომელსაც უკვე იცნობთ) და „ქართული ენის სავარჯიშოების მცირე კრებული"...

... წლები წლებს მისდევდა და ლუიჯი მანტოვანის მეცნიერული მემკვიდრეობა ივსებოდა ახალ-ახალი მონოგრაფიებით, სქელტანიანი ლექსიკონებით, მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ქართული ენის მცირე გრამატიკა[1] და ქართული ენის სავარჯიშოების მცირე კრებული (1998).

„ქართული ენის მცირე გრამატიკა" ფართო ფორმატის 436-გვერდიანი წიგნია; შედგება რამდენიმე ნაწილისაგან.

შესავალში წარმოდგენილია მოკლე ინფორმაცია საქართველოს ისტორიული წარსულისა და თანამედროვე ვითარების შესახებ, წარმოჩენილია ქართული ენის ზოგადი ბუნება, მისი სპეციფიკურობა სხვა ენებთან შედარებით.

ფონეტიკის საკითხებიდან წიგნში საკმაო სისრულითაა დახასიათებული ქართული ენის ბგერითი შედგენილობა, ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემა; ავტორი საგანგებოდ მსჯელობს ე. წ. ხმარებიდან გასული ასოების შესახებაც. აქვეა საუბარი ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურებზე.

---

[1] გამოიცა იტალიაში 1997 წელს. ესაა იტალიურად დაწერილი პირველი ნაბეჭდი გრამატიკა ქართული ენისა, განკუთვნილი უცხოელთათვის.

მორფოლოგიას ეძღვნება წიგნის ძირითადი ნაწილი. მოცემულია ბრუნებისა და უღლების პარადიგმატული სისტემები. საგულისხმოა, რომ ავტორი უცხოელი მკითხველისათვის საგანგებოდ გახაზავს ქართულ ენაში არსებითი სახელის სიმარტივეს სქესის კატეგორიის უქონლობის გამო და, სამაგიეროდ, ზმნის მეტისმეტ სირთულეს.

სინტაქსის საკითხები მორფოლოგიასთან შედარებით მოკლედაა განხილული, მაგრამ ძირითადად მაინც გამოკვეთილია ქართული ენის მარტივი და რთული წინადადებების სტრუქტურული მხარე და მისი სპეციფიკურობა.

მართალია, წიგნი დაწერილია იტალიურ ენაზე, მაგრამ თეორიული დებულებების საილუსტრაციო მაგალითები და გრამატიკული ტერმინოლოგია წარმოდგენილია ქართულ-იტალიურად. საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულია ტრანსკრიფციაც.

ნაშრომი ფასეულია იმითაც, რომ მასში დამოწმებული მაგალითები შერჩეულია ქართული სინამდვილიდან, რასაც თავის მხრივ, ზოგადი შემეცნებითი მნიშვნელობაც აქვს.

ლუიჯი მანტოვანი შესანიშნავი **პრაქტიკოსი პედაგოგიცაა**. მან კარგად უწყის ქართული ზმნის სისტემის სირთულე და ამიტომ თანამემამულეთა დასახმარებლად, კერძოდ, იმათთვის, „ვისაც ქართული ენის შესწავლის სურვილი აქვს“, შეადგინა და ცალკე წიგნად გამოსცა **„ქართული ენის სავარჯიშოების მცირე კრებული“**, რომელიც ზემოთ აღნიშნული გრამატიკის უშუალო გაგრძელებაა.

წიგნის სტრუქტურა ასეთია: პირველ ნაწილში მოცემულია კითხვის წესების სავარჯიშოები, მეორე ნაწილი კი ეთმობა გრამატიკული საკითხების სავარჯიშოებს 10 გაკვეთილის მოცულობით.

წიგნს დანართის სახით ახლავს ქართულ-იტალიური სა-

საუბრო, ზედსართავი სახელის ანტონიმური წყვილებისა და სავარჯიშოებში გამოყენებული სიტყვების ქართულ-იტალიური ლექსიკონი.

სარეცენზიო წიგნში მკითხველი გაეცნობა აგრეთვე ქართულ ხალხურ ანდაზებს, ქართველ კლასიკოსთა თხზულებებიდან დამოწმებულ ფრაზებს, „ვეფხისტყაოსნის" აფორიზმებს...

ზემოაღნიშნული წიგნები უდავოდ არის ძვირფასი საჩუქარი იტალიელი მკითხველისათვის და აგრეთვე მეტად ღირებული ქართული კულტურის ისტორიისათვის.

ქართული ენის გრამატიკებზე მუშაობამ უცხოელი მკვლევარი მალე დაარწმუნა, რომ იტალიელთა მიერ ქართული ენის უკეთ და ადვილად შესწავლისათვის აუცილებელი იყო აქამდე არსებულ ლექსიკონებთან შედარებით უფრო სრულყოფილი იტალიურ-ქართული ლექსიკონის შედგენა. მართლაც, ამიერიდან ლ. მანტოვანის ქართველოლოგიური საქმიანობა ინტენსიურად გაგრძელდა ლექსიკოგრაფიაში.

უცხოელი მეგობრის დიდმა შემართებამ, ქართული სიტყვის სიყვარულმა, ფუტკარივით მოუღლელმა შრომამ შედეგიც მალე გამოიღო – 2006 წელს, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, კულტურული თანამშრომლობისა და განვითარების გენერალურმა გამომცემლობამ თბილისში დაბეჭდა ლ. მანტოვანის **„იტალიურ-ქართული ლექსიკონი"** (თანაავტორია მარინა ოცხელი).

1120-გვერდიანი (დიდი ფორმატის) წიგნის ძირითადი სტრუქტურა ასეთია:

1) ლექსიკონში განმარტებულია 30 ათასამდე სასათაურო სიტყვა (65 ათასამდე ცალკეული სიტყვა-გამოთქმით)

მრავალფეროვანი საილუსტრაციო მაგალითებით, მათ შორისაა, იდიომატური ფრაზები და ანდაზები.

2) აქვე არის წარმოდგენილი:
   ა) მსოფლიოს ქვეყნების სახელები თავიანთი დედაქალაქებით და მათზე აგებული არსებითი და ზედსართავი სახელებით;
   ბ) 11 უმთავრესი ნომენკლატურული ცხრილი ყველაზე გავრცელებულ თემებზე (ოჯახი, ნათესაობა, სახლი, ადამიანის სხეული, ტანსაცმელი, სამზარეულო, სკოლა, ცხოველები, ფრინველები და ა. შ.);
   გ) ორი გეოგრაფიულ-ფიზიკური რუკა (ერთი იტალიისა, მეორე საქართველოსი).

3) დამატებით ნაწილში მოცემულია:
   ა) იტალიური ენის გრამატიკის ალბომი დანართის სახით;
   ბ) დამხმარე და წესიერი ზმნების უღლება;
   გ) ძირითადი არაწესიერი ზმნების მოკლე სურათი გამარტივებული უღლების ფორმებით.

ამ ლექსიკონს მაღალი შეფასება მისცეს ფართომასშტაბიან პრეზენტაციაზე, რომ იგი ფასეულია არა მხოლოდ წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით, არამედ ქართულ-იტალიური კულტურული ურთიერთობის შემდგომი გაღრმავების მიმართულებითაც.

თავად ავტორი – მამა ლუიჯი „იტალიურ-ქართულ ლექსიკონთან" დაკავშირებით წერდა: „წიგნის მიზანია მხოლოდ საზოგადოებისა და კულტურის სამსახური, შრომატევად კვლევაში შევძელი დამემტკიცებინა, რაოდენ მდიდარია ქართული ლექსიკა, და მიმეჩნია იგი არა როგორც „სიტყვების სასაფლაოდ", არამედ **ცოცხლად**, საკუ-

თარ მიწა-წყალზე შეჟვარებული ქართული სულის სარკედ. ეს არის უმეტესად კონკრეტული სიტყვები, როგორიცაა, მაგალითად, თ ვ ა ლ ი – ურმის ბორბლის გადმოსაცემად, გ უ ლ ი ს ყ უ რ ი – ყურადღების აღსანიშნავად და ა. შ. **ქართული ენა ნამდვილი მაღაროა,** სადაც ყოველდღე ისევ უნდა ვანარმოო გათხრები, რათა იქიდან **ახალი განძი** ამოვიღო.

უმდიდრესი ლექსიკური ფონდი და მონოლითური გრამატიკული სისტემა ქართულ ენას სხვა ენებისაგან გამოარჩევს, როგორც მსოფლიოს მერვე საოცრებას".

უცხოელი მკვლევარი ქართულ საქმეს წლების მანძილზე ემსახურებოდა პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობითაც: ლათინურ ენას ასწავლიდა თბილისში, თეოლოგიის სპეციალობის სტუდენტებს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტში. მან ქართულ ენაზე შეადგინა სტუდენტთათვის სახელმძღვანელო სახელწოდებით **„ლათინური ენა"** (წიგნი გამოიცა 2007 წელს თბილისში; რედაქტორები: პროფ. პიერ დიუმულენი, პროფ. ჟ. ფეიქრიშვილი).

ლათინური ენის სახელმძღვანელოში განხილულია ამ კლასიკური ენის ფონოლოგიისა და მორფოლოგია-სინტაქსის ძირითადი საკითხები; ყოველ თეორიულ ნაწილს საფეხურებრივად ახლავს შესაბამისი სავარჯიშოები, მოკლე ნაწყვეტები და ფრაზები, სხვადასხვა ავტორის ლათინური ტექსტები.

წარმოდგენილ სახელმძღვანელოს უძღვის შესავალი – ლ ა თ ი ნ უ რ ი ე ნ ი ს მ ო კ ლ ე ი ს ტ ო რ ი უ ლ ი მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა. მასში ავტორი ქართველ მკითხველს აწვდის საინტერესო ინფორმაციას ამ კლასიკური ენის წარმოშობისა და შემდგომი გავრცელების არეალის შესახებ.

პროფესორი ლ. მანტოვანის სახელმძღვანელო „ლ ა თ ი ნ უ რ ი ე ნ ა" უდავოდ არის საყურადღებო ნაშრომი კლასი-

კური ენების შესწავლით დაინტერესებული ქართველი მკითხველისათვის. იგი ნათლად წარმოაჩენს არა მხოლოდ ლათინურის, როგორც ერთი კონკრეტული ენის, წმინდა მეცნიერულ (თეორიულ) ღირებულებას მსოფლიოს ენათა სისტემაში, არამედ გახაზავს მის პრაქტიკულ მნიშვნელობასაც თანამედროვე ცივილიზებული სამყაროსათვის. ავტორის მთავარი მიზანიც ესაა – საზოგადოება დღეს უფრო ახლოს (უკეთ) უნდა იცნობდეს ამ კლასიკურ ენას, რომელიც მეტად ფასეული ფენომენია არა მხოლოდ ისტორიული მეხსიერებისათვის, არამედ, ზოგადად, მეცნიერებასა და კულტუროლოგიაში; რომ იგი იყო, არის და კვლავაც იქნება როგორც ერთ-ერთი ძირითადი წყარო საერთაშორისო სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის...

მიუხედავად სოლიდური ასაკისა, პროფ. ლუიჯი მანტოვანი კვლავაც ახალგაზრდული შემართებით აგრძელებდა მეტისმეტად შრომატევად, მაგრამ ძალიან სასარგებლო ლექსიკოგრაფიულ საქმიანობას... და აი, **2014** წელს იტალიელი მეცნიერის მდიდარ შემოქმედებით მემკვიდრეობას შეემატა კიდევ ერთი ბრწყინვალე ნაშრომი **„ქართულ-იტალიური ლექსიკონი“** (შეიცავს 42 ათას სიტყვას; დაიბეჭდა თბილისში), **2016** წელს კი ერთ წიგნად გამოიცა ლ. მანტოვანის ახალი ნაშრომი **„ლათინურ-ქართული** (შეიცავს 14 500-ზე მეტ სიტყვას) **და ქართულ-ლათინურ-იტალიური ლექსიკონი“** (13 500- სიტყვიანი). მხცოვანმა მეცნიერმა ამ ბოლო წიგნთან დაკავშირებით განაცხადა: „არ დავმალავ, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ დავასრულე ეს ნაშრომი (რომელმაც დიდი ძალისხმევა მოითხოვა). მისი მიზანი მხოლოდ ისაა, რომ სარგებლობა მოუტანოს ადამიანებს“.

„ქართული ენის მსახურება“ იყო და დღესაც არის პროფესორ ლ. მანტოვანის ესოდენ ნაყოფიერი ქართველოლოგიური საქმიანობის შთამაგონებელი ძალა, რომელმაც წლების მანძილზე „შეაჭიდა“ იგი ქართულ სიტყვას და შეაძლებინა, შეექმნა უცხოელთათვის მეტად საჭირო წიგნები, რათა ამ გზითაც უფრო ხელმისაწვდომი გაეხადა მათთვის ქართული კულტურა.

შეიძლება, ერთი შეხედვით, დაუჯერებლადაც კი მოეჩვენოს ადამიანს მისი ასეთი ხვავრიელი ქართველოლოგიური ნაღვაწი, მაგრამ, ვინც პირადად იცნობს ამ დიდებულ პიროვნებას, მისი მუშაობის სტილს, მისთვის აღარაფერი იქნება გასაკვირი... იგი ყოველდღიურად „გულისყურით“ დასტრიალებს თავს ყოველ სიტყვას, მეტისმეტი სიფრთხილით ხვეწს ყოველ ფრაზას, რათა ზედმიწევნითი სიზუსტით წარუდგინოს მკითხველს, თუნდაც ამ მიზნით კონსულტაციისათვის „წამდაუწუმ“ დასჭირდეს ტელეფონით შეხმიანება ქართველ კოლეგებთან...

სწორედ ასე – „გულის კარნახით“ ქართული ენის მსახურებაში გაატარა მამა ლუიჯიმ მრავალი წელი და დამსახურებულად მოიპოვა ოფიციალური აღიარება იტალიასა და საქართველოში: მიანიჭეს **იტალიის სოლიდარობის ვარსკვლავის ორდენის საპატიო კავალერის** წოდება, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ აირჩია **საპატიო დოქტორად,** მიღებული აქვს **სიგელი** ქუთაისის მერიისაგან განათლების სფეროში შეტანილი უანგარო წვლილისათვის, საქართველოსა და ქართველი ხალხის სიყვარულისათვის და ა. შ.

და მაინც, მიგვაჩნია, რომ ამ დიდებული პიროვნებისა და სანიმუშო მეცნიერისათვის ყველაზე გამორჩეული ჯილდოა ქართველი ხალხის სითბო და გულწრფელი სიყვა-

რული მის მიერ უშურველად გაცემული სულიერი მსახურებისათვის, რასაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ლუიჯი მანტოვანისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმი **„სიტყვის კაცი“**. ამ ფილმით, როგორც ერთხმად აღინიშნა 2018 წლის 29 ოქტომბერს თბილისში გამართულ პრეზენტაციაზე, რეჟისორმა და ავტორმა ლ. ბერიძემ ძეგლი დაუდგა ღვაწლმოსილი მეცნიერის პიროვნებას, ქართული სიტყვების მიმართ მის რუდუნებას და აგრეთვე ქართულ-იტალიური კულტურული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას.

პროფესორი ლუიჯი მანტოვანი დღესაც ცხოვრობს ამაღლებული სულიერებით, შემოქმედებითი დატვირთვითა და ახლის ძიების სურვილით.

2019 წლის **10** აპრილს **საქართველოს სახელმწიფო ენის – ქართული ენის** დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ფართო საზოგადოებამ, საქართველოს კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენლებმა მხცოვანი მეცნიერის – ლუიჯი მანტოვანისადმი კიდევ ერთხელ გამოხატეს მადლიერება ქართველოლოგიაში გაწეული უდიდესი ღვაწლისათვის და ოფიციალურად გადასცეს **ქუთაისის სახელმწიფო უნივარსიტეტის საპატიო დოქტორის დიპლომი.**

შენიშვნა: *ეს ლამაზი დღე მამა ლუიჯის მივულოცე შემდეგი სიტყვებით (გთავაზობთ შემოკლებით):*

ძვირფასო მამა ლუიჯი!

გულწრფელი სიხარულით გილოცავთ დღევანდელ დღეს – თქვენი მეცნიერული ღვაწლის დამსახურებულ აღიარებას!

ჯერ კიდევ 1995 წელს, ჩვენი შეხვედრის პირველივე დღეებში ჩემთვის ცხადი გახდა თქვენი საოცრად ფაქიზი დამოკიდებულება ქართული ენისადმი და მისი შესწავლის განსაკუთრებული სურვილი. საერთო მეცნიერულმა ინტერესმა და

პროფესიულმა საქმიანობამ მალე დაგვაახლოვა და საბოლოოდ განსაზღვრა ჩვენი მრავალწლიანი თანამშრომლობა სხვადასხვა ფორმით... ჩემ თვალწინ იწერებოდა თქვენი გრამატიკის სახელმძღვანელოები თუ ლექსიკონები, რომელთა შესახებ, 1996 წლიდან მოყოლებული, ვაწვდიდი ინფორმაციებს სამეცნიერო წრეებსა და ფართო საზოგადოებას; იმასაც ხაზგასმით მივუთითებდი, რომ პროფესორი ლუიჯი მანტოვანი – XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში მოღვაწე იტალიელი კათოლიკე მისიონერების ღირსეული მემკვიდრე – თანამედროვე საზღვარგარეთულ ქართველოლოგიას გაამდიდრებდა ფასეული ნაშრომებით.

ჩვენი ყოველი სამუშაო შეხვედრისა თუ სატელეფონო საუბრების დროს კიდევ უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ქართველოლოგობა თქვენთვის არ იყო თვითმიზანი, პირიქით, ზოგადად ენებისადმი თქვენეულმა გატაცებამ, ყოველი ქართული სიტყვისადმი ფრთხილმა დამოკიდებულებამ – რუდუნებამ, მათში სრულიად განსხვავებული ხიბლისა თუ გამორჩეულობის დანახვამ და, რაც მთავარია, „გულის კარნახით" ქართული ენის მსახურებამ, – ყოველივე ამან, პირველ რიგში, თავად მოგანიჭათ სულიერი კმაყოფილება და შეგაძლებინათ ესოდენ შრომატევადი სამუშაო, ქართველოლოგიას კი შესძინა თქვენი მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა.

ჩვენი მრავალწლიანი ახლო ურთიერთობა მაძლევს უფლებას, ერთხელ კიდევ მადლიერებით განვაცხადო: თქვენ ბრძანდებით გამორჩეული ქართველოლოგი, სანიმუშო მეცნიერი, ქართული კულტურის უანგარო ქომაგი და აგრეთვე ჩემი სულიერი მოძღვარი, ცხოვრების დიდი მასწავლებელი!

საყვარელო მამა ლუიჯი, კვლავაც დიდხანს იყავით ღვთითკურთხეული, რათა ასე ერთგულად ემსახუროთ თქვენს კეთილშობილურ მისიას!

ლიტერატურა

ბარდაველიძე ნ., სამი წიგნის წარდგენა ეროვნულ ბიბლიოთეკაში: ჟურნ. „საბა“, 2007, №2.

ბერიძე ლ., ლინგვისტური ლეგო სიტყვის კაცისაგან (ლუიჯი მანტოვანის 42-ათასიანი ქართულ-იტალიური ლექსიკონის შესახებ): „საბა“, 2014, №7.

ბერიძე ლ., სიტყვის კაცი: დოკუმენტური ფილმი – ლუიჯი მანტოვანი, 2018.

ფეიქრიშვილი ჟ., იტალიელი მისიონერები ქუთაისში: გაზ. „იმერეთის მოამბე“, 1995, 29 აგვისტო.

ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის გრამატიკა იტალიურად: გაზ. „ბურჯი ეროვნებისა“, 1997, №8-9; ასევე: „საბა“, 1997, №9.

ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის უცხოელი მოამაგე მამა ლუიჯი მანტოვანი: გაზ. „ახალი ქუთაისი“, 1997, 5.09; ასევე: გაზ. „ქართული“, 1999, აპრილი.

ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის მოამაგენი, თბ., 2006.

ფეიქრიშვილი ჟ., ვაშაკიძე ი., ნიჭისა და მადლიერების ზეიმი (ლ. მანტოვანისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის პრეზენტაცია): „საბა“, 2018, №12.

ფეიქრიშვილი ჟ., ვაშაკიძე ი., მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგიის ისტორიისათვის, წიგნი მეორე, თბ., 2018.

ფეიქრიშვილი ჟ., პროფესორ ლუიჯი მანტოვანის ქართველოლოგიური მემკვიდრეობა, ანუ „მსახურება გულის კარნახით“: გაზ. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2019, მარტი-აპრილი.

2019, 10 ივნისი

ერთი სიტყვის (*ნიჭი*) სემანტიკური ევოლუციის შესახებ ქართულში

თანამედროვე გაგებით, **ნიჭი** არის „ბუნებრივი უნარი შემოქმედებისა კულტურის ამა თუ იმ დარგში, – ტალანტი... პოეტური ნიჭი, დიპლომატიური ნიჭი... საერთოდ რისამე უნარი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი). ამ მნიშვნელობით ძველ ქართულში გამოიყენებოდა რამდენიმე სინონიმური ერთეული: გულისხმა, გულისხმიერება, გულისყური, სიბრძნე, გონიერება, ჭკუა. მაგალითად, „ხოლო გულისჴმიერებაჲ სწავლისაჲ განსაკვირველი იყო ფრიად“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, გვ. 526).

ნიჭი დასტურდება უძველეს წერილობით ძეგლებში (მათ შორის, ბიბლიურ საკითხავებში) და განმარტებულია როგორც **საჩუქარი, ძღვენი, შესაწირავი, საბოძვარი, „დასადებელი“, ტალანტი** (ილ. აბულაძე): „იცით ნიჭისა კეთილისაჲ მიცემაჲ“ (ახ. აღთქმ.); „ამისა შემდგომად [ზაბულონ] იჳშნა მათგან, დაუტევა მშვიდობა ყოველთა და წარვიდა ნიჭითა დიდითა ჰრომედ“, „და განიზრახა გონებასა თვისსა: „წარვიდე იერუსალემად და ვამსახურო ნიჭი ესე ჩემი ადგილთა ღმრთისათა“ („ცხოვრება მეფეთა“).

ადრინდელ ტექსტებში გვხვდება **ნიჭ** ძირისაგან წარმოქმნილი სხვა ლექსიკური ერთეულებიც: ნიჭდიდობა (=სიუხვე), ნიჭება (ჩუქება), ნიჭებული (=ბოძებული), ნიჭმთავარი (=მთავარი დამსაჩუქრებელი), ნიჭმდიდარი (=უხვი) და ა. შ.

ნიჭი თავდაპირველი სემანტიკის მატარებელია აგრეთვე „ვეფხისტყაოსანში“ („ყოვლგნით მოვიდეს მეფენი ნიჭითა მრავალგვარითა, საჭურჭლე გასცეს, აივსნეს

ლაშქარნი საბოძვარითა"), „რუსუდანიანში" („მანუჩარმა იარა მრავალი დღენი და მივიდა ნიჭითა ქუეყანასა"...) და მომდევნო პერიოდის სხვა ძეგლებშიც.

საანალიზო სიტყვის შესახებ მსჯელობა შედარებით ვრცლადაა მოცემული სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში. ავტორის განმარტებით, **ნიჭი** არის საბოძვარი (უფალთა მიერ საბოძარი); იქვე ნიჭის სემანტიკის დასაზუსტებლად მოხმობილია სხვა სიტყვებიც (სინონიმებიც): **ედნა** (=ქალწულთა წინდობისა ჟამისა ნიჭი), **სანიჭარი/სანიჭვარი** (=ქორწილის შესაწევარი, საბოძვარი), **ჩუქება.**

როგორც ჩანს, სულხან-საბა **ნიჭი** – სიტყვის შინაარსის უფრო ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოსაცემად იყენებს ჩუქებ-ის სრულყოფილ განმარტებასაც:

„ჩუქება, ნიჭი, ბოძი და ძღვენი განიყოფებიან, რამეთუ ჩუქებაჲ არს, სტუმარს რაჲცა მასპინძელმან მისცეს რამე; ხოლო ნიჭი – უაღრესისაგან უდარესის მინაცემი; და ძღვენი არს მოყვარემან ანუ სწორმა(ნ) სწორს შორით წარუგზავნოს, გინა უდარესმან უაღრესს მიუძღვნას, ანუ თვით მიართვას; ხოლო ბოძი არს პატრონმა რა თვის(ს)ა და ყმასა თვისითა ჴელითა მისცეს რამე; კაცისა და უსტარისა გაგზანასაცა და ეგევითართა ბოძებად ვიტყვით".

მაშასადამე, სულხან-საბასთვის **ნიჭი** სემანტიკური ნიუანსებით განსხვავებულია ამ სიტყვის მნიშვნელობის ტრადიციული (ძველი ქართულისათვის ნიშანდობლივი) გაგებისაგან, რომ **ნიჭი** არის არა უბრალოდ საჩუქარი ან გაგზავნილი ძღვენი, არამედ „უფალთა მიერ ნაბოძვარი" (საბას მიხედვით, უფალი არის „პატრონი ვაჟი, გინა ღმერთი"). სხვაგვარად: საბას განმარტებით, **ნიჭი** არის არა მხოლოდ ვინმესგან მიღებული ან ვინმესთვის განკუთვნილი ძღვენი, არამედ იგი „უფლის საჩუქარიცაა".

ქართული სამწერლობო ენის ისტორია მოწმობს, რომ **ნიჭი**, რომელიც თავდაპირველად იყო კონკრეტული საგნის (სახელის) აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული და გამოიყენებოდა თანამედროვე გაგების „საჩუქრის", „ძღვენის"... მნიშვნელობით, საუკუნეების განმავლობაში თანდათან ნაწილობრივ შორდებოდა თავის სინონიმებს და იძენდა მათგან გასხვავებულ ახალ სემანტიკურ ელფერს. სწორედ საბასეული შენიშვნა **ნიჭის** განმარტებისას ადასტურებს, რომ დაახლოებით XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე უნდა დაწყებულიყო ქართულში ამ სიტყვის ახლებური გააზრება. მისი სემანტიკისათვის ახლა ძირითადი ხდება არა კონკრეტული საგნობრივი შინაარსი, არამედ ისეთი თვისების მქონეობა, რომლის გაცემა მხოლოდ „უფროსს შეუძლია უმცროსის მიმართ" (საბა). ეს „უფროსობა" კი დაუკავშირდა ღვთიურ ძალას და მოგვევლინა ნიჭის ზოგადი – განყენებული ცნების აღმნიშვნელად.

ზემოთ წარმოდგენილი ჩვენი მსჯელობის დასტური გახლავთ დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში (1846) დამოწმებული განმარტებაც: „**ნიჭი** – საბოძვარი, საჩუქარი, ჯილდო, მადლი, ძალი ზეგარდმო მინიჭებული კაცთადმი, ტალანტი, გულისხმიერება" (დაყოფა ჩვენია – ჟ. ფ.).

ბუნებრივია, **ნიჭის** ახლებური გააზრება ენაში ერთბაშად არ მოხდებოდა, ამიტომაა, რომ XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში, ასევე XX საუკუნის დიალექტურ ტექსტებში ჯერ კიდევ შემორჩენილია ამ სიტყვის თავდაპირველი გაგებაც: „შაჰ-აბასმა შეჰფიცა, ოლონდ ლუარსაბი მომიყვანეო და არამც თუ თავის სამეფოს მივცემ, სხვა ბევრ ნიჭსაც არ დავიშურებო" (ილია), „მეორე დღესაც

ქორწილი იყო, ვინც... ნათესავი იყო, ის მოიდოდა ნიჭით, მაიტანდა, რაც ემეტებოდა" (მარტ., იმნ., კახური). შდრ: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას; ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარის შვილობას!" (გრ. ორბელიანი).

თანამედროვე ქართულში **ნიჭი** საბოლოოდ დამკვიდრდა, როგორც ღვთიური მადლი, ზეციური ჯილდო, ანუ ერთი ადამიანის სხვათაგან განსხვავებული, გამორჩეული ბუნებრივი უნარი.

ნიჭი ადამიანისათვის არის ღვთით მომადლებული ძალა (საჩუქარი), რათა ამ ნიჭის წყალობით ჭკუა და გონება ავარჯიშოს, ეს მადლი გონივრულად გამოიყენოს.

დღეს ნიჭის სემანტიკურ ველში განიხილება **ტალანტიც**. მაგალითად, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში იგი დამოწმებულია ნიჭის სინონიმად, რითაც ხაზგასმულია ამ ორი სიტყვის მნიშვნელობათა სიახლოვე. აქედან გამომდინარე, ჩვენი ძირითადი საანალიზო ლექსიკური ერთეულის სემანტიკური ევოლუციის დასაზუსტებლად ამჯერად წარმოვადგენთ მოკლე ინფორმაციას ტალანტის შესახებაც.

ტალანტი (ბერძნული სიტყვა: talanton= 1. განსაკუთრებული ნიჭი; 2. ასეთი ნიჭით დაჯილოებული ადამიანი) „არის მიწისა და ფულის ყველაზე დიდი ერთეული ბაბილონურ-ფინიკიური წარმოშობისა. სხვადასხვა ქვეყანასა და სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული ოდენობისა იყო" (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი).

ძველ და მომდევნო ხანის ქართულ წყაროებში **ტალანტი** ზომა-წონის ერთეულია, „ვერცხლის და ოქროს ფული" (ილ. აბულაძე, ივ. იმნაიშვილი), „ოქროსა და ვერცხლის

ზოდი“ (საბა). თუმცა აქვე იგი ზოგჯერ, თავისი ძირითადი მნიშვნელობის გარდა, ზოგადი სემანტიკითაც გვხვდება და განმარტებულია, როგორც სიმდიდრე, სიკეთე, კეთილი საქმე. მაგალითად, „ტალანტი მონაზონისა მარხვა არს“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“).

მოგვიანებით ქართულში „ტალანტიც“ კარგავს თავდაპირველ სემანტიკას და იძენს ნიჭის მსგავს მნიშვნელობას:

ტალანტი – 1) განსაკუთრებული უნარი, ნიჭი ამა თუ იმ დარგში... 2) ასეთი განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი (ქეგლ).

თანამედროვე ქართულში სემანტიკურად ასე დაუახლოვდა ერთმანეთს „ნიჭი“ და „ტალანტი“. ნიჭი უფრო ზოგადი (თუმცა სხვათაგან გამორჩეული) უნარია, ტალანტი კი – კონკრეტული, ოღონდ თვისებრივად ნიჭზე მაღალი.

ამრიგად, დღეს **ნიჭი** ერთ-ერთი საინტერესო ლექსიკური ერთეულია, რომელმაც დროთა ვითარებაში განიცადა მნიშვნელოვანი სემანტიკური ევოლუცია, თუმცა მისი თავდაპირველი შინაარსის ამოცნობა მაინც ხერხდება **ნიჭ** ძირისაგან წარმოქმნილი სიტყვებით: „მიანიჭეს საპატიო დოქტორის წოდება“, „წოდების მიმნიჭებელი კომისია“ და ა. შ.

გარდა ამისა, **ნიჭისაგან** არის ნაწარმოები დადებითი და უარყოფითი სემანტიკის სხვა ერთეულები: ნიჭიერი, ნიჭიერება, ნიჭიერად; უნიჭო, უნიჭობა, „ნიჭნაკლები“ (ილია). ამგვარ კონტექსტში საინტერესოა დიალექტური ფორმა **განიჭებული** (უფრო სალანძღავი სიტყვაა). ლეჩხუმურში ხშირად გამოიყენება ფრაზები: „შე განიჭებულო, როდის უნდა ისწავლო ჭკუა“; „ე ბოში თლა უგანაჩენოა, განიჭებული“; „ამან სხვას რა უნდა ასწავლოს, თვითონაა განიჭებული“ და ა. შ. ფორმაში – **განიჭებული** უარყოფით სემანტიკას ქმნის **გა** ზმნისწინი;

განიჭებულია ის, ვინც ნიჭის არმქონეა (უნიჭოა), რომელიც „ნიჭიერად“ ვერ აკეთებს საქმეს. ისევ ლეჩხუმურისთვისაა ნიშანდობლივი ასეთი ფრაზები: „დათიკოს ხო ხედავ, რა მარჯვეა, შენც ასე ნიჭიერად უნდა აკეთებდე ყველაფერს“; „ბაბუა მეტყოდა ხომე: თოხი ნიჭიერად უნდა გეჭიროსო“...

ერთი შეხედვით, უნიჭო და განიჭებული ერთი მნიშვნელობის სიტყვებია, თუმცა მათ შორის მაინც იგრძნობა სხვაობა სემანტიკური ნიუანსებით. ასე რომ არ იყოს, დიალექტურ მეტყველებაში „უნიჭოს“ გვერდით „განიჭებული“, ალბათ, არ გაჩნდებოდა.

უნიჭო არის ის, ვისაც არა აქვს რაიმე გამორჩეული უნარი (საერთოდ), **განიჭებული** კი შეიძლება იყოს ამ ნიჭისაგან დაცლილი არა საერთოდ, არამედ ამ კონკრეტულ შემთხვევაში; სხვაგვარად: განიჭებული უფრო მკვეთრად გახაზავს **ნიჭის** ძირითად სემანტიკას და მის უქონლობას. შდრ. მინიჭება-განიჭება, მინიჭებული-განიჭებული[1].

---

[1] ანალოგიური სემანტიკური განსხვავება ივარაუდება ფორმებში: **მოვიხიბლე – განვიხიბლე** („ამ ბოლო დროს პელეს მიმართ განვიხიბლე და რატომაც განვიხიბლე, ახლავე მოგახსენებთ“ („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1985, 10/IX); ასევე: „მიანიჭეს გამარჯვებულის ტიტული“, შდრ. „წამოაყენეს განტიტულების მოთხოვნა“ (გაზ. „თბილისი“, 1988, 17.02).

აღდგომის დღესასწაულის აღმნიშვნელი ტერმინების ისტორიისათვის ქართულში

აღდგომა ქრისტიანული სამყაროს უბრწყინვალესი დღესასწაულია. ეს დღე ოფიციალურად დაადგინა ნიკეას მსოფლიო საეკლესიო კრებამ 325 წელს და დააკანონა, რომ იგი აღნიშნულიყო გაზაფხულის ბუნიობის ჟამს, მთვარის აღვსების შემდეგ (მაგრამ არ უნდა დამთხვეოდა ებრაელების პასექს).

ქართულ სინამდვილეში აღდგომის დღესასწაულის აღსანიშნავად სხვადასხვა დროს გამოიყენებოდა ტერმინები: აღვსება, აღდგომა, პასექი და ზატიკი.

აღვსება უძველესი ქართული სიტყვაა, ნიშნავდა ავსებას, გავსებას, შესრულებას, აღსრულებას (ილ. აბულაძე), მაგრამ დაახლ. **V საუკუნიდან** იგი იძენს ახალ სემანტიკურ ნიუანსს – ხდება **ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის** გამომხატველიც, რასაც საფუძვლად უნდა დასდებოდა რელიგიური დღესასწაულის დროითი კავშირი მთვარის აღვსებასთან (სავსე მთვარესთან). სხვაგვარად რომ ვთქვათ, მაცხოვრის აღვსება ანუ მკვდრეთით აღდგომა უკავშირდება გაზაფხულს – დროს, როცა მთელი ბუნება ივსება ახალი სიცოცხლით, ახალი ძალით.

აღვსება ჩვენთვის საინტერესო სემანტიკით დასტურდება როგორც ძველი ქართულის თარგმანებსა თუ ორიგინალურ ძეგლებში, ასევე მომდევნო პერიოდის მწერლობაშიც. მაგალითად:

აღვსებაჲ ჩუენი დღეს არს (მრავალთავი: ილ. აბულაძე);

და ვითარ მოიწია აღვსებისა ორშაბათი („შუშანიკის წამება“);

დღე ჰგვანდა არს აღვსებისა („ვეფხისტყაოსანი“);

იგი... ჩემსა აღაპსა შიგა აღვსებასა და დღესასწაულთა, სათევზედ მოიხმარებოდეს (ქართ. მწერლ., 5, კახა თორელის დაწერილი, დაახლ. XIII საუკუნე);

აღვსებისა საკითხავი ჯვარისმტვირთველისა და ხუცესთ უხუცესისა... აღვსების დღესასწაული (ქართ. მწერლობა, 5, გარიგება ხელმწიფის კარისა, დაახლ. XIV საუკუნე).

როგორც ჩანს, ქართულში აღდგომის დღესასწაულის აღსანიშნავად XVII საუკუნეშიც ძირითადია ტერმინი აღვსება, რასაც მოწმობს სულხან-საბა ორბელიანის თხზულებები და მისი ქართული ლექსიკონი. ავტორი დღესასწაულის აღსანიშნავად იყენებს აღვსებას; „სიტყვის კონაში“ საანალიზო ერთეული შეტანილია ორი მნიშვნელობით: 1. შესრულება, 2. აღდგომის დღე („აღდგომის დღესაც უხმობენ“).

აღდგომა – ახალი ტერმინი ქართულში, მხატვრულსა თუ სამეცნიერო ნაშრომებში, აღვსების პარალელურად ხელშესახებად ჩნდება და მკვიდრდება დაახლ. XVIII საუკუნიდან. შესაბამისი მაგალითების დამოწმება მრავლად შეიძლება, მაგრამ ამჯერად ორიოდე ნიმუშს დავასახელებთ:

ხოლო აღდგომისა წესი იყო ადრე ნათლებისად წირვად (ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოისა საქართველოსი: 1745 წ.); ერთ დღეს აღდგომაც იყო და ხარებაცა (დ. გურამიშვილი)...

აქვე შევნიშნავთ, რომ **აღსება** უკვე აღარაა რელიგიური ტერმინი ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებშიც, სამაგიეროდ, **აღდგომა** შეტანილია ორი მნიშვნელობით:

1. განცოცხლება, აღდგომა მკვდრეთით, воскресать;

2. საუფლო დღე პასექის მოსახსენებლად მაცხოვრისა ჩუენისა მკვდრეთით აღდგომისა, воскресение.

წერილობითი წყაროებით ჩანს, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართველი კაცის ცნობიერებაში აღსების, როგორც დღესასწაულის, გააზრება (მისი არსის გაგება) თანდათან შორდებოდა პირველ საფუძველს – მთავარის აღსებას. ახლა აქ მთავარი უნდა ყოფილიყო **ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა და ზეცად ამაღლება** და არა ის, თუ როდის მოხდა ეს მოვლენა. რამდენადაც დღესასწაულის გააზრება ნაწილობრივ შეიცვალა, ამიტომ ამ ცნების სემანტიკური ნიუანების ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოსაცემად ენამ ტრადიციული „აღსების“ ნაცვლად გამოიყენა ახალი ტერმინი „აღდგომა“, რომელიც, ერთი მხრივ, გარკვეულად ითავსებს გაზაფხულის ბუნიობასთან დროულ მიმართებასა და, რაც მთავარია, ათვალსაჩინოებს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა და ზეცად ამაღლების არსს ანუ მის განსაკუთრებულ რელიგიურ მნიშვნელობას.

XVIII საუკუნიდან მოყოლებული, თანამედროვე ქართულში (სამწერლობო ენასა და ზეპირ მეტყველებაში) ქრისტიანული დღესასწაულისათვის გამოიყენება ტერმინი „აღდგომა“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით:

აღდგომა (აღდგომისა) – 1. მაცხოვრის ცადამაღლება ჯვარცმის შემდეგ; 2. რელიგ. ქრისტეს მკვდრეთით აღ-

დგომის დღესასწაული; 3. გადატ. დღეობა, დღესასწაული ზეიმი; სასიხარულო დღე.

სახელი აღდგომა (აღდგომისა) ზმნური წარმომავლობისაა; იგი აღდგება/აღდგა ზმნის მასდარია. ძველი ქართულისა და მომდევნო პერიოდის წერილობითს ძეგლებში (დაახლ. XVII საუკუნემდე) „აღდგომა“ ნიშნავდა ადგომას, წამოდგომას, აღმართვას. საბას განმარტებითაც, **აღდგომა** იგივეა, რაც „ადგომა“, „ზე ამართვა“. ძველ ტექსტებში იგი „წინააღმდეგობის“ მნიშვნელობითაც არის დადასტურებული (ილ. აბულაძე).

ცნობილია, რომ ძველ ქართულშივე ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის დღესასწაულის მნიშვნელობით „აღსების“ პარალელურად გამოიყენებოდა უცხოური წარმომავლობის სიტყვები – პასექი და ზატიკი.

პასექი (მომდინარეობს ძვ. ებრაული პესაჰ-ისაგან, რაც ნიშნავს „გადასვლას“) არის ძველ ებრაელთა საგაზაფხულო რელიგიური დღესასწაული ეგვიპტიდან გამოსვლისა და ეგვიპტელთა ბატონობისაგან განთავისუფლების აღსანიშნავად (ქეგლი), ანუ პასექი გულისხმობს ებრაელთა გათავისუფლების შემდეგ ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას. სწორედ ამ მნიშვნელობის გამო დაუკავშირდა ძველი ებრაული სიტყვა „პასექი“ ქრისტიანული აღდგომის დღესასწაულს: როცა ქრისტე ჯვარს ეცვა და შემდეგ მკვდრეთით აღდგა (ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადავიდა), მისმა მოწაფეებმა მაცხოვარს უწოდეს პასექი, რაც იმავდროულად „მსხვერპლსაც“ ნიშნავდა: „ქრისტე არის ჩვენი პასექი“; „პასექი ჩუენი ქრისტე დაიკლა“ (ახალი აღთქმა).

დროთა ვითარებაში, თანდათან, ახალი აღთქმის წიგნების თარგმანებით, პასექი ქართულშიც ზოგადად დაუკავშირდა ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას, შემდგომ კი კონკრეტული დღესასწაულის მნიშვნელობაც შეიძინა.

ამ პერიოდის ქართულ წყაროებში ანალოგიური სემანტიკითაა გამოყენებული **ზატიკიც** (= „ვნება, პასექი, დღესასწაული ჰურიათა, მსხვერპლი: ილ. აბულაძე) მაგ.: „ზატიკად ჩუენდა დაიკლა ქრისტე"; „მახლობელ იყო ზატიკი იგი ჰურიათაჲ" (ახ. აღთქმა).

ზატიკი წმინდა ათონელ მამათა თხზულებებშიც ჰქვია აღდგომის დღესასწაულს, სულხან-საბას „სიტყვის კონაში", სადაც ცალკე სიტყვა-სტატიად არ არის შეტანილი „პასექი", „ზატიკი" ასეა განმარტებული:

ზატიკი – „გამოხსნა, გინა განთავისუფლება"; ზატიკი არს შესაწირავი [აღდგომა], ხოლო საბას „სწავლანში" ზატიკი წარმოდგენილია აღვსების პარალელურად დღესასწაულის მნიშვნელობით: „მივალს მარხვა და მოვალს ზატიკი; გვეტკბობის აღვსების მოსვლა"...

დავით ჩუბინაშვილის მიხედვით, **ზადიკი/ზატიკი** არის „დღესასწაული, ზოგან დაუდევთ პასექის მაგიერ; პასექი ჩინებული დღესასწაულია ჰურიათა... ან საუფლო დღესასწაული ქრისტეს აღდგომისა".

ამრიგად, ქართულში ქრისტიანული აღდგომის დღესასწაულის აღსანიშნავად დაახლ. XVIII საუკუნემდე თანაარსებობდა სამი ტერმინი: ქართული „აღვსება", უცხოური წარმოშობის „პასექი" და „ზატიკი". ამათგან დღეს პასექი და ზატიკი ისტორიზმებად არის ქცეული, თუმცა ძველი ვითარების დასტურად დღემდე შემოგვრჩა პასექისაგან მომდინარე სიტყვა „პასკა" (ნამცხვარი), რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამ დღესასწაულისთვისაა განკუთვნილი. რაც შეე-

ხება „აღვსებას", იგი სტილისტური თვალსაზრისით შეიძლება აქა-იქ მაინც გამოვლინდეს თავდაპირველი (– არარელიგიური) სემანტიკით, ნეიტრალური ა ვ ს ე ბ ა/გ ა ვ ს ე ბ ი ს მნიშვნელობით.

აქვე შევნიშნავთ, რომ დღევანდელი ტერმინი „აღდგომა" (თანამედროვე გაგებით) საერთო ქართველური წარმოშობისად ვერ ჩაითვლება, რასაც მოწმობს მეგრულისა და სვანურის ვითარებაც: ორივეგან ქართული **აღდგომის** შესატყვისია ერთი სიტყვა **თანაფა** (მეგრ.)||**თანაფ** (სვან.), რაც ზოგადად დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ს ჰქვია.

ქრისტეს **აღდგომისა** და ზეცად ამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებით გამოვლენილი ტერმინოლოგიური სხვადასხვაობა, ქართულის მსგავსად, მეტ-ნაკლებად ახასიათებს სხვა ევროპულ ენებსაც. მაგალითად, იტალიურში აღდგომის დღესასწაულის აღსანიშნავად გამოიყენება ორი ტერმინი: Pasqua და Resurrazione (= აღდგომა, გაცოცხლება, აღვსება); პირველი ძველია (თუმცა უფრო ტრადიციული, ხშირად გამოყენებული), მეორე – ახალი; ანალოგიური ვითარებაა რუსულშიც: შდრ. Пасха – Воскресение.

სიტყვა „დაფრანგული“[1] მნიშვნელობა ქართულ დიალექტებში

(ზოგადი მიმოხილვა)

დაფრანგული არ არის სალიტერატურო ენის კუთვნილება, შესაბამისად, არცაა შეტანილი ი. აბულაძის, სულხან-საბა ორბელიანის, დ. ჩუბინაშვილისა და სხვათა ლექსიკონებში, მაგრამ დამოწმებულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „გაფრანგდა“, „გაფრანგებული“ ფორმით და მიჩნეულია დიალექტურ სიტყვად, რაც ნიშნავს: „გაბრაზდა“, „გაცეცხლდა“. სამაგიეროდ, იგი დადასტურებულია ქართული ენის დიალექტურ ლექსიკონებში „დაფრანგვა / დაფრანგული“, „გაფრანგება / გაფრანგებული“ ფორმებით, რომლებიც ამოსავალი ძირის მიხედვით ერთი და იგივე ოდენობა ჩანს (თუმცა განსხვავებული მნიშვნელობით).

ალ. ღლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ (თბ., 1984, II გამოც.) „დაფრანგული“ (თავისი პარალელური ვარიანტებით) ასეა განმარტებული:

გაფრანგება[1] (ქიზიყური, ქართლური, ინგილოური) – გადატ. ძალიან გაბრაზება, განრისხება;

გაფრანგებული[2] – ძალიან გაბრაზებული.

ნ. დაფრანგვა (ს. მენთეშ., გ. შატბ., მ. ჯანაშ.).

---

[1] 2018 წლის შემოდგომაზე ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში მოიხსენიეს „გაუკუღმართებულის“ მნიშვნელობით სიტყვა დაფრანგული, თანვე მიუთითეს, რომ მისი ისტორია სათავეს იღებს დაახლ. XVIII-XIX საუკუნეებში და უკავშირდება უცხოელი მისიონერების ჩამოსვლას საქართველოში... სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ჩვენი დაინტერესება ამ სიტყვით. სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, გთავაზობთ ზოგად მიმოხილვას „დაფრანგულის“ გავრცელების არეალისა და სემანტიკის შესახებ ქართულში.

გაფრანგება (გურ.) – გამრუდება.

ნ. დაფრანგვა, დაფრანგული.

დაფრანგვა (გურ.) – ნ. დაფრანგული.

დაფრანგული[1] (გურ.) – აქა-იქ გაღუნული, მიხრილ-მოხრილი.

ნ. ფრანგვა (გ. შარაშ.).

დაფრანგული[2] (ლეჩხ.) – დაფლეთილი, დაფატრული, „შენი პერანგი ისე დაფრანგულია, საკერავადაც არ გამოდგება“ (მ. ალავ.).

ფრანგვა[1] (ქიზიყ.) – კარგად, ალმასივით ჭრა. „ჩემი ჴმალი იგრე ჴფრანგავს, როგორც ალმასი“ (ს. მენთეშ.).

ფრანგვა[2] (გურ.) – ნ. დაფრანგული[1].

პ. ჯაჯანიძის დაკვირვებით, **დაფრანგული** არის „გახრილი, მიხრილ-მოხრილი, უსწორმასწორო“: „დაფრანგული ფიცრებით რეის პოლი გაკეთდება“ (იხ. პ. ჯაჯანიძე, გურული დიალექტი, I, 1977).

აქვე დავიმოწმებთ მასალას „ქართული დიალექტის ლექსიკონიდან“ (შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე), თბ., 1981:

გაფრანგდება – გაბრაზდება, გაცეცხლდება. „რა იყო იმითანა, რო ეგრე გაფრანგდა და გაანჩხლდა?“.

გაფრანგება – „ძალიან გაბრაზებას გაფრანგებას ეტყვიან“.

გაფრანგებული – „ისე ვარ გაფრანგებული, რო საცემლად არ დაგზოგავ“.

ამრიგად, „დაფრანგული“ გვხვდება როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებში. კერძოდ:

აღმოსავლურში (ქართლურში, ქიზიყურში, ინგილოურში...) დადასტურებულია მხოლოდ **გაფრანგება/გაფ-**

რანგებული, რაც გადატანით ნიშნავს „გაბრაზებას", „განრისხებას" (შესაბამისად იქნება მიმღეობა – გაბრაზებული, გაცეცხლებული).

დასავლურ კილოებში (გურულში, ლეჩხუმურში) ძირითადია **დაფრანგვა|დაფრანგული**, ოღონდ განსხვავებული მნიშვნელობით:

1) გამრუდება, გამრუდებული, აქა-იქ გაღუნული, „მიხრილ-მოხრილი" (გურ.);

2) დაფლეთილი, დაფატრული[1] (ლეჩხ.).

დასკვნის მაგიერ: დიალექტური ფორმის **დაფრანგულის** (ასევე: გაფრანგულის) სხვადასხვა სემანტიკით გამოყენება ტერიტორიულად სრულიად დაშორებული რეგიონების ცოცხალ მეტყველებაში (კილოებში) საეჭვოს ხდის რეალურად მის დაკავშირებას ერთ კონკრეტულ საფუძველთან. გარდა ამისა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დაახლ. ორი საუკუნის წინათ გაჩენილ ერთი მნიშვნელობის მქონე სიტყვაში ასე სწრაფად ვერ მოხდებოდა სემანტიკური (ნაწილობრივ – ფორმობრივი) ცვლილება და მისი გავრცელება დიალექტებში, ბუნებრივად უნდა გამოირიცხოს მისი წარმომავლობის ზემოდასახელებული ვერსია...

მიგვაჩნია, რომ საკითხი მოითხოვს გამოწვლილვით ლინგვისტურ ანალიზს ქართულში არსებულ „ფრანგ" ძირის მქონე სხვა სიტყვებთან კავშირში.

---

[1] ანალოგიური სემანტიკისაა ახალშენელთა მეტყველებაში გამოვლენილი „დაფხავებული", რაც ნიშნავს: „ხშირი ხმარებისაგან დაზიანებული, დათხელებული, აქა-იქ გახეული ქსოვილი" (იხ. ჟ. ფეიქრიშვილი, მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა, ქუთაისი, 1992).

ზოგიერთი რელიგიური ფორმულის დანერილობისათვის თანამედროვე ქართულში

შესავალი

ენა იცვლება და ვითარდება მისი შემოქმედი (მომხმარებელი) კოლექტივის საზოგადოებრივი ცხოვრების კვალდაკვალ; შესაბამისად, დროთა განმავლობაში ჩნდება და მკვიდრდება ახალ-ახალი ლექსიკური ერთეულები და გრამატიკული ფორმები, რომლებიც ტრადიციულად უკვე არსებულის გვერდით ქმნიან პარალელურ ვარიანტებს. ცოცხალ მეტყველებაში მიმდინარე ამ ბუნებრივი პროცესების გამო აუცილებელი ხდება სალიტერატურო ენაში თავჩენილ ფორმათა სიჭრელის მოწესრიგება, ანუ ერთმანეთის მოცილე ფორმათაგან უფრო მართებულის შერჩევა-დაკანონება სპეციალურად შემუშავებული ნორმებით.

როგორც წესი, ნორმათა დადგენისას ემყარებიან სხვადასხვა პრინციპს. აქ ძირითადია: გრამატიკულად რამდენად სწორია სადავო ფორმა, როგორია ენაში მისი გამოყენების ტრადიცია, გავრცელების ხარისხი და შემდგომი განვითარების ტენდენცია-პერსპექტივა. გარდა ამისა, ზოგჯერ ითვალისწინებენ ფორმის კეთილხმოვანებასა და მის აუცილებლობას სიტყვათა (ან ფრაზის) სემანტიკური დიფერენციაციისათვის და ა. შ.

ნორმათა ამოსავალი პრინციპების მრავალფეროვნების გამო ნებისმიერი დასაზუსტებელი ფორმის შემთხვევაში ყველა პრინციპის ერთდროულად დაცვა ყოველთვის არ ხერხდება. ამიტომაა, რომ ზოგჯერ გრამატიკულად სწორი ფორმის გვერდით, კონკრეტული კონტექსტის (სიტუაციის) თუ სხვა პრინციპის საფუძველზე, მართებულად მიიჩნევა

მისი პარალელური ახალი ვარიანტიც, რომელშიც დარღვეულია გრამატიკული წესი, თუმცა ენობრივი კოლექტივი აქტიურად იყენებს, როგორც მისთვის უფრო მისაღებს. დროთა ვითარებაში შეიძლება ამ ახალმა ფორმამ მთლიანადაც კი შეცვალოს თავდაპირველი წარმოება. ამგვარი შემთხვევები ენის ისტორიაში არცთუ იშვიათია. მაგალითად, ძველად იხმარებოდა გრამატიკულად მართებული ზმნური ფორმები: აღვიარებ (მე მას), აღგიარებ (მე შენ), აღმიარებია (მე ის), აღგიარებია (შენ ის)... რომლებშიც **აღ** ზმნისწინი სიტყვას თავში ერთვის, მაგრამ შეიცავს ძნელად წარმოსათქმელ ბგერათა კომპლექსს. ამიტომ სწორედ კეთილხმოვანების პრინციპის გათვალისწინებით იაკობ გოგებაშვილმა (XIX საუკუნეში) პირველმა გამოიყენა ამ ზმნათა ახალი, პარალელური ფორმები: **ვალიარებ** (მე მას), **გალიარებ** (მე შენ), **მილიარებია** (მე ის), **გილიარებია** (შენ ის). შემდგომში ისინი იმდენად გავრცელდა ენაში, ანუ მისაღები აღმოჩნდა მომხმარებელი კოლექტივისათვის, რომ სალიტერატურო ენის ნორმებითაც დაკანონდა და ერთადერთ წარმოებად იქცა (**აღ** ზმნისწინი ფუძეს შეუხორცდა). მეორე მხრივ, ენაში საპირისპირო მოვლენებიც არ არის გამორიცხული: ძველი ქართულის **აღ** ზმნისწინი, რომელიც ახალში თითქმის ყველგან შეცვალა მისმა გამარტივებულმა ფორმამ **ა** ზმნისწინმა (მაგალითად, **აღ**ვიდა> **ა**ვიდა), სტილიზაციისა თუ მნიშვნელობის სადიფერენციაციოდ დღესაც გამოიყენება, როგორც მართებული წარმოება. მაგ., ადგა ბავშვი, მაგრამ: აღდგა კავშირი (მეგობრობა, ტრადიცია...).

მაშასადამე, სალიტერატურო ქართული ვითარდება და გარკვეულად იცვლება კიდეც ნორმების შესაბამისად, თუმცა ზოგჯერ სხვა – არაგრამატიკული ფაქტორების სა-

ფუძველზე შექმნილი ახალი ფორმებიც მკვიდრდება დასაშვებ წარმოებად. ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ, სიტყვაფორმისა თუ ფრაზის გავრცელებულობას, ანუ მისი მომხმარებელი ენობრივი კოლექტივის „სანქციას“ და, მეორე მხრივ, სტილისტური საჭიროების, ემოციური შეფერილობის აუცილებლობას.

დღეს მართლწერის თვალსაზრისით აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული არაერთი ცნება-ფორმულა, ტრადიციული გამოთქმა-ფრაზები, ტერმინოლოგია და ა. შ.

შემოგთავაზებთ ზოგიერთი ფორმის ჩვენეულ კვალიფიკაციას.

„ქრისტე აღსდგა!“ თუ „ქრისტე აღდგა!“

ქართულში **აღდგა** ის – ერთპირიანი ზმნაა: **აღ** ზმნისწინია, **დგ** – ძირი, **ა** – მესამე სუბიექტური პირის ნიშანი. შესაბამისად, გრამატიკულად არასწორია აღსდგა, მასში **ს** პრეფიქსი გაუმართლებია, თუმცა მეტყველებაში ამგვარი (სანიანი) ფორმები საკმაოდ გავრცელებულია.

აღდგა ზმნის ძირითადი მნიშვნელობაა რაიმეს აღდგენა-განახლება, ძველი სახის დაბრუნება, მაგალითად: ხიდი აღდგა, მიტოვებული სოფელი აღდგა, სტუდენტი თავის უფლებებში აღდგა და ა. შ.

ჩანს, დროთა განმავლობაში გაფართოვდა ამ ზმნის შინაარსი – შეიძინა ახალი, დამატებითი სემანტიკური ნიუანსი, რაც გულისხმობს არა ზოგადად (მარტივ) განახლებას, არამედ აღდგომა-გაცოცხლებას, „მკვდრეთით აღდგომას“ და **გამოიყენება მხოლოდ ქრისტესთან დაკავშირებით.**

მაშასადამე, ზმნის ერთი – **აღდგა** ფორმით უნდა გამოხატულიყო ორგვარი სემანტიკა, ამიტომ ენამ ბუნებრივად მოახდინა მნიშვნელობათა დიფერენციაცია პარალელური აღდგა/აღსდგა ფორმებით: პირველი გრამატიკულად მართებულია, მას უკავშირდება ნეიტრალური შინაარსი – მხოლოდ ძველის აღდგენა-განახლება, მეორე კი სტილისტურ-ემოციურად სხვა შეფერილობის მქონეა, ზეაღმატებული შინაარსისაა, **გულისხმობს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას**, გაცოცხლებას. ზმნაში ამ განსხვავებული სემანტიკის გამოხატვა დაეკისრა გრამატიკულად უფუნქციო პირის ნიშანს – **ს** პრეფიქსს, ანუ სხვაგვარად: **აღსდგა** ფორმაში **ს** პრეფიქსის ფუნქცია არის სიტყვის სემანტიკური ელფერის შეცვლა და არა პირის გამოხატვა. ანალოგიურად დღეს არცთუ იშვიათად გამოიყენება გრამატიკულად არასწორი სხვა ფორმები: **ჰ**ყვავის (გურია), მიჰქრის (მატარებელი) გასცემს (სითბოს) და ა. შ. (შდრ.: ყვავის გურია, მიქრის (ის მე) და ა. შ.).

თანამედროვე ქართულში სააღდგომო მილოცვის ფორმულა **„ქრისტე აღსდგა! – ჭეშმარიტად აღსდგა!“** – ფართოდაა გავრცელებული, შესაბამისად, ენობრივ კოლექტივში მან მოიპოვა მყარი „სოციალური სანქცია“, ანუ ქართველთათვის **ს** პრეფიქსიანი ზმნური ფორმა ასეთ კონტექსტში უფრო მისაღები გახდა, ვიდრე ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებული ნეიტრალური სემანტიკის „აღდგა“. ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერებით განსაზღვრული ეს პროცესი არაერთგზის იქცა სპეციალისტთა მსჯელობის საგნად. ბ. ჯორბენაძის, დ. მელიქიშვილის, გ. გოგოლაშვილის, შ. აფრიდონიძის, რ. საღინაძის, ნ. ხახიაშვილის, ტ. ფუტკარაძისა და სხვათა კვალიფიკაციით, რელიგიური ფორმულა „ქრისტე **აღსდგა**“, როგორც გამონაკლისი, მიჩ-

ნეულ იქნა დასაშვებ-მართებულ ფორმად. ჩვენც, როგორც სხვადასხვა დროს აღვნიშნავდით, ახლაც ვიმეორებთ: სრული „თავისუფლება" უნდა მიეცეს გამოთქმას **„ქრისტე აღსდგა! – ჭეშმარიტად აღსდგა!"** გრამატიკის „მკაცრ არტახებში" მისი მოქცევა გამართლებული ვერ იქნება!

ამასთან დაკავშირებით ჩვენს მსჯელობას უფრო სარწმუნოს ხდის ზოგი სხვა ენის ჩვენებაც. მაგალითად, ქრისტეს აღდგომის ფორმულა (ამოსავალ ზმნასთან შედარებით) იტალიურშიც გადმოიცემა ნაწილობრივ განსხვავებული ფორმით: Cristo e **risorto** – ქრისტე აღსდგა; მაგრამ სხვა შემთხვევაში აღდგენა-განახლების შინაარსი გამოიხატება rinnovata ფორმით. ასევეა რუსულშიც Христос воскрес (ქრისტე აღსდგა), მაგრამ: – Здание возобновилось შენობა აღდგა, განახლდა.

სიტყვა „*ღმერთის*" დაწერილობისათვის

„ღმერთი არს სული ნათელი დაუსაბამო და მიზეზი ყოველთა დასაბამიერთა და დამბადებელი ყოველთა" (სულხან-საბა).

სიტყვა „ღმერთი" საერთო ქართველური ფუძეენის კუთვნილებაა. მის არქეტიპად ვარაუდობენ ***ღრამთ** ფორმას, რომლისაგანაც ფონეტიკური ცვლილებებით უნდა იყოს მიღებული ქართული **ღმერთი** და მისი კანონზომიერი შესატყვისები: მეგრული **ღორონთი** და სვანური **ღერმეთ/ღერბეთ** (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000).

რამდენადაც ღმერთი არის ზებუნებრივი ძალა, სამყაროს შემოქმედი, სრულყოფილი გონება და უსაზღვრო

სიყვარული, კაცთა მოდგმის მფარველი, ქართულმა ენამ სწორედ მას დაუკავშირა, ერთი მხრივ, ყოვლისშემძლეობის სემანტიკა („ამ საქმეში მხოლოდ ღ მ ე რ თ ი თუ გვიშველის", „მე ღ მ ე რ თ ი კი არა ვარ, რომ სასწაულები მოვახდინო...) და, მეორე მხრივ, მისგან შექმნა ამაღლებულის, უმშვენიერესის, სრულყოფილების, ზნეკეთილობის... გამომხატველი უამრავი ლექსიკური ერთეული და მყარი გამოთქმა: „ღმერთივით კაცი", „ღმერთქალი", „ღვთიური მადლი", „ღვთაებრივი", „ღვთისმოსავი", „ღვთისწყალობა", „ღვთისმეტყველი" და ა. შ., რომლებიც მარგალიტებად დამკვიდრდნენ ჩვენი ენის სიტყვიერ ფონდში.

საუკუნეთა განმავლობაში სიტყვა **ღმერთი** იცვლებოდა არა მხოლოდ სემანტიკურად, არამედ ფორმობრივადაც, რასაც ენაში ბუნებრივად მოჰყვა პარალელურ ფორმათა გაჩენა და, აგრეთვე, ამოსავალი ძირისაგან მომდინარე სხვა ლექსიკური ერთეულების მართლწერის (დაწერილობის) გართულება.

გრამატიკულად **ღმერთი**, უძველესი ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით, არის ფ უ ძ ე კ უ მ შ ვ ა დ ი ს ა ზ ო გ ა დ ო არსებითი სახელი (ღმერთ-ი – ღმრთ-ისა), ეწარმოებოდა მრავლობითი რიცხვიც (ღმერთ-ნ-ი, ღმერთთა, ღმერთ-ებ-ი). მაგალითად: „არა ზრახავ შენ ღ მ რ თ ი ს ა ს ა"; „ჰკითხვიდენ ღ მ ე რ თ თ ა მათთა"; „ღ მ რ თ ი თ შთაგონებული"; „ღ მ რ თ ა დ ყოფნა"; „ღ მ რ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ი მარიამი" (ილია აბულაძე).

ძველი ქართულიდან მოყოლებული, დაახლ. XVI საუკუნემდე საანალიზო სიტყვა მხოლოდ კუმშვადია. ასეთი ფორმებია: „**ღმრთ**ისა, **ღმრთ**ითა, **ღმრთ**იანი"... („ვეფხისტყაოსანი"); „მსჯავრნი **ღმრთ**ისანი, ხატი ყოვლად წმიდისა **ღმრთ**ისმშობლისა"... (ჟამთა აღმწერელი, XIV სკ.) და ა. შ.

შეკუმშული **ღმრთ** ფუძე შედგებოდა თანხმოვანთა რთული კომპლექსისაგან, ამიტომ დროთა განმავლობაში, ენის განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარე, წარმოთქმის გასაადვილებლად დაწყებულა გამარტივების პროცესი: პირველ ეტაპზე დაიკარგა **რ** თანხმოვანი (ღმრთ>ღმთ). ახალი, რედუცირებული **ღმთ** ფუძე დადასტურებულია დაახლ. XVI საუკუნიდან. მაგალითად, „რუსუდანიანში“ უკვე ძირითადია გამარტივებული ფორმები:

[მეფე] თვით მინდობითა ღ მ თ ი ს ა თ ა მყუდროებით იქცეოდა... და მოაჯე იყო წინაშე ღ მ თ ი ს ა ასულისა ბოძებისა;

რომელი მიბრძანა მამამან ჩემმან, აღვასრულე ყოველი ნებითა ღ მ თ ი სითა და დავაპირე წამოსვლა;

შენ რად არ მოიცდი, ბრძანებასა ღ მ თ ი სასა შენთვის რა სწადია?!“ (ქართ. მწერლობა, მეექვსე, თბ., 1989).

როგორც ჩანს, **ღმთ** ფუძეში მალევე მომხდარა ახალი ფონეტიკური ცვლილება – **მ**-ს ჩაენაცვლა **ვ** და ამ გზით გაჩნდა **ღვთ** ფუძე:

განაგდე შვება სოფლისა, თავი ღ ვ თ ი ს ა თვის აწამე;

მე აჯად ვითხოვ ღ ვ თ ი საგან, – არ წამიწყმიდოს სულია (თეიმურაზ პირველი);

ჭირსა და ლხინსა მადლობა ღ ვ თ ი ს ა ჰხამს ყოვლის მპყრობლისა (არჩილი)...

ს ულ ხ ან-ს ა ბ ა ს თხზულებებში ჩვენთვის საინტერესო სიტყვა პარალელური დაწერილობით გვხვდება, კერძოდ: რელიგიური ხასიათის ქადაგებებში გამოყენებულია თავდაპირველი **ღმრთ** ფორმა („სწავლა ღ მ რ თ ი ს ა ნიჭისა“), ხოლო იგავ-არაკების კრებული „სიბრძნე სიცრუისა“, ასევე „მოგზაურობა ევროპაში“, ჩვეულებრივ, თითქმის უგამონაკლისოდ **ღვთ** ფუძეს წარმოგვიდგენს.

მაშასადამე, **XVII** საუკუნიდან **ღმერთი** კანონზომიერი ფონეტიკური ცვლილების შედეგად ქცეულა თავისებურად ბრუნებად სახელად **ღვთის** ფორმით, რომელიც გაბატონებულ პოზიციას იკავებს მომდევნო პერიოდის წერილობითს წყაროებში, თუმცა ძველი **ღმრთ** ფუძე აქა-იქ შეიძლება გამოვლინდეს სტილიზაციის მიზნით.

თანამედროვე ქართულში (ზეპირსა თუ წერითს მეტყველებაში) ფართოდაა გავრცელებული **ღვთ** ფუძისაგან მიღებული შემდეგი ფორმებიც: **ღვთაება, ღვთიური, ღვთისწყალობა, ღვთისმეტყველება, ღვთისმშობელი** და მისთანანი, რომლებიც, სალიტერატურო ენის ნორმების თანახმად, მართებული და კანონიერია.

უდავოა, რომ თავდაპირველი **ღმრთ** ფუძის გამარტივება იყო არა შემთხვევითი ან ხელოვნური პროცესი, არამედ აუცილებლობით გამოწვეული კანონზომიერი ენობრივი მოვლენა, ამიტომ უკვე ტრადიციად ქცეული **ღვთის** ფუძისაგან ნაწარმოები ზემოაღნიშნული ლექსიკური ერთეულების ხელოვნური შეზღუდვა ან სრული იგნორირება გაუმართლებლად მიგვაჩნია; მით უმეტეს, ისინი ქართველთა ცნობიერებაში პრაქტიკულად უფრო მისაღები, კეთილხმოვანი და სემანტიკურადაც გამჭვირვალეა, ვიდრე **ღმრთ** ფუძისაგან მიღებული **ღმრთიური, ღმრთაება, ღმრთისწყალობა, ღმრთისმეტყველება** და მრავალი სხვა, რომლებსაც დღეს აქა-იქ უკვე ვხვდებით სხვადასხვა ხასიათის წერილებში (თანაც იკვეთება მათი დამკვიდრების მცდელობა ოდინდელი – არქაული ვითარების მოშველიებით).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით, დასაშვებია სიტყვა „ღმერთი“-ს ორივენაირი ფორმა: ღმრთისა||ღვთის (შესაბამისად, ღმრთით, ღვთით...), თუმცა დღეს უფრო გავრცელებულია **ღვთ** ფუძის გამოყე-

ნების შემთხვევები როგორც სასაუბრო, ისე სამწერლობო ენაში; პარალელურად მის გვერდით ძველი **ღმრთ**-ის ფორმის დაშვება სტილისტური ფაქტორით უფრო ჩანს შეპირობებული, გამოწვეული.

როგორც წესი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებები ბუნებრივად ახდენს გავლენას ენობრივ პროცესებზეც; ერთ-ერთ ასეთ მოვლენად უნდა ჩაითვალოს სიტყვა „ღმერთის“ ფორმობრივი სხვადასხვაობა. რამდენადაც თავდაპირველად **ღმერთი** იყო საზოგადო სახელი, მისი ბრუნებისა და მრავლობითი რიცხვის გამოხატვის წესი ჩამოყალიბდა საზოგადო სახელთა მიხედვით და დღემდე მოვიდა გარკვეული (მეტ-ნაკლები) ფონეტიკური ცვლილებით. მაგრამ დღეს **ღმერთი**, ჩვენს სინამდვილეში, რელიგიური გაგებით ქრისტეს სახელსაც დაუკავშირდა (ქრისტე ღმერთი – შდრ. მამა ღმერთი), ამდენად, იგი საკუთარ სახელად აღიქმება და გრამატიკული წესის მიხედვით უკუმშველი უნდა იყოს. ენამ ეს პროცესიც ასახა: ღმერთი (იგივე ქრისტე) კლასიკოსთა ნაწერებში უკუმშველი ფორმითაცაა გამოყენებული (შესაბამისი საილუსტრაციო მაგალითების დამოწმება უხვად შეიძლება), ამიტომაა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში, ლექსიკონებში შეუკუმშავი ფორმა – **ღმერთის** – დასაშვებადაა მიჩნეული, შესაბამისად სწორია: ღმერთის განგება, ღმერთის საკურთხეველი, ღმერთის მადლი... ღმერთით, ღმერთად და ა. შ.

ჩანს, **ღმერთი** სიტყვის დაწერილობის არაერთგვაროვნებას ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსაზღვრავდა როგორც გრამატიკული, ისე სემანტიკური (მნიშვნელობის სადიფერენციაციო) საფუძველი.

დღეს საინტერესოა წმინდა მარიამის – მაცხოვრის დედის სახელწოდების დაწერილობაც.

ენის ისტორია მოწმობს, რომ **წმინდა მარიამის** სინონიმად გამოიყენებოდა ღმრთისმშობელი||ღვთისმშობელი (სიტყვა **ღმერთის** დაწერილობაში მომხდარი ცვლილების მიხედვით), რაც დასტურდება ძველი და ახალი ქართულის წერილობითი წყაროებით. მაგრამ ისიც ცხადია, რომ შესიტყვება **„ღვთისმშობელი მარიამი"** იქცა მყარ გამოთქმად და მისი შეცვლა „ღმრთისმშობელი მარიამით" არ იქნება გამართლებული. შესაბამისად, ვფიქრობთ, ერთადერთ მართებულ ფორმად უნდა დარჩეს **ღვთისმშობელი მარიამი** და წმინდა მარიამთან დაკავშირებული დღესასწაული **ღვთისმშობლობა**, როგორც გრამატიკულად სწორი, ქართულ სინამდვილეში საყოველთაოდ გავრცელებული მყარი გამონათქვამები ანუ (როგორც უწოდებენ) რელიგიური ფორმულები.

***ამინ* და *ამენ* ფორმათა მონაცვლეობისათვის**

ქართულ სინამდვილეში გამოყენებული სიტყვა **ამინ** არის დასტურის (თანხმობის) გამომხატველი ნიშანი (მომდინარეობს ბერძნ. amăn-ისაგან, რომლისთვისაც ამოსავალია ძვ. ებრაული aman ფუძე). იგი უძველეს (V-X საუკუნეების) ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება **ამენ** ფორმით. ჩანს, **ამენ** იმთავითვე უცვლელად შემოჰყვა უშუალოდ ბერძნულიდან ნათარგმნ ბიბლიურ ტექსტებს და მალევე დამკვიდრდა ქართულ ლექსიკაში, როგორც რელიგიური ტერმინოლოგიის აქტიური ერთეული. შესაბამისად,

იგი დამოწმებულია ძველი ქართული ენის ლექსიკონებში ამენ/ამჱნ ფორმით, რაც ნიშნავს „ნამდვილად“, „მართლიად“ („ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ“; „დიდებაჲ უკუნისამდე, ამჱნ“: ილ. აბულაძე).

ცნობილია, რომ ქართული ენა საუკუნეთა განმავლობაში ვითარდებოდა, იცვლებოდა მისი სტრუქტურა, ლექსიკური ფონდი; ჩნდებოდა ამა თუ იმ სიტყვის პარალელური ვარიანტებიც, მეტიც: მეტ-ნაკლები ფორმობრივ-სემანტიკური ცვლილებებით ხდებოდა უცხო ენებიდან შემოსული სიტყვების (ტერმინების) „გაქართულება“, ანუ მსესხებელი ენის გრამატიკულ-ფონოლოგიურ სისტემათა კანონზომიერებებთან შეგუება-მორგება... ამგვარი შემთხვევა ნებისმიერ ენაში უამრავია, ერთ-ერთი ასეთი ნიმუშია **ამინ** ფორმაც. ამიტომაცაა, რომ დაახლ. XI-XII საუკუნეებიდან ქართულ ტექსტებში **ამენ**-ის პარალელურად ჩნდება **ამინ** ვარიანტიც და ენაში თანდათან თვალსაჩინოდ იკვეთება მისი უპირატესობა. მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში **ამინ** უკვე არის **ერთადერთი** ფორმა, თუმცა ავტორისათვის ცნობილია, რომ „ამინ-ის შესატყვისია ლათინური, თათრული, სომხური „ამენ“.

ამინ გვხვდება XIX-XX საუკუნეების ქართულშიც (და ამ პერიოდის ლექსიკონებშიც) შედარებით უფრო გამოკვეთილი სემანტიკური ნიუანსებით.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით:

ამინ – 1. ჭეშმარიტად! ჭეშმარიტია (დასკვნითი სიტყვა საეკლესიო ქადაგებათა და ლოცვებისა); 2. (საუბ.) ითქმის დასტურის ნიშნად: „ტკბილად დაგაბეროთ! – **ამინ** და ეგრე იყოს“ (ვაჟა)... აქვე ცალკე ერთეულად შეტანილია **ამინი** (სახელური ფორმა) – უხილავი ძალა, რომელიც ვითომ-

ცდა ადამიანს ნატვრას უსრულებდა: „ხომ გაგიგონიათ ძველი თქმულება: ამინი დღეში სამჯერ ჩამოივლისო"; „ამინმა ამინი დაუცა და... გადაიქცნენ ბუებად"...

თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმებითაც **ამინ** მიჩნეულია მართებულ ფორმად.

მაშასადამე, დღეს **ამინ** ფართოდაა გავრცელებული და მყარად დამკვიდრებული ქართულში: სამწერლობო ენაში, დიალექტებში, მხატვრულ თხზულებებში, სასულიერო ხასიათის ტექსტებში, ლოცვებსა და ქადაგებებში (ამიტომ აღარ ვასახელებთ შესაბამის მაგალითებს). თუმცა დაახლოებით 2004-2005 წლებიდან ქართულად დაბეჭდილ სასულიერო ხასიათის წიგნებსა თუ სხვა ამგვარ მასალებში ზოგჯერ **ამენ** ფორმაც გვხვდება, საბუთად იშველიებენ ძველი ქართულის ვითარებასა და უცხო ენებში დედნისეულ ჩვენებას.

მართალია, შესაბამის ბერძნულ-ლათინურ ტექსტებში არის **ამენ**, მაგრამ ქართულ თარგმანებში, ზოგადად ქართულ მასალებში, მისი უცვლელად – **უცხოური დაწერილობა-გახმოვანებით** – გადმოტანა არ მიგვაჩნია მთლად გამართლებულად. ამენ/ამინ ფორმათა მონაცვლეობის ზემოთ წარმოდგენილი მოკლე ისტორიაც აშკარად მიუთითებს, რომ ყოველი ენა ვითარდება თავისი შინაგანი კანონზომიერებით და დროთა ვითარებაში ზედმიწევნითი სიზუსტით თავადვე არჩევს სასურველ ფორმას.

ქართული ენის განვითარების საერთო ტენდენციისა და დღევანდელი რეალური ენობრივი ვითარების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, უფრო მართებულია **ამინ** ფორმა, რომელიც ბუნებრივია ქართული ენისათვის და უკვე მრავალსაუკუნოვანი ტრადიციითაც გათავისებული ქართველი კაცის მიერ. ამ მსჯელობას სარწმუნოს ხდის ის ფაქტიც,

რომ დღეს ენაში არსებობს საანალიზო სიტყვის სახელური ფორმა **ამინი** (და არა: ა მ ე ნ ი).

და კიდევ: აუცილებელია, ყოველთვის გაეწიოს ანგარიში ერის კულტურულ ფასეულობებს, პირველ რიგში, მშობლიურ ენას, მისი სიწმინდის დაცვას, რადგან „ყოველი ენა ხალხის სულის სარკეა და, აგრეთვე, მისი ქვეყნის ისტორიული სინთეზიც“ (მამა ლუიჯი მანტოვანი).

შენიშვნა: „ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების“ I და II გამოცემებში (2008, 2011), ორიგინალურ თუ ნათარგმნ დედნისეულ უძველეს ტექსტებში, უცვლელადაა დატოვებული **ამენ**, მაგრამ იქვე (პარალელურად) დაბეჭდილ – თანამედროვე ქართულით ადაპტირებულ შესატყვის მასალებში ყველგან არის **ამინ**. აქ წიგნის ავტორთა პოზიცია ნათელია: დედანი გადმობეჭდილია უცვლელად, ხოლო მის პარალელურ (ახალ) ვარიანტში გათვალისწინებულია თანამედროვე ქართულის რეალური ვითარება.

კვლავ *წმინდა* და *წმიდა* ფორმათა გამოყენების საკითხისათვის

თანამედროვე ქართულში გამოიყენება პარალელური ფორმები: **წმინდა** და **წმიდა**. ძველი ქართულის წერილობით ძეგლებში დადასტურებულია მხოლოდ ერთადერთი ფორმა – წ მ ი დ ა, რომლითაც გამოიხატებოდა სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსი: „უბიწო“, „წმინდა“; „აღთქმული“, „აუმღვრეველი“, „თხელი“, „სუფთა“ და ა. შ.[1], ანუ სხვაგვარად: ძველად **წმიდას** ჰქონდა სამი ძირითადი მნიშვნელობა. დღევანდელი ტერმინოლოგიით ეს იყო: 1) წ მ ი ნ დ ა ნ ი

[1] ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

(წმიდა გიორგი, წმიდა შუშანიკ...), 2) წმინდა (წმიდა გრძნობა, წმიდა ღვინო...), 3) სუფთა[1] (წმიდა სამოსელი, წმიდა ჭურჭელი...)[2].

წმიდა არის ერთადერთი ფორმა „ვეფხისტყაოსანში“, აგრეთვე XIII-XVI საუკუნეთა ქართულ მწერლობაში (ორიგინალურ თხზულებებსა და თარგმანებში).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც ზედმიწევნითი სიზუსტით დახასიათებულია მხოლოდ **წმიდა** ფორმა, მისი მნიშვნელობები; პირველ რიგში, რელიგიური ცნებები: წმიდა, ზეშთა წმიდა, უფროსად წმიდა და ა. შ. საბას განმარტებით:

„**წმიდა** მოასწავებს: დიდებულ იყავ, ქებულ იყავ და ამაღლებულ იყავ; წმიდა ითქმის მხოლოდა ღმერთისა ზედა და რომელნი ღმერთთან წმიდა-ყვნა მსახურნი და სათნო-მყოფელნი მისნი; და მღვდელნი, რა მიიღებენ ღმერთისა მიერ კურთხევასა წმიდა-ჰყოფენ პურსა, ღვინოსა, წყალსა, ზეთსა, კურთხევითა მით. ზეშთა წმიდა ითქმის წმიდისა სამებისა და ღვთაებისათვის და წმიდასა ჴორცისა და სისხლისათვის ქრისტესისა და მარიამ ღმრთისმშობ(ე)ლისათვის. უფროსად წმიდა – ანგელოზთა და თავთა მოციქულთა; ხოლო წმიდა

[1] დაახლ. შუა საუკუნეებში შემოვიდა ქართულში სპარსულიდან ნასესხები სიტყვა სუფთა და დროთა განმავლობაში კიდეც დამკვიდრდა **წმიდას** გვერდით, როგორც მისი ერთ-ერთი სემანტიკური ნიუანსის გამომხატველი. ქართული ენის ლექსიკაში მომხდარი ეს ცვლილება თვალსაჩინოდ არის ასახული სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ (**წმიდა** და **სუფთა** ფორმათა მიმართება ცალკე მსჯელობის საკითხია და ამჯერად არ ვეხებით).

[2] ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965; 1988.

(ყო(ვ)ელთა წმიდათათვის და კურთხევით განწმედილთათვის კაცთათვისცა და გულთათვის კაცთასა"...

მასალებით ივარაუდება, რომ **წმიდას** სინონიმური ვარიანტი **წმინდა** ქართულში თავს იჩენს დაახლ. XVII საუკუნიდან და დროთა განმავლობაში ხელშესახებად მკვიდრდება ტრადიციული **წმიდას** პარალელურად. მაგალითად, თუ ჯერ კიდევ XIV საუკუნის 30-იან წლებში შედგენილ საკანონმდებლო ძეგლებში „ძეგლის დადება" **წმინდა** ფორმის ერთი ნიმუში გამოვლინდა („დავსხედით და დავსვით წმინდა მეუფე და ქართლისა კათალიკოზი ეფჯთიმე: ქართ. მწერლ., ტ. 5, გვ. 91), იგი უკვე შესამჩნევი ხდება „რუსუდანიანში", თეიმურაზ I-ის თხზულებებში, სულხან-საბა ორბელიანის მხატვრულ ნაწარმოებებში (მიუხედავად იმისა, რომ საბას ლექსიკონში შეტანილია მხოლოდ ძველი ფორმა **წმიდა**), კიდევ უფრო თვალსაჩინოა დ. გურამიშვილის პოეზიაში, მომდევნო ხანის – XIX საუკუნის მხატვრულ ტექსტებში... შესაბამისი საილუსტრაციო მასალა დამოწმებულია „ქართული მწერლობიდან" თითო-ოროლა ნიმუშით:

„შავი ბოლოკი წმინდად დაფხიკოს („რუსუდანიანი", ქართ. მწერლ., ტ. 6, გვ. 43); წმინდად გათლილი იაგუნდი არის (იქვე, გვ. 44); თავი წმინდად მოჰკვეთა (იქვე, გვ. 328); წმინდა პაპას თავისი კატარღით გამოუგზავნა (საბა, ქართ. მწერლ., ტ. 7, გვ. 175); „ტრაპეზში სამი წმინდა მარხია (იქვე, გვ. 177); ყრმა ვარ წმინდა" (დ. გურამიშვილი, ქართ. მწერლ., ტ. 7, გვ. 541), ეგრეთ, ვით წმინდა ბერია (იქვე, გვ. 356); გულითა წმინდავ, ვით მთისა წყარო (გრ. ორბელიანი, ქართ. მწერლ., ტ. 9, გვ. 239); მაშა ორნივ დიდი წმინ-

დანი იქნებით (იოანე ბაგრატიონი, „კალმასობა“: ქართ. მწერლ., ტ. 9, გვ. 362); ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ, ადგილნი შენნი... (ნ. ბარათაშვილი, ქართ. მწერლ., ტ. 9, გვ. 564) და სხვ.

ამიტომაა, რომ დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში (1887) ცალ-ცალკე სიტყვა-სტატიებად შეტანილია **წმენდა, წმინდა || წმიდა, წმინდაობა** (=სიწმინდე)...

XX სუკუნის ქართულში (სამწერლობო ენაში, ზეპირ მეტყველებაში) **წმინდა** ისე ფართოდ არის გავრცელებული, რომ მოხმარების სიხშირით ძირითადი (გაბატონებული) ხდება **ნ**-სონორიანი სახელური თუ ზმნური ფორმები (წმინდა, წმინდანი, წმენდა, წმენდს, განწმენდილი...). გარდა ამისა, ძველ ქართულთან შედარებით, კიდევ უფრო გამოიკვეთა მათი სემანტიკური ნიუანსების მრავალფეროვნება. მაგალითად, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **წმინდა** გამოიყენება როგორც ზედსართავი სახელის ფუნქციით, ისე არსებით სახელად (და ნიშნავს „წმინდანს“).

წმინდა – 1. შეურეველი, ხალასი, ანკარა; სუფთა || უხინჯო, წკრიალა; 2. გადატ. სპეტაკი, უმწიკვლო || პატიოსნური || ნამდვილი, სწორი; უზადო, უნაკლო; 3. ძალიან წვრილი, ნაზი || ფაქიზი, ნატიფი; 4. რელიგიური შეხედულებით, რაც ღმერთთან, სარწმუნოებასთან არის დაკავშირებული; ღვთაებრივი ძალის მქონე, თაყვანისცემის საგანი, იგივეა, რაც **წმინდანი**.

წმიდა – ძვ. 1. იგივეა, რაც წმინდა (მნიშვნ. 1,4). 2. იგივეა, რაც წმინდანი.

წმინდანი – დიდად ღვთისმოსავი, ღვთის მსახური (ადამიანი), რომელსაც სიკვდილის შემდეგ მიიჩნევენ მორწმუნეთა მფარველად.

მეორე მხრივ, ამ პერიოდში სტატისტიკურად მნიშვნელოვნად შემცირდა ძველი **წმიდას** გავრცელების არეალი. არ არის გამორიცხული, XX საუკუნის ქართულში წმინდა/წმიდას მონაცვლეობის ამგვარი განსხვავებული თანაფარდობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყოს, რომ 20-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც, გარკვეული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში და, შესაბამისად, ადამიანთა ცნობიერებაში ზოგადად შეიცვალა რელიგიისადმი დამოკიდებულება, ძირითად ერთეულად იქცა **წმინდა** და მისი დახასიათებისას წინა პლანზე წამოიწია არარელიგიურმა სემანტიკამ. ეს ვითარება თვალსაჩინოა ამ დროის სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, სამეცნიერო ნაშრომებში (მათ შორის, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში).

დღეს, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, საბჭოთა რეჟიმის დასრულების შემდეგ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, როცა კვლავ შეიცვალა ენობრივი კოლექტივის დამოკიდებულება რელიგიისადმი, **წმიდა** აშკარად გააქტიურდა, გარკვეულად აღდგა ამ ასპექტით განსხვავებული ტერმინოლოგიაც. **წმიდა** მეტწილად დაუკავშირდა რელიგიას, სასულიერო მწერლობას; თუმცა იგი თავს იჩენს არა მხოლოდ რელიგიური ხასიათის ნაშრომებში, არამედ სხვა თემატიკის მასალებში, პრესისა და პუბლიცისტიკის ენაშიც. ამის გამო, სამწუხაროდ, ზოგჯერ **წმიდა** ერთგვარად ე. წ. „მოდური“ სიტყვის შთაბეჭდილებასაც ტოვებს; ცალკეული ინდივიდი მას იყენებს უბრალოდ, არასაჭიროებისამებრ, ან კიდევ „საკუთარი ჭეშმა-

რიტი მორწმუნეობის“ წარმოსაჩენად; მეტიც: **წმიდას** ვხვდებით ისეთ კონტექსტებშიც, სადაც **სუფთა** უნდა გამოვიყენოთ (წ მ ი დ ა სახლი – მაღაზიის მნიშვნელობით).

წმინდა || წმიდა ფორმათა ამგვარი უმართებულო მონაცვლეობა არცთუ იშვიათად (განსაკუთრებით, თანიანი მრავლობითი რიცხვის შემთხვევაში) აძნელებს ამ სიტყვათა მნიშვნელობის ზუსტ დიფერენცირებას და მათი გამოყენების სფეროთა დაკონკრეტებას, რასაც ბუნებრივად მოჰყვება ხოლმე სტილისტური ბუნდოვანება. მაგალითისათვის დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს: „წ მ ი დ ა თ ა საქმეთა ზიარება; წ მ ი დ ა თ ა ნაწილთა თაყვანისცემა; წ მ ი დ ა თ ა ნაწილებით შეამკო ხატი; წ მ ი დ ა თ ა ნაწილთა მადლმა იხსნას; წ მ ი დ ა თ ა წერილთა და ა. შ. (შდრ. წმინდა წერილები თუ წმინდანთა წერილები).

პარალელურ ვარიანტთა აღრევის შესახებ მსჯელობენ სპეციალურ ლიტერატურაშიც. ერთი თვალსაზრისით, „უმჯობესია **წმიდა, წმიდანი, ყოვლად წმიდა** და მსგავსი ფორმები გამოყენებული იყოს ციტატებში, თუ ის წმინდა წერილიდან ან სხვა რელიგიური ხასიათის თხზულებიდან იქნება მოყვანილი, რადგან ძველ ქართულში ასე იყო. დანარჩენ შემთხვევაში კი გამოვიყენოთ **ნ**-სონორიანი ფორმები: **წმინდა, წმინდანი,** ყოვლად **წმინდა**, ე. ი. ვწეროთ ახალი ქართულით“ (ც. კვანტალიანი, რ. დევდარიანი...).

ჩვენც მართებულად მიგვაჩნია საანალიზო ფორმათა ამგვარი კვალიფიკაცია. ეს საკითხი ენობრივი კოლექტივისაგან ზოგადად მოითხოვს ფრთხილ მიდგომას: პირველ რიგში, სასურველია (და აუცილებელიც!) მავანთაგან ხელოვნურად არ შეიზღუდოს **წმინდა** ფორმა თავდაპირველი **წმიდას** პოზიციების ასევე ხელოვნურად გაძლიერების ხარ-

ჯზე. **წმინდა** ქართული ენის განვითარების ბუნებრივი შედეგია და უპირატესობაც მას უნდა მიენიჭოს.

საანალიზო ფორმათა ორთოგრაფიასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ერთი საგულისხმო ვითარებაც: თავდაპირველ **წმიდა** ფორმაში მოგვიანებით **ნ**-ს ჩართვა და შემდგომ მისი ასე ფართოდ გავრცელება ვერ იქნებოდა შემთხვევითი ენობრივი მოვლენა; იგი უთუოდ გამომდინარეობდა ენის განვითარების ზოგადი კანონზომიერებიდან, რასაც, ალბათ, ძირითადად განსაზღვრავდა ფონეტიკურ-სტილისტური ფაქტორები, ანუ ნაწილობრივ განსხვავებული ფონეტიკური ჟღერადობით – სიტყვის ემოციურ-გამომსახველობითი ფუნქციის გაძლიერება, მრავალმხრივი სემანტიკური ნიუანსების უფრო ზედმიწევნითი სიზუსტით გამიჯვნის აუცილებლობა, მოსალოდნელი ორაზროვნების თავიდან აცილება და ა. შ. ამგვარი ვარაუდის დაშვების უფლებას გვაძლევს ჩვენ მიერ შესწავლილი სამწერლობო ენის მასალები და ზეპირი მეტყველების რეალური ვითარებაც.

წმინდა ფორმა ენის განვითარების ბუნებრივი შედეგია და დღეს უპირატესობაც მას უნდა მიენიჭოს როგორც გრამატიკული, ისე სტილისტური თვალსაზრისით. თუმცა აქვე შესაძლებლად მიგვაჩნია ძველი ქართულის ტექსტების ციტირების გარდა, როგორც გამონაკლისი, დასაშვებ პარალელურ ფორმად ჩაითვალოს **წმიდა**, თუ ის გამოყენებულ იქნება ღ მ ე რ თ ი ს ა და წ მ ი ნ დ ა ნ ე ბ ი ს (პიროვნების) სახელთა წინ (მსაზღვრელად). მაგალითად: წმიდა მარიამი, წმიდა ღვთისმშობელი, წმიდა გიორგი, წმიდა ნინო... მაგრამ უფრო მართებული იქნება **წმინდა** ასეთ შემთხვევებში: წმინდა მოციქული, წმინდა მოწამე, წმინდა წიგნი, წმინდანთა საქმენი, წმინდანთა ნაწილები, წმინდა წირვა, წმინდა საყდარი და ა. შ. ვფიქრობთ, ამ გზით ერთგვარად ანგარიშს

გავუწევთ ტრადიციას და, მეორე მხრივ, თავიდან ავიცილებთ მოსალოდნელ სემანტიკურ უზუსტობებს.

და ბოლოს: არასასულიერო პირთა ნაწერებში **წმიდა** ფორმისა და მისი ძირისაგან ნაწარმოები სხვა ლექსიკური ერთეულების (წმიდანი, წმედს, გაწმედა, გაწმედილი...) გამოყენება არ უნდა იქცეს თვითმიზნად, ერთგვარი „გამორჩეულობის“ ნიშნად; მეორე მხრივ, **წმინდაც** არ უნდა იქნეს გაგებული ტრადიციის უგულებელყოფად. ენის ისტორიას ახსოვს უამრავი შემთხვევა, როცა ძველ ქართულში გაბატონებული ბევრი ფორმა უმტკივნეულოდ იცვლებოდა ახალ-ახალი წარმოებით. მაგალითად იყო: თავყანისცემა, ათშვიდმეტი, აღვიდა, დამართი... ახლა არის: თაყვანისცემა, ჩვიდმეტი, ავიდა, დაღმართი... ეს ტენდენცია სულაც არ ნიშნავს ძველის უარყოფას, პირიქით, ძველი ასაზრდოებს ახალს და ორივე ერთად ქმნის ენის განვითარების მყარ საფუძველს.

ლიტერატურა

არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

გოგოლაშვილი გ., „აღდგა ტრადიცია, მაგრამ აღსდგა ქრისტე!“: გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2017, 24-30 აპრილი.

დევდარიანი რ., წმინდა თუ წმიდა?: „ბაბილო“ (საავტორო ჟურნალი), 2017, №5.

ზექალაშვილი რ., სიტყვა „ღმერთი“ მიმართვასა და შესიტყვებებში ქართულ ენაში: „ქართველური მემკვიდრეობა“, V, 2001.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.

თოფურია ვ., ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965, 1988.

თოფურია ვ., გიგინეიშვილი ი., ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968; 1998.

კვანტალიანი ც., წმინდა და **წმიდა** ფორმათა მონაცვლეობისათვის თანამედროვე ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XI, 2011.

ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, თბ., 1966.

„რელიგია“ – ჟურნალი, 2007, №1.

საღინაძე რ., „ქრისტე აღსდგა – ჭეშმარიტად!“: სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები, თბ., 2013.

ტყემალაძე გ., წმიდა თუ წმინდა, წმიდანი თუ წმინდანი: ჟურნ. „რელიგია“, 2006, №10-11.

ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის მორფოლოგია (შევსებული და გადამუშავებული გამოცემა), თბ., 2018.

ხახიაშვილი ნ., ქრისტე აღდგა თუ ქრისტე აღსდგა: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, XIV, 2014.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის ფილიალი ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლაში

(მასალები ქართული ენის კათედრის ისტორიისათვის)

1980-იან წლებში ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლების ხარისხის ასამაღლებლად არაერთი კარგი ღონისძიება ტარდებოდა, მათ შორის იყო ქალაქის სკოლებში კათედრის ფილიალების გახსნა. ამ გზით კიდევ უფრო ფართოვდებოდა და მრავალფეროვანი ხდებოდა უმაღლესი სასწავლებლების კავშირი სკოლებთან.

ჩემი რეკომენდაციით, ქართული ენის კათედრამ ფილიალის გასახსნელად შეარჩია ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლა[1] (გაიხსნა 1966 წელს ახალგაზრდობის გამზირზე).

ამასთან დაკავშირებით დაიწერა ინსტიტუტის რექტორატის სპეციალური ბრძანება (242, §18, 31/12, 1987 წ.):

1. შეიქმნას ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის ფილიალი ქ. ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლაში[2].

2. ქართული ენის კათედრის ფილიალის ხელმძღვანელობა ინსტიტუტის მხრიდან დაევალოს დოცენტ. ჟ. ფეიქ-

---

[1] აქ ისტორიის მასწავლებლად ვმუშაობდი 1966-1967 წლებში. ცოტა ხნის შემდეგ ამ უბანში გადმოვედი საცხოვრებლად ოჯახით; ჩემი შვილებიც იქ სწავლობდნენ. ასე რომ, კარგად ვიცნობდი ამ სკოლის ცხოვრებას... ინსტიტუტიდან პედაგოგიურ პრაქტიკაზე სტუდენტებიც ხშირად დამყავდა. სკოლაში სწავლების ხარისხი საკმაოდ მაღალი იყო.

[2] წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტები დამოწმებულია უცვლელად.

რიშვილს, ხოლო 33-ე საშუალო სკოლის მხრივ სასწავლო ნაწილის გამგეს ნ. ჭუმბურიძეს.

დამტკიცდა შესაბამისი დებულება:

საქ. სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო. ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

ვამტკიცებ რექტორი (დოც. ნ. ა. კაკაურიძე)

საქ. სსრ განათლების სამინისტრო
ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლა
ვამტკიცებ
33-ე საშუალო სკოლის დირექტორი (გ. ქარჩხაძე)

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლაში ქართული ენის კათედრის ფილიალისა

ქ უ თ ა ი ს ი
1987

I – ზოგადი დებულება

1.1. კათედრის ფილიალი – უმაღლესი სასწავლებლისა და საშუალო სკოლის კავშირის განმტკიცების ერთ-ერთი მაორგანიზებელი ფორმაა.

1.2. კათედრის ფილიალის მიზანია, სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად, სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო-კვლევითი, ზოგადი და პროფესიული განათლების აქტუალური პრობლემების დამუშავება, კერძოდ, უმაღლესი მეთოდიკური რეკომენდაციების დანერ-

გვა, სტუდენტთა პედ. პრაქტიკის სრულყოფა, მოსწავლეთა შორის საპროფორიენტაციო მუშაობის გაშლა.

1.3. ქართული ენის კათედრის ფილიალის მუშაობის პრინციპი ემყარება სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის შემოქმედებითს თანამშრომლობას.

1.4. ფილიალი მუშაობას წარმართავს გეგმისა და წინასწარ დადებული ურთიერთხელშეკრულების შესაბამისად.

1.5. ფილიალის მუშაობას, რომელსაც საფუძვლად უდევს დებულება უმაღლესი სკოლის შესახებ, კოორდინაციას უწევს ქართული ენის კათედრა.

1.6. ფილიალი იქმნება და უქმდება ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე 33-ე საშუალო სკოლის დირექციისა და პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატის ბრძანების საფუძველზე.

II. ფილიალის ორგანიზაციული სტრუქტურა.

ფილიალის შემადგენლობაში შედიან:

– ქართული ენის კათედრის მეთოდკომისია,

– ქართული ენის კათედრასთან არსებული სტუდენტთა სამეცნიერო წრე,

– 33-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდგაერთიანება.

III. ფილიალის პერსონალი

– ფილიალი კომპლექტდება ქართული ენის კათედრის მაღალკვალიფიციური ლექტორ-მასწავლებლებითა და მე-3, მე-5 კურსის წარჩინებული სტუდენტებით,

– 33-ე საშუალო სკოლის მოწინავე მასწავლებლებითა და მოსწავლეებით (საგნობრივი წრის რეკომენდაციით).

IV. ფილიალის მართვა

4.1. ფილიალს ხელმძღვანელობს კათედრის გამგე, რომლის მოადგილედ ითვლება 33-ე საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდილი მასწავლებელი.

V. ფილიალის ქონება და სამუშაოთა დაფინანსება

5.1. სამეცნიერო-მეთოდური და გეგმით გათვალისწინებული სხვა სამუშაოთა ჩატარების ორგანიზაციის მიზნით 33-ე სკოლა საჭიროების შემთხვევაში მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას უწევს ფილიალს.

33-ე საშუალო სკოლის დირექტორი გ. ქარჩხაძე
ქართული ენის კათედრის გამგე დოც მ. ალავიძე

გაფორმდა სათანადო ხელშეკრულებაც ქართული ენის კათედრასა და სკოლას შორის.

ხელშეკრულება

ერთი მხრივ, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრა (კათედრის გამგე დოც. მ. ალავიძე) და, მეორე მხრივ, ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლა (დირექტორი გ. ქარჩხაძე) ვდებთ ხელშეკრულებას იმის თაობაზე, რომ სკოლაში შეიქმნას ქართული ენის „კათედრის ფილიალი".

ქართული ენის კათედრა ვალდებულებას იღებს, რომ:

1. შეისწავლის სკოლაში ქართული ენის სწავლების მდგომარეობას და პერიოდულად გააანალიზებს მას;

2. დანერგავს საკონტროლო და საცდელ ჯგუფებში უმჯობეს მეცნიერულ-მეთოდურ რეკომენდაციებს;

3. მოამზადებს და გამოაქვეყნებს ჟურნალ-გაზეთებში სტატიებს ქართული ენის სწავლების საკითხებზე;

4. შეისწავლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებების ჩატარების მდგომარეობას, გარდაქმნის ამ კუთხით სტუდენტ-პრაქტიკანტთა მუშაობას;

5. ჩააბამს სკოლის მასწავლებლებს კათედრის ლექტორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-საკვლევ მუშაობაში;

6. ჩაატარებს ერთობლივ კონფერენციებს, თემატურ საღამოებს, ი. ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიას;

7. ხელმძღვანელობას გაუწევს სკოლაში აკ. შანიძის სახელობის ქართული ენის კლასკაბინეტის მოწყობას.

33-ე საშუალო სკოლა ვალდებულებას იღებს, რომ:

1. უზრუნველყოფს ქართული ენის „კათედრის ფილიალის" სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესრულებაში სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეების აქტიურ მონაწილეობას და შექმნის მუშაობისათვის საჭირო პირობებს;

2. გამოყოფს საკონტროლო და საცდელ კლასებს;

3. უზრუნველყოფს და ორგანიზაციას გაუწევს ერთობლივი კონფერენციების, თემატური საღამოების, ი. ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ერთობლივი სამეცნიერო სესიის ჩატარებას.

ქართული ენის კათედრის გამგე დოც. მ. ალავიძე
33-ე საშ. სკოლის დირექტორი გ. ქარჩხაძე

33-ე საშუალო სკოლაში ახალშექმნილი ქართული ენის კათედრის ფილიალის შემადგენლობა განისაზღვრა 25 წევრით. მათ შორის იყვნენ ინსტიტუტის ლექტორ-თანამშრომლები, სტუდენტები, სკოლის მასწავლებლები და მოსწავლები:

1) ალავიძე მიხეილი – დოცენტი, ქართული ენის კათედრის გამგე

2) შამელაშვილი რაფიელი – პროფესორი

3) კუბლაშვილი კლარა – დოცენტი

4) ფეიქრიშვილი ჟუჟუნა – დოცენტი

5) ქაცარავა მარინე – დოცენტი

6) გოშხეთელიანი მერი – უფროსი მასწავლებელი

7) რუსაძე იზოლდა – მეცნიერებათა კანდიდატი, მასწავლებელი

8) გვენეტაძე ლუიზა – მეცნიერებათა კანდიდატი, მასწავლებელი

9) უკლება ლეილა – კათედრის ლაბორანტი

10) დვალიშვილი ლუკა – სტუდენტი

11) ფეიქრიშვილი მაია – სტუდენტი

12) წაქაძე რიტა – სტუდენტი

13) რუსაძე ლელა – სტუდენტი

14) ჭუმბურიძე ნინო – მასწავლებელი, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

15) ჯავახია ლამარა – მასწავლებელი

16) კალანდაძე იზო – მასწავლებელი

17) ნარიმანაშვილი ნუნუ – მასწავლებელი

18) შუბლაძე ენერი – მასწავლებელი

19) ცინცაძე რუსუდანი – მასწავლებელი

20) წაქაძე თამაზი – მასწავლებელი

21) ჭუმბურიძე ხათუნა – მოსწავლე

22) გეგეჭკორი დავითი – მოსწავლე

23) ზაქარიაძე ალეკო – მოსწავლე

24) ზაქარიაძე აკაკი – მოსწავლე

25) თოდრია შორენა – მოსწავლე

კათედრის ფილიალს უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ დოც. ჟ. ფეიქრიშვილი და მასწ. ნ. ჭუმბურიძე; მდივნად დაინიშნა მასწ. რ. ცინცაძე.

კათედრის ფილიალმა თავისი საქმიანობა დაიწყო **პერსპექტიული სამუშაო გეგმის** მიხედვით, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

1) ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად დაიხვეწება და უფრო მრავალფეროვანი გახდება ფილიალის მუშაობის მეთოდები.

2) ფილიალი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს საშეფო სკოლის სიტყვიერების მასწავლებელთა მუშაობის მეთოდურ სრულყოფას; სისტემატურად მოამარაგებს მათ საჭირო სამეცნიერო ლიტერატურით და სათანადო დახმარებას აღმოუჩენს ნოვატორულ თაოსნობაშიც.

3) ფილიალის შემდგომი მუშაობა წარიმართება იმ ასპექტითაც, რომ მან გამოავლინოს ქართული ენითა და ლიტერატურით დაინტერესებული მოსწავლეები და ხელი შეუწყოს მათი შემოქმედებითი უნარის განვითარებას.

ამ მიზნით:

ა) „ნორჩ ლინგვისტთა სკოლის“ პარალელურად შეიქმნება მოსწავლეთა საგნობრივი – „ქართული ენის წრე“, რომელსაც უშუალოდ უხელმძღვანელებს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება;

ბ) ქართული ენის წრეში მოსწავლეები დაამუშავებენ მოხსენებებს ენის ისტორიისა და გრამატიკის აქტუალურ თეორიულ საკითხებზე, შეაგროვებენ ფოლკლორულ და დიალექტოლოგიურ მასალებს, ჩაიწერენ ტოპონიმებს;

გ) ჩატარდება მოსწავლეთა თეორიული კონფერენცია თემაზე „შევისწავლოთ ხალხური სიტყვა“.

დ) მოეწყობა სასწავლო ექსკურსიები, მცირე დიალექტოლოგიური ექსპედიციები, შეხვედრები სახალხო მთქმელებთან;

ე) წრის წევრები მონაწილეობას მიიღებენ საქალაქო და რესპუბლიკურ შემოქმედებითს ოლიმპიადებში.

4) „ნორჩ ლინგვისტთა სკოლის“ მომავალი თემატიკის შერჩევაში გათვალისწინებულ იქნება მოსწავლეთა რეკომენდაციები.

5) გამოცხადდება კონკურსი „ნორჩი ენათმეცნიერის“ საპატიო წოდების მოსაპოვებლად.

6) ფილიალი განსაკუთრებით იზრუნებს მოსწავლეთა სწორმეტყველებისა და მართლწერის ჩვევების დაუფლებაზე (შექმნის საგუშაგოებს, ჩაატარებს თემატურ საღამოებს, ვიქტორინებსა და კონკურსებს).

7) ფილიალი საგანანგებო ყურადღებას მიაქცევს სკოლის რუსულ ჯგუფებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემდგომ გაუმჯობესებას (რისთვისაც ფართოდ გამოიყენებს სტუდენტებსაც).

8) გაფართოვდება ქართული ენის კათედრის ლექტორთა და სკოლის მასწავლებელთა შემოქმედებითი თანამშრომლობა სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომების მომზადებაში.

9) დაინერგება სტუდენტთა და მოსწავლეთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები.

10) დაწესდება სკოლაში „სტუდენტური დღე“.

11) შეიქმნება სკოლაში საკონტროლო და საცდელი ჯგუფები, დაინერგება უმჯობესი მეცნიერულ-მეთოდური რეკომენდაციები.

12) ფილიალი სისტემატურად დაეხმარება ქართული ენისა და ლიტერატურის კლას-კაბინეტის გამგეებს საჭირო თვალსაჩინოების შეძენაში.

13) სტუდენტთა პროფესიული სრულყოფის მიზნით გაფართოვდება მათი მონაწილეობა სასწავლო პროცესში (პედპრაქტიკით, ღია გაკვეთილების მომზადება-განხილვით), კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებებში; აქტიური გახდება კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებთან მათი თანამშრომლობა.

14) ფილიალის ფუნქციონირების მთავარი მიზანი იქნება – საშუალო სკოლაში სიტყვიერების მასწავლებლებმა საფუძვლიანად შეასწავლონ აღსაზრდელებს მშობლიური ენის ისტორია, მისი მეცნიერული საფუძვლები, აგრძნობინონ მათ ქართული ენის სიტყვის სურნელი, ქართული ფრაზის მოქნილობა და დახვეწილობა; ისეთ დონეზე დააყენონ სკოლაში ქართული ენის სწავლება, რომ თითოეული ბავშვის უმთავრეს მოვალეობად იქცეს დედაენის სიწმინდის დაცვა, მისი მოვლა-პატრონობა, რამეთუ ენა ერის მეობის განმსაზღვრელია.

ქართული ენის კათედრის გამგე მ. ალავიძე
კათედრის ფილიალის ხელმძღვანელები:
დოც. ჟ. ფეიქრიშვილი, ნ. ჭუმბურიძე.

ზემოთ წარმოდგენილი პერსპექტიული გეგმის გათვალისწინებით, შედგა 1988-1989 სასწავლო წლისათვის **კათედრის ფილიალის წლიური სამუშაო გეგმა,** რომლის ძირითადი შესასრულებელი საკითხები იყო:

1) სკოლაში ქართული ენის სწავლების მდგომარეობის შესწავლა;

2) ქართული ენის სწავლების საკითხებზე უახლესი რეკომენდაციების განზოგადების მიზნით სტატიების მომზადება-გამოქვეყნება საქალაქო და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში;

3) ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტისა და 33-ე საშუალო სკოლის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მიერ ერთობლივი თემატური ღონისძიებების ჩატარება;

4) კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის მდგომარეობის შესწავლა (კათედრის მიერ);

5) სტუდენტთა და მოსწავლეთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების მომზადება და ჩატარება;

6) სკოლის მასწავლებელთა ჩაბმა კათედრის ლექტორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-საკვლევი თემების შესრულებაში;

7) კათედრის ფილიალისა და სკოლის სასწავლო-მეთოდური გაერთიანების ერთობლივი ღონისძიების მომზადება;

8) აკ. შანიძის სახელობის ქართული ენის კაბინეტის საპატიო გამგის არჩევა;

9) „ნორჩ ლიგვისტთა სკოლის“ შექმნა;

10) სისტემატური ზრუნვა სკოლაში ერთიანი ენობრივი მართლმეტყველების დასაცავად;

11) ქართული ენის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით უახლესი მეცნიერულ-მეთოდური რეკომენდაციების დანერგვა და შემდგომ მისი განზოგადება;

12) საშეფო სკოლის რუსულ ჯგუფებში ქართული ენის სწავლების მდგომარეობის შესწავლა და შემდგომ მის გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

კათედრის ფილიალის ხელმძღვანელები:
ჟ. ფეიქრიშვილი, ნ. ჭუმბურიძე
1988 წლის სექტემბერი.

შენიშვნა: ამ საკითხების შესრულებაზე პასუხისმგებლები იყვნენ ქართული ენის კათედრის წევრები, სტუდენტები და 33-ე საშუალო სკოლის მასწავლებლები.

კათედრის ფილიალის ხელმძღვანელობით 1988 წლის დასაწყისშივე შეიქმნა „ნორჩ ლინგვისტთა სკოლა“ (ხელმძღ. მოსწავლე დავით გეგეჭკორი, ამჟამად ისტორიკოსი, პროფესორი), რომლის წევრები იყვნენ VIII, IX, X, XI კლასის მოსწავლეები:

1) თოდრია შორენა (VIII)
2) კაბულაშვილი გენადი (VIII)
3) ჯანაშია ლაშა (IX)
4) ქარქაშაძე ქეთინო (IX)
5) ლომაშვილი ზეინაბი (IX)
6) აბულაძე მაია (X)
7) ალანია მარინე (X)
8) ბრეგაძე დავითი (X)
9) გეგეჭკორი დავითი (X)
10) კირთაძე ნინო (X)
11) ყუბანეიშვილი აზა (X)
12) ცნობილაძე ალექსანდრე (X)
13) აბულაძე ირმა (XI)
14) ბახსოლიანი სოფიო (XI)
15) ერაძე ნატალია (XI)
16) ზაქარიაძე აკაკი (XI)
17) სანიკიძე მარიამი (XI)
18) ქასრაშვილი შორენა (XI)
19) შენგელია ლელა (XI)
20) ჭუმბურიძე ხათუნა (XI)

„ნორჩ ლინგვისტთა სკოლა“ მუშაობას წარმართავდა შესაბამისი გეგმის მიხედვით. ტარდებოდა მეცადინეობები, რომლებსაც ძირითადად უძღვებოდნენ ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის წევრები, კითხულობდნენ ლექციებს ქართული ენათმეცნიერების ზოგად პრობლემურ თუ კონკრეტულ საკითხებზე. ამ მიმართულებით კათედრის ფილიალის პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე ბევრ სხვა საინტერესო ღონისძიებას. მაგალითად, ხაზგასმით იყო აღნიშნული: „ნორჩ ლინგვისტთა სკოლის“ პარა-

ლელურად იმუშავებს მოსწავლეთა ქართული ენის წრე, რომელსაც უშუალოდ უხელმძღვანელებს პედინსტიტუტის სტუდენტთა საენათმეცნიერო წრე; წრის წევრი მოსწავლეები შეასრულებენ მეცნიერული ხასიათის ნაშრომებს, შეაგროვებენ ფოლკლორულ და დიალექტოლოგიურ მასალებს, ჩაიწერენ ტოპონიმებს და ა. შ.

33-ე საშუალო სკოლაში არსებული ქართული ენის კათედრის ფილიალის საქმიანობის ძირითადი მიზანი და უმთავრესი საზრუნავი იყო მოსწავლე-ახალგაზრდების მეტი დაინტერესება მშობლიური ენის მეცნიერული შესწავლით, რათა მათ უწმინდეს მოვალეობად იქცეს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი უმდიდრესი ენის დაცვა და მოვლა-პატრონობა.

ნორჩი ლინგვისტების მუშაობას სისტემატურად ეცნობოდა პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრა; საქალაქო გაზეთებში იბეჭდებოდა წერილები ფილიალის მუშაობის შესახებ. მათ შორის იყო ჟ. ფეიქრიშვილის სტატია „მშობლიურ ენას იკვლევენ ნორჩი ლინგვისტები“ (გაზ. „ქუთაისი“, 1989, 18.02).

კათედრის ფილიალის წარმატებული საქმიანობის ერთერთი შედეგი გახლდათ 1988 წლის 30 იანვარს სკოლაში **აკადემიკოს აკაკი შანიძის სახელობის კაბინეტის გახსნა**. ამ საინტერესო ღონისძიების შესახებ ინფორმაციები დაიბეჭდა საქალაქო და რესპუბლიკურ პრესაში. მაგალითად, გაზეთ „ქუთაისში“ (1988, 16 თებერვალი, №31) ქართული ენის კათედრის გამგე, დოც. **მ. ალავიძე** სტატიაში – „აკაკი შანიძის სახელობისა“ – მოკლედ მოუთხრობდა მკითხველს ამ ფაქტის შესახებ; გარდა ამისა, გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (1988, 24 მარტი) დაიბეჭდა პროფესორ **რაფიელ შამელაშვილის** წერილი „აკაკი შანიძის კაბინეტი სკოლაში“. გთავაზობთ ამ წერილს:

ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლას შეფობს ჩვენი ქალაქის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრა. ამ სკოლის (დირექტორი – გ. ქარჩხაძე) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ი. კალანდაძისა და პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტ ჟ. ფეიქრიშვილის ინიციატივით სკოლაში გაიხსნა კლას-კაბინეტი, რომელსაც გამოჩენილი ენათმეცნიერის აკადემიკოს **აკაკი შანიძის** სახელი მიეკუთვნა.

საზეიმო სხდომაზე მოწვეული იყვნენ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის წევრები და ლაბორანტები, ასევე ქალაქის განათლების განყოფილების წარმომადგენლები.

სტუმრები მიიპატიჟეს მეორე სართულზე, შეიყვანეს ლამაზად გაფორმებულ ოთახში, სადაც გამოფენილი იყო ქართველი ენათმეცნიერების (აკადემიკოსების ნ. მარის, ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, შ. ძიძიგურის, თ. გამყრელიძის) და უცხოელი ქართველოლოგების (ჰ. ფოგტის, გ. დეეტერსის, რ. ლაფონის) პორტრეტები, მათივე გამონათქვამები ქართული ენის შესახებ.

შეხვედრა გახსნა V კლასის მოსწავლემ მ. მამასახლისმა. მოსწავლეებმა წაიკითხეს ირ. აბაშიძისა და ლ. ასათიანის ლექსები დედაენაზე. მოსწავლეთა მონაწილეობით უჩვენეს მონტაჟი „ქართული ენის საგალობელი“, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ისაუბრეს ქართველოლოგიის ზოგიერთ საკითხზე, აგრეთვე აკ. შანიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ღონისძიებაზე წარმოთქვეს სიტყვები ქართული ენის კათედრის წევრებმა, კათედრის გამგემ მ. ალავიძემ და კაბინეტს აჩუქეს თავიანთი წიგნები წარწერით.

*დასასრულს დოც. მ. ალავიძემ საზეიმო ვითარებაში კაბინეტის კარს მიამაგრა აბრა წარწერით: **„აკაკი შანიძის სახელობის ქართული ენის კაბინეტი“.***

ამავე საზეიმო სხდომაზე გამოცხადდა, რომ 33-ე საშუალო სკოლა ამიერიდან არის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის ფილიალი.

პროფ. რ. შამელაშვილი

წარმოდგენილი საკითხის ამ ზოგადი მიმოხილვითაც ჩანს, რომ ქართული ენის კათედრის ფილიალის მიზანი გახლდათ სპეციალისტთა მომზადების სრულყოფა, საშუალო სკოლებთან კონტაქტის გაღრმავება-გაფართოება, სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემდგომი გაუმჯობესება, მშობლიური ენის შესწავლით დაინტერესებულ მოსწავლეთა გამოვლენა და მათი შემოქმედებითი უნარის განვითარება.

1990 წელს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი გადაკეთდა უნივერსიტეტად, შესაბამისად, ბევრი რამ შეიცვალა არა მხოლოდ სასწავლო საგნებისა თუ პროგრამების მიმართულებით, არამედ უნივერსიტეტის სტურქტურულ რგოლებშიც. სკოლებში შექმნილი კათედრის ფილიალების საქმიანობა შეცვალა სხვა ახალმა სასწავლო-სამეცნიერო ერთეულებმა და ა. შ.

ერთ-ერთი ასეთი სიახლე გახლდათ 1990 წელს „ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაზო გიმნაზიის“ გახსნა. გიმნაზიის სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას უშუალოდ ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტში შექმნილი **ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორია**, რომლის თანამშრომლები ეწეოდნენ კვლევითს მუშაობას, წლის ბოლოს კი ქალაქის სკოლების მას-

წავლებლებს აწვდიდნენ პრაქტიკული ღირებულების რეკომენდაციებს.

დიდაქტიკურ ლაბორატორიაში, რომელიც განთავსებული იყო გიმნაზიის შენობაში, საგნობრივი სწავლების შესაბამისად, შექმნილი იყო ცალკეული სექციები. მის მუშაობას წარმართავდნენ უნივერსიტეტის მეცნიერ-კონსულტანტები. ქართული ენის სექციას, კათედრის რეკომენდაციით, მე ვხელმძღვანელობდი. სისტემატურად ვეხმარებოდი გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს თეორიული (მეცნიერული) ცოდნის ამაღლებაში, მეთოდურ (პრაქტიკულ) საქმიანობაში...

1994 წლიდან დიდაქტიკური ლაბორატორია ოფიციალურად აღარ არსებობდა (გიმნაზია საჯარო სკოლად გადაკეთდა), თუმცა მას შემდეგაც ვთანამშრომლობდი ამ სკოლის პედკოლექტივთან, რომელთა უმრავლესობა ჩვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებული იყო.

დასკვნის მაგიერ: ჩემი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის ერთ-ერთ საინტერესო ნაწილად მიმაჩნია ქართული ენის კათედრის ფილიალის ხელმძღვანელობა, რამდენიმე წლის განმავლობაში სკოლის პადაგოგებსა და მოსწავლეებთან ერთად სხვადასხვა სახის ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა.

მოგეხსენებათ, რომ დღეს არნახული ტემპებით იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო, განსაკუთრებით ეს იგრძნობა განათლების სისტემაში. თითქმის ყოველწლიურად გვთავაზობენ სიახლეებს უმაღლეს სასწავლებლებსა თუ სკოლებში... ისე სწრაფად იცვლება სწავლების მეთოდები, ხერხები, გზები, რომ ყოველი ახალი რეფორმის შედეგების გათვალსაჩინოება და ობიექტური ანალიზი თითქმის შეუძლებელი ჩანს. სამწუხაროდ, აუცილებელი ხდება,

ლექტორებმა თუ სკოლის მასწავლებლებმა „ანგარიში გაუწიონ“ ამ აჩქარებულ ტემპებს, „ზემოდან“ მიღებულ დავალებებს; მოსწონთ თუ არ მოსწონთ, ვალდებული არიან, კონკურსებისა და ატესტაციების შიშით, სასწავლო პრაქტიკაში ყველა „შემოთავაზება“ დადებით მოვლენად მიიჩნიონ.

ცხადია, ასეთ პირობებში ვეღარავინ გაბედავს რამდენიმე ათწლეულის წინ არსებულ აპრობირებულ და დამკვიდრებულ სასწავლო მეთოდებზე საუბარს, მით უმეტეს, რომ დღეს სასწავლო საგნების მიმართ დამოკიდებულება ძირეულად შეცვლილია – ახალგაზრდა ირჩევს ისეთ პროფესიას, რომელიც მისთვის „მომგებიანი იქნება“...

შეიძლება ვინმემ ისიც გაიფიქროს (ან ხმამაღლაც თქვას), რაღა დროისაა ყოფილი კათედრის ფილიალების საქმიანობაზე საუბარი, ვის რაში გამოადგება ძველი (30 წლის წინანდელი) ამბების გახსენება. მაგრამ მე მაინც ვსაუბრობ იმ წარსულზე, რადგან, ჯერ ერთი, ობიექტურად, შეულამაზებლად დაწერილი ყოველი ნებისმიერი წიგნი **ჩვენი ისტორიის თითო ფურცელია,** და მეორეც, ჩვენ მაშინ მართლა დებულება-ხელშეკრულების, პერსპექტიული თუ წლიური სამუშაო გეგმების მიხედვით არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩავატარებინეთ მოსწავლეებს, არაერთი საინტერესო მოხსენება მოვასმენინეთ და, რაც მთავარია, მათ ვასწავლეთ შრომის სიყვარული, მეცნიერული კვლევაძიების პირველი ნაბიჯებიც გადავადგმევინეთ.

• 1990-იანი წლების მიწურულს კათედრის ფილიალის მასალები (ერთი მოზრდილი საქაღალდე), 33-ე საშუალო სკოლის დირექციის ნებართვით, სახლში წამოვიღე, რამდენიმე ინფორმაციის დასაზუსტებლად მჭირდებოდა.

სამწუხაროდ, მალე ქვეყანაში ისე შეიცვალა პოლიტიკური ვითარება, რომ უკვე აღარავის აინტერესებდა თუნდაც უახლოესი წარსულის ამბები, ამიტომ გადავწყვიტე, კათედრის ფილიალის მასალებიდან ზოგი ოფიციალური დოკუმენტი მაინც შემენახა ჩემს არქივში (სკოლიდანაც არავის მოუთხოვია საქალალდის დაბრუნება).

ასე შემორჩა ჩემს არქივს კათედრის ფილიალის ზოგიერთი დოკუმენტი, რომელიც 2016 წლის 19 იანვარს თბილისიდან სხვა მასალებთან ერთად გავუგზავნე ქუთაისის უნივერსიტეტში ახალგახსნილ მუზეუმს; აქვეა ორი ფოტოსურათიც, გადაღებული 33-ე სკოლაში ა. შანიძის კაბინეტის გახსნასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე.

ვფიქრობთ, ამჟამინდელი ჩვენი ეს წერილი (ინფორმაციებითურთ) სამომავლოდ გახდება ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის (შემდგომში – უნივერსიტეტის) ქართული ენის კათედრისა და 33-ე საშუალო სკოლის ისტორიისათვის ერთ-ერთი სანდო წყარო.

ნაწილი ძეობრე

ჩემი მასწავლებლები

შესავალი

ამ ზოგადი სათაურით მინდა მკითხველს წარვუდგინო მოგონებები მასწავლებლებისა, რომლებიც მსგავსი თუ განსხვავებული საქმიანობით უკავშირდებოდნენ ჩემს ცხოვრებას, რომლებმაც სათავე დაუდეს ჩემში არაერთ კარგ პიროვნულ თვისებას, გამიძლიერეს „კეთილის ქმნის“ სურვილი და საბოლოოდ ჩამომაყალიბეს როგორც პედაგოგი, როგორც ადამიანი.

ამ შემთხვევაში ტერმინი „მასწავლებელი“ ფართო მნიშვნელობისაა. აქ იგულისხმება არა მხოლოდ ის კონკრეტული პიროვნებანი, რომლებიც უშუალოდ, სასწავლო აუდიტორიებში მასწავლიდნენ ამა თუ იმ საგანს, არამედ ისინიც, რომელთა სააუდიტორიო ლექცია არ მომისმენია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჩემს პროფესიულ საქმიანობაში, სამეცნიერო გზის გაკვალვაში.

მართალია, ზოგი მასწავლებლის შესახებ სხვადასხვა დროს მეტ-ნაკლები სისრულით ვსაუბრობდი ზეპირ გამოსვლებში, წერილობითაც გამოვხატე მათ მიმართ ჩემი დამოკიდებულება საგაზეთო სტატიებში, წიგნებში, მაგრამ ახლაც, **დღევანდელი გადასახედიდან**, მინდა ერთხელ კიდევ შევეხმიანო ჩემს ძვირფას ადამიანებს, ერთხელ კიდევ ერთ მთლიანობაში მოგონებების სახით წარმოვიდგინო მათთან ურთიერთობის ლამაზი სურათები და ამ გზითაც გადავუხადო გულწრფელი მადლობა უანგარო დახმარებისათვის.

მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა, ფიზიკურად (ობიექტური მიზეზების გამოც) არ მოხერხდა, უფრო სრულყო-

ფილად წარმომეჩინა ყველა მასწავლებლის ცხოვრება და ღვაწლი, თუნდაც იმ (მოკრძალებული) ფორმით, როგორც ეს გავახმოვანე ხსოვნის წიგნებში: „სრულყოფილებასთან ახლოს – ასეთი იყო ქეთევან ძოწენიძე“ (2013), „ჩვენი დავით მაჭავარიანი“ (2013), „ლეილა კვანტალიანი – მეცნიერი, პედაგოგი, მეგობარი“ (2016).

ამჟამინდელი მოგონებებით ერთხელ კიდევ მინდა ხაზგასმით განვაცხადო: ადამიანში ყველაზე დიდი ბოროტებაა შური, პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა. ნურავის ჰგონია, რომ ის შეუმცდარია, სრულყოფილია... დრო – ყველაზე ზუსტი შემფასებელი – გამოავლენს ჩვენს ავსა და კარგს. ამის დასტურად მინდა დავიმოწმო დოცენტ **დ. მაჭავარიანის** მიმართ მისი ყოფილი სტუდენტის სიტყვები: „დავით მაჭავარიანის ცხოვრების კერპი იყო მხოლოდ და მხოლოდ მშობლიური ენა, სიმდიდრე – წიგნი.... მისი ჭეშმარიტი ჯილდო გახლდათ ფილოლოგთა მრავალი თაობის გულმხურვალე სიყვარული ამ სპეტაკ, ყოველგვარ ცხოვრებისეულ სიამეს მოკლებული კეთილშობილი კაცისადმი (ნანული ცხვედიანი).

ჭეშმარიტად ასეა! მრავალი თაობის „გულმხურვალე სიყვარულს“ იმსახურებენ მხოლოდ ის ღირსეული ადამიანები, რომელთა პატიოსანი, უმწიკვლო შრომა-საქმიანობა არის არა უბრალოდ მოვალეობის მოხდა, არამედ მათთვის ბუნებრივად დამახასიათებელი თვისება, კეთილსინდისიერება კი – სულიერი მოთხოვნილება...

ასეთ სიყვარულს ყველა ვერ დაიმსახურებს!

P.S. წიგნის ამ ნაწილში წარმოდგენილი მოგონებები დალაგებულია ე. წ. ქრონოლოგიის პრინციპით, იმის მიხედვით, ვინ როდის იყო ჩემი მასწავლებელი, დაწყებული სოფლის სკოლიდან ასპირანტურით დამთავრებული.

თინა ჭელიძე

ჩემი პირველი მასწავლებელი

1947 წელს შევედი პირველ კლასში. იმ დროს ჩემს სოფელში იყო მხოლოდ დაწყებითი სკოლა, პატარა სამოთახიან შენობაში განთავსებული. ბავშვების სიმცირის გამო სწავლა მიმდინარეობდა ორკომპლექტიანი სისტემით: ერთ საკლასო ოთახში ისხდნენ I-III კლასის მოსწვლეები, მეორეში – II-IV კლასელები.

ჩემი პირველი მასწავლებელი გახლდათ თინა ჭელიძე (მეზობელ სოფელში ცხოვრობდა ჩვენგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით და ყოველდღე ფეხით დადიოდა სკოლაში). იგი ოთხი წელი მასწავლიდა ყველა საგანს (თან დაწყებითი სკოლის გამგეც იყო). ალბათ, როგორც მასწავლებელი, კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის საქმეს, მაგრამ ჩემს მეხსიერებას დღემდე ნათლად შემორჩა მისი პიროვნული თვისებები: ხალისიანი ბუნება, ნათელი ღიმილი, ბავშვების გულწრფელი სიყვარული... დღევანდელი გადასახედიდან იმაშიც ვრწმუნდები, რომ თინა მასწავლებელი იყო კარგი პედაგოგ-აღმზრდელიც: გვესაუბრებოდა შრომის სიყვარულზე, განათლების აუცილებლობაზე (რაც იმ დროს ახალდაარსებულ ერთ პატარა სოფელში მცხოვრები ბავშვებისათვის მართლა საჭირო იყო), იცოდა მოსწავლის შექება და წახალისება. ამასთან დაკავშირებით მაგონდება ერთი ასეთი შემთხვევა: პირველ კლასში დასასწავლად გვქონდა პატარა მოთხრობა „კრუხი და წიწილები". ჩემი პასუხი ისე ძალიან მოეწონა თინა მასწავლებელს, რომ შემიყვანა მეორე საკლასო ოთახში II-IV კლასელებთან და სანიმუშოდ მათთანაც მომაყოლა ეს მო-

თხრობა, თან კიდევ ერთხელ აღნიშნა: ხომ ხედავთ, ეს ბავშვი ერთი ციცქნაა, მაგრამ სწავლაში ყველას გჯობიათ; თქვენც მოინდომეთ და ასეთი კარგები იქნებითო. დიახ, მან პირველმა დამილოცა გზა სწავლა-განათლებისაკენ.

აქვე მადლიერებით დავსძენ: თინა მასწავლებელი მომდევნო წლებშიც ინტერესით ადევნებდა თვალს ჩემი სწავლის პროცესს ხონის პედაგოგიურ სასწავლებელში, შემდეგ – ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში; ყოველთვის ახარებდა მისი ყოფილი მოსწავლის წარმატებები...

მართალია, 70 წლის წინანდელი ჩემი სასკოლო ცხოვრების ცალკეული მომენტებიდან ბევრი აღარაფერი მახსოვს, მაგრამ, გულწრფელად ვამბობ, თინა მასწავლებელთან ურთიერთობით მიღებული ბავშვური შთაბეჭდილებანი – ჩემთვის ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი მისეული რჩევა-დარიგებანი ამაოდ კი არ დაკარგულა, არამედ თურმე მყარად ჩაბეჭდილა ჩემს გონებაში და შემდგომ ბევრჯერაც დამხმარებია პრაქტიკული საქმიანობის დროს.

ჩემი პირველი მასწავლებლის მაგალითით (რომელსაც უმაღლესი განათლებაც არ ჰქონდა) კიდევ უფრო ვრწმუნდები საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებაში – **მასწავლებლად უნდა დაიბადო, შინაგანი მოწოდების გარეშე ვერ გახდები ნამდვილი მასწავლებელი!**

თინათინ ბახტაძე

დღეს რომ ვიგონებ ჩემს განვლილ ცხოვრებას, ჩემს ძვირფას მასწავლებლებსა თუ ერთგულ ქომაგებს, ამ მოგონებათა სათავეში დგას თინათინ ბახტაძე, ჩემი ცხოვრების კეთილი მეგზური, რომელმაც, სოფლის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, პირველმა მაზიარა მეცნიერულ ცოდნას, პოეზიას, მხატვრული ლიტერატურის ხიბლსა და შთაგონებას; თავისი განათლებითა და პედაგოგიური საქმიანობით განსაზღვრა ჩემი სამომავლო ცხოვრების ძირითადი მიმართულება.

1955 წლის სექტემბრიდან გავხდი ხონის (მაშინდელი წულუკიძის) პედაგოგიური სასწავლებლის პირველკურსელი. მაშინ ტექნიკუმში სწავლებისა და სწავლის დონე საკმაოდ მაღალი იყო. მასწავლებელთა შორის მაინც გამოირჩეოდა თინათინ ბახტაძე. იგი ოთხი წლის განმავლობაში მასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას.

თ. ბახტაძე (ხონში ცნობილი ექიმის – მათე ბახტაძის ქალიშვილი) გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, უზომოდ განათლებული, მთელს ქალაქში (და დასავლეთ საქართველოშიც!) ცნობილი პედაგოგი.

ხონში მარტო ცხოვრობდა მამისეულ სახლში, საკუთარი შვილები არ ჰყავდა, მაგრამ ფაქტობრივად იყო „ათასი ბავშვის მშობელი“. ვინ მოთვლის, რამდენ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუკვალა ცხოვრების გზა!

თინა მასწავლებელი საფუძვლიანად, სიღრმისეულად ასწავლიდა არა მხოლოდ სასწავლო საგანს, არამედ ყოველ მოსწავლეში თესდა სიტყვაკაზმული მწერლობის სხვაგვარი წვდომის მარცვალს... ლიტერატურა, პოეზია მისთვის ხომ

ყველაფერი იყო! განსაკუთრებით უყვარდა გალაკტიონის პოეზია. ამასთან დაკავშირებით მინდა მოვიგონო ერთი შემთხვევა: 1959 წლის 17 მარტს გარდაიცვალა გალაკტიონ ტაბიძე. თინა მასწავლებელმა რაღაც საოცარი განცდა გამოამჟღავნა ამ ფაქტის მიმართ – „ცრემლი არ შეშრობია თვალზე“. მეორე დღეს სასწავლებელში დირექტორს გაუცხადა, პოეტის დაკრძალვაზე მიდიოდა მოსწავლეებთან ერთად. მართლაც, იმავე დღეს ღამის მატარებლით თინა მასწავლებელთან ერთად რამდენიმე გოგონა გავემართეთ დედაქალაქისაკენ.

მეორე დილით მწერალთა კავშირის შენობასთან მივედით. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ რიგში ჩამდგარ პროცესიას შევყევით დარბაზში, სადაც ესვენა გალაკტიონის ცხედარი. თინა მასწავლებელი ტიროდა, ჩვენ ხმაგაკმენდილები ვიდექით. ზღვა ხალხი მოდიოდა პოეტის გამოსამშვიდობებლად. ახლომახლო ქუჩები ვერ იტევდა მგოსნის თაყვანისმცემელთ. თინა მასწავლებელმა გვითხრა: ახლა ჩვენ ვერ გავყვებით სამგლოვიარო პროცესიას, ამიტომ ხვალ დილით აგიყვანთ მთაწმინდაზე და იქ მოვინახულებთ პოეტის საფლავსო.

მართლაც, მეორე დღეს მთაწმინდაზე ავედით, გალაკტიონის საფლავთან რიგრიგობით ვყვებოდით „მერის“ თუ „ლურჯა ცხენებს“, „მესაფლავეს“ თუ „ცისა ფერს“... (გალაკტიონის შემოქმედება ნასწავლი გვქონდა“ და თინა მასწავლებლის წყალობით ზეპირად ვიცოდით ათეულობით ლექსი). იმ დღეებში გალაკტიონის პოეზიით ვსუნთქავდით... მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ კვლავ ცოცხლად მახსოვს, როგორ ცდილობდა ჩვენი მასწავლებელი, სრულყოფილად – მისეული თვალით – დაგვენახა ამ ღვთიური კაცის გენია. შეიძლება ითქვას, რომ მან ამ

მხრივაც მიაღწია მიზანს... და ეს სულიერი საზრდო დღემდე მომყვება ტკბილ მოგონებად.

თინა მასწავლებელი ნიჭიერსა და გამორჩეულ მოსწავლეებში აყალიბებდა, ხვეწდა ლიტერატურულ გემოვნებას, წერის კულტურას, რისთვისაც ყოველდღიური გაკვეთილების გარდა იყენებდა კლასგარეშე ღონისძიებებს (ლიტერატურულ გასამართლებას, დისპუტებს, წიგნის განხილვას, თემატურ კონფერენციებს...). გარდა ამისა, მოსწავლეებს (თავიანთი უნარისა და მისწრაფებების მიხედვით) ეხმარებოდა სამომავლო პროფესიის არჩევაში.

თ. ბახტაძის წყალობით გადავდგი ხონის პედსასწავლებელში პედაგოგიური თუ სამეცნიერო საქმიანობის პირველი ნაბიჯები, იქ შევითვისე მასწავლებლის უნარ-ჩვევებიც: თხრობისა და წერის ნათელი სტილი, რთული საკითხების ახსნა მოსწავლეთათვის გასაგები ენით...

თინა მასწავლებელი ფრიადოსან მოსწავლეებს განსაკუთრებულ ყურადღებას გვაქცევდა იმ მხრივაც, რომ ინსტიტუტში შესასვლელად მისაღები გამოცდების პროგრამებითა და საჭირო დამატებითი ლიტერატურითაც გვამარაგებდა (რაზედაც სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეებს ნაკლებად მიგვიწვდებოდა ხელი).

აქვე მინდა თინათინ ბახტაძის პიროვნული პორტრეტისათვის გავიხსენო ერთი ასეთი დეტალიც: თინა მასწავლებელი ჩემზე საგანგებოდ ზრუნავდა იმის გამოც, რომ იცოდა: სოფელში ვცხოვრობდი ეკონომიურად ხელმოკლე ოჯახში და არ შემეძლო სწავლის პერიოდში ხონში, ნაქირავებ ბინაში, მეცხოვრა (ამიტომ წლების განმავლობაში ყოველდღიურად მიწევდა ფეხით სიარული, 13-14 კილომეტრის გავლა). გარდა ამისა, ჩემი კეთილი მასწავლებლისათვის ისიც აშკარა იყო, რომ ინსტიტუტში შესასვლელად

საჭირო დამატებითი მეცადინეობა ჩემთვის შეუძლებელი იქნებოდა; მას კი ძალიან უნდოდა უმაღლესი განათლების გარეშე არ დავრჩენილიყავი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ბოლო სასწავლო წელს შემომთავაზა: ცუდი ამინდების დროს დროებით მის სახლში მეცხოვრა, თან პერიოდულად შეამოწმებდა ჩემი მომზადების დონეს ისტორიასა და ქართულში (რაშიც დამოუკიდებლად ვმეცადინეობდი), აგრეთვე მავარჯიშებდა რუსულში მისაღები გამოცდისათვის კარნახით წერაში („диктант"-ში). ასეთი უანგარო მასწავლებლის თანადგომამ დაუდო სათავე ჩემი დამოუკიდებელი ცხოვრების პირველ ნაბიჯებს.

ტექნიკუმშიც ყველა საგანს თანაბრად (ფრიადზე) ვსწავლობდი. ამას ხმამაღლა კიდეც აღნიშნავდნენ ჩემი პედაგოგები: ქართულის მასწავლებლის აზრით, მე აუცილებლად უნდა გავმხდარიყავი ფილოლოგი, მათემატიკის მასწავლებელი მათემატიკოსობას მირჩევდა, ფიზიკისა – ფიზიკოსობას, ისტორიისა – ისტორიკოსობას და ა. შ. მიუხედავად ამისა, თინა მასწავლებლის სიყვარულითა და პატივისცემით მე და ჩემმა კურსელმა მალინა დუნდუამ სამომავლო პროფესიად ფილოლოგობა ავირჩიეთ.

1959 წელს დავამთავრე ხონის პედსასწავლებელი, მაგრამ თინა მასწავლებელი მას შემდეგაც იყო ჩემი მფარველი და იმედი, ერთგული გულშემატკივარი მისაღები გამოცდების დროს. როცა პირველ ცდაზე ვერ მოვხვდი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში (მიუხედავად საკმაოდ მაღალი ქულებისა) და მთელი წელი ვმუშაობდი სოფელში, კოლმეურნეობაში, თან დამოუკიდებლად ვმეცადინეობდი საგამოცდო საგნებში, ჩემი კეთილი მასწავლებელი კვლავაც ჩემ გვერდით იყო: მისალოცი ბარათებითა და წერილებით (მაშინ თა-

ნამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები სად იყო!) მამხნევებდა, რწმენას მიძლიერებდა და შრომას მიადვილებდა...

1960 წელს გავხდი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, თინა მასწავლებელმა უზომოდ გაიხარა; ამ ფაქტის აღსანიშნავად წიგნიც მაჩუქა სათანადო წარწერით. ასევე ახარებდა ჩემი წარმატებები სტუდენტობის წლებშიც და შემდგომი ცხოვრების გზაზე.

60 წლის წინათ დაწყებული ჩვენი საქმიანი ურთიერთობა, რომელიც შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა სითბოსიყვარულით, მავალდებულებს ერთხელ კიდევ ხმამაღლა განვაცხადო: თინა ბახტაძე გახლდათ ჩემი პედაგოგიურ-სამეცნიერო საქმიანობის პირველი მესაძირკვლე, რომელსაც ყოველთვის ახარებდა ნიჭიერი მოსწავლეების წინსვლა-წარმატება, თავადაც უხვად გასცემდა მათ მიმართ ცოდნასა და სიყვარულს, უანგაროდ ეხმარებოდა ახალგაზრდებს, რომლებშიც ხედავდა თავისი ცხოვრება-საქმიანობის გამგრძელებელს.

ჩემი ხონელი მასწავლებელი თინათინ ბახტაძე თავისი მოღვაწეობითა და პიროვნული ღირსებებით მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს თაობებისათვის, განსაკუთრებით დღეს!

ამ მოკლე მოგონებით ერთხელ კიდევ მივაგებ პატივს ძვირფასი მასწავლებლის ნათელ ხსოვნას.

დავით მაჭავარიანი

1960 წლის სექტემბრიდან დაიწყო ჩემი სტუდენტობა, პირველი ლექციები. ცხრილის მიხედვით, ქართული ენის მორფოლოგიაში პირველი ლექცია უნდა გვქონოდა პირველ სართულზე, მეშვიდე აუდიტორიაში. საგნის გასწვრივ მითითებული იყო ლექტორის გვარიც – მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი...

დაირეკა ზარი, ლექცია დაიწყო. ალბათ, ერთი წუთიც არ იქნებოდა გასული და ოთახში შემოვიდა მაღალი, გამხდარი, საკმაოდ ასაკოვანი ლექტორი (გარეგნულად ასე შევაფასეთ მაშინ). მივხვდით, რომ ეს იქნებოდა ჩვენი გრამატიკის მასწავლებელი. ახლაც მახსოვს ის პირველი ლექცია, პირველი შეხვედრა დავით მაჭავარიანთან... მთელი საათი გვესაუბრებოდა ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგის – გრამატიკის ზოგადი თეორიული საკითხების შესახებ, თუმცა ერთხელაც არ გაუღიმია, არც სხვა რაიმეზე გაუმახვილებია საგანგებო ყურადღება...

ასე შემოვიდა ჩემს სტუდენტურ ცხოვრებაში დოცენტი დავით მაჭავარიანი, მკაცრი ლექტორი, გამუდმებული შენიშვნებითა და საყვედურებით („ბევრი თქვენგანი აქ შემთხვევითაა მოხვედრილი", „ბევრი დიპლომს ვერ აიღებს" და ა. შ.). პირველივე ლექციებიდან აშკარად ვიგრძენით, რომ ჩვენი ლექტორისათვის **ქართული ენის გრამატიკა ყველაფერი იყო**, რომ არავის აპატიებდა საგნის უცოდინარობას, რაღაც საოცარი სიზუსტით ჩაჰყვებოდა ხოლმე ძირისძირამდე ამა თუ იმ სიტყვა-ფორმის ანალიზს, ერთი წვრილმანი დეტალიც არ გამოეპარებოდა. საგანს გვასწავლიდა სილრმისეულად, მაღალ მეცნიერულ დონეზე და ჩვენგანაც მოითხოვდა მყარ ცოდნას. საქმეში უაღრესად

პუნქტუალური იყო: ლექციაზე წუთითაც არ დაიგვიანებდა, გაცდენაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ხუთი წლის განმავლობაში ერთი შემთხვევაც კი არ გვახსოვს.

დავით მაჭავარიანი – გარეგნულად ერთგვარად უემოციო, უკარება, მეტისმეტად მკაცრი – მაღალი სულის ადამიანი გახლდათ, ჭეშმარიტი მოძღვარი და საუკეთესო პედაგოგი. იგი ჩვენს კურსს ხუთი წლის განმავლობაში სხვადასხვა საგანს ასწავლიდა, იყო პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელიც. ლექტორისა და სტუდენტების ეს საკმაოდ ხანგრძლივი ურთიერთობა მაძლევს უფლებას მადლიერებით განვაცხადო: დოცენტი დავით მაჭავარიანი იყო ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ერთ-ერთი **ღირსეული პიროვნება, რომელიც უხმაუროდ ცხოვრობდა, უმწიკვლოდ საქმიანობდა** და, რაც მთავარია, ერთგულ დარაჯად ედგა მშობლიურ ენას, ქართულ ენათმეცნიერებას; თავისი უსაზღვრო განსწავლულობით, მეცნიერული მოღვაწეობით კათედრის დიდ ავტორიტეტს ქმნიდა...

დავით მაჭავარიანის უპრეტენზიო, მოკრძალებული ცხოვრება და მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული საქმიანობა იქცა მისაბაძ მაგალითად თაობებისათვის, ათასობით მისი სტუდენტისათვის. ხატოვნად რომ ვთქვათ, დავით მაჭავარიანის მთელი ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა არის საოცრად შთამბეჭდავი ერთი დიდი წიგნი, რომელიც ყოველდღიურად უნდა იკითხო და ახლებურად გაიაზრო...

● ბატონი დავითი სიცოცხლის ბოლო წლებში თბილისში ცხოვრობდა შვილებთან. იგი თურმე ზაფხულის თვეში გარდაიცვალა, ამიტომ ჩვენ – მისმა ყოფილმა სტუდენტებმა და კოლეგებმა – გულწრფელი ცრემლით ვერ გავაცილეთ ძვირფასი მასწავლებელი სამუდამო განსასვე-

ნებლისაკენ მიმავალ გზაზე. სწორედ ამ გადაუხდელი ვალის საზღაურად არაერთი თბილი მოსაგონარი თუ ოფიციალური წერილი მივუძღვენი მის ნათელ ხსოვნას.

სტუდენტებს ღრმა პატივისცემა და დიდი კრძალვა რომ ჰქონდათ ბ-ნი დავითისადმი, ერთი შეხედვით, ამ „ცივი", „მიუკარებელი" მასწავლებლისადმი, ეს არაერთხელ გამოჩნდა მათს მოგონებებში, კერძო პირად ბარათებშიც. თურმე სტუდენტებს უფრო იზიდავდა მისი უხმაურო, ურეკლამო, გულწრფელი საქმიანობა, მისი უსიტყვო სიყვარული და სითბო, რომელსაც თვალები უფრო ხშირად ავლენდნენ, ვიდრე ბაგეები (ლ. კვანტალიანი). სწორედ მასწავლებლის ამ გაუმხელელმა გულითადმა სიყვარულმა მის ყოფილ სტუდენტებს წლების შემდეგ შეგვაქმნევინა ერთი ლამაზი წიგნი **„ჩვენი დავით მაჭავარიანი"** (თბილისი, 2013). ყველას გვიხაროდა, რომ ამით მოკრძალებული პატივი მივაგეთ ჩვენს საყვარელ დავით მაჭავარიანს.

შენიშვნა: 1. დავით მაჭავარიანის დაბადების 90 წლის აღსანიშნავად 1991 წლის 28 მარტს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ყოფილი პედაგოგიური ინსტიტუტის) სტუდენტთა საენათმეცნიერო წრემ (ჩემი ხელმძღვანელობით) ჩაატარა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის ყოფილი ხელმძღვანელის დოცენტ დ. მაჭავარიანის სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას; განსაკუთრებით გამოიკვეთა 1969-1979 წლებში მისი, როგორც სანიმუშო ხელმძღვანელის, მრავალმხრივი და საინტერესო საქმიანობა.

2. ყოფილი სტუდნტების: თ.ამყოლაძის, რ.ბერეკაშვილის, რ.დევდარიანის, რ.ზექალაშვილის, ა.ყიფიანის, ნ.ცხვედიანის თანამონა-

წილეობით (ჩემი რედაქტორობით) გამოიცა დ. მაჭავარიანისადმი მიძღვნილი ზემოაღნიშნული ხსოვნის წიგნი. მასში გარდა ცალკეული მოგონებებისა, დანართის სახით შეტანილია მეცნიერის შრომების ბიბლიოგრაფია და მასალები საოჯახო არქივიდან. მადლობას ვუხდით ბატონი დავითის შვილებსა და შვილიშვილებს წიგნზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის.

აქვე მკითხველს შევახსენებთ ერთ ინფორმაციასაც: 2013 წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა აგრეთვე დ. მაჭავარიანის სტატიების კრებული **„ენათმეცნიერული ნარკვევები“**. იგი გამოსაცემად მოამზადა ბატონი დავითის შვილიშვილის – დავით მაჭავარიანის მეუღლემ ნანა ხოჭოლავამ. წიგნი დაიბეჭდა მათი ოჯახის ინიციატივით.

ახლა კი მინდა წარმოვადგინო ჩემი ორიოდე მოგონება ბ-ნ დავითთან მიმართებაში სხვადასხვა დროის ფაქტებთან დაკავშირებით.

• ჩვენს კურსზე რიცხობრივად ჭარბობდნენ ვაჟი სტუდენტები, ისინი ისტორიის „ხათრით“ იყვნენ ამ ფაკულტეტზე ჩარიცხულები, თითქმის არცერთს არ უყვარდა გრამატიკა; ფონეტიკა-მორფოლოგიას ისევ ლექტორის შიშითა თუ ხათრით სწავლობდნენ. გოგონები უფრო ბეჯითები ჩანდნენ, თუმცა პირველ ხანებში მაინც გარკვეულად უჭირდათ სხვადასხვა სტილის ლექცია-პრაქტიკუმების ერთნაირად აღქმა და მასალის ათვისება. თავიდანვე გამოიკვეთა, რომ მე უფრო ადვილად ავუღე ალღო ლექციებს, რადგან უკვე დამთავრებული მქონდა პედაგოგიური სასწავლებელი და ამიტომ ქართული ენა ჩემს თანაკურსელებთან შედარებით უკეთ ვიცოდი. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩენია ჩვენს ლექტორსაც, ამიტომ

მისთვის თავიდანვე ვითვლებოდი „კარგ სტუდენტად“. მიუხედავად ამისა, პირველად მეც სხვებივით „მეშინოდა“ ამ მეტისმეტად „მკაცრი კაცისა“. მალე, ზამთრის ერთ დღეს, ყველამ ერთად ვიგრძენით, რომ ჩვენი მასწავლებელი – ეს „ცივი“, მიუკარებელი ადამიანი, თურმე საოცრად კეთილი და გულთბილი ყოფილა.

ერთხელ მეშვიდე აუდიტორიაში ბ-ნი დავითის პრაქტიკუმი გვქონდა. მე დაფასთან ვიდექი, წინადადებას ვარჩევდი (ამ აუდიტორიას ფანჯრები იმ მხარეს ჰქონდა, სადაც ჩვენ (მე და ერთი კურსელი) ვცსოვრობდით ნაქირავებ ბინაში). უცბად ჩვენი ბინის ახლოს გაისმა მენავთის საყვირის ხმა. აწრიალდა მერხზე ჩემი თანამეოთახე გოგონა, ჩუმად მანიშნა – რა ვქნათო. მეც ძალიან შევწუხდი, ნავთის შეძენის შედარებით იოლი საშუალება ხელიდან გვეცლებოდა, მაგრამ რას ვიზამდი? დაფასთან გასული კი არა ჩვეულებრივად მერხზე მჯდომიც ვინ გაუბედავდა დავით მაჭავარიანს რაიმეს თხოვნას, მით უმეტეს, გარეთ გაშვებას... მე წინადადების გარჩევას მაინც ვაგრძელებდი, ე. ი. ვლაპარაკობდი, თუმცა გონებაში ისევ ნავთი მიტრიალებდა. ეტყობა, ჩემი შინაგანი აფორიაქება სახეზედაც გამომეხატა, რაც ლექტორისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა თურმე. იგი დაფასთან ახლოს მოვიდა და მისთვის გარეგნულად უჩვეულო თბილი ხმით მკითხა: რა მოხდა, ხომ არაფერი გაწუხებს?

ჩანს, ამ მოულოდნელმა სითბომ და ყურადღებამ მეც ცოტა გამათამამა და მორიდებით ვუპასუხე: მენავთემ ჩამოიარა და ნავთის ყიდვა გვინდა-მეთქი. მაშინვე მითხრა: ახლავე წადი, გაიქეცი და იყიდეო. ეს ყველაფერი, ალბათ, ერთ წუთში მოხდა. ჩემი ამხანაგები გაოცებულები მოგვჩერებოდნენ, ეგონათ, ჩემი სიტყვებისათვის მასწავლებლისა-

გან საყვედურს დავიმსახურებდი; საბედნიეროდ, მათი შიში არ გამართლდა.

ერთი შეხედვით, თითქოს ეს უბრალო შემთხვევა იყო, მაგრამ იმ დღიდან ჩვენ, მთელმა ჯგუფმა, სულ სხვა თვალით შევხედეთ ბ-ნ დავითს... ერთობლივი მუშაობის ხუთი წლის მანძილზე ჩვენი მასწავლებელი გვიყვარდა ყველას – ძლიერ სტუდენტსაც და სუსტსაც.

• იქნებოდა 1980 წელი. ერთ დღეს ორივე ბავშვთან ერთად გრიშაშვილის ქუჩის გავლით მივდიოდი მოედნისაკენ. თეთრ ხიდს რომ მივუახლოვდით, დავინახე, დავით მაჭავარიანი ნელი ნაბიჯით ჩვენკენ მოემართებოდა ხელში თავისი განუყრელი ბადურათი (მაშინ იგი პენსიაში იყო და ხშირად ვეღარ ვხვდებოდი). თვალი მოვკარი თუ არა, რაღაც საოცარი სითბო და სიხარული ჩამეღვარა სულში. მართლა გულწრფელად მიყვარდა, პატივს ვცემდი არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ ნებისმიერი სტუდენტის მიმართ გაწეული დიდი ამაგისათვის, თუნდაც შემდგომში უმცროსი კოლეგების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის[1] და, რაც მთავარია, იმისათვის, რომ იგი ბოლომდე ჩემი მასწავლებელი იყო, საუკეთესო მაგალითი ზნეობრივი სისპეტაკისა და უბრალოების მხრივაც. სამწუხაროდ, აშკარად ვერასოდეს ვერ გამოვხატავდი მასთან ამ გრძნობას

[1] როცა 1973 წელს კათედრაზე აპრობაციისათვის წარვადგინე ჩემი სადისერტაცია ნაშრომი, იგი სარეცენზიოდ გადასცეს დავით მაჭავარიანს, საყოველთაოდ ცნობილს თავისი პრინციპულობით, ობიექტურობით, პუნქტუალობით. ეს მე ძალიან გამიხარდა. ვიცოდი, უყურადღებოდ არ დატოვებდა არც ერთ სტრიქონს, მოახდენდა ნაშრომის გ ა მ ო წ ვ ლ ი ლ ვ ი თ ს (ეს მისგან ნასწავლი ტერმინია და ძალიან მიყვარს!) ანალიზს, რაც ჩემთვის განსაკუთრებით ფასეული იქნებოდა დისერტაციის დაცვის დროს. ამ დასკვნა-რეცენზიისთვისაც დიდი მადლობა მას.

(პირველ რიგში, მისი თავშეკავებული, თითქოს უემოციო ბუნების გამო, თანაც არც მე ვიყავი „გამბედავი“ ასეთ სიტუაციებში). და აი, წუთიც და ერთმანეთის პირისპირ აღმოვჩნდებოდით. კვლავინდებურად ავღელდი. ბ-ნი დავითი ახლა თითქოს უფრო მობერებული და სევდიანი მეჩვენა, მაგრამ, როგორც კი შევხვდით ერთმანეთს, გულისგულიდან მომდინარე სითბომ და ღიმილმა გაუნათა სახე. თავად პირველი მომესალმა, მომიკითხა, რაც სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის, თანვე ჩემი ბიჭების მიმართ ნამდვილ მოსიყვარულე ბაბუად იქცა. სადღა იყო ის სიტყვაძუნწი დავით მაჭავარიანი! დაიხარა ბავშვების სიმაღლეზე, ორივეს თავზე გადაუსვა ხელი, თბილად ეფერებოდა და ღიმილით ეკითხებოდა: აბა, როგორ ხართ ვაჟკაცებო! დედას არ აწყენინოთ. ლექსები და ზღაპრები ხომ იცით? მერე, სკოლაში რომ შეხვალთ, კარგად უნდა ისწავლოთ. წიგნი უნდა გიყვარდეთო... ბიჭები ჯერ გაოცებულები შეჰყურებდნენ უცნობ ბაბუას, შემდეგ უფრო „გათამამდნენ“. უფროსი ვაჟი ყურადღებით უსმენდა და შეკითხვაზეც პასუხს სცემდა... ბოლოს სამივე დაგვლოცა, მისთვის თითქოს უჩვეულო ღიმილითა და კმაყოფილი გამომეტყველებით დაგვშორდა, მე კი დამიტოვა იმ იშვიათი, მეტად ფასეული და მრავლისმეტყველი ღიმილის მაგიური ძალა „ამ უსწორმასწორო წუთისოფელში“ ცხოვრებისეულ საგზლად.

და ბოლოს: 2013 წელს ბ-ნი დავითის ხსოვნის წიგნზე მუშაობისას რომ წავიკითხე შვილიშვილებისადმი გაგზავნილი მისი პირადი წერილები, გამახსენდა ქუთაისში, თეთრ ხიდთან, ჩვენი შეხვედრის მომენტი, ჩემი ბიჭების მიმართ გამოჩენილი სითბო და ყურადღება, რაც მაშინ მე იშვიათ გამონაკლისად ჩავთვალე. თურმე ვცდებოდი: ამ წერილებით მე დავინახე სრულიად სხვანაირი და-

ვით მაჭავარიანი, რომლის შინაგანი ბუნება ასხივებდა ყველაფერს ამაღლებულს, მისაბაძს. მისი თითოეული წერილი ძალიან საინტერესოა შინაარსით, გამოხატვის ფორმითა და მიზანდასახულობით.

კეთილი ბაბუა თანაბრად უნაწილებს შვილიშვილებს სითბო-სიყვარულს, ასწავლის ცხოვრების სიბრძნეს, ადამიანის დანიშნულება-მოვალეობას, ცოდნის შეძენის აუცილებლობას, წიგნისა და შრომის სიყვარულს.

ამჯერად სანიმუშოდ გთავაზობთ შვილიშვილებისადმი გაგზავნილი წერილებიდან ორიოდე ამონარიდს:

„ჩემო დათო! გამარჯობა! როგორ მიდის საქმე?

...წიგნი, რვეული, საწერკალამი უნდა აიღო; მაგიდასთან უნდა დაჯდე ცოტა უფრო ხანგრძლივად. მთავარია ნებისყოფა. ნიჭი და უნარი შენ გაქვს. წიგნის მხოლოდ წაკითხვა არ კმარა, უნდა გაიგო წაკითხული და შეითვისო – აი, რა არის მთავარი. წიგნის გადათვალიერება, გადაფურცლა კითხვა როდია. წიგნს უნდა ჩაუღრმავდე, არ უნდა მოეშვა, სანამ კარგად არ გაიგებ“...

„ჩემო ზვიად! გამარჯობა!

... მთავარია წიგნების კითხვა. კითხვა გონებისთვის იგივეა, რაც ვარჯიში სხეულისთვის (ა. სტალი). წაიკითხო, ეს ჯერ არაფერს ნიშნავს; რა იკითხო და როგორ გაიგო წაკითხული – აი, რა არის მთავარი (კ. უშინსკი). წიგნის კითხვისას უნდა გქონდეს საერთო რვეული. უნდა ჩაიწერო ავტორის სახელი და გვარი, სათაური, მოკლე შინაარსი, გაუგებარი სიტყვები, რა მოგეწონა და სხვ. ეს აუცილებელია. ისე კითხვას ფასი არა აქვს“...

P. S. დაინტერესებულ მკითხველს ეს წერილები შეუძლია წაიკითხოს დ. მაჭავარიანის „ენათმეცნიერულ ნარკვევებში“ (დანართში).

პოლიკარპე ჯაჯანიძე

მოგონებები მადლიერი მოწაფისაგან

2010 წლიდან თბილისში ვცხოვრობ. საოჯახო მასალებზე დაყრდნობით სხვადასხვა დროს აქ გამოვეცი ჩემი მასწავლებლების: დ. მაჭავარიანის, ქ. ძოწენიძისა და ლ. კვანტალიანისადმი მიძღვნილი ხსოვნის წიგნები (რომლებშიც შევიდა ზოგიერთი მათი ყოფილი სტუდენტის მოგონებებიც).

ამ ბოლო წლებში ერთგვარად გამიძლიერდა უკმარისობის განცდა, რომ ვერ შევძელი ჩემთვის ასევე ძვირფასი მასწავლებლის პოლიკარპე ჯაჯანიძისადმი მიძღვნილი ხსოვნის წიგნის გამოცემა. თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ ბატონი პოლიკარპეს ქალიშვილი ნარგიზა ჯაჯანიძე (ჩვენი კოლეგა) იზრუნებდა მამის არქივის დამუშავებაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, იგიც ისე გარდაიცვალა, რომ ეს საქმე შეუსრულებელი დარჩა. ახლა ჩემთვის ფიზიკურად ადვილი აღარ არის ქუთაისში საოჯახო არქივზე მუშაობა, მიუხედავად ჩემი უდიდესი სურვილისა...

მიმაჩნია, რომ პ. ჯაჯანიძის მიერ ხელნაწერის სახით დატოვებული არაერთი სტატია, ალბათ, წიგნიც და სხვა ჩანაწერები მნიშვნელოვნად გაამდიდრებდა ქართულ ენათმეცნიერებას. ამჯერად კი მინდა საზოგადოებას გავაცნო პროფესორ პოლიკარპე ჯაჯანიძის ცხოვრება-მოღვაწეობის მოკლე ოფიციალური მიმოხილვა და, რაც მთავარია, მისი ყოფილი სტუდენტის თვალით დანახული მასწავლებლის პიროვნული თვისებები ნიშნად მისი ხსოვნის პატივგებისა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **პოლიკარპე პარმენის ძე ჯაჯანიძე** დაიბადა 1910 წლის 28 აგვისტოს ვანის რაიონის სოფელ ინაშაურში. დაამ-

თავრა სოფლის შვიდწლიანი სკოლა, 1930 წელს – ქუთაისის სამრეწველო-ეკონომიკური ტექნიკუმი. 1932 წლიდან პ. ჯაჯანიძე შეუდგა პედაგოგიურ საქმიანობას – 1932-1933 წლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა სოფელ გეგუთის ახალგაზრდობის სკოლაში. 1933 წელს სწავლა გააგრძელა ქუთაისში ახალგახსნილი პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა 1937 წელს. იმავე წლის სექტემბერში ჯაჯანიძე გახდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთაგან პირველი ასპირანტი ენათმეცნიერებაში. მის მუშაობას ხელმძღვანელობდნენ ცნობილი მეცნიერები: ა. შანიძე, ვ. თოფურია (ქართულ ენასა და დიალექტოლოგიაში), არნ. ჩიქობავა (ზოგად ენათმეცნიერებაში), გ. ახვლედიანი (ზოგად და ექსპერიმენტულ ფონეტიკაში) და სხვ.

პ. ჯაჯანიძემ 1940 წელს დაამთავრა ასპირანტურა და მუშაობა დაიწყო სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, მაგრამ მისი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა იქ დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან 1941 წელს, სამამულო ომის დაწყებისთანავე, ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. მისი საბრძოლო დამსახურება მრავალგზის აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით.

პ. ჯაჯანიძე 1946 წელს დაუბრუნდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს, დაიწყო მუშაობა ქართული ენის კათედრაზე უფროს მასწავლებლად; 1947 წლიდან იყო ამავე ინსტიტუტის უცხოურ ენათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, 1952-1955 წლებში – ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. 1969 წლიდან სათავეში ჩაუდგა ქართული ენის კათედრას, რომელსაც განაგებდა 1977 წლამდე, გარდაცვალებამდე.

პ. ჯაჯანიძემ **1952** წელს ა. შანიძის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე **„ზმნათა პირველი სერიის ფორმათა წარმოება ახალი აღთქმის წიგნის ერთი ძველი ხელნაწერის მიხედვით“**, **1971** წელს კი – სადოქტორო დისერტაცია **„გური დიალექტი აჭარულთან მიმართებაში“** (ამ მონოგრაფიასთან დაკავშირებით ვრცლად იხ. გვ. 21-22).

პ. ჯაჯანიძე გახლდათ თვალსაჩინო მეცნიერი და საუკეთესო მასწავლებელი, რომელსაც შემოქმედებითი ცხოვრების მთელს მანძილზე ამშვენებდა შესაშური შრომისმოყვარეობა, მეცნიერული კვლევისას პუნქტუალობა და სიფრთხილე, საქმისადმი ერთგულება და უდიდესი პასუხისმგებლობა, ადამიანური სითბო და ახალგაზრდობის სიყვარული. მრავალმხრივი იყო მისი სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო: ერთნაირი ინტერესით იკვლევდა ძველი და ახალი ქართული ენის გრამატიკას, დიალექტებსა და ტოპონიმებს; უძველეს ხელნაწერ ტექსტებს... ავტორია 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა.

პ. ჯაჯანიძემ, ფუტკარივით მშრომელმა და მოუღლელმა მკვლევარმა, დატოვა მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა. ამათგან ნაწილი დაბეჭდილია, ზოგიც გამზადებული ჰქონდა სასტამბოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოასწრო მათი წიგნებად გამოცემა. ქართველ ლინგვისტთა წრეში მას იცნობდნენ, როგორც დაკვირვებულ, ნიჭიერ მკვლევარსა და ქართული ენის დაუღალავ მსახურს: იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებული ქართული ენის სამეცნიერო საბჭოს, დიალექტოლოგიისა და ისტორიის სამეცნიერო საბჭოს საქართველოს სექციის, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი...

პროფ. პ. ჯაჯანიძის მეცნიერული მემკვიდრეობა ქართული ლინგვისტური აზროვნების ისტორიაში დარჩება როგორც ერთ-ერთი სანდო წყარო და ფასეული მასალა.

ასეთი გახლავთ პ. ჯაჯანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე ოფიციალური ქრონიკა[1].

პ. ჯაჯანიძე გახლდათ არა მხოლოდ კარგი მეცნიერი, არამედ კარგი პედაგოგიც. კითხულობდა ლექციებს ენათმეცნიერების შესავალში, ძველ ქართულში; ხელმძღვანელობდა სტუდენტთა პედაგოგიურ პრაქტიკას, ატარებდა სპეცკურსებსა და სპეცსემინარებს... მისი ყოველი ლექცია გამოირჩეოდა აკადემიურობით, მაღალი მეცნიერული დონით, ლოგიკურობა-დახვეწილობით.

ჩვენთვის – სტუდენტებისათვის – ამგვარი ლექცია-პრაქტიკუმები იყო მეცნიერებაში ახლის ძიების ჩვევათა გამომუშავების საუკეთესო საშუალება. ამა თუ იმ საკითხის ახსნისას ბატონი პოლიკარპე ჯერ გვაცნობდა სხვა მეცნიერთა შეხედულებებს (რომლებიც იმ დროს ჩვენთვის ნაკლებხელმისაწვდომი იყო), შემდეგ საკუთარ თვალსაზრისსაც შემოგვთავაზებდა და ბოლოს ჩვენგანაც მოითხოვდა შეძლებისდაგვარად გარკვეული დასკვნის გამოტანას... ამ მხრივაც დიდად დავალებული ვარ ჩემი მასწავლებლისაგან. მისი პედაგოგიური მეთოდები, სალექციო სტილი საფუძვლად დაედო სტუდენტებთან ჩემს მუშაობასაც.

მოგეხსენებათ, რომ მასწავლებელი (ანუ მოძღვარი) მხოლოდ მეცნიერი ან თუნდაც კარგი ლექტორი როდია. იგი, პირველ ყოვლისა, ადამიანია, რომელიც თავისი პი-

[1] ამასთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხ. ჩვენს წიგნში „ქართული ენის მოამაგენი" (თბ., 2006, გვ. 92-96), ასევე ჩვენს სტატიაში „პროფესორი პოლიკარპე ჯაჯანიძის გახსენება": გაზ. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი", 2017, სექტემბერ-ოქტომბერი).

როვნული თვისებებითაც სამაგალითო ხდება მოწაფეთათვის, როგორც სულიერი მეგზური. ამ მიმართულებითაც ბევრი კარგი რამ შემორჩა ჩემს მეხსიერებას. ტკბილ მოგონებად აქამდე მომყვება სტუდენტურ აუდიტორიაში ბატონი პოლიკარპეს გვერდით გატარებული დღეები.

პირველ კურსზე **ენათმეცნიერების შესავალს** გვასწავლიდა. 1960 წლის სექტემბერში პირველ ლექციაზე რომ შემოვიდა ჩვენს ჯგუფში, ყველა განსაკუთრებული მოკრძალებით შევხვდით ამ „ხანშიშესულ" ლექტორს (არადა მაშინ თურმე 50 წლისა ყოფილა!). სხვა მასწავლებლებთან შედარებით იგი მეტისმეტად დინჯი, თავშეკავებული და „სერიოზული" გვეჩვენებოდა... მკაცრი და მომთხოვნი იყო; ზედმიწევნითი პუნქტუალობით ატარებდა ლექცია-პრაქტიკუმებს და ჩვენგანაც მოითხოვდა ბეჯითობასა და პასუხისმგელობას. ერთი სიტყვით, ძალიან „გვეშინოდა" მისი. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ახალბედა სტუდენტებმა ალღო ავუღეთ ახალ საგანსა და ლექტორის მუშაობის სტილსაც, დავრწმუნდით, რომ ჩვენი მასწავლებელი არ უნდა ყოფილიყო მთლად ისეთი მკაცრი, საშიში და „შეუვალი", როგორიც გვეგონა პირველ ხანებში.

I კურსის ბოლოს საგანი კარგად რომ ჩავაბარეთ, კმაყოფილი დარჩა, შეგვაქო და წარმატებები გვისურვა, თან შეგვპირდა: მომდევნო კურსებზე ისევ შევხვდებით ერთმანეთსო. ასეც მოხდა: სხვადასხვა დროს გვიკითხავდა სპეცკურსს, გვიტარებდა სპეცსემინარს, IV კურსზე კი გვასწავლიდა **ძველ ქართულ ენას**. მაშინ ამ საგანში სახელმძღვანელო არ არსებობდა, დამატებითი სპეციალური ლიტრატურის მოძიებაც ჩვენთვის ძალიან ძნელი იყო. ამიტომ თითქმის ყველა ლექციას ვიწერდით. ბუნებრივია, ასეთ პირობებში არც ლექციის წაკითხვა იქნებოდა ადვილი და არც მისი უშეცდომოდ ჩანიშვნა-ჩაწერა სტუდენტების მიერ. მაგრამ ჩვენი ლექტორი (უკვე თავისი მრავალწლიანი გა-

მოცდილების წყალობით) ისე მწყობრად, ნათლად და დინჯად გვიხსნიდა მასალას, დაფასაც ისე მარჯვედ იყენებდა, რომ შედარებით ადვილად ვახერხებდით მოსმენასაც და ძირითადი საკითხების ჩაწერასაც.

გულწრფელად უხაროდა სტუდენტისაგან კარგი პასუხის მოსმენა; ასეთ დროს აღარ იყო „ძუნწი" შექებაში. აშკარად ჩანდა, რომ ზედა კურსებზე უფრო ახლოს იდგა სტუდენტებთან, ზოგჯერ ხუმრობდა კიდეც და, რაც მთავარია, უფრო გულღია, თბილი ურთიერთობა მყარდებოდა მასწავლებელსა და სტუდენტს შორის...

V კურსის მეორე სემესტრში ჩვენი ჯგუფის (კურსის ერთი ნაწილის) პედაგოგიურ პრაქტიკასაც ხელმძღვანელობდა ქუთაისის რკინიგზის XI საშუალო სკოლაში. პედპრაქტიკა წინა წელსაც იქ გავიარეთ დოც. დ. მაჭავარიანის ხელმძღვანელობით და ახლა საკმაოდ „გამოცდილი და დახელოვნებული მასწავლებლები" უფრო თამამად, შინაგანი დაძაბულობის გარეშე შევდიოდით გაკვეთილებზე IX-X კლასებში.

ბატონი პოლიკარპე ყოველთვის კმაყოფილი იყო ჩვენი – პრაქტიკანტების მუშაობით, თავადაც სისტემატურად გვეხმარებოდა კონსულტაციებით, ჩატარებული გაკვეთილების სიღრმისეული ანალიზით, მეთოდური მითითებებით და ა. შ. ცხადია, ჩვენც აშკარად ვგრძნობდით მასწავლებლის მხრიდან განსაკუთრებულ სითბოსა და სიყვარულს (ეს ურთიერთკეთილგანწყობა დღემდე შემოგვინახა პედპრაქტიკის პერიოდში რკინიგზის სკოლაში მასთან ერთად გადაღებულმა ფოტოსურათმაც).

როცა ჩემს ყოფილ მასწავლებლებს ვიგონებ, კინოკადრებივით გონებაში ერთმანეთს ცვლის ესა თუ ის ეპიზოდი, რომელთაგან ზოგი მკრთალად შემორჩენია მეხსიერებას, ზოგი კი ისევ „გუშინდელივით" გახსოვს და გწამს, რომ

თავისი რაღაც განუმეორებელი განცდითა თუ შედეგით ბოლომდე იქნება შენი ცხოვრების თანამგზავრი. ამგვარი თბილი გრძნობა მეუფლება პოლიკარპე ჯავჯანიძის გახსენებისას ერთი ეპიზოდის გამო:

ჩემი სტუდენტობის პერიოდი (1960-1965 წწ.) მატერიალურ-ყოფითი პირობების მიხედვით არც თუ სახარბიელო იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით გვიჭირდა რაიონებიდან ჩამოსულ სტუდენტებს, რომლებიც ნაქირავებ ბინებში ვცხოვრობდით ერთადერთი ნავთქურის („კერასინკის“) იმედად, მაგრამ, სამწუხაროდ, ნავთი მაშინ დეფიციტი იყო და ძლივს ვშოულობდით... ერთხანს ამას ისიც დაემატა, რომ თითქმის აღარ იყიდებოდა „გამომცხვარი“ პური. ვისაც საკუთარი თვალით უნახავს (ახსოვს) პურისმაგვარი ფორმის ეს მასა, დამემოწმება, რომ მას პირობითად ეწოდებოდა „პური“: კაცი ვერ გაიგებდა მის სუნს, ფერსა და შედგენილობას. მიუხედავად ამისა, რამდენიმე დღეში რომ ერთი ასეთი პური „გვეშოვა“, საათობით (ზოგჯერ შუაღამემდეც) პურის მაღაზიებთან რიგში უნდა ვმდგარიყავით... ამ დროს ქალაქში სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავეთათვის შემოიღეს სპეციალური „პურის ტალონები“. ჩვენი ინსტიტუტის ლექტორ-თანამშრომლებიც ასეთი ტალონებით იღებდნენ პურს ინსტიტუტის სასადილოში. როცა ბატონმა პოლიკარპემ გაიგო, რომ მე და ჩემი ერთი თანაკურსელი (თანამეოთახე) გოგონა ძალიან გაწვალებული ვიყავით პურის გამო, მაშინვე მოგვცა თავისი ტალონი, რომლითაც ინსტიტუტის სასადილოდან გამოგვქონდა **პოლიკარპე ჯავჯანიძის პური** (ოფიციალურად ასე უნდა გვეთქვა) და ნაწილს ჩვენ ვიტოვებდით. დიახ, ეს იყო მაშინ ჩვენთვის ზღაპრული ბედნიერება, რაც „მოვიპოვეთ“ ჩვენი ძვირფასი მასწავლებლის კეთილშობილებით...

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა ჩემი ცხოვრების ამ ერთი ეპიზოდიდან, მაგრამ ახლაც თვალწინ მიდგას ბატონი პოლიკარპეს გაღიმებული სახე – პურის ტალონის გადმოცემისას ჩვენს გაოცებას, დაბნეულობასა და მადლიერებით აღსავსე თვალებს რომ უყურებდა... ძვირფასო მასწავლებელო, ერთხელ კიდევ გიხდით უსაზღვრო მადლობას ამ მამაშვილური სითბო-სიყვარულისათვის და, საერთოდ, სტუდენტისათვის გაწეული უანგარო შრომისათვის.

... 1968 წლის მარტიდან (როცა უკვე ვიყავი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის ასპირანტი) მუშაობა დავიწყე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრაზე ლაბორანტად.

მოხდა ისე, რომ 1968 წლის დასაწყისში ჩვენი კათედრის ლაბორანტი მ. ქაცარავა გადაიყვანეს სხვა კათედრაზე მასწავლებლად. ლაბორანტის ადგილი თავისუფლდებოდა, მაგრამ იყო საშიშროება იმისა, ხელმძღვანელობას აქ შეიძლებოდა დაენიშნა „მისიანი“ (ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავი იყო მაშინ, ლექტორების შვილებისა თუ ნათესავებისათვის „გზა ხსნილი“ იყო!). ამ დროს ქართული ენის კათედრის გამგის მოვალეობას ასრულებდა პ. ჯაჯანიძე, ქ. ძოწენიძე სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობის გამო შვებულებაში იყო (ინსტიტუტში არ დადიოდა, თუმცა კათედრის წევრებმა იცოდნენ მისი აზრი – ლაბორანტად ჩემი მიყვანის თაობაზე). რამდენადაც ამ თავისუფალ ადგილთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული საშიშროება არ იყო გამორიცხული, ქართული ენის კათედრამ მალევე მიმართა რექტორატს, ლაბორანტად ჩემი კანდიდატურა დაემტკიცებინა. სხვათა შორის, ოფიციალურ ბრძანებაში ეწერა: „დაინიშნოს დ რ ო ე ბ ი თ ლ ა ბ ო რ ა ნ ტ ა დ“... სიტყვა „დროებითმა“ პირველად შემაშინა და კათედრის გამგეს ვკითხე: რამდენი ხნით ვარ დანიშნული-მეთქი. ბატონმა პოლიკარპემ გამიღიმა და

მითხრა: ნუ გეშინია, ჩვენ ამ ადგილზე სხვას არ მივიღებთ. ისე კი, თუკი იბეჯითებ და ასპირანტურას დროულად დაამთავრებ, მასწავლებლადაც შეიძლება მალე გადაგიყვანოთო. მაშინ მისმა სიტყვებმა და ღიმილმა არა მხოლოდ დამამშვიდა, არამედ გამამხნევა კიდეც და ჩემი შემდგომი წარმატებული საქმიანობის რეალური შესაძლებლობაც მაგრძნობინა.

მას შემდეგ მრავალი წელი ვმუშაობდი პოლიკარპე ჯაჯანიძის გვერდით ჯერ როგორც ლაბორანტი, შემდეგ კი – ლექტორი. ყოველთვის პასუხისმგებლობით ვასრულებდი ჩემს საქმეს, ვცდილობდი გამემართლებინა ჩემი მასწავლებლის იმედი და ნდობა. მასთან (როგორც კათედრის გამგესა და უფროს კოლეგასთან) საქმიანმა ურთიერთობამ წლების მანძილზე ბევრი რამ მასწავლა, სხვა თვალით დამანახა ლექტორის ყოველდღიური საქმიანობა, რომლის მთავარი არსი მეცნიერებისა და სტუდენტის უმწიკვლო მსახურება უნდა ყოფილიყო.

ბატონი პოლიკარპეს სადოქტორო დისერტაციის დაცვასაც ვესწრებოდი. იმ დღეს, მგონი, გარეგნულად მე უფრო ვღელავდი, ვიდრე თავად დისერტანტი... ყველაფერმა კარგად რომ ჩაიარა, უზომოდ გავიხარეთ, გვეამაყებოდა ჩვენი მასწავლებლის ჭეშმარიტად დამსახურებული წარმატება, ეს ხომ კათედრის გამარჯვებაც იყო!

პროფესორი პ. ჯაჯანიძე თავისი შრომისმოყვარეობით, საქმეში პუნქტუალობით სიცოცხლის ბოლომდე იყო სამაგალითო მასწავლებელი, ხოლო მის წიგნთან („გ უ რ უ ლ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი, I, ტექსტები, ლექსიკონი") ჩემი ყოველი მიახლოება არის ავტორის მიმართ მოკრძალებისა და პატივისცემის გამოხატულება.

2019 წელი
თბილისი

ქეთევან ძოწენიძე

ეძღვნება ქ. ძოწენიძის
დაბადებიდან 100 წლისთავს

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი მეცნიერული მემკვიდრეობითა და მკვეთრად გამორჩეული პიროვნული ღირსებით წარუშლელ კვალს ტოვებენ არა მხოლოდ თანამედროვეთა შორის, არამედ მისაბაძ მაგალითად იქცევიან თაობებისათვის. ჭეშმარიტად ასეთი გახლდათ ქეთევან ძოწენიძე – ჩემი მასწავლებელი!

ქალბატონი ქეთევანის პიროვნებაში უხვად იყო მომადლებული განსაკუთრებული ნიჭიერება და ხალასი აზროვნება, საქმის სიყვარული და უდიდესი პასუხისმგებლობა; მეცნიერული კეთილსინდისიერება, პრინციპულობა და უანგარობა; უსაზღვრო კეთილშობილება, სულიერი სიფაქიზე და პოეტურობა, ჭარბგრძნობიერება და ზოგჯერ ბავშვური გულუბრყვილობაც კი, ანუ ჰქონდა სხვათაგან სრულიად განსხვავებული, თავისებური ხასიათი.

„ქეთევან ძოწენიძეს ჰქონდა ისეთი ადამიანური ხიბლი, რომლის არც სწავლა შეიძლება, არც მიბაძვა, არც შეძენა, თუ ეს განგებამ თავად არ გიბოძა, არ დაგასაჩუქრა. აი, ამ თვითნაბად სიმდიდრეს ფლობდა გამორჩეული ქალბატონი“ (მ. გოშხეთელიანი).

ქ. ძოწენიძის „განმეორება“ მართლაც შეუძლებელი იყო, მაგრამ შეგეძლო მისგან გესწავლა ბევრი რამ კარგი... მისი ყოველი სიტყვა, როგორც დაუწერელი კანონი, უსაზღვრო ძალასა და ენერგიას ჰმატებდა სტუდენტს. თითქოს ახლაც ჩამესმის მის მიერ ლექციებზე არაერთგზის წარმოთქმული წინადადება – „როცა ახალგაზრდა ვიყავი, ცხოვრება ვარდისფერი განთიადი მეგონა“. ჩვენც, მის შეგირდებს, სტუ-

დენტური წლები მართლაც გვეგონა ვარდისფერი განთიადი, რომელშიც საყვარელი მასწავლებლის თანადგომით იკვეთებოდა ჩვენი იმჟამინდელი სამომავლო გეგმები.

სტუდენტობის დროს ქეთევან ძოწენიძემ მასწავლა ქართული ენის გრამატიკა, თანვე მაზიარა ენათმეცნიერული აზროვნების საფუძვლებს, პირადი მაგალითით შემაცნობინა ადამიანთა სითბო და სიყვარული და, რაც მთავარია, ჩემში მისი პიროვნებით ჩამოძერწა ჭეშმარიტი მოძღვარ-მასწავლებლის სანიმუშო სახე... ქალბატონი ქეთევანის გულისხმიერება, შესაშური უშუალობა, თავმდაბლობა, მართალი სიტყვა საუკეთესო გაკვეთილი იყო სტუდენტისათვის. ყველა ვგრძნობდით, რომ ეს არაჩვეულებრივი ქალბატონი – დედასავით მზრუნველი და ახლობელი – იმავდროულად ერთგვარად მიუწვდომელიც იყო თავისი ამაღლებულობითა და გამორჩეულობით.

ქეთევან ძოწენიძე, თანამედროვეთაგან განსხვავებით, ცხოვრობდა უნიღბოდ, სუფთა, ხალასი – ბუნებრივი ცხოვრებით, და საქმიანობდა ისე, როგორც მისი შინაგანი ბუნება კარნახობდა, როგორც, მისი აზრით, უნდა ეცხოვრა ყოველ ადამიანს, ყველა შემთხვევაში და არა სიტუაციების მიხედვით – „დრო და ჟამის შესაფერად"... არ უყვარდა ყალბი თვითრეკლამა.

ქალბატონი ქეთევანი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ებრძოდა უსამართლობას, მექრთამეობას, რომელსაც მეცნიერება მიაჩნდა იმ წმინდა ტაძრად, სადაც შესვლა მხოლოდ ღირსეულებს უნდა შესძლებოდათ, ბუნებრივია, მარტო ვერ გაუმკლავდებოდა განათლების სფეროში იმხანად გამეფებულ უკანონობას, მაგრამ იმას მაინც ახერხებდა, რომ შეძლებისდაგვარად დახმარებოდა ნიჭიერ „უპატრონო" ახალგაზრდებს სამეცნიერო გზის გაკაფვაში, სამომავლო ცხოვრების სწორ არჩევანში. საბედნიეროდ, მან მართლაც გადაარჩინა ბევრი ასეთი ახალგაზრდა „დაკარგვას".

ქ. ძოწენიძე გახლდათ დიდებული პედაგოგი, სრულიად განსხვავებული სტილის ლექტორი. მისი ყოველი ლექცია – „შეზავებული მარილითა მადლისაითა“ – გაჯერებული იყო პოეზიის სურნელით. „მშრალ გრამატიკას“ მუდამ ანედლებდა პოეტური მუხტით შეკრული საკუთარი სულიერებით... ამ საუკეთესო ლექტორისა და გულისხმიერი აღმზრდელის მადლი ბევრ ჩვენგანს გამოჰყვა ცხოვრების საგზლად, იმედად, შთაგონების წყაროდ და იმავდროულად უჩინარ მსაჯულად (ბედნიერი ვარ, რომ არასოდეს მიღალატია მისეული პრინციპებისათვის).

კიდევ უფრო სხვა ხიბლითა და სიფაქიზით შემოვიდა ჩემს სულში ეს მშვენიერი ქალბატონი წლების შემდეგ, როცა მოგვიანებით მომეცა შესაძლებლობა, გავცნობოდი მის პირად არქივს. მაშინ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ თანამედროვე საზოგადოებამაც უნდა გაიცნოს ამ გამორჩეული პიროვნების შედარებით ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო ცხოვრების ეპიზოდები, თავადაც აღიქვას მისეული თვალით დანახული სინამდვილე, ფრაზის მოქნილობა და პოეტურობა; შეიგრძნოს მისი სულის წუხილი და, რაც მთავარია, მისგან ბევრი რამ კიდეც გაითავისოს.

აღმოჩნდა, რომ ქეთევან ძოწენიძის არქივში აღარ იყო შემონახული ზოგი მასალა, მაგალითად, საიუბილეო თუ ამგვარ ღონისძიებებზე წარმოთქმული სიტყვები, მოგონებები; მასწავლებლების – ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიასა და სხვა ცნობილი პიროვნებებისადმი გაგზავნილი მისი პირადი წერილები და ა. შ., რომელთა არსებობას აშკარად ადასტურებდა მეცნიერის არქივში დაცული ზოგიერთი მასალის შავი პირები ან მათი ცალკეული ნაწილები, მინაწერები... აგრეთვე მიხეილ ალავიძის მოგონება – ინფორმაციები და სხვა ოფიციალური ცნობები. ამიტომ ჩემს აუცილებელ მოვალეობად მივიჩნიე, დროულად დამემუშავებინა (თემატურად დამელაგებინა) საარქივო მასალე-

ბი, დამატებით შემევსო იგი ქალბატონი ქეთევანისადმი მოგვიანებით მიძღვნილი სხვა წყაროებითაც: საგაზეთო სტატიებით, მოგონებებით, თბილისისა და ქუთაისის ბიბლიოთეკა – მუზეუმების ცნობარებით, ინფორმაციებით... და ყველაფერი ეს ჩემეული კომენტარებითურთ წიგნად მიმეწოდებინა ფართო მკითხველისათვის, რათა ამ გზითაც ერთხელ კიდევ გამომეხატა უდიდესი მადლიერება, უანგარო სიყვარული, პატივისცემა და მოკრძალება ჩემი ძვირფასი მასწავლებლისადმი – მკვეთრი ინდივიდუალობით გამორჩეული ქალბატონისადმი. ... ასე შეიქმნა ხსოვნის წიგნი **„სრულყოფილებასთან ახლოს – ასეთი იყო ქეთევან ძოწენიძე“** (თბ., 2013).

აქამდეც გული მწყდებოდა, რომ დღეს, როცა არნახული სისწრაფით იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო და, შესაბამისად, განსხვავებულია პიროვნებათა სულიერი მისწრაფებანი, მათი დამოკიდებულება წარსულის კულტურული თუ მეცნიერული მემკვიდრეობისადმი, ცნობილი ენათმეცნიერი ქ. ძოწენიძე დღევანდელი ახალი თაობისათვის თითქმის უცნობია თავისი არა ჩვეულებრივი ბუნებახასიათით, უცნობია, როგორც ზნემაღალი ადამიანი.

ქართული ენათმეცნიერების ისტორიაში ქეთევან ძოწენიძე აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ნიჭიერი და გამორჩეულად მოაზროვნე მკვლევარი. ეს სახელი მას დამსახურებულად მოუპოვა მონოგრაფიებმა თუ ცალკეულმა გამოკვლევებმა, სტატიებმა, რომლებიც უდავოდ სანდო წყარო და ანგარიშგასაწევი მასალაა სპეციალისტებისათვის.

ქეთევან ძოწენიძის პირველი მონოგრაფია **„სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით“** გახლდათ ავტორის საკანდიდატო დისერტაცია. ნაშრომის ძირითადი **დასკვნები ახალი სიტყვა** იყო ქართულ ენათმეცნიერებაში.

ქეთევან ძოწენიძის მეცნიერული მემკვიდრეობიდან ძვე-

ლი ქართული ენის ისტორიისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ახალი აღთქმის ძველი ხელნაწერების მომზადება სრული ტექსტის გამოსაცემად. 1974 წელს, ქეთევანის გარდაცვალების შემდეგ, ა. შანიძის რედაქციით დაიბეჭდა წიგნი **„პავლენი – პავლეს ეპისტოლების ქართული ვერსიები“**.

ქართული ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი – ასე უწოდეს სამეცნიერო წრეებში ქეთევან ძოწენიძის ფუნდამენტურ ნაშრომებს: **„ზემოიმერული კილოკავი“** (ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები, თბ., 1973, 564 გვ.) და **„ზემოიმერული ლექსიკონი“** (თბ., 1974, 646 გვ.) (რედაქტორები: არნ. ჩიქობავა, მ. ალავიძე) (ქ. ძოწენიძის მონოგრაფიების შესახებ უფრო ვრცლად იხ. გვ. 31-33).

ქ. ძოწენიძის ორტომეულზე ეს მოკლე საუბარი გვინდა დავამთავროთ კ. დანელიას სიტყვებით: „ბედი იმ წიგნისა, რომელმაც მზის ნათელი ისე იხილა, რომ შემოქმედის ხელი არ შეხებია, რაღაცით ჰგავს ბედს იმ ობლადშობილი ყრმისას, რომელსაც დედის სითბო არ ჰღირსებია“.

დიახ, ასეთი უცნაური ბედი ერგო ამ ორტომეულსა და იმიერში ნაადრევად გარდასულ ავტორს – ქეთევან ძოწენიძეს, მაგრამ ამ წიგნების სახით დარჩა მისი უბადლო ნიჭის უზადო ნამუშაკევი – ქართული დიალექტოლოგიის ოქროს ფონდის ჭეშმარიტად დიდი შენაძენი.

ქეთევან ძოწენიძემ წარუშლელი კვალი დატოვა ქართველოლოგიაში. მის ნაშრომებში საჭირო მასალას იპოვის არა მხოლოდ ენათმეცნიერი, არამედ ბევრი სხვა პროფილის მკვლევარი (ეთნოგრაფი, ისტორიკოსი, ფოლკლორისტი, ბოტანიკოსი და ა. შ.); ღირსსაცნობია ისიც, რომ მის მიერ ჩაწერილ დიალექტურ ტექსტებს წმინდა ენათმეცნიერულ მნიშვნელობასთან ერთად დამოუკიდებელი ლიტერატურული წყაროს ღირებულებაც აქვს.

ასეთი გახლდათ ჩემი მასწავლებელი – ქეთევან ძოწენიძე, რომელსაც კიდევ „ბევრი რამ შეეძლო ეთქვა,

ჰქონდა სათქმელი და უთქმელი დარჩა“ (არნ. ჩიქობავა), თუმცა აშკარაა, რომ, რაცა თქვა, ისიც უტყუარი დასტურია მისი მრავალმხრივი მეცნიერული თვალსაწიერისა, საკითხის უზადო ანალიზისა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქეთევან ძოწენიძე თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობითა და უმწიკვლო სახელით ამშვენებდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს, მისი მადლი დღესაც ასაზრდოებს ჩვენი უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის საქმიანობას.

სამწუხაროდ, ქალბატონმა ქეთევანმა თავად ვერ იხილა ცოტა მოგვიანებით მისი ნიჭისა და შრომის დამფასებელთა ძალისხმევით თბილისში წიგნებად გამოცემული თავისი სოლიდური ნაშრომები: „ზემოიმერული კილოკავი“, „ზემოიმერული ლექსიკონი“, „პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები“. დასანანია, რომ ამ წიგნების გვერდით დღეს არ დევს მეცნიერის პირველი მონოგრაფია „სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით“ – ძველი ქართული ენის ისტორიისათვის ეს მეტად ფასეული გამოკვლევა, რომელიც საკანდიდატო დისერტაციის სახით დაცულია მხოლოდ საარქივო ფონდში და ბუნებრივად მიუწვდომელია ფართო მკითხველისათვის, პირველ რიგში – სტუდენტებისათვის. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს ხელნაწერის უფლებით შემონახული ამ ნაშრომის წიგნად გამოცემაზე. ეს იქნება ჩვენი ღირსეული და ამაგდარი წინაპრის ნათელი ხსოვნის პატივგება და, რაც მთავარია, ქართული საენათმეცნიერო ლიტერატურის ფონდს წიგნის სახით კიდევ ერთი კარგი მონოგრაფია შეემატება.

2017, თბილისი

გაბრიელ მეგრელიშვილი
(1906-1978)

ცხოვრებაში ბევრი სულიერი ტკივილი და იმედგაცრუება გადავიტანე. ახალგაზრდობიდანვე ბევრჯერ აღმოვჩნდი უსამართლობის პირისპირ. ეს ის დრო იყო, როცა ე. წ. „უპატრონო" (თუნდაც ნიჭიერი და საქმიანი) ადამიანი ვერ მიაღწევდა მიზანს „პატრონისა და მფარველის" გარეშე. სამწუხაროდ, ასეთი იყო გასული საუკუნის 60-იანი და მომდევნო წლების ქართული სინამდვილე, საზოგადოებრივი ყოფის რეალური ვითარება. მოკლედ რომ ვთქვა, იმ ხანებში, როცა მე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი დავამთავრე, დიდი გასავალი ჰქონდა ფულსა და პროტექციას... მაგრამ, ღვთის ნებით, ამ საერთო უსამართლობის ფონზე, საბედნიეროდ, მაინც გამოჩნდებოდა ვინმე კეთილი ადამიანი, ნიჭისა და ცოდნის დამფასებელი და ქომაგი, ქვეყნის მომავალზე ჭეშმარიტი მზრუნველი. აი, ასეთ სიტუაციაში მხსნელად მომევლინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორი გაბრიელ მეგრელიშვილი, რომელიც მალე **ჩემი დიდი მასწავლებელი** გახდა.

1965 წელს წარჩინებით დავამთავრე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, სტუდენტობისას ვიყავი სახელობის სტიპენდიანტი. ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ჩემს ერთ თანაკურსელთან ერთად დამტოვა ინსტიტუტში სამუშაოდ, რომ შემდეგ შემძლებოდა ასპირანტურაში სწავლის გაგრძელება და მეცნიერული საქმიანობის დაწყება. მაგრამ მალე შეიცვალა ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და მეც უარი მითხრეს სამუშაო ადგილზე. სამწუხაროდ, სწრაფად ამოქმედდა გავლენიანი მფარველის აუცი-

ლებლობის სისტემა. მთელს ინსტიტუტში, დეკანატში, კათედრაზე ყველა აღიარებდა, რომ უკანონოდ მომექცნენ, თუმცა იმასაც ამბობდნენ, რომ „სამართალს ვერ ვიპოვიდი“. ისევ ქ. ძოწენიძის თხოვნითა და „ჩარევით“ ქუთაისის ერთ-ერთ სკოლაში პიონერხელმძღვანელად გამიშვეს. ერთი სასწავლო წელი ვმუშაობდი ამ სკოლაში. პიონერხელმძღვანელობა მაშინ ისეთი საქმე იყო, რომ წინასწარ არ შეგეძლო გცოდნოდა, კონკრეტულად რა უნდა გაგეკეთებინა მთელი დღის განმავლობაში (სხვაგვარად: სკოლაში ყველას მოსამსახურე უნდა ყოფილიყავი).

და მაინც ჩემი მიზანი იყო ასპირანტურაში სწავლა, დამოუკიდებლად კიდეც ვმეცადინეობდი ჩასაბარებელ საგნებში, ვეცნობოდი სპეციალურ ლიტერატურას და ა. შ.

როგორც ჩემი ლექტორები მეუბნებოდნენ, იმხანად ინსტიტუტში დაბრუნება შეუძლებელი იყო, მაგრამ ის კი გავარკვიე, რომ ასპირანტურაში გამოცდების ჩაბარების უფლების მოსაპოვებლად, აუცილებლად უნდა დამეწყო სკოლაში მასწავლებლად მუშაობა. იმდენად ძლიერი იყო ჩემი სურვილი სწავლის გაგრძელებისა, რომ „სხვათა დახმარებით“ 1966 წლის სექტემბრიდან გადამიყვანეს ისტორიის მასწავლებლად სხვა სკოლაში. ამ გზით უკვე შემეძლო საკანდიდატო მინიმუმის გახსნა, მაგრამ ესეც ადვილი არ იყო ჩემთვის: თბილისის უნივერსიტეტში მაშინ ამ საკითხის ოფიციალურად დაყენება ვინმეს რეკომენდაციის გარეშე შეუძლებელი ჩანდა სკოლის რიგითი მასწავლებლისაგან; საჭირო იყო ისევ ლოდინი უკეთესი შემთხვევისათვის. და აი, ღმერთის ნებით, ასეთი „უკეთესი შემთხვევა“ მალევე დადგა ჩემს ცხოვრებაში...

1967 წლის ზაფხულში მე და ჩემმა ქუთაისელმა ახლობლებმა – ჯანსულ ღვინჯილიამ, ნელი და ნანი ახობაძე-

ებმა გავიცანით თბილისელი პროფესორი გაბრიელ მეგრელიშვილი. იგი პროფესიით ეკონომისტი იყო, მაგრამ გამორჩეულად უყვარდა პოეზია, მწერლობა. ამის წყალობით უფრო ახლო ურთიერთობა დამყარდა ჩვენს შორის. მან გამოგვკითხა ჩვენი საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ; მეც ყურადღებით მომისმინა და დამპირდა: თბილისის უნივერსიტეტის პროფესორებს, ენათმეცნიერებს: შოთა ძიძიგურსა და ივანე ქავთარაძეს გააცნობდა ჩემს საქმიანობასა და სურვილს, შეამოწმებდნენ ჩემს ცოდნას და, თუკი სათანადო ნიჭსა და კვლევის უნარსაც დაინახავდნენ, საკანდიდატო მინიმუმის გახსნაზეც იზრუნებდნენ.

ჩემი კეთილისმყოფელი თავადაც ღარიბი გლეხის ოჯახში (ჩოხატაურის რაიონის ერთ-ერთ სოფელში) ყოფილა გაზრდილი, მხოლოდ შრომისა და ნიჭის წყალობით მიეღწია პროფესორობამდე და ახლა, როცა გაიგო ჩემი ოჯახური (სოციალური) მდგომარეობა, ასევე ბოლო წლებში სამსახურთან დაკავშირებული ამბები, კიდევ უფრო დაინტერესდა ჩემი დახმარებით...

ბატონი გაბრიელის რეკომენდაციით, შევხვდი ახალი ქართული ენის კათედრის გამგეს შოთა ძიძიგურს, კათედრის სხვა წევრებსაც. იმავე წლის შემოდგომაზევე გადაწყდა, რომ საკანდიდატო მინიმუმის გასაფორმებლად უნდა წარმედგინა რაიმე სერიოზული ნაშრომი (რეფერატი). კათედრასთან შეთანხმებით ასეთად შეირჩა სტუდენტობის დროს დაწერილი საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა „სოფელ ახალშენის მეტყველება, როგორც კილოთა შერევის ნიმუში (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი)“.

პროფესორ ი. ქავთარაძის მიერ წარდგენილი დადებითი რეცენზიის შემდეგ, 1968 წლის დასაწყისში ოფიციალურად გავხდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი

და მომეცა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული საგნების ჩაბარების უფლება.

როგორც იქნა, აღსრულდა ჩემი ოცნება – შევდგომოდი მეცნიერების რთულ, მაგრამ ჩემთვის მეტად საინტერესო გზას. ამ საქმის დროულად მოგვარებაში მთავარი როლი შეასრულა ახალმა კეთილისმყოფელმა გაბრიელ მეგრელიშვილმა, მისმა უანგარო თანადგომამ.

ცნობილი ეკონომისტი, მეცნიერებისათვის შეწირული ადამიანი – აშკარად გამოირჩეოდა პიროვნული თვისებებითაც: იყო გულღია, გულწრფელი მოსაუბრე, თავისუფალი ზედმეტი ოფიციალური მანერებისა და სხვა პრეტენზიებისაგან. უყვარდა ახალგაზრდები. ვისაც წიგნის სიყვარულს შეამჩნევდა, ყოველნაირად უწყობდა ხელს. ერთხელ ქუთაისშიც გვესტუმრა, გულთბილად ვუმასპინძლეთ ჯანსუღისა და ნანის ოჯახში. ეს შეხვედრა იყო ნამდვილი „პოეზიის საღამო". ბ-ნი გაბრიელი და ჯანსუღი განსაკუთრებული ემოციით კითხულობდნენ ლექსებს, ნაწყვეტებს საყვარელი ავტორების ნაწარმოებებიდან. ჩვენი დიდი მასწავლებელი და მეგობარი იმავდროულად დაჯილდოებული იყო საოცრად გადამდები ენთუზიაზმით. რა საკითხზედაც უნდა ყოფილიყო საუბარი, ბოლოს მაინც გვეტყოდა: **„ახალგაზრდები ხართ, ენერგიულები. იშრომეთ და გაიმარჯვებთ"**... ეს სიტყვები მართლაც იქცა ჩვენი (სამივეს) ცხოვრების ქვაკუთხედად.

1968 წლიდან გ. მეგრელიშვილი ყურადღებითა და ინტერესით ადევნებდა თვალს ჩემს საქმიანობას: სწავლას, სამეცნიერო საკითხებზე მუშაობას. იგი ჩემთვის ნამდვილი მოძღვარი გახდა თავისი რჩევა-დარიგებებით: „რაკი მეცნიერების გზა აირჩიე, სახელოვანი უნდა იყო. შეიძლება ყველამ გიღალატოს, მაგრამ წიგნი

არ გიღალატებს"... ხშირად შემახსენებდა იმასაც, რომ მეცნიერებაში **„წარმატების მიღწევის საშუალებაა ყოველდღიური, ფუტკრისებური შრომა; შრომა აქცევს ადამიანს პიროვნებად, სიდიდედ!"**

1968 წლის ივნისში ჩავაბარე ასპირანტურის პირველი გამოცდა ფილოსოფიაში, 1969 წლის მარტში მეორე – უცხო ენა. ორივე შემთხვევაში შედეგებს, პირველ ყოვლისა, ვაცნობდი ჩემს მასწავლებლებს – ქ. ძოწენიძესა და გ. მეგრელიშვილს. ორივეს გულწრფელად ახარებდა უდიდესი მონდომებით, თავდაუზოგავი შრომით მოპოვებული ჩემი წარმატება და ეამაყებოდათ, რომ მათი რჩევა-დარიგება ამაოდ არ იკარგებოდა – საქმითა და შედეგით გამოიხატებოდა.

1969 წლის 19 მაისს ჩავაბარე სპეციალობაში გამოცდა. მის მომზადებაზე ვმუშაობდი ჯერ კიდევ 1966 წლიდან. ქალბატონი ქეთევანი და ბატონი გაბრიელი ყოველთვის ხაზგასმით მეუბნებოდნენ: სპეციალობაში გამოცდაზე ბრწყინვალე ცოდნა უნდა გამოავლინოო (მოსალოცი ბარათებითაც ამას შემახსენებდნენ ხოლმე).

გამოცდამ მართლაც ძალიან კარგად ჩაიარა. კომისიის თავმჯდომარემ პროფ. შ. ძიძიგურმა (კომისიის წევრები იყვნენ პროფესორები: გიორგი შალამბერიძე, ი. ქავთარაძე) გამოაცხადა შეფასება – ფრიადი, თან დაამატა: „ხედავთ, ყველაფერი როგორ კარგად სცოდნია!"...

ეს იყო ჩემთვის უბედნიერესი დღე. გამოცდიდან რომ გამოვედი, გარეთ ჯანსული მელოდებოდა (ქუთაისიდან იყო ჩამოსული თავის საქმეზე); იცოდა, რომ გამოცდა მქონდა. გზაში ბ-ნი გაბრიელი შეგვხვდა, მაგრამ, სანამ ჩვენ რაიმეს გვკითხავდა, შეამჩნია გზად მომავალი ივანე ქავთარაძე, მიესალმა და დაიწყეს საუბარი (ჯანსული მათ გვერდით იყო, მე კი მოშორებით დავდექი). თურმე ბ-ნმა

ივანემ თავად გადაუხადა მადლობა ბ-ნ გაბრიელს ასეთი ახალგაზრდის წარმოჩენისა და ხელშეწყობისათვის. დიახ, ეს გახლდათ გულწრფელი მადლობა ბ-ნი გაბრიელის მიმართ ჩემდამი გაწეული უანგარო დახმარებისათვის.

ფაქტობრივად ერთ წელიწადში ჩავაბარე საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული სამივე საგანი ფრიადი შეფასებით (რაც იშვიათი შემთხვევა იყო თურმე იმ დროს). მიხაროდა, რომ იმედი გავუმართლე ჩემს ძვირფას მასწავლებლებს, პირველ რიგში – თინათინ ბახტაძეს, ქეთევან ძოწენიძეს, გაბრიელ მეგრელიშვილს...

1973 წლის 29 მაისს დავიცავი დისერტაცია ი. ქავთარაძის ხელმძღვანელობით. ბატონი გაბრიელი, რომელსაც სისტემატურად, ვაცნობდი ახალ-ახალ ინფორმაციებს დისერტაციაზე მუშაობასთან დაკავშირებით, საბოლოო შედეგებით კმაყოფილი იყო, იმავდროულად სამომავლო საქმიანობის წახალისების მიზნით კვლავაც მიმეორებდა: „შრომა გადაარჩენს ადამიანს ყოველგვარი განსაცდელისაგან და, რაც მთავარია, ეს შრომა მოუტანს თითოეულ ჩვენგანს სახელს, მიანიჭებს სულიერ კმაყოფილებას".

პროფესორ გაბრიელ მეგრელიშვილის პიროვნული პორტრეტის დასახასიათებლად დავიმოწმებ ამონარიდებს ერთ-ერთი საგაზეთო სტატიიდან: *„არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი სიცოცხლის მანძილზე ირგვლივ მხოლოდ სიკეთეს თესენ. ასეთად წამოგვიდგება ცნობილი პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, **გაბრიელ მეგრელიშვილი – კაცი მართალი, კაცი ბრძენი, კაცი უმწიკვლო, დიდბუნებოვანი, ფრიად განსწავლული, უბადლო პედაგოგი, სტუდენტთა ქომაგი**... (ხაზი ჩვენია – ჟ. ფ.).*

დიდებულმა მამულიშვილმა მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მეცნიერებას შეალია და მაინც უკმარისობის გრძნობა მოსვენებას არ აძლევდა. ამის ნათელ მაგალითს იძლევა პროფესორის ავტობიოგრაფიული ნარკვევი, რომელიც 1964-1978 წლებში გ ზადაგ ზა იწერებოდა. 1965 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღეებშიც კი განუწყვეტლივ ადგენდა დღიურს სათაურით „ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა შ რ ო მ ა შ ი“. სწორედ ამ გამოუქვეყნებელ და დაუმთავრებელ ნაწარმოებებში, რომლებიც ახალგაზრდობისათვის არის განკუთვნილი, მჟღავნდება უკმარისობის გრძნობა – იქნებ მეტის გაკეთება შეეძლო? ახალგაზრდების სიყვარულმა ათქმევინა ეს სიტყვებიც: „ჩემი განვლილი ცხოვრების დამახასიათებელი იყო არა მოწესრიგებული, ერთი მიზნისაკენ პირდაპირ მიმავალი ცხოვრება, არამედ ხშირად წვრილმანებზე სიცოცხლის ხარჯვა, თუმცა მეცნიერული მოღვაწეობისათვის მომზადება, მისთვის თავდადებული შრომა მუდამ რჩებოდა ჩემი სიცოცხლის მთავარ მიზნად“ (ი. გ ე რ მ ე ს ა შ ვ ი ლ ი, თესდა სიკეთეს: გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1983, 5 იანვარი).

... უკვე კარგა ხანია ჩემმა მასწავლებლებმა დატოვეს ამქვეყნიური სამზეო, მაგრამ, ასე მგონია, ახლაც ჩემ გვერდით არიან, მოგონებებით გაცოცხლებულნი... ახლაც ჩამესმის სანიმუშო და დიდბუნებოვანი ადამიანის, გაბრიელ მეგრელიშვილის სიტყვები: „შეიძლება ყველამ გიღალატოს, მაგრამ წიგნი არ გიღალატებს“.

ჭეშმარიტად ასეა: დღესაც წიგნი ჩემი უღალატო მეგობარია, მასში განივთებული მოგონებანი კი – შეუცვლელი სულიერი საზრდო.

„ნეკროლოგის მაგიერ“
ანუ
ჩემი მასწავლებელი
პროფესორი ივანე ქავთარაძე

შესავალი

1984 წლის ივლისის დამდეგს ქუთაისის მახლობლად, სოფელ საწირეში, წავიყვანეთ ბავშვები დასასვენებლად. მეუღლეს სამსახურიდან შვებულება არ ჰქონდა, ქუთაისში იყო. ერთ-ერთ გაზეთში წაეკითხა განცხადება პროფესორ ივანე ქავთარაძის გარდაცვალების შესახებ. იცოდა, რომ ბატონი ივანე ჩემი დისერტაციის მეცნიერხელმძღვანელი იყო და შემდგომშიც გვქონდა ურთიერთობა ოჯახებითაც. იმ დღესვე ამომიტანა საწირეში ეს გაზეთი.

„გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის გამგე, **პროფესორი ივანე ქავთარაძე**“, – ამოვიკითხე გაზეთში. მოულოდნელობისაგან გაოგნებული თვალს არ ვუჯერებდი, რადგან მისი ავადმყოფობის ამბავიც კი არ ვიცოდი[1].

კიდევ ერთი საშინელი ტკივილი! ბოლო წლებში ფიზიკურად დავკარგე ბევრი ახლობელი: მშობლები, ახალგაზრდა ძმა; იმავდროულად ზეციურ სასუფეველს შეუერთდნენ ჩემი ძვირფასი მასწავლებლები: ქ. ძოწენიძე, პ. ჯაჯანიძე, თ. ბახტაძე, გ. მეგრელიშვილი და აი, ახლა – ი. ქავთარაძე...

---

[1] 1984 წლის 2 ივლისს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ იგი აირჩია ახალი ქართული ენის კათედრის გამგედ, 6 ივლისს მოულოდნელად გარდაიცვალა 64 წლის ასაკში.

მეორე დღესვე წავედი თბილისში დაკრძალვაზე (უმცროსი შვილი თან წავიყვანე, უფროსთან მამამისი დარჩა). იმავე საღამოს დავბრუნდი უკან.

იმ დღეს უკანასკნელად ვიხილე ჩემი ძვირფასი მოძღვარი, რომელიც წლების განმავლობაში მასწავლიდა ადამიანურ სიკეთეს, მაჩვევდა მეცნიერულ შრომას და, რაც მთავარია, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც მაგრძნობინებდა მშობლიურ მზრუნველობას, მძიმე წუთებში მამხნევებდა, მომავლის იმედსა და რწმენას მინერგავდა.

...დიდხანს ვტიროდი მის ცხედართან უხმოდ, უსიტყვოდ, თუმცა მინდოდა კიდევ ერთხელ ხმამაღლა – საჯაროდ მეთქვა მისთვის მადლობა ჩემდამი გაწეული დიდი ამაგისათვის...

კვლავ განმიახლდა ძვირფასი ადამიანების დაკარგვით გამოწვეული სულიერი ტკივილი. მომდევნო დღეებშიც გაოგნებული დავდიოდი, უზომოდ დიდი სევდა და გამოუთქმელი დარდი მაწუხებდა, თუმცა გარეგნულად ჩემი ყოველდღიური ერთფეროვანი ცხოვრება კვლავ თავისი გზით მიდიოდა. მხოლოდ ღამით, როცა ბავშვებს ეძინათ, „მშვიდად" შემეძლო უხმოდ, ცრემლებთან ერთად, „მესაუბრა" ჩემს ძვირფას ადამიანებთან, შემეძლო ჩემი ტკივილი გამეზიარებინა და ნუგეშად მათგან სითბო და თანაგრძნობა „მიმეღო".

სწორედ ასეთი სულიერი განწყობით 1984 წლის 14 ივლისს, შუაღამისას, სადღაც დასასვენებელ სახლში, ცალხაზიანი რვეულის ფურცლებზე ფანქრით გადავიტანე ჩემი იმჟამინდელი ტკივილიანი განცდები, უშუალოდ (ღია წერილის სახით) „ვესაუბრე" ბატონ ვანოს (როგორც ჩვეულებრივ ეძახდნენ), მოვიგონე მასთან საქმიანი ურთიერთობა-თანამშრომლობის ეპიზოდები.

„ნეკროლოგის მაგიერ" – ამ სათაურით დაწე-

რილმა მოგონებამ მაშინ ერთგვარად დამამშვიდა. იქვე გადავწყვიტე, რომ ეს „წერილი“ ძვირფას რელიკვიად დარჩებოდა ჩემს პირად არქივში მის მიერ გამოგზავნილ ბარათებთან თუ სხვა ოფიციალურ მასალებთან ერთად.

დაახლოებით 15 წლის შემდეგ, როცა რაღაც საკითხთან დაკავშირებით ვათვალიერებდი ჩემს ადრინდელ ჩანაწერებს, ცალკეულ შენიშვნებს, ამ „ღია წერილსაც“ შევხვდი... ფანქრით დაწერილ, უკვე გაყვითლებულ ფურცლებს აქა-იქ კიდევ ემჩნეოდა მაშინდელი ცრემლების ნაკვალევიც... გულახდილად რომ ვთქვა, ეს წერილი, სათუთად რომ ვინახავდი წლების მანძილზე, შეგნებულად აღარ წამიკითხავს დაწერის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მასწავლებლების ტკბილი მოგონებანი თითქმის ყოველდღე ცოცხლდებოდა გონებაში სხვადასხვა ფორმით სხვადასხვა დროს (ჩემს ტკვილიან ცხოვრებაში ძალიან ხშირად მჭირდებოდა ახლობლების ნუგეში და იმედიანი სიტყვა ფიზიკური გამძლეობისათვის, სამეცნიერო მუშაობის ხაზით შთაგონებისათვის).

ახლა კი, როცა წავიკითხე ეს წერილი, აღარ მომინდა მისი ამ ფორმით შენახვა, პასტით გადავწერე და მთლიან ტექსტსაც შენიშვნის სახით გავუკეთე ასეთი მინაწერი:

„ძვირფასო მასწავლებელო და აღმზრდელო! კვლავ უნდა შეგეხმიანოთ და მოკლედ გაგაცნოთ ჩემი ამჟამინდელი ცხოვრება, სულიერი მდგომარეობა. ამ წლებშიც მუდამ მახსოვდა თქვენი კეთილი სიტყვები, რჩევა-დარიგებანი: „მომავლის იმედი ყოველთვის უნდა გქონდეთ; გაჭირვებას უნდა შეებრძოლოთ, დარდი და სულიერი ტკივილი შრომით უნდა გაიქარვოთ“...

გარკვეულად კიდეც შევძელი ამ შთაგონებით მეცხოვრა. რომ ეს არა, ალბათ, ვეღარ გადავიტანდი ახლანდელ

ჩემს ოჯახურ უბედურებას: მრავალი წელი „ვებრძოდით“ შვილის ავადმყოფობას, მაგრამ სიკვდილს მაინც ვერ მოვერიეთ. ეს მოხდა 1996 წელს. მალე ისევ ახალი უბედურება დამატყდა თავს – მძიმე სენით დაავადებული მეუღლეც გარდაიცვალა 1998 წელს.

და მაინც თავს არ ვიკლავ, მე ვჭირდები ჩემს მეორე შვილს (ახლა ის სტუდენტია, თბილისში სწავლობს), მე განსაკუთრებით ვჭირდები ჩემს მიცვალებულებს...

კვლავ მომავლის იმედით ვშრომობ და ვცოცხლობ“.

ჟ. ფეიქრიშვილი,
1999 წელი, 23 სექტემბერი

• დღეს 2019 წელია, ვამზადებ ახალ კრებულს. მასში ენათმეცნიერულ ნარკვევებთან, წერილებთან ერთად შევა მოგონებებიც, რომლებიც ძირითადად ეძღვნება ჩემი ახლობელი ადამიანების, პირველ რიგში, მასწავლებლების ხსოვნას. მართალია, პროფესორ ივანე ქავთარაძის შესახებ ინფორმაციები სხვადასხვა დროს მოკლედ გავაცანი მკითხველს, მაგრამ აქამდე სრულყოფილად ვერ აღვწერე მისი პიროვნული პორტრეტი, გამორჩეული ადამიანური თვისებები და ის მადლი თუ თანადგომა, რასაც იჩენდა ჩემ მიმართ მრავალი წლის მანძილზე. ამ მიზნით ისევ შევეხმიანე ჩემს არქივში გულდაგულ შენახულ ზემოაღნიშნულ ღია წერილს, რათა ძირითადად მასზე დაყრდნობით, ასევე ჩემს ხელთ არსებული სხვა ოფიციალური მასალებითა და მეხსიერებაში დღემდე შემორჩენილი მოგონებებით საბოლოოდ აღვწერო ყოფილი ასპირანტის თვალით დანახული მეცნიერხელმძღვანელისა და კეთილშობილი ადამიანის რეალური სახე.

* * *

ივანე ქავთარაძე გახლდათ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. **1945** წელს დაიცვა **საკანდიდატო დისერტაცია, 1965** წელს კი – **სადოქტორო**. იგი სიცოცხლის ბოლომდე უმწიკვლოდ ემსახურებოდა ქართულ ენათმეცნიერებას, იყო ერთი სახელმძღვანელოს, 5 მონოგრაფიისა და 170-მდე გამოკვლევის ავტორი.

ი. ქავთარაძის ხელმძღვანელობით მომზადდა 20-მდე ასპირანტი, დაიწერა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები (ასპირანტებს შორის ერთ-ერთი მეც ვიყავი). ამ მოგონებაში ჩვენ არ ვეხებით მის მეცნიერულ მემკვიდრეობას (ეს ფართოდაა ცნობილი და აღიარებული სამეცნიერო წრეებში), ამჯერად გვინდა წარმოვაჩინოთ მისი პიროვნული თვისებები, ასპირანტებთან მისი მუშაობის სტილი, მეთოდები და, რაც მთავარია, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, შესაშური პუნქტუალობა, რაც ყოველთვის უნდა იყოს სანიმუშო მაგალითი თანამედროვე „მეცნიერხელმძღვანელებისთვისაც“.

1967 წლამდე ივანე ქავთარაძეს პირადად არ ვიცნობდი (თუმცა ზოგიერთი ნაშრომი დამუშავებულიც კი მქონდა). როცა პროფესორ გაბრიელ მეგრელიშვილის დახმარებით გაირკვა, რომ შეიძლებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი გავმხდარიყავი სათანადო რეფერატის წარდგენის შემდეგ. საჭირო გახდა თბილისელ სპეციალისტს შეემოწმებინა ჩემი შეთავაზებული თემა, მეცნიერული თვალსაზრისით აკმაყოფილებდა თუ არა სათანადო მოთხოვნებს. ამ მიზნით სთხოვა ბატონმა გაბრიელმა მის ნაცნობ პროფესორს – ი. ქავთარაძეს, არაოფიციალურად გასცნობოდა ჩემს ნაშრომს – სტუდენტობის დროს დაწე-

რილ ვრცელ გამოკვლევას. ბატონმა ვანომ იგი მოკლე დროში წაიკითხა და დაწერა არაოფიციალური დასკვნა:

„ჟ. ფეიქრიშვილის ნაშრომში – „სოფელ ახალშენის მცხოვრებთა მეტყველება, როგორც კილოთა შერევის ნიმუში“ – საინტერესო და კარგი დაკვირვებებია. სასურველი იყო თან დართოდა ტექსტები. ლექსიკონს უნდა ახლდეს კონტექსტი, თუმცა ასეც საყურადღებოა... ნაშრომი შეეძლო დაებეჭდა ქუთაისის ინსტიტუტს თავის შრომებში. ამ სახით იგი საკმარისია საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარების უფლებისათვის. იცნობს სპეციალურ ლიტერატურას და მსჯელობს საქმიანად. ახლა მაგონდება: ავტორმა (ალბათ, თავისი სტუდენტობის დროს) ეს წაიკითხა უნივერსიტეტში[1].

10.XI.67 ი. ქავთარაძე

P. S. თუ აინტერესებს მეცნიერული კვლევა, სასურველია განაგრძოს მუშაობა ასპირანტურაში. მასწავლებლებს ეძლევათ დისერტაციაზე სამუშაოდ ერთი წლის შვებულება ხელფასის შენარჩუნებით. არის სხვა დეტალებიც, რომლებზეც ცალკე შეიძლება საუბარი[2].

ი. ქ.

---

[1] 1964 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე წავიკითხე მოხსენება „სოფელ ახალშენის ლექსიკა“. სხდომას ესწრებოდნენ ცნობილი მეცნიერები: არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია და სხვები, რომლებსაც მე მაშინ არ ვიცნობდი პირადად. სწორედ აქ გაიგეს პირველად ქართველმა მეცნიერებმა, რომ ქვემო იმერეთში არსებობდა ერთი პატარა სოფლის საინტერესო მეტყველება, რომელიც უკვე იყო კილოთა შერევის ნიმუში. მაშინ ჩემი მასალით განსაკუთრებით დაინტერესდა პროფ. ვ. თოფურია და ახალი დავალებებიც მომცა. ბ-ნი ვანო სწორედ ამ ფაქტს იგონებდა.

[2] ამ დასკვნის დედანი (ხელნაწერი), ასევე ქვემოთ დამოწმებული სხვა პირადი წერილები ინახება ჩემს არქივში.

პროფ. ი. ქავთარაძეს სწორედ ამ დღეებში შევხვდი პირადად, თანვე ისიც ავუხსენი, რომ ამ გამოკვლევასთან ერთად კათედრაზე წარვადგენდი საჭირო ტექსტებს, ლექსიკონს შესაბამისი კონტექსტებით (რომელიც უკვე გამზადებული მქონდა).

სათანადო მასალებით შევსებული რეფერატი (102-გვერდიანი) ოფიციალურად წარვადგინე იმ დღეებშივე. კათედრას იგი სარეცენზიოდ გადაუცია პროფესორ ივანე ქავთარაძისათვის (დიალექტოლოგიას ასწავლიდა უნივერსიტეტში), რომელმაც რამდენიმე დღეში კათედრას ოფიციალურად წარუდგინა:

დასკვნა

„ჟ. ფეიქრიშვილის ნაშრომზე – „წულუკიძის რაიონის სოფელ ახალშენის მეტყველება, როგორც კილოთა შერევის ნიმუში“, გვ. 1-102, 1967.

ჟ. ფეიქრიშვილის ნაშრომი – „წულუკიძის რაიონის სოფელ ახალშენის მეტყველება, როგორც კილოთა შერევის ნიმუში (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი) – დიალექტოლოგიური ხასიათისაა. იგი ემყარება ავტორის მიერ ადგილობრივ ჩაწერილი ტექსტების ანალიზს და განსაზღვრავს ამ სოფლის მეტყველების ადგილს ქვემოიმერული კილოკავის საერთო თავისებურებათა ფონზე. სოფელი ახალშენი დასახლებულია ამ საუკუნის დასაწყისში მესხეთის სოფლებიდან (კერძოდ, ახალციხიდან) გადმოსახლებული ქართველებით. მესხური მეტყველება შერევია ქვემოიმერულს და ზოგიერთ მეტყველების ნაწილში თავისებური კონგლომერატიც კი მოუცია, თუმცა მთლიანად მაინც ქვემოიმერულის ფორმები იმარჯვებს!

ფონეტიკურ და გრამატიკულ ანალიზს, რომელიც შესრულებულია კვალიფიციურად კარგ დონეზე, ერთვის ამ სოფლის მეტყველებაში გავრცელებულ სიტყვათა ლექსიკონი ანბანის რიგზე. ლექსიკონი საინტერესოა როგორც აღნაგობითა და შედგენილობით, ისე დალაგებისა და განმარტების პრინციპებითაც დამაკმაყოფილებელია.

მთლიანად ნაშრომი უდავოდ მოწონებას იმსახურებს და სასურველია დახმარება გაუწიოს ავტორს მის გამოქვეყნებაში. იგი მისაღებია და ამართლებს იმ დანიშნულებას, რა მიზნითაც აქ არის წარმოდგენილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორი ი. ქავთარაძე

14.XII.1967 წ.

ამ რეცენზიის საფუძველზე 1968 წლის მარტიდან გავხდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის ასპირანტი; მეცნიერხელმძღვანელად დამინიშნეს პროფ. ი. ქავთარაძე. სადისერტაციო თემად დამტკიცდა **„მესამე სერიის მწკრივები ახალ სალიტერატურო ქართულში“**. ამ დროიდან დაიწყო ჩვენი – მეცნიერხელმძღვანელისა და ასპირანტის – ერთობლივი საქმიანობა. იმთავითვე შევთანხმდით, რომ ჯერ ჩავაბარებდი გამოცდებს (რომელთა მომზადებაზე უკვე კარგა ხანია ვმუშაობდი დამოუკიდებლად), შემდეგ მას მოჰყვებოდა დისერტაციის დაცვა, თუმცა, ხელმძღვანელის დავალებით, საგნების მომზადების პარალელურად უნდა შემეგროვებინა საკვალიფიკაციო თემისათვის საანალიზო მასალებიც (საილუსტრაციო მაგალითები) სალიტერატურო ქართულის ყველა ჟანრიდან.

შენიშვნა: რეფერატად წარდგენილი ნაშრომის გამოცემა ჩემთვის მაშინ ადვილი არ იყო. ამიტომ იგი ხელნაწერის სახით დიდხანს ინახებოდა ჩემს მასალებში, მისი დაბეჭდვა მოხერხდა მოგვიანებით, 2007 წელს გამოცემულ წიგნში „მესხურ და იმერულ დიალექტთა შერევა ახალშენის მეტყველებაში“.

1968 წელს ძირითადად ვემზადებოდი ფილოსოფიისა და უცხო ენის ჩასაბარებლად, ამის გამო ჩემს ხელმძღვანელს თითქმის არაფერში არ ვაწუხებდი, თუკი მხატვრული ლიტერატურიდან დისერტაციისთვის საჭირო მასალებთან დაკავშირებით რაიმე განსაკუთრებული შეკითხვა არ გამოჩნდებოდა. ბატონმა ვანომ იცოდა, რომ იმავდროულად სპეციალურ საგანშიც ვმუშაობდი (სამეცნიერო ლიტერატურიდან წყაროებს ვაკონსპექტებდი), ამიტომ აქაც წინასწარ გადამიმოწმა სათანადო ბიბლიოგრაფია და რამდენიმე ახალი წყაროც დამისახელა.

თავდაპირველად ძალიან ვღელავდი ხელმძღვანელთან შეხვედრისას. ასე მეგონა, ვაწუხებდი ჩემი შეკითხვებით, მაგრამ მალე მისმა გულისხმიერმა დამოკიდებულებამ, გულთბილმა საუბრებმა თანდათან დამაძლევინა ეს გაუბედაობა. ჩანს, პირველ ხანებში თავადაც მატყობდა, რომ შინაგანად დაძაბული ვიყავი, ამიტომ, სანამ საქმეზე დავიწყებდით საუბარს, მანამდე მეკითხებოდა მგზავრობისა თუ ამგვარი ყოფითი ამბების შესახებ, ხშირად ბატონ ვარლამ თოფურიაზეც მომიყვებოდა რაიმეს და ასე წყნარად, მშვიდად შევუდგებოდით ჩვენს საქმეს. გარდა ამისა, ბ-ნი ვანო იყო ჩემთვის საუკეთესო მაგალითი შრომისმოყვარეობისა. მართალია, ბავშვობიდანვე შეჩვეული ვიყავი შრომას, პასუხისმგებლობას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ი. ქავთარაძის ასპირანტი გავხდი, ვხედავდი მის პუნქტუალობასა და მომ-

თხოვნელობას საკუთარი თავის მიმართ, ჩემი შრომა კიდევ უფრო შედეგიანი და მიზანმიმართული გახდა.

ფილოსოფიისა და უცხო ენის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, მთელი გულისყური გადავიტანეთ სპეციალურ საგანზე. ახლა მთავარი იყო წლების განმავლობაში ნასწავლი თეორიული მასალა (უამრავი წყაროს გათვალისწინებით) მწყობრად ჩამომეყალიბებინა, შესაბამის პრაქტიკულ წინადადებაზე ლოგიკურად მემსჯელა და გამომცდელთათვის მეჩვენებინა აზროვნების დონე, დაენახათ სათანადო კვლევის უნარიც.

1969 წლის მაისში, როცა საგანი საგამოცდოდ მთლიანად მოვამზადე, ამის შესახებ შევატყობინე ხელმძღვანელს. მან საჭიროდ მიიჩნია, წინასწარ გამსაუბრებოდა. ცხადია, ეს სიფრთხილე ჩემთან მიმართებაში მისგან ბუნებრივი იყო. ამ ეტაპზე მხოლოდ რეფერატით მიცნობდა; კარგად არ იცოდა სხვა შესაძლებლობა (თეორიული საკითხების მთლიანობაში ათვისების უნარი). ასეთი შემოწმება მე თვითონაც ძალიან მინდოდა, ამიტომ წინასწარი შეთანხმებით, უნივერსიტეტის მეორე კორპუსში შევხვდით ერთმანეთს. იმ დღეს ბატონ ვანოს ოთხი ლექცია ჰქონდა. ლექციის დაწყების წინ დასაწერად მომცა საკითხი „გვარის კატეგორია ქართულში". თვითონ ლექციაზე წაბრძანდა, მე კი საპროფესოროში დამტოვა სამუშაოდ; თან წინასწარ ამიხსნა: თუ აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა დაგვესწრება გამოცდაზე, შეიძლება პასუხი წერილობით მოითხოვოს და ამისთვისაც მზად უნდა ვიყოთო.

რამდენიმე საათი ვწერდი საკითხს, ძალიან ვრცელი გამომივიდა. ამასობაში მისი ლექციებიც დამთავრდა, ნაწერი წაიღო სახლში გასასწორებლად და პასუხისთვის სამი საათის შემდეგ დამიბარა. იცოდა, რომ ქუთაისიდან (სამსახუ-

რიდან) ყოველთვის არ შემეძლო თავისუფლად (ნებისმიერ დროს) წამოვსულიყავი თბილისში, თანაც უნივერსიტეტში ყოველდღე მასაც არ ჰქონდა ლექციები, რომ იქ შევხვედროდით. ამიტომ საჭიროების მიხედვით ზოგჯერ სახლშიც მიბარებდა კონსულტაციისათვის. სახლში მისვლა პირველად ძალიან მეუხერხულებოდა, მაგრამ ისევ ბატონმა ვანომ გამომიყვანა ამ მდგომარეობიდან და დამარწმუნა, რომ ხელმძღვანელისა და ასპირანტის ნორმალური (შედეგიანი) მუშაობისათვის ეს გზაც უნდა გამოგვეყენებინა.

იმავე დღეს დანიშნულ დროზე მივედი ხელმძღვანელთან სახლში. ნაშრომი წაკითხული ჰქონდა და გაღიმებულმა მითხრა: შეგიძლია ხვალვე გახვიდეთ გამოცდაზეო. მერე იქვე წინადადებაც გამარჩევინა იმ წესით, როგორადაც პროფესორი ვარლამ თოფურია მოითხოვდა.

რადგანაც ქუთაისიდან მხოლოდ ერთი დღით ვიყავი წამოსული (თანაც სპეციალური საგამოცდო კომისია უნდა შექმნილიყო, ამ საქმეს ბ-ნი ვანო შეათანხმებდა კათედრაზე), ამიტომ მე იმ საღამოსვე დავბრუნდი ქუთაისში. ხელმძღვანელმა მეორე დღესვე შემატყობინა, რომ გამოცდა ჩატარდებოდა 1969 წლის 19 მაისს. ორ დღეში ისევ თბილისში უნდა ვყოფილიყავი.

გამოცდა ჩატარდა უნივერსიტეტის VI კორპუსში.

2 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა ჩემი გამოკითხვა. გამოცდა დაიწყო წინადადების გარჩევით (ვ. თოფურიას მეთოდით). გასარჩევად მომცეს რთული ქვეწყობილი წინადადება: „როცა კარგად გული იჯერეს და დარწმუნდნენ, რომ მოხუცი არ ეშმაკობდა, იმათაც ხელი აიღეს ცემიდგან“ (ალ. ყაზბეგი). სტუდენტობის დროს ქ. ძოწენიძის ლექციებზე ჩვენ უფრო რთულ (მრავალკომპონენტიან) წინადადებებს ვარჩევდით, ამიტომ პირველად კიდეც გამიკვირდა,

ძალიან მარტივად მეჩვენა. მაგრამ მისი ლინგვისტური ანალიზი სირთულეს შეიცავდა: წინადადების თითოეულ სიტყვაზე მსჯელობისას იგი ჯერ უნდა დამეხასიათებინა ახალი ქართულის მიხედვით, შემდეგ იქვე თვითონ მეკითხებოდნენ: როგორი იყო ეს მოვლენა თუ ფორმა ძველ ქართულში, როგორაა დღეს დიალექტებში; თანვე უნდა წარმომეჩინა ამ საკითხებთან დაკავშირებული განსხვავებული მოსაზრებანი სპეციალური ლიტერატურის მიხედვით. წინადადების გარჩევა რომ დამთავრდა, დაიწყო თეორიული საკითხების შემოწმება, ვრცლად მასაუბრეს არნ. ჩიქობავას წიგნზე „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“.

გამოცდაზე კითხვებით აქტიურობდა პროფესორი შოთა ძიძიგური. ვამჩნევდი, რომ ჩემი ხელმძღვანელი მშვიდად იყო, ნერვიულობა საერთოდ არ ეტყობოდა, მხოლოდ ხანდახან მისეული თბილი, კეთილი ღიმილით გამოხატავდა კმაყოფილებას; კარგად იცოდა ჩემი საერთო მომზადების დონე, თუმცა, სხვათაგან განსხვავებით, ერთი საქებარი სიტყვაც არ უთქვამს ხმამაღლა.

გამოცდის დამთავრების შემდეგ ფეხზე ავდექი ოთახიდან გასასვლელად (შეფასებას მერე გამომიცხადებდნენ). ბატონმა შოთამ დიალექტოლოგიიდან ისევ დამისვა რამდენიმე კითხვა. ამ მდგომარეობაშიც რომ თავისუფლად ვუპასუხე, კომისიის წევრებს გაეღიმათ, თავმჯდომარემ კი განაცხადა: „ხედავთ, ყველაფერი როგორ კარგად სცოდნია! ყოჩაღიც ჩანს. ასეთი პასუხი კარგა ხანია დღის დასწრებულის ასპირანტისგან არ მიგვიღია...“.

ასე წარმატებით (ფრიადი შეფასებით) ჩავაბარე ასპირანტურის გამოცდები, იმედი გავუმართლე ჩემს კეთილისმყოფელთ (ამის შესახებ ზემოთაც უკვე აღვნიშნე).

ამის შემდეგ დავიწყეთ ინტენსიური მუშაობა დისერტაციაზე. რამდენადაც მე ქუთაისში ვცხოვრობდი, თბილისსა და ქუთაისს შორის ხშირი მგზავრობა სამსახურის გამო ჩემთვის ადვილი არ იყო – ერთი დღით „გამოქცეულს“ უნდა მომესწრო ხელმძღვანელის ნახვაც, ბიბლიოთეკაში აუცილებელი ლიტერატურის მოძიებაც. როგორც ვთქვი, პირველ ხანებში ხელმძღვანელს უნივერსიტეტში ვხვდებოდი (თბილისში ჩამოსვლა უნდა დამთხვეოდა ბ-ნი ვანოს ლექციებს), მაგრამ იქ თითქმის სულ დაკავებული იყო: ხან ერთი ასპირანტი ელოდებოდა ჩემსავით და ხან – მეორე. ბ-ნი ვანო წუხდა, რომ ასეთ დროს არ ხერხდებოდა კონსულტაციის ჩატარება მშვიდ პირობებში, აუჩქარებლად. ამიტომ მალევე შემომთავაზა: „თბილისში რომ ჩამოხვალთ, ნუ დაელოდებით ჩემს ლექციებს, მე უნივერსიტეტში ყოველდღე არ დავდივარ. არ მოგერიდოთ, სახლში მომიტანეთ მასალები, თუნდაც კვირადღეს. შეგიძლიათ წინასწარვე დამირეკოთ, რომ ქუთაისში თქვენი საქმე არ დააზარალოთ. თბილისში რომ ცხოვრობდეთ, მაშინ უფრო ადვილი იქნებოდა თქვენთვის, მაგრამ ამ პირობებშიც, თუ იბეჯითებთ და მოცემულ დავალებას დროულად შეასრულებთ, მე ყველანაირად შეგიწყობთ ხელს; ჩემი მხრიდან არ დაგიგვიანებთ ნაშრომის წაკითხვა-შემოწმებას.

ასე მშვიდად, ზედმეტი დაძაბულობის გარეშე, ვწერდი დისერტაციას ხელმძღვანელთან ერთად შედგენილი გეგმის მიხედვით. მადლიერებით აღვნიშნავ იმასაც, რომ ბ-ნი ვანო ყველა საკითხზე ჩემთან ერთად ფიქრობდა. როცა რაიმე ახალი ლიტერატურა გამოჩნდებოდა, მაშინვე წერილობით შემეხმიანებოდა და ამ ინფორმაციას მომაწვდიდა. კიდევ იყო ასეთი შემთხვევებიც: რომელიმე წყაროში, მწერლის თხზულებებში ჩემი თემისათვის საინტერესო საილუს-

ტრაციო მაგალითს თუკი შეხვდებოდა, ასეთებსაც არ ტოვებდა უყურადღებოდ და მათს მოძებნასაც დამავალებდა.

ჩემს არქივში შემონახულია ხელმძღვანელის არაერთი წერილი, რომლებშიც ჩამოწერილია უცხოელ ენათმეცნიერთა ნაშრომების სია **ჩემი მონოგრაფიისათვის** გამოსაყენებლად. მაგალითად, ერთ-ერთ ბარათში მწერდა: *„ზოგი ლიტერატურა შეგიძლიათ გადათეთრების დროს გაიცნოთ და გამოიყენოთ, ჯერ არ არის საჩქარო, თუმცა გახსოვდეთ, რომ გერჰარდ დეეტერსის „ქართველური ზმნა“ (გერმანულად, 1930 წ.) და ჰანს ფოგტის „ქართული ენა“ (ფრანგულად, 1971 წ., მეორე გამოცემა) **აუცილებლად** საჭიროა დამუშავდეს და მიუთითოთ. ორივე წიგნში სულ დაახლოებით 15-20 გვერდი გექნებათ გასაცნობი III სერიასთან დაკავშირებით და ამას მოერევით“... (3.III.71. ი. ქ.)*

ცხადია, ქუთაისში ამ წიგნებს ვერ ვიშოვიდი. საჭირო იყო ისევ თბილისში წასვლა, თუმცა მე იქაც ვერ მოვიძევდი მათ, რადგან იმხანად თითო-ოროლა ეგზემპლარი თუ ექნებოდა საჩუქრად მიღებული რომელიმე ქართველ ენათმეცნიერს უცხოელი კოლეგისაგან. ამაზეც ისევ ბ-ნმა ვანომ იზრუნა. გაირკვა, რომ ჰ. ფოგტის წიგნი ჰქონდა პროფესორ იოსებ მეგრელიძეს, ჩავედი თბილისში და მასთან გამატანა ასეთი შინაარსის ბარათი:

ბატონო იოსებ!

ამ ბარათის მომტანი არის ქუთაისის პედინსტიტუტის თანამშრომელი, ჩვენი ასპირანტი ჟუჟუნა ფეიქრიშვილი. ძალიან გთხოვთ და მჯერა, მენდობით და არ მეტყვით უარს: ფოგტის გრამატიკის ახალი გამოცემა ათხოვოთ ორი კვირით, მე ვარ თავდები. აბა, თქვენთვის ჩვეული გულისხმიერება გამოიჩინეთ!

თქვენი ივანე ქავთარაძე.

ბარათი მივუტანე ბატონ იოსებ მეგრელიძეს. აღმოჩნდა, რომ წიგნი უკვე განათხოვრებული იყო. ბ-ნი ვანო დაუკავშირდა ერთ-ერთი ასპირანტს და სთხოვა, რამდენიმე დღით ჩვენთვის გადმოეცა ფოგტისა და დეეტერსის წიგნები.

მალე ჩემმა გულისხმიერმა ხელმძღვანელმა წერილით მაცნობა:

„ფოგტის ახალი გამოცემაც და დეეტერსიც – ორივე ჩემთანაა. ამ თვეში გვაცლიან და შეგიძლიათ წაიღოთ. დარეკეთ ან წამოჰყევით ავტობუსს დილით და იმ დღესვე დაბრუნდით (ოღონდ შვილზე მეტი შიშით უნდა ჩაგაბაროთ). თქვენ იცით.

28.VII, 72. ი. ქ.

მართლაც, კვირა დღეს, ავტობუსით წავედი თბილისში და საღამოს დავბრუნდი ქუთაისში ამ ძვირფასი წიგნებით. მასალის თარგმნაში დამეხმარნენ ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლები – გერმანულისა და ფრანგულის სპეციალისტები. წიგნები დათქმულ დროზე უფრო ადრე დავაბრუნე...

ბ-ნ ვანოს, როგორც ხელმძღვანელს, ბუნებით ნაბოძები მრავალი საუკეთესო თვისება ჰქონდა. მახსოვს სადისერტაციო თემის პირველი ნაწილი რომ მივუტანე, მართლა ძალიან ვღელავდი: გამოვიდა ეს ნაშრომი ისეთი ფასეული, დისერტაციას რომ შეეფერება-მეთქი, – ვფიქრობდი. სანამ იგი უშუალოდ ნახავდა ხელნაწერ ჩემს გამოკვლევას, წინასწარ გამესაუბრა: კონკრეტულად რა საკითხებს ვეხებოდი, საანალიზო ტექსტებზე დაყრდნობით რა დასკვნები გაკეთდა და ა. შ. მეც თანდათან დავმშვიდდი, ამ წუთებშიც კი ბევრი საინტერესო სიახლე გამოიკვეთა. წამოსვლისას თბილი ღიმილით მითხრა: „წაუკითხავადაც ვგრძნობ, რომ ნაშრომი კარგად გექნებათ დაწერილი“. ნაშრომმა მარ-

თლაც დაიმსახურა მოწონება. ორიოდე დღის შემდეგ ხელმძღვანელმა შემომითვალა: „წერის სტილი ნათელი და დახვეწილია, მსჯელობა – ლოგიკური და დამაჯერებელი. ვიმედოვნებ, მთლიანი სადისერტაციო თემა საინტერესო გამოკვლევა იქნება“.

ამიერიდან უფრო მომემატა საკუთარი ძალების რწმენა და კიდევ უფრო გამიძლიერდა სურვილი სადისერტაციო ნაშრომის დროულად დასრულებისა. ეს არ იყო ჩემთვის რაღაც ე. წ. თავის მოსაწონებელი ინტერესი, სხვათა საჩვენებლად გაწეული შრომის პროცესი. არა, ბავშვობიდან არასოდეს არ მჩვეოდა რაიმე საქმის გაჭიანურება, გადადება, ყველა საქმე დროულად უნდა მიმეყვანა ბოლომდე. საქმეში ეს სიბეჯითე, მონდომება ახლა განსაკუთრებით რომ საჭირო იყო, ამას ისედაც ვგრძნობდი. მით უმეტეს მაშინ, როცა გვერდით მყავდა ასეთი ხელმძღვანელი, მეცნიერებაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი. რაც მთავარია, მე მაინტერესებდა, როგორი იქნებოდა ჩემი უკვე მრავალწლიანი თავდაუზოგავი შრომის შედეგი.

პროფესორი ივანე ქავთარაძე ყურადღებიანი ხელმძღვანელი მხოლოდ ჩემ მიმართ როდი იყო. მეცნიერებისადმი უსაზღვრო ერთგულება მისთვის ბუნებითი თვისება გახლდათ და ამასვე მოითხოვდა სხვებისგანაც. ბ-ნ ივანეს იმ დროს სხვა ასპირანტებიც ჰყავდა, მის ბინაში ზოგჯერ ერთდროულად რამდენიმე მოვიყრიდით თავს, მაგრამ ყველასთან მუშაობდა გულდასმით, აუჩქარებლად, რადგან თავადაც სწამდა და ჩვენც ხშირად გვიმეორებდა: **„მეცნიერება ძალიან ფაქიზი რამაა; არ უყვარს ზერელობა და სიჩქარე. საჭიროა ფუტკარივით მოუღლელი შრომა, გულმოდგინება და არა იოლი გზით სიარული. საანალიზო მასალა უნდა იყოს ზუსტი და სწორი, თანაც მრავალფეროვანი, მიღებული დას-**

კვნა კი – სარწმუნო და სანდო“ (ამ მხრივაც ბევრი რამ ვისწავლე ხელმძღვანელისგან).

... შრომა და შრომა, სიხარული და კმაყოფილება შრომის შედეგით. ერთიორად მახარებდა ისიც, რომ ვამართლებდი ჩემი ყოფილი მასწავლებლების იმედს, ნდობას: ამით პირველ რიგში პატივს ვცემდი ბ-ნი ვანოს ერთგულებასა და შრომას. ვცდილობდი იმასაც, რომ ჩემთან ხელმძღვანელის მუშაობა დამღლელი და ზედმეტად შემაწუხებელი არ ყოფილიყო მისთვის. მე ხომ ქუთაისში ვცხოვრობდი და ვმუშაობდი, ამიტომ შეუძლებელი იყო ჩვენი კონსულტაციების გრაფიკის წინასწარი განსაზღვრა, ჩვენი შეხვედრები ძირითადად მორგებული უნდა ყოფილიყო ჩემს დღის რეჟიმზე. აქედან გამომდინარე, მაქსიმალურად ვცდილობდი, დროის განაწილების თვალსაზრისით რაიმე უხერხულობა არ შემექმნა ხელმძღვანელისათვის: ამა თუ იმ საკითხის დამუშავებასთან დაკავშირებით მის ნავარაუდევ ვადებს ყოველთვის ვასწრებდი (ამ მხრივ შეხსენებაც კი არასოდეს არ დასჭირვებია). ჩანს, ბ-ნი ვანო აფასებდა ჩემი მხრიდან ასეთ პუნქტუალობასა და პასუხისმგებლობას, ყველანაირად მიწყობდა ხელს მუშაობაში. ალბათ, ამის გამო იყო, რომ მან – საერთოდ დინჯმა, მშვიდმა და ერთგვარად სიტყვაძუნწმა ხელმძღვანელმა – თავისი ოჯახის წევრებს, ჩემი თანდასწრებით, ასე უთხრა: „უუჟუნას მუშაობას რომ ვაკვირდები, მაგონდება ძველი ქართველი ქალები, საქმის ერთგულნი და ჭკვიანები“.

ერთხელ კიდევ ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, ივანე ქავთარაძის განსაკუთრებული ხელშეწყობით, უნარიანი ხელმძღვანელობით შედარებით მოკლე დროში დასაცავად მომზადდა ჩემი სადისერტაციო ნაშრომი. რადგანაც მე ასპირანტურის კურსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

გავიარე, დაცვაც იქ უნდა მომხდარიყო, მაგრამ იქ დისერტანტთა დიდი რიგი იყო თურმე და ამის გამო ჩემი დისერტაციის დაცვა შეიძლებოდა შემდგარიყო ერთი წლის შემდეგ. ქუთაისელისათვის (ანუ ჩემთვის) კიდევ ერთი წლის განმავლობაში თბილისში მიმოსვლა, თუნდაც ფიზიკური და ფინანსური თვალსაზრისით, ადვილი რომ არ იქნებოდა, ეს ყველაზე უკეთ ხელმძღვანელმა იცოდა. ამიტომ სამეცნიერო წრეებში (სათანადო უწყებებში) შეთანხმების შემდეგ, მისი წინადადებით, გადაწყდა, რომ უნივერსიტეტის ნაცვლად ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩატარდებოდა დაცვა უფრო ადრე – **1973** წლის მაისში.

29 მაისის მოლოდინში ბუნებრივად ვღელავდით დისერტანტიცა და ხელმძღვანელიც. მართალია, ბ-ნი ვანო დარწმუნებული იყო ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებაში (უხვ საილუსტრაციო მასალაზე დაყრდნობით გამოტანილი დასკვნები სანდო და გასაზიარებელი ჩანდა), ისიც ეიმედებოდა, რომ მთლიან მასალას კარგად ვფლობდი და მასზე მსჯელობა თავისუფლად შემეძლო, მაგრამ თურმე (როგორც შემდგომ ითქვა) აფიქრებდა დაცვის მომენტში დისერტანტის ფსიქოლოგიური განწყობა (მას ხომ ჯერ არ ენახა ჩემი საჯარო გამოსვლა ასეთი დიდი აუდიტორიის წინაშე); ხომ შეიძლებოდა ჩემს შინაგან ემოციებს გარკვეულად დაეჩრდილა დაცვის პროცესი (ალბათ, მსგავსი სიტუაცია სხვა დროსაც ენახა); გარდა ამისა, სამეცნიერო საბჭოსათვის ხომ სრულიად უცნობი ვიყავი... ჩანს, დაცვის დაწყებამდე ამგვარი აზრი გაუჩნდა პროფ. არნ. ჩიქობავასაც, მოულოდნელად მომიახლოვდა კათედრასთან მდგომს და საოცარი თბილი ხმით მკითხა: „თქვენ ბრძანდებით დისერტანტი? – შემდეგ განაგრძო: – შესავალი სიტყვა გინდ წაიკითხეთ, გინდ ზეპირად თქვით... არ შეგეშინდეთ; თავი

ისე წარმოიდგინეთ, ვითომც საკუთარ სტუდენტებს უხსნით ლექციას. მშვიდად იყავით, საშიში არაფერია".

შესავალი სიტყვა რომ დავიწყე (ზეპირად), მაშინვე დარბაზში თვალით მოვძებნე ჩემი ხელმძღვანელი, სკამზე იჯდა ოდნავ წინგადმოხრილი, სახეზე დაძაბულობა ეტყობოდა თითქოს. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად წარიმართა: დისერტაციას მაღალი შეფასება მისცეს, განსაკუთრებით ხაზი გაესვა დისერტანტის თხრობას, მსჯელობას, მეცნიერული პაექრობის უნარს...

სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მომანიჭა საძიებელი ხარისხი. ჩემი ხელმძღვანელი უკვე წელში გასწორებული იჯდა სკამზე და ჩვეული კეთილი ღიმილითა და თავის ოდნავი დახრით მანიშნებდა კმაყოფილებას. როცა დარბაზში საბოლოო შედეგი ოფიციალურად გამოცხადდა და დაიწყო ტრადიციული „მილოცვები", ბატონმა არნოლდმა პირველმა მომილოცა წარმატება: ხელი ჩამომართვა, მერე შეჩერდა და მითხრა: „მომეწონა თქვენი გამოსვლა, თქვენ მართალი ხართ II თურმეობითის **ნ**-ს კვალიფიკაციისა და ქრონოლოგიის საკითხში", კიდევ რამდენიმე თბილი სიტყვაც თქვა და ბოლოს ასე დამლოცა: „ხელ მაგიმართასთ!"

ჩვენი ეს საუბარი დარბაზში მყოფთ ყველას არ ესმოდა, საბჭოს წევრებს კიდეც გაუკვირდათ თურმე არნოლდ ჩიქობავასაგან ასეთი დამოკიდებულება ჩემდამი, ჩვეულებრივ, ხმის მიცემის შემდეგ ტოვებდა სხდომათა დარბაზსო. ეს მე, ცხადია, არ ვიცოდი, მაგრამ მომდევნო დღეს ბ-ნმა ვანომაც რომ მკითხა, რაზე გესაუბრებოდათო (თანაც ეს ფაქტი უჩვეულო შემთხვევად ჩათვალა), მე აშკარად ვიგრძენი: ქართული ენათმეცნიერების ერთ-ერთი მესაძირკვლის ჩემთან საუბარი და გამხნევება დაცვის პროცესის დაწყებამდე და ბოლო მომენტში მილოცვისას კოლეგია-

ლური მსჯელობა დალოცვით დამთავრებული – ეს იყო ამ დიდი მეცნიერის, ასევე საუკეთესო პედაგოგის ზნეობრივი სრულყოფილების დასტური. ჩანს, მან იმ წუთებში საჭიროდ მიიჩნია წინასწარ გაემხნევებინა სრულიად უცხო აუდიტორიის წინაშე მდგარი და იქაური სამეცნიერო წრეებისათვის თითქმის უცნობი დისერტანტი!

ასე კეთილად დამთავრდა ჩემი სამეცნიერო საქმიანობის პირველი ეტაპი. რომ არა ასეთი სპეტაკი, საქმიანი, ახალგაზრდობის მოყვარული და უანგარო ქომაგი, სანიმუშო ხელმძღვანელი, როგორიც ბრძანდებოდა პროფესორი ივანე ქავთარაძე, ალბათ, კიდევ დიდხანს დამჭირდებოდა „ბრძოლა“ სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებისათვის...

მეორე დღეს, სახლში რომ მივედი, გაღიმებული შემხვდა – კანდიდატს გაუმარჯოსო! თან ხმამაღლა, ყველას გასაგონად დაამატა: მშრომელი, ბეჯითი, ნიჭიერი რომ იყო, ვიცოდი, მაგრამ ასე ყოჩაღიც თუ იქნებოდა, ნამდვილად არ მეგონაო. მე შემრცხვა. მინდოდა კიდევ ერთხელ გადამეხადა მადლობა გაწეული ამაგისათვის, მან კი ღიმილით შემაწყვეტინა: „მე ხომ ყოველთვის გასწავლიდით, სიკეთეს სიტყვიერი მადლობა არ სჭირდება. **მე ჩემს მოვალეობას ვასრულებდი**. ჩემი მადლობა არის ის კარგი დისერტაცია, საქმისადმი თქვენი ერთგული დამოკიდებულება“... შემდეგ თავისი დიდი მასწავლებლის – ვ. თოფურიას მაგალითით ზნეობის კიდევ ერთი შთამბეჭდავი გაკვეთილი ჩამიტარა.

რაც წლები გადის, კიდევ უფრო ძლიერდება ჩემში მისი პიროვნული თვისებებისადმი მოკრძალება და პატივისცემა.

როგორც წესი, დისერტაციის დაცვის შემდეგ ხელმძღვანელისა და ასპირანტის საქმიანი ურთიერთობა თითქმის მთავრდება; ყოფილი ასპირანტი ცხოვრების ახალ გზაზე დამოუკიდებლად აგრძელებს საქმიანობას. თუმცა ამ ზო-

გად კანონზომიერებასაც აქვს თავისი გამონაკლისები – პროფესორი ი. ქავთარაძე ბოლომდე იყო ჩემი მუდმივი მასწავლებელი, შემდგომი სამეცნიერო მუშაობის მეგზური.

ჯერ კიდევ დისერტაციაზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე ახალი საკითხი, რომლებიც ვერ მოხვდებოდა საკვალიფიკაციო მონოგრაფიაში, თუმცა ისინი ლინგვისტურად საინტერესო ჩანდა და მოითხოვდა ცალკე საგანგებო კვლევას. შევთანხმდით, რომ დაცვის შემდეგ ამგვარ საკითხებს აუცილებლად მივუბრუნდებოდით. მაგრამ მალე დავქორწინდი, შვილის ავადმყოფობის გამო თავიდანვე ძალიან დავიტვირთე ფიზიკურად. სამსახურთან ერთად ნაკლებად ვიცლიდი სამეცნიერო საქმიანობისათვის. ბ-ნი ვანო ამ ვითარებაშიც მფარველად მოევლინა ჩვენს ოჯახს: ბარათებითა და ტელეფონით გვანუგეშებდა: „მხნედ იყავით, ცოტაც მოითმინეთ, გაიზრდება ვაჟკაცი და, რაც აქამდე გაგაწვალათ ავადმყოფობით, სამაგიეროს გადაგიხდით კაიკაცობითა და სასახელო მამულიშვილობით“. ბარათებში თანვე მესაუბრებოდა ძველი სამუშაო თემების შესახებაც. არ უნდოდა, რომ სრულიად მოვწყვდომოდი ჩემთვის ყველაზე საინტერესო და სასიამოვნო საქმეს. სწორედ ჩემი ხელმძღვანელის თანადგომით ყოველწლიურად მაინც ვახერხებდი თითო-ოროლა სტატიის დაწერას, ზოგი ისევ მისი რეკომენდაციით კიდეც დაიბეჭდა რესპუბლიკურ ჟურნალებსა და კრებულებში.

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსათვის ბ-ნი ვანო დაჟინებით მირჩევდა, დამეწყო მუშაობა სადოქტორო დისერტაციაზე: „ყოველწლიურად ხომ მაინც უნდა დაწეროთ საკვლევი თემა. თქვენს პირობებში ერთ მონოგრაფიაზე მუშაობა უფრო ადვილი იქნება და თან ამასობაში კარგი საქმე გაკეთდება“ (ამას ემატებოდა ლ. კვანტალია-

ნის გამუდმებული შეხსენებაც). საორიენტაციოდ რამდენიმე თემა დამისახელა და საბოლოოდ გადაწყდა, რომ სადოქტორო დისერტაცია იქნებოდა მონოგრაფია სახელწოდებით **„სიტყვაწარმოება (სახელთა დერივაცია) თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“** (მოგვიანებით ოფიციალურად კიდეც დამტკიცდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე).

ჩემი დიდი მასწავლებლის, ი. ქავთარაძის, მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე ფიქრი შევწყვიტე. ამ გადაწყვეტილებას კიდევ უფრო აძლიერებდა ჩემი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა... მიუხედავად ამისა, მას შემდეგ წლების განმავლობაში სავალდებულო საკვლევ თემებად სიტყვაწარმოების საკითხებს ვამუშავებდი იმ გეგმის მიხედვით, რომელიც უკვე შედგენილი მქონდა ხელმძღვანელთან ერთად. ასე რომ, 2000-იანი წლების დამდეგისათვის ამ მიმართულებით რამდენიმე ვრცელი ნაშრომი მქონდა დაწერილი (ზოგი მათგანი ნაწილ-ნაწილ კიდეც იბეჭდებოდა). ყველა ეს მასალა მოგვიანებით გავაერთიანე მონოგრაფიად სახელწოდებით **„სახელთა დერივაცია თანამედროვე ქართულში“** (თბ., 2008)[1]. წიგნის გამოცემა მიკარნახა ჩემთვის ძვირფასი ადამიანების, პირველ რიგში, ბატონი ვანოს ხსოვნისადმი პატივისცემამ.

• 1982 წელს ჩემი ხელმძღვანელი მატყობინებდა, რომ მოიპოვეს უფლება – დაეარსებინათ ახალი დიალექტოლოგიური კრებული, რომლის გამოცემა ნავარაუდევი იყო მომდევნო წლისათვის, ახლა კი ნელ-ნელა გროვდებოდა დასაბეჭდი სტატიები. რადგან ჩემს საკანდიდატო დისერ-

[1] ამასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე ამ მონოგრაფიის წინასიტყვა.

ტაციასთან დაკავშირებით მე უკვე მოძიებული მქონდა უამრავი მასალა დიალექტებში არსებულ მესამე სერიის ფორმებზე, მაგრამ ყველა, ბუნებრივია, ვერ მოხვდა საკვალიფიკაციო ნაშრომში (ეს კი ბ-ნმა ვანომაც იცოდა), ისევ ხელმძღვანელის რჩევით, დავიწყე მუშაობა ახალ თემაზე – „პირველი თურმეობითის წარმოება და მნიშვნელობა ქართულ დიალექტებში". ამასთან დაკავშირებით იგი ერთ-ერთ ბარათში მწერდა: „ეგ თემა ისევე კარგი უნდა გამოვიდეს, როგორიც დისერტაცია იყო... მასალები ამოკრიბეთ ტექსტებიდან, დიალექტური გამოკვლევებიდან, ვისაც კი რა აქვს გამოცემული. გვიჩვენეთ ტენდენცია – საითკენ მიდის მეტყველება – სალიტერატურო ენის ნორმები ახდენს გავლენას და იმორჩილებს (ასე მოველით, ესაა კანონზომიერება), თუ **ია, ნია** მოგვეძალა?"

რამდენიმე თვეში, ამ მითითების მიხედვით, დავწერე ზემოდასახელებული გამოკვლევა (საკმაოდ დიდი მოცულობის გამოვიდა) და გავუგზავნე „დიალექტოლოგიური კრებულის" გამომცემლებს. ბ-ნმა ვანომ ჩვეული გულისყურით წაიკითხა და შემატყობინა: „თქვენი სტატია კარგია... ახლა იმავე რწმენით და სიბეჯითით იმუშავეთ II თურმეობითზე და ბარემ III კავშირებითზეც."

სამწუხაროდ, ჩემს ხელმძღვანელს ეს ახალი თემები აღარ უნახავს. 1984 წლის ზაფხულიდან სამუდამოდ შეწყდა ჩვენი ამქვეყნიური საქმიანი თანამშრომლობა. მას არ უნახავს 1992 წელს და მას შემდეგ დაბეჭდილი ჩემი სახელმძღვანელოები, დიალექტური ლექსიკონები თუ სხვა წიგნები (რომელთა საერთო რაოდენობა უკვე 30-ს აჭარბებს), მათ შორის **„მესამე სერიის მწკრივები ახალ სალიტერატურო ქართულში"** (თბილისი, 2007, რედაქტორი

პროფ. ი. ქავთარაძე, რეცენზენტი პროფ. რუსუდან ზექალაშვილი). წიგნი მივუძღვენი მეცნიერხელმძღვანელის ნათელ ხსოვნას. რამდენადაც ამ მონოგრაფიაში უხვ საილუსტრაციო მასალაზე დაყრდნობით განხილულია მესამე სერიის ფორმათა წარმოება და ფუნქცია ახალი სალიტერატურო ქართულის მიხედვით (გათვალისწინებულია საშუალი ქართულისა და თანამედროვე დიალექტების ვითარება), ნაჩვენებია ამ ასპექტით ენის განვითარების საერთო ტენდენცია და, აგრეთვე, კვლევის შედეგები ფასეული ჩანს ქართული სალიტერატურო ენის ნორმების თვალსაზრისითაც, ამიტომ თემის ხელმძღვანელი იმთავითვე მიიჩნევდა, რომ ეს სადისერტაციო ნაშრომი (რომელიც თავისი ფორმის გამო, როგორც წესი, ხელმისაწვდომია მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის), აუცილებლად გამოცემულიყო წიგნად, რათა მას გასცნობოდა ფართო მკითხველი. იგი წლების განმავლობაში წერილობითაც კი ხშირად შემახსენებდა: „თქვენი საკანდიდატო დისერტაცია ერთ-ერთი საუკეთესო იყო... დასანანია, რომ არ ზრუნავთ მის დაბეჭდვაზე“. სამწუხაროდ, ბ-ნ ვანოს ეს სურვილი მის სიცოცხლეში ვერ შევუსრულე გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო და მხოლოდ მოგვიანებით შევძელი წიგნის გამოცემა.

პროფ. ი. ქავთარაძის პიროვნული პორტრეტისათვის გავიხსენებ აგრეთვე ზოგიერთ სხვა ეპიზოდს.

• 1973 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (პირველად საქართველოში) გაიხსნა უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. ოთხთვიანი შეკრება მოეწყო 15 იანვრიდან 15 ივნისამდე. კურსების პირველ მსმენელთა შორის მეც ვიყავი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტიდან. ლექციებს გვიკითხავდნენ უნივერსიტეტის პროფესორები, მათ შორის, ივანე

ქავთარაძე (ქართული ენის დიალექტოლოგიაში). მეცადინეობის ბოლო დღეს ბ-ნი ვანო გვესაუბრა ქართული ენათმეცნიერების ზოგად საკითხებზე, მასწავლებლის მოვალეობაზე... ბოლოს დაამატა: „შეიძლება აქ ბევრი ახალი ვერაფერი ისწავლეთ, მაგრამ ხომ შეხვდით ხალხს (ლექტორებს), ერთმანეთი გაიცანით, მეგობრები შეიძინეთ. ვინც თქვენ მოგეწონათ, ის გაიხადეთ მისაბაძ მაგალითად. იყავით ცხოვრებაში პატიოსანნი, იშრომეთ. როცა რაიმე დაგჭირდებათ, მოგვმართეთ; ჩვენ ყველაფერში დაგეხმარებით".

კურსებზე გატარებული 4 თვე ნამდვილად იყო სასარგებლო თითოეული ჩვენგანისათვის. აქ ზოგი რამ ახალიც ვისწავლეთ, დავინახეთ საკითხზე მსჯელობის განსხვავებული მიდგომა და ახლებურად წვდომის უნარიც შევიძინეთ. და, რაც მთავარია, მოვისმინეთ ჩვენი იმჟამინდელი კურსების მასწავლებლების მიერ ჩატარებული განსხვავებული სტილისა და მეთოდოლოგიის ლექციები.

● ბ-ნი ვანო დღენიადაგ ზრუნავდა ახალგაზრდა კადრების აღზრდაზე. სამეცნიერო მუშაობისათვის მათს მომზადებაზე. განსაკუთრებით ცდილობდა ასპირანტურაში სასწავლებლად თბილისის გარდა მოეზიდათ სხვა რეგიონების უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები (მეტწილად – ვაჟები). იგი ქუთაისის პედინსტიტუტის ლექტორ-მასწავლებლებს ხშირად შეგვახსენებდა ხოლმე: „ქართული ენით დაინტერესებული ვაჟები პირველი კურსიდანვე ამეცადინეთ და მოამზადეთ სამომავლო სამეცნიერო საქმიანობისათვის, განსაკუთრებით ზანები და სვანები" (სწორედ ჩვენი რეკომენდაციით თბილისში, ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ბატონი ვანოს დახმარებით დაიწყო მუშაობა ქუთაისის ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმა კოტე კაკიტაძემ, შემდგომში – პროფესორმა). სხვაგვარად

რომ ვთქვა, პროფესორი ივანე ქავთარაძე ნამდვილად იყო მეცნიერების თავდადებული მსახური, ამ დიდ ეროვნულ საქმეს შეწირული „მებრძოლი“. იგი თითოეულ ნიჭიერსა და შრომისმოყვარე ახალგაზრდაში ეძიებდა ქართული ენის გულშემატკივარს; ასეთ დროს ყოველთვის გამოდიოდა საქმის ინტერესიდან და მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა პიროვნების სოციალურ მდგომარეობას და „ცნობადობას“.

• მეცნიერებაზე უსაზღვროდ შეყვარებული თავადაც გამუდმებით შრომობდა, იმავდროულად სტუდენტებსა თუ ასპირანტებს აჩვევდა საქმისადმი უდიდეს პასუხისმგებლობას, არ უყვარდა ზერელობა, ზედმეტი აჩქარება... მის ფხიზელ თვალს არასოდეს არ გამოეპარებოდა ნაწერში რაიმე უზუსტობა; მისთვის არ არსებობდა „წვრილმანი“ საკითხი...

• პროფ. ივანე ქავთარაძის საზოგადოებრივი საქმიანობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახლდათ მისი კეთილგანწყობა სხვა უმაღლესი სასწავლებლების კოლეგებისადმი. მაგალითად, ქუთაისის პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგის ქ. ძოწენიძის არქივში ა. შანიძის, ვ. თოფურიას, არნ. ჩიქობავასა და სხვათა წერილების გვერდით ინახებოდა ი. ქავთარაძის ბარათი, რომელშიც კათედრის წევრებს სთხოვს ერთ-ერთ კრებულში დასაბეჭდად სტატიებისა თუ სხვა ინფორმაციების გაგზავნას (იხ. გვ. 28-30).

გარდა ამისა, მოგვიანებით ჩვენთან პირად საუბარშიც ხშირად გამოუთქვამს გულისტკივილი, რომ ქუთაისის პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრა რატომღაც ვერ ჩნდებოდა რესპუბლიკურ ღონისძიებებზე ისე, როგორც საჭირო იყო. დიდი ტრადიციების კათედრა უფრო აქტიური უნდა იყოს... ქართული ენათმეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის მას მოფიქრებული ჰქონდა ამ მიმართულე-

ბით ახალი სამუშაო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ახალგაზრდა კადრების ჩართვასაც. უახლოეს ასეთ ერთ-ერთ ხელისშემწყობ ფაქტორად ესახებოდა 1984 წლის შემოდგომაზე ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში რესპუბლიკური დიალექტოლოგიური კონფერენციის ჩატარება (აქ მოხსენების წაკითხვა მეც დამავალა). სამწუხაროდ, თავად ველარ შეძლო მონაწილეობის მიღება...

• ი. ქავთარაძე, როგორც ხელმძღვანელი, ყოველთვის იყო აკადემიური, საოცრად ტაქტიანი, მომთხოვნი, მაგრამ არა მკაცრი. შენიშვნის მიცემის დროსაც იყო თავდაჭერილი, მშვიდი. მის ყოველ სიტყვას სხვაგვარი ზემოქმედების ძალა ჰქონდა. არავისგან არ მოითხოვდა ზედმეტს, იმას, რაშიც თავად არ იძლეოდა სანიმუშო მაგალითს.

• ცხოვრებითა და მეცნიერული მოღვაწეობით პროფ. ი. ქავთარაძე აღიარებული იყო აკად. ვ. თოფურიას ღირსეულ მოწაფედ (თავადაც ყოველთვის ეამაყებოდა დიდი ოსტატის შეგირდობა). სპეტაკი ბუნება, კეთილშობილება, უანგარობა ამშვენებდა მის პიროვნებას. ყოველთვის მახსოვს ანდერძივით გადმოცემული მისი სიტყვები: „ჩემი ძვირფასი მასწავლებელი და მისაბაძი პიროვნება ვარლამ თოფურია იყო". მეც, ყოფილ ასპირანტს, შემიძლია მადლიერებითა და თან სიამაყით განვაცხადო: პროფ. ივანე ქავთარაძე გახლდათ არაჩვეულებრივად ლამაზი სულის, ზნემაღალი მასწავლებელი და სანიმუშო მეცნიერხელმძღვანელი.

მინდა ეს ჩემი მოგონება დავამთავრო ორიოდე ამონარიდით:

„ივანე ქავთარაძე არ წასულა გულნაკლული ამ ქვეყნიდან. მისი შრომა ღირსეულად იყო დაფასებული. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები, მიენიჭა საქ. სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო ივანე ჯავახიშვილისა და იაკობ გოგე-

ბაშვილის მედლებით, ხოლო მოულოდნელი სიკვდილის წინა დღეებში უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ იგი აირჩია ახალი ქართული ენის კათედრის გამგედ. ამიერიდან კიდევ უფრო ფართო ასპარეზი იშლებოდა ივანე ქავთარაძის მადლიანი მოღვაწეობისათვის, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა აღარ მისცა მას ამის საშუალება.

... ნათელი სახე ივანე ქავთარაძისა, როგორც ადამიანის, მოქალაქისა და მეცნიერის, დაუვიწყარი იქნება ყველასათვის, ვისაც კი მასთან საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონია".

ლევან მენაბდე, აკაკი ურუშაძე, კონსტანტინე ფალავა, ჯუმბერ ჭუმბურიძე, ივანე ვეშაპიძე, ოთარ ურიდია (გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1984, 13 ივლისი).

„აკად. ვ. თოფურიას აღზრდილი და მისი უახლოესი თანამშრომელი, გულისხმიერი აღმზრდელი და დაკვირვებული მეცნიერი, ი. ქავთარაძე ყოველთვის ცდილობდა ეხელმძღვანელებინა თავისი მასწავლებლის პრინციპებით – ყოფილიყო ობიექტური და სამართლიანი ადამიანებთან ურთიერთობისას და სპეტაკი თავისი მეცნიერული სინდისის წინაშე. მუდამ ჰყავდა მას ბევრი დამფასებელი და თაყვანისმცემელი, ამიტომ სარგებლობდა ავტორიტეტითა და სიყვარულით თავის მოწაფეთა და კოლეგათა შორის, რომელთაც ყოველთვის ემახსოვრებათ ძვირფასი მასწავლებელი და მეგობარი ივანე ქავთარაძე".

(მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1984, №4).

ასეთი გახლდათ ჩემი მეცნიერხელმძღვანელი პროფესორი ივანე ქავთარაძე. მისი მსგავსი ღირსეული ადამიანები განსაკუთრებით სჭირდება თანამედროვე საზოგადოებას, რომელთა ერთი ნაწილისათვის, სამწუხაროდ, უცხოა უანგარო, კეთილი საქმეები...

„სიკეთის ნერგი იხარებს...“

პროფესორ
რაფიელ შამელაშვილის
ხსოვნას

რაც დრო გადის, მით უფრო ხშირ-ხშირად შემახსენებს თავს მოგონებანი წარსულისა, რომელიც კვლავაც საოცარი სითბო-სიყვარულით მისურათხატებს განცდილსა და ნანახს, ჩემი ძვირფასი მასწავლებლების, უფროსი კოლეგების გვერდით გატარებულ დღეებსა თუ საქმიან ურთიერთობებს რომ ახლდა...

ცხადია, ჩემი უფროსი კოლეგები პიროვნული თვისებებითაც მეტ-ნაკლებად განსხვავებულნი იყვნენ, მაგრამ მათ აერთიანებდა ერთი მთავარი ღირსება – **ახალგაზრდობის სიყვარული და სხვათა ნიჭიერების, საქმიანობის არა მხოლოდ შეცნობა-დაფასების უნარი, არამედ ყოველივე ამის გულწრფელი ალიარების დიდი სურვილიც** (რაც სამწუხაროდ, დღეს იშვიათობად იქცა!). დიახ, ისინი ამ გზითაც გვიტარებდნენ ზნეობრივ გაკვეთილებს და ჩვენ, უმცროსებს, იმაშიც გვარწმუნებდნენ, რომ „ნატვრა შეჰხარის სხვის ღირსებას, შური კი ებრძვის...“ საბედნიეროდ, მათი მაგალითით ჩემში უფრო გაცნობიერდა ამ სიტყვების მნიშვნელობა და, ალბათ, ამიტომაცაა, რომ დღეს ჩემს ერთერთ ადამიანურ ვალად (და მოვალეობადაც) ვთვლი, თანამედროვე საზოგადოებას, განსაკუთრებით – ახალგაზრდობას, სანიმუშოდ გავაცნო უფროსი თაობის – ფუტკარივით მოუღლელი ლექტორების, თავის საქმეზე ფანატიკურად შეყვარებული მასწავლებლების, სპეტაკი და გულისხმიერი

აღმზრდელების – საქმიანობა, მათი ნაღვაწის კეთილი ნაყოფი, რამეთუ, ერთი ბრძნული ნათქვამისა არ იყოს, მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ მათი ცხოვრებიდან ჩვენ სასარგებლოს არაფერს გამოვიტანთ...

სწორედ ასეთი შთაგონებით მივაგე მოკრძალებული პატივი ზოგი ჩემი მასწავლებლის ნათელ ხსოვნას და წიგნებისა თუ ცალკეული მოგონებების სახით გამოვხატე მათდამი უსაზღვრო მადლიერება. ახლაც მინდა, ასეთივე პატივი მივაგო უფროსი კოლეგის – მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **რაფიელ შამელაშვილის** (1922-1994) ხსოვნას ჩემდამი გამოვლენილი თანადგომის, გულისხმიერების, პროფესიული თანამშრომლობისათვის და რამდენიმე ეპიზოდის მოგონებით მკითხველს გავაცნო ჩემეული თვალით დანახული ბ-ნი რაფიელის პიროვნება.

მე არ ვყოფილვარ რ. შამელაშვილის უშუალო მოწაფე. ჩემი სტუდენტობის წლებში იგი ლექციებს კითხულობდა ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში (იყო ქართული ენის კათედრის დოცენტი), თუმცა ოჯახით ქუთაისში ცხოვრობდა და ამიტომაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს ინსტიტუტთან, აქაურ კოლეგებთან. მაშინ სტუდენტებმაც ვიცოდით, რომ იგი იყო ქუთაისის პედინსტიტუტის კურსდამთავრებული, ქეთევან ძოწენიძის ყოფილი სტუდენტი, მის ზოგიერთ სამეცნიერო ნაშრომსაც უკვე ვიცნობდით...

... 1969 წლის 4 სექტემბერს, 52 წლის ასაკში, გარდაიცვალა ქეთევან ძოწენიძე – ჩემი უსაყვარლესი ლექტორი, ქართული ენის კათედრის გამგე. ქუთაისი, ქართული სამეცნიერო საზოგადოება უსაზღვრო მწუხარებით გამოეთხოვა თავის რჩეულ ქალბატონს, ნიჭიერ ენათმეცნიერს. დაიწერა ოფიციალური ნეკროლოგები, გამოსათხოვარი წე-

რილები, რომელთა შორის ერთ-ერთი გახლდათ **„დისერტაციის დაცვა არ შედგება“** (გაზ. „ქუთაისი“, 1969, 11 ოქტომბერი). მასში ავტორმა – **რ. შამელაშვილმა** – მოკრძალებით, უსაზღვრო პატივისცემითა და სიყვარულით ზუსტად გაახმოვანა ყველა ჩვენგანის, ქ-ნი ქეთევანის ყოფილი სტუდენტების, გულისთქმა. *„უდროოდ შეწყდა ნათელი სიცოცხლე, სამუდამოდ შეჩერდა ესოდენ მგრძნობიარე გულის ფეთქვა, შეწყდა აზროვნება მეტად გამჭრიახი გონებისა, სიცოცხლის შუქი ჩაქრა ჭკვიან და შორსმჭვრეტელ თვალებში, მაგრამ ამ თვალებმა იმდენი სითბო დატოვეს, მისმა ბაგებმა იმდენი თქვეს, მისმა კალამმა იმდენი დაწერა, რომ რამდენიმე ადამიანს ეყოფა უკვდავსაყოფად... ქეთევანი – ქართული ენის დიდი მოსარჩლე, ქეთევანი – უბადლო ლექტორი, მასწავლებელთა მასწავლებელი, ქეთევანი – ქალის სინდისი და პატიოსნება, ქეთევანი – ყოყოჩობისა და რეკლამის დაუნდობელი მტერი, ქეთევანი – უსამართლობის წინააღმდეგ ალმართული ორლესული, ქეთევანი – იასავით გულნაზი, სათუთი გრძნობების პატრონი, დიდი მამაულიშვილი, ჰუმანისტი – ასეთი იყო იგი“*...

კითხულობ ამ საოცრად მგრძნობიარე წერილს (რომელშიც არც ერთი ფრაზა, არც ერთი სიტყვაც კი არაა გაზვიადებული, არაგულწრფელი) და რწმუნდები, რომ კარგ მოძღვარს შეგირდიც კარგი ჰყოლია. სწორედ ამ სტატიით ახლოს გავიცანი რ. შამელაშვილი, როგორც პიროვნება, და, სხვა ბევრის მსგავსად, აშკარად გამოვხატე გულწრფელი მადლიერება მის მიმართ ქ-ნი ქეთევანის ასე ლამაზად წარმოჩენისათვის.

ბ-ნი რაფიელი გახლდათ უპრეტენზიო, თბილი და რბილი ბუნების ადამიანი, ურთიერთობაში (განსაკუთრებით სტუდენტებთან) ყოველთვის – კორექტული, გულისხმიერი, ლამაზი იუმორით შეზავებული ხუმრობაც უყვარდა... თა-

ვად „წიგნის კაცი“ უაღრესად დიდ პატივს სცემდა ახალგაზრდების შრომას, საქმისადმი პასუხისმგებლობას, დაუზარებლად აცნობდა მათ სპეციალურ ლიტერატურაში თავჩენილ სიახლეებს და ამ მხრივ ერთგვარი გზამკვლევის როლს ასრულებდა, რადგან ხელი მიუწვდებოდა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ წიგნებზეც კი... ჩვენს უფროს კოლეგას კიდევ ერთი დადებითი თვისება ჰქონდა. ამა თუ საკითხისა თუ კონკრეტული ადრესატის (პიროვნების) მიმართ თავის აზრს გულღიად, ხმამაღლა გამოთქვამდა როგორც პირად საუბრებში, ისე საჯარო გამოსვლებით.

... 1973 წლის 29 მაისს თბილისში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, შედგა ჩემი დისერტაციის დაცვა. ბ-ნი რაფიელი ესწრებოდა ამ პროცესს, სიტყვითაც გამოვიდა, შეაფასა საკვალიფიკაციო ნაშრომი და, რაც მთავარია, მაშინ სამეცნიერო საბჭოს წევრებს, დამსწრე აუდიტორიას უფრო ახლოს გააცნო მათთვის მართლაც უცნობი, გლეხის ოჯახში აღზრდილი, „უპატრონო“ (როგორც მაშინ იტყოდნენ უცნობი მამის შვილზე), მაგრამ „ნიჭიერი დისერტანტი, რომელიც უკვე იყო ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის ერთ-ერთი გამორჩეული ლექტორი“...

ვუსმენდი ამ სიტყვებს ცრემლმორეული სიხარულით, მაშინაც მადლიერებით გახმიანდა ჩემში „ნატვრა შეჰხარის სხვის ღირსებას“...

დიახ, პროფ. რ. შამელაშვილმა – ჩემმა კეთილმა კოლეგამ კარგად იცოდა ნიჭისა და შრომის ფასი; საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებით ისიც კარგად მოეხსენებოდა, გავლენიანი პატრონის გარეშე მაშინ „ჩვენნაირებისთვის“ თუ რა სიძნელეს წარმოადგენდა თავის დამკვიდრება სათანადო წრეებში... ალბათ, ამიტომაც იყო, რომ, სხვათაგან განსხვავებით, საჭიროების შემთხვევაში, არ

ერიდებოდა თანადგომის საჯარო გამოხატვასაც, არ „ენანებოდა სიტყვის შეწევა“, არ აწვალებდა შური და ბოღმა...

... 1992 წელს სტუდენტთათვის სახელმძღვანელოდ ქუთაისში გამოიცა ჩემი წიგნები: „ქართული ენის მორფოლოგია“, „ქართველოლოგიის საკითხები“, „მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა“ (პირველსა და მეორეს საფუძვლად დაედო წლების განმავლობაში ჩემ მიერ წაკითხული სალექციო კურსები). ბ-ნი რაფიელი მაშინვე გამოეხმაურა ამ ფაქტს და სხვადასხვა დროს რესპუბლიკურ პრესაში მათზე საინტერესო რეცენზიები გამოაქვეყნა. სწორედ ამ გზით მიეწოდა პირველად სპეციალისტებს, მკითხველთა ფართო წრეს ინფორმაცია ქუთაისში (ანუ არა დედაქალაქში/პროვინციაში) დაბეჭდილი ახალი წიგნების შესახებ.

... 1993 წელს სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის გათვალისწინებით ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ შესაძლებლად ცნო ჩემი არჩევა ქართული ენის კათედრის პროფესორად. ამასთან დაკავშირებით დაიწერა ოფიციალური რეკომენდაციები, გამოხმაურებანი. აი, ერთ-ერთი მათგანი:

სამეცნიერო საბჭოს

დოცენტ ჟუჟუნა ფეიქრიშვილს ვიცნობ 30 წელია. თვალს ვადევნებდი მის სტუდენტობას, ლექტოროობას. ყოველთვის გამოირჩეოდა ნიჭიერებით, არნახული სიბეჯითით, მუყაითობითა და პუნქტუალობით.

ქალბატონი ჟუჟუნა ჩვენი უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის წამყვანი ლექტორია. იგი კითხულობს თანამედროვე ქართული ენის კურსს, ქართველოლოგიის შესავალსა და ქართული სალიტერატურო ენის ისტორიას. ყველა საგანი მისთვის ერთნაირად ახლობელია და ლექციაზე თავს ლაღად გრძნობს.

დიდი მოწონება დაიმსახურა დოც. ჟ. ფეიქრიშვილის წიგნებმა, რომლებიც გასულ წელს გამოიცა – „ქართული ენის მორფოლოგია (სალექციო კურსი)“, „ქართველოლოგიის საკითხები“ და „მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა“. ვისაც სურს გაიგოს, რა დონეზე კითხულობს დოც. ჟ. ფეიქრიშვილი საგანს, მან მხოლოდ ჩაიხედოს მის „ქართული ენის მორფოლოგიის სალექციო კურსში“ და დარწმუნდება, რომ მის წინ არის პროფესიონალი მეცნიერი, დიდი შინაგანი და გარეგანი კულტურის ადამიანი, ლინგვისტიკაზე უსაზღვროდ შეყვარებული ლექტორი.

სხვაც ბევრი რამ კეთილი შეიძლება ითქვას ამ ტანმორჩილ ქალბატონზე, საოცრად ცოცხალ, საქმიან, თავდადებულ ადამიანზე, მაგრამ ესეც კმარა იმისათვის, რომ იგი დამსახურების გამო (Honoris causa – პატივისათვის, დამსახურებისათვის) არჩეულ იქნეს პროფესორად... დამშვიდებული სინდისით მივსცეთ მას ხმა!

რ. შამელაშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
12.04.1993 წ.

პროფ. რ. შამელაშვილის პიროვნული თვისებების, პროფესიული ინტერესების წარმოსაჩენად კიდევ ბევრი საინტერესო დეტალი შემორჩა ჩემს მეხსიერებას. ბუნებრივია, ყველა მათგანის შესახებ ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ერთზე მაინც შევჩერდები.

... ცნობილია, რომ ბატონი რაფიელი ცხოვრობდა აქტიური სამეცნიერო ცხოვრებით: გარდა წმინდა ლინგვისტური ხასიათის კვლევა-ძიებისა, ყურადღებით ადევნებდა თვალს მეცნიერ-მკვლევართა საქმიანობას ჩვენში და საზღვარგარეთაც (პირადად იცნობდა ბევრ უცხოელ ქართველოლოგს), მათ შესახებ აქვეყნებდა საინტერესო ინფორმა-

ციებს პრესის საშუალებითაც... როცა ჩემმა უფროსმა კოლეგამ – ბატონმა რაფიელმა გაიგო, რომ მეც ვაგროვებდი საჭირო მასალებს საზღვარგარეთელი ქართველოლოგების შესახებ, არა მხოლოდ მომიწონა ჩანაფიქრი, არამედ საკუთარი ბიბლიოთეკიდან დროდადრო კიდეც მაწოდებდა მაშინ ჩემთვის ნაკლებხელმისაწვდომ საგაზეთო პუბლიკაციებს, რომლებმაც შემდგომში მართლაც კარგი სამსახური გამიწია...

ახლა, როცა დიდი ხნის შემდეგ ობიექტური თვალით ვაფასებ განვლილ დღეებს, ვითვალისწინებ თანამედროვე „გათითოკაცებულ“ ყოფას, უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ადამიანური გულისხმიერება, კეთილშობილება, წინა თაობების ღვაწლისადმი მოკრძალება-პატივისცემა, შრომისმოყვარეობა და საკუთარი თავის მიმართ პასუხისმგებლობა ყოველთვის უნდა იყოს ახალგაზრდობის სულიერი საზრდო – ცხოვრების მეგზური.

ჩემი ეს მოკლე, მაგრამ გულწრფელი მოგონება მინდა დავამთავრო შემდეგი სიტყვებით:

ბატონი რაფიელისა და ქალბატონი ნათელა ნიკოლაიშვილის ჭეშმარიტი სიმდიდრე გახლდათ ერთადერთი ასული – ქალბატონი **რუსუდან შამელაშვილი-ზექალაშვილი** – დღეს ცნობილი ენათმეცნიერი, გამორჩეული ზნეკეთილობითა და სხვა სანიმუშო პიროვნული თვისებებით, ღირსეული მემკვიდრე ღირსეული მშობლებისა...

დიახ, „სიკეთის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედა“...

2015 წ., თბილისი

ჩემი უფროსი მეგობარი
ლეილა კვანტალიანი

ქალბატონმა ლეილა კვანტალიანმა რვა წლის წინათ სამუდამოდ დაივანა იმქვეყნიურ საუფლოში. განსაკუთრებით ამ ბოლო ხანს ძალიან, ძალიან მაკლია მისი ალალი, გულწრფელი ერთგულება, ის ურთიერთობა, რომელსაც ყოველთვის ავსებდა და ალამაზებდა ჩვენი პროფესიული ინტერესი თუ საქმიანი თანამშრომლობა, ხასიათების ერთგვარი სიახლოვეც. ეს სულიერი ტკივილი კიდევ უფრო მძაფრია დღეს, როცა გვერდით აღარ მყავს ერთგული მეგობარი ლეილა კვანტალიანი, როცა თანდათან ვიწროვდება ჩემი „სამეგობრო წრე".

ლეილას, ამ სპეტაკ, მართლაც „ზნეობრივ პიროვნებას", ერთი „უცნაური" თვისება ჰქონდა – მეტისმეტად თავმდაბალი გახლდათ, უყვარდა „ჩრდილში დგომა"... თავად ყველას მიმართ კეთილი, ქომაგი და დამხმარე, მასზე ხმამაღლა კარგის თქმის (თუნდაც მადლობის გადახდის) უფლებას არავის არ აძლევდა. ამ მხრივ იგი იმდენად პრინციპული იყო, რომ სიცოცხლეში, ალბათ, ამიტომაც ვერ გავუბედე, მეკითხა მისი პირადი არქივის შესახებ; მეტიც: არც ის ვიცოდი, თუ მასთან ქ. ძოწენიძის არქივიც ინახებოდა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლეილა კვანტალიანი** იყო ცნობილი ენათმეცნიერი. განსაკუთრებით ფასეულია მისი გამოკვლევები ქართული ენის სინტაქსის საკვანძო საკითხებისა და ქართული ენის შესწავლის ისტორიის მიმართულებით. ლ. კვანტალიანის გამორჩეული ნიჭიერება, ფართო ფილოლოგიური განათლება, სიღრმისეული წვდომა ენობრივი

პრობლემებისა და ანალიტიკური აზროვნება ნათლად გამოჩნდა მის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებსა და მონოგრაფიებში. ამჯერად არ ვეხებით მკვლევრის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, რომელიც დაინტერესებულ მკითხველს თავადაც შეუძლია დაწვრილებით გაიცნოს მისი ნაშრომებითა თუ მისდამი მიძღვნილი სხვა მასალებით.

ამ მცირე მოგონებით მინდა ერთხელ კიდევ „შევეხმიანო“ ჩემს ძვირფას მეგობარს, კვლავ გავაცოცხლო მის გვერდით გატარებული ტკბილადმოსაგონარი ზოგიერთი დღე, მკითხველს წარვუდგინო ზნემაღალი, პრინციპული და სპეტაკი პიროვნება – ლეილა კვანტალიანი.

• მე არ ვყოფილვარ ლეილას სტუდენტი, მხოლოდ ერთხელ შევხვდი სტუდენტურ აუდიტორიაში, როცა ქ. ძოწენიძის ნაცვლად ჩაგვიტარა პრაქტიკული მეცადინეობა ქართული ენის სინტაქსში.

1968 წელს მუშაობა დავიწყე ქართული ენის კათედრაზე ლაბორანტად, ლეილა უფროსი მასწავლებელი იყო. მაშინ ჩვენი ურთიერთობა იყო ჩვეულებრივი – ოფიციალური, ისეთი, როგორიც კათედრის სხვა თანამშრომლებთან მქონდა. თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენ მალე დაგვაახლოვა ერთმა საერთო სულიერმა ტკივილმა, რომელიც ორივესათვის დიდი ტრაგედიის ტოლფასი იყო: 1969 წლის 4 სექტემბერს გარდაიცვალა ქეთევან ძოწენიძე – ჩემი ძვირფასი მასწავლებელი, ჩემი მფარველი და იმედი. ლეილასათვის კი ქ-ნი ქეთევანი იყო არა მხოლოდ ახლობელი – დეიდა, არამედ პროფესიული საქმიანობითაც მჭიდროდ დაკავშირებული, სულიერი მეგობარიც...

.. ქ-ნი ქეთევანის გარდაცვალება ლეილას ოჯახისთვის მეტისმეტად მძიმე აღმოჩნდა; იგრძნობოდა, რომ ლეილას

თითქმის დაეკარგა ყველაფრის ხალისი, აღარც გამზადებული საკანდიდატო დისერტაციის დაცვაზე ფიქრობდა... მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ ქ. ძოწენიძის მეცნიერულ მემკვიდრეობაზე ზრუნვამ „გამოაფხიზლა“ იგი. როცა თბილისის სამეცნიერო წრეებში გადაწყდა, წიგნებად გამოცემულიყო ქ. ძოწენიძის სადოქტორო დისერტაციის სტატიები ლექსიკონთან ერთად, ეს შრომატევადი საქმე სიამოვნებით იტვირთა ლეილამ და შეუდგა ცალკეული მასალების წიგნებად გამთლიანებას.

მეც მთელი წლის განმავლობაში ვეხმარებოდი ლეილას სასტამბოდ გასამზადებელი წიგნების კორექტურაში, სხვა ტექნიკურ საქმეებში. სხვაგვარად რომ ვთქვა, სანამ ქ-ნი ქეთევანის ორივე წიგნი არ გამოვიდა, მეც ლეილას გვერდით ვიყავი; გულწრფელად ვცდილობდი, ამ გზითაც გამომეხატა უსაზღვრო მადლიერება ქეთო მასწავლებლის მიმართ და პატივი მიმეგო მისი ხსოვნისათვის. გარდა ამისა, ამ ერთობლივი საქმიანობით ჩვენ კარგად გავაცნობიერეთ ერთმანეთის გონებრივი შესაძლებლობა, ხასიათი, სულიერი თვისებები და მისწრაფებანი. ასე რომ, ამ დროიდან უფრო დავუახლოვდი ლეილას და მალე იგი ჩემი უფროსი მეგობარიც გახდა. ვფიქრობ, ყველაფერ ამას ღვთის განგებაც განსაზღვრავდა. ქ. ძოწენიძის გარდაცვალებით გამოწვეული მათი ოჯახის უდიდესი მწუხარება ჩემი განსაკუთრებული ტკივილიც ხომ იყო! ალბათ, ამიტომ მასწავლებლისადმი ჩემი სიყვარული მაშინვე გადავიტანე კვანტალიანების ოჯახზე, რომ ამ სახით ამიერშიც კვლავაც გვერდით მყოლოდა ქეთო მასწავლებელი, კვლავაც მეგრძნო მისი სითბო და სიახლოვე.

„ჩვენ ქალბატონი ქეთევანის სიყვარულმა დაგვამეგობრა“, – ასე ვწერდი წლების წინათ, ლეილას სიცოცხლეში

დაწერილ ჩემს წიგნში „ცხოვრების გზა – მასწავლებლის მოგონებანი“ (2008) და ახლაც მონატრების სურვილით ვიგონებ იმ დღეებს... ახლაც იმედად მრჩება წარსულის მოგონებანი, ძვირფას ადამიანებთან „საუბრები“ (მოვლენებს მივყვები ქრონოლოგიურად).

• 1973 წლის მაისში დაინიშნა ჩემი დისერტაციის დაცვა. ფაქტობრივად წინა დღეებში, ჩემი მეცნიერხელმძღვანელის წყალობით, დაცვისთვის ყველა საჭირო ოფიციალური დოკუმენტი თუ სხვა მასალა მზად მქონდა, ამიტომ სანერვიულოც არაფერი ჩანდა. მაგრამ, რადგან მაშინ თბილისური გარემო ჩემთვის მაინც უცხო იყო, მინდოდა დაცვამდე გვერდით მყოლოდა ლეილასნაირი ერთგული ადამიანი, რათა წინა დღეს ერთგვარი რეპეტიციის სახით მასთან გამევლო „დაცვის პროცესი“ და შემემოწმებინა ჩემი თავი. დიახ, მაშინ ლეილა იქნებოდა ჩემი ნაშრომის („დაცვის“) პირუთვნელი შემფასებელი, მთლიანად ვენდობოდი მას[1].

მართლაც, დაცვის წინა დღეს ლეილა ჩემ გვერდით იყო, შესავალი სიტყვის ერთი ნაწილიც კი გადამიწერა თავისი ლამაზი კალიგრაფიით (მე სხვა მასალებს ვათეთრებდი. მაშინ ხომ ყველაფერს ხელით ვწერდით). საღამოს, როცა ყველაფერი მოწესრიგებული მქონდა და „რეპეტიციაც გავიარეთ“, დამამშვიდა, დამლოცა და მეორე დღის მოლოდინში, ალბათ, ჩემსავით თეთრად გაათენა ის ღამე...

დაცვამ კარგად ჩაიარა და ამ წარმატებაში ჩემი კეთილი მეგობრის დიდი წვლილიც რომ იყო, ეს არ მავიწყდება.

---

[1] მას შემდეგაც, სიცოცხლის ბოლომდე, ლეილა ყოველთვის ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩემს სამეცნიერო მუშაობას და ობიექტურად აფასებდა კვლევის შედეგებს, იმავდროულად მაძლევდა სამომავლო საქმიანობის ხაზით სწორ რჩევასაც.

• მადლიერი ვარ, რომ მრავალი წელი ლეილას გვერდით გავატარე და, როგორც სპეციალისტმა და პედაგოგმა, მისგანაც ვისწავლე ბევრი რამ: სტუდენტების სიყვარული, მათი მფარველობა-ქომაგობა, მათში ნიჭიერების დანახვა და შემდგომ ხელისშეწყობა, საქმეში პრინციპულობა და მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი, სიკეთისა და მადლის უშურველად გაცემა...

ლეილას კიდევ ერთი დადებითი თვისება ჰქონდა. მართალია, ცხოვრებაში მატერიალურად არასოდეს არ ყოფილა გალაღებული, მაგრამ მის გულს არასოდეს არ გაჰკარებია ბოლმა და შური („მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა": საბა). პირიქით, შეეძლო გულწრფელად, ხმამაღლა ეღიარებინა სხვისი წარმატება, თუმცა იმავდროულად საჭირო შენიშვნის მიცემასაც არ ერიდებოდა. ერთი სიტყვით, იგი ჩვეული პირდაპირობით მოსაწონს მოიწონებდა და დასაწუნს დაიწუნებდა, ამ მხრივაც ქ. ძოწენიძის ღირსეული მემკვიდრე გახლდათ.

• 2000-იანი წლების დამდეგიდან უმაღლეს სასწავლებლებში თანდათან იცვლებოდა საგანმანათლებლო სისტემა. განსაკუთრებით დაძაბა სიტუაცია ლექტორ-თანამშრომელთა კონკურსებმა, დაიწყო ერთგვარი „ბრძოლა" საჭირო ქულების მოსაგროვებლად. ამ „მარათონში" ხშირად იმარჯვებდა ის, ვისთვისაც ე. წ. „სამეცნიერო ნაშრომის" დასაბეჭდად (და ეს იყო მთავარი!) საჭირო ფინანსები პრობლემას არ წარმოადგენდა, მაშინ როცა მეცნიერებისათვის მართლაც ფასეული გამოკვლევები მატერიალური მიზეზის გამო გამოუქვეყნებელი რჩებოდა. სამწუხაროდ, ამ ფონზე ჭეშმარიტი მეცნიერება ჩრდილში მოექცა (ვაი, რომ ეს ტენდენცია კვლავ გრძელდება დღესაც, არის კი ვინმე განმკითხავი!?).

ამგვარ საკითხებზე მე და ლეილა ხშირად ვსაუბრობ-

დით გულისტკივილით. ერთხელ ისიც თქვა: „დაწერილი მაქვს საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა „სილოვან ხუნდაძის გრამატიკული ნაშრომები“, რომელიც, კარგი იქნებოდა, წიგნად გამოცემულიყო, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო ამას ვერ ვახერხებ“. მე მაშინვე გადავწყვიტე, გამომეცა ეს ხელნაწერი, რათა უშუალოდ ჩართულიყო სამეცნიერო მიმოქცევაში და თან საჩუქრად მიმერთმია ჩემი მეგობრისათვის. მაგრამ ამის შესახებ რომ პირდაპირ მეთქვა მისთვის, სასტიკ უარს მეტყოდა. ამიტომ „კეთილი ტყუილი“ მოვიშველიე, ვითომ რაღაც სტატიასთან დაკავშირებით მჭირდებოდა ს. ხუნდაძის ნაშრომის დამოწმება და ვთხოვე, ცოტა ხნით გადმოეცა იგი ჩემთვის. ამაზე უარი არ უთქვამს. მანვე მოიძია სამსახურის (ენათმეცნიერების ინსტიტუტის) არქივში 1978 წელს საკვლევ თემად შესრულებული ეს ვრცელი ნაშრომი და რამდენიმე დღის შემდეგ გამომატანა „დროებით გამოსაყენებლად“.

გახარებულმა წამოვიღე ხელნაწერი, უცვლელი სახით ავაკრებინე წიგნად, დავურთე ანოტაცია, რეცენზენტებსაც გავაცანი იგი და ჩემივე რედაქტორობით კიდეც დავბეჭდე თბილისში 2009 წლის ზაფხულში (ამ დროს მე ისევ ქუთაისში ვმუშაობდი).

თაბახის ფურცლის 70 გვერდზე ხელით დაწერილი დედანი დავუბრუნე ლეილას და მადლობა გადავუხადე. ახლა მთავარი იყო, როგორ გადამეცა წიგნები მისთვის.

მოხდა ისე, რომ აგვისტოს დასაწყისში თბილისში მესტუმრნენ ჩემი ქუთაისელი მეგობრები (უნივერსიტეტის თანამშრომლები – მერი გოშხეთელიანი და მინერი ხარაბაძე). მათი ჩემთან სტუმრობა ტელეფონით გავაგებინე ლეილას და მოვიწვიე სახლში. ძველი მეგობრების ჩამოსვლა ძალიან გაუხარდა და მეორე დღესვე, შვიდ აგვისტოს, მოგვინახულა. გულთბილად მოიკითხეს ერთმანეთი, დიდხანს ვისაუბ-

რეთ... ბოლოს მერიმ თქვა: ახლა ლეილას სიურპრიზი მივართვათო (მანამდე მათაც არ იცოდნენ არაფერი ამ წიგნის შესახებ).

გავხსენი მაგიდაზე დადებული წიგნების შეკვრა და... ლეილას გაკვირვებული, გაოცებული სახე ახლაც თვალწინ მიდგას: ერთბაშად სახეზე სიწითლემ გადაუარა, მერე გაიღიმა და უზომო მადლიერება გამოეხატა, თუმცა მალევე მისებურად დაამატა: ეს რა გიქნია? რატომ დაიხარჯე?! მე კი სწრაფად შევაწყვეტინე: „ჩემო ლეილა, ჩემთვის აი ეს სიამოვნება, სიხარული არის მთავარი. მეც მინდოდა რაიმეთი გამომეხატა შენდამი თანადგომა და სიყვარული“... ყველანი მართლა გახარებულები ვიყავით, მე კი ორმაგად ბედნიერი გახლდით: ჩემს ლეილას ვაჩუქე ერთი ლამაზი დღე – თბილი, სიყვარულით გაჯერებული... იგი ამას ნამდვილად იმსახურებდა.

● 2010 წელს ქუთაისიდან მთლიანად გადმოვედი საცხოვრებლად თბილისში, ვაჟა-ფშაველას VI კვარტალში. ჩვენთან ახლოს ცხოვრობდა ლეილას უმცროსი და ვიოლა. ბოლო წლებში ლეილა დასთან ცხოვრობდა. ამის გამო ხშირად მოვინახულებდი ხოლმე დებს, ვიგონებდით წარსულს და ყოველდღიურ ამბებსაც არ ვივიწყებდით, ბოლოს მაინც სამეცნიერო საქმეებს შევეხებოდით. იგრძნობოდა, რომ ამ საკითხებზე საუბარი ორივეს მართლა გვსიამოვნებდა და შეგვეძლო მთელი საათი გვემსჯელა რომელიღაც ერთ სტატიაზე. საქმე ის იყო, რომ ლეილა უკვე აღარ მუშაობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში და მისთვის ძალიან ძნელი აღმოჩნდა სამეცნიერო საქმიანობისაგან ჩამოშორება; მისი ძლიერი გონება ახალ-ახალ შემეცნებითს სამუშაოს ითხოვდა და ამიტომაც ეს ჩვენი მეგობრული, მაგრამ „საქმიანი“ შეხვედრა-საუბრები ორივესათვის ფრიად სასიამოვნო და სასარგებლო იყო. ამ წლებში ლეილა ჩემი რამ-

დენიმე წიგნის რედაქტორი (ან რეცენზენტი) გახლდათ. ყველა მასალას კითხულობდა დაკვირვებით, პასუხისმგებლობით, უმნიშვნელო შენიშვნასაც არ ტოვებდა უყურადღებოდ. მეცნიერებისადმი კეთილსინდისიერ მსახურებას ამ გზითაც გამოხატავდა.

მახსოვს ერთხელ, ალბათ, 2010 წლის სექტემბერი იქნებოდა, ბევრი ვისაუბრეთ ჩვენთვის საინტერესო ენობრივ პრობლემებზე. იცოდა ენერგიული, ემოციური საუბარი, გარდა ამისა, თავისი ლოგიკური მსჯელობით ნათქვამს მეტი დამაჯერებელობის ელფერს სძენდა[1]. ბოლოს ლეილამ დაამატა: ფიზიკურად ველარ ვარ ისე ყოჩაღად, თორემ გონებრივი მუშაობა სულაც არ მღლის. აი, წუხელს ერთი საინტერესო სიტყვის ეტიმოლოგიაზე ვფიქრობდი, გონებაში უკვე დავწერე პატარა სტატია და ახლა მინდა ფურცელზე გადავიტანოო. ამასთან დაკავშირებით თავისი კოლეგის მ. სუხიშვილის რომელიღაც მოსაზრებაზეც საუბრობდა.

● ბოლო თვეებში ფიზიკურად თანდათან სუსტდებოდა. ამ მდგომარეობაში მყოფს აღარავის ნახვა არ უნდოდა.

---

[1] ახლა, როცა ამ სიტყვებს ვწერ, უცბად გამახსენდა ლეილას ყოფილი სტუდენტების მოგონებანი. მოვძებნე ისინი და გთავაზობთ ორიოდე ამონარიდს: „ქალბატონი ლეილას საოცარი ენერგია, დაუღალავად რომ იფრქვეოდა ირგვლივ, ისეთი გადამდები იყო, შენც აგანთებდა... აქტიურს გაგხდიდა“ (რ. ბერეკაშვილი); „ის იყო ქართულ ენაზე უსაზღვროდ შეყვარეული, სხვა თვალით რომ შეახედებდა სტუდენტებს მის სიღრმეებს... რა სიყვარული და ღრმა ცოდნა გამოსჭვიოდა მის ყოველ სიტყვაში“ (რ. ზექალაშვილი); „ის საოცრად ყურადღებიანი, კეთილშობილი ადამიანი აღმოჩნდა. ყველას გვიყვარდა პატიოსნებისა და სამართლიანობის გამო... არ შეიძლებოდა სტუდენტთა ურავლესობას არ დაენახა და არ გაეთავისებინა ქალბატონი ლეილას პროფესიონალიზმი, პიროვნული ღირსებები, საყვარელი საქმისადმი პრინციპული დამოკიდებულება“ (ნ. ცხვედიანი) (იხ. წიგნი „ლეილა კვანტალიანი – მეცნიერი, პედაგოგი, მეგობარი“, თბ., 2016).

ვიცოდი ეს და ხშირად აღარ მივდიოდი. ტელეფონით ვგებულობდი მისი ჯანმრთელობის ამბავს ვიოლასაგან. 2011 წლის იანვარი რომ დადგა, რაღაც ცუდს მიგრძნობდა გული. 8 იანვარს კვლავ შევეხმიანე ვიოლას, ტიროდა, მძიმედააო. მეორე დღესვე მივედი სანახავად... სადღა იყო ის ჩემი ენერგიული, ყოჩაღი ლეილა... ლოგინში იწვა უხმოდ, თითქოს უკვე სხვა სამყაროში გადასული. ვიოლამ რომ უთხრა, ჟუჟუნა მოვიდაო, გამოიხედა და გარკვევით თქვა ჩემი სახელი, მერე რამდენიმე სიტყვა დაამატა და მიჩუმდა. მოვეფერე, გამოვეთხოვე, ეკლესიაში სანთლები ავანთე, მისთვის ვილოცე...

იმავე ღამეს გარდაიცვალა... (2011 წლის 6 ივლისს 80 წელი უსრულდებოდა).

კიდევ ერთი ძვირფასი ადამიანი წავიდა ჩემგან, კიდევ ახალი ტკივილი...

• 2011 წლიდან ლეილა განისვენებს ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე, მშობლების გვერდით. რადგან ქუთაისში მე ხშირად მიწევდა ჩასვლა ჩემი გარდაცვლილი ქმარშვილის საფლავზე, ლეილას დას შევპირდი, რომ ყოველ ჩასვლაზე აუცილებლად მოვინახულებდი ქეთოსა და ლეილას საფლავებს; მათზე ზრუნვა ჩემთვის დაუწერელ კანონად ვაქციე.

დღემდე ვასრულებ ამ ჩემს სიტყვას. რამდენადაც შეიძლება, ვუვლი ლეილასა და მისი მშობლების საფლავებს. 2015 წელს გარდაიცვალა ვიოლაც მძიმე ავადმყოფობის შემდეგ. ამ დროისათვის დაწყებული მქონდა ლეილა კვანტალიანის ხსოვნის წიგნის შედგენაზე მუშაობა. რადგან მის სახლში ლეილას პირადი არქივის მოძებნა არ მოხერხდა და მხოლოდ აქა-იქ გაბნეული თითო-ოროლა მასალის შეგროვება შევძელი, წიგნის მრავალფეროვნებისათვის დავუკავშირდი ლეილას ყოფილ სტუდენტებს რუსუდან ზექა-

ლაშვილს, თემურ ამყოლაძეს, რუსუდან ბერეკაშვილს, ნანული ცხვედიანს და მათი თბილი მოგონებები შევიტანე წიგნის ერთ-ერთ ნაწილში.

2016 წელს გამოვეცი ხსოვნის წიგნი სახელწოდებით „ლეილა კვანტალიანი – მეცნიერი პედაგოგი, მეგობარი“ (თბ., 2016, გამომცემლობა „უნივერსალი“).

წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება: 1) მეცნიერული მემკვიდრეობა; 2) მოგონებები – ჩვენი უფროსი მეგობარი ლეილა კვანტალიანი; 3) მასალები საოჯახო არქივიდან. წიგნს ახლავს წინათქმა და შესავალი. აქვე შეტანილია ლ. კვანტალიანის ნაშრომების სრული ბიბლიოგრაფიაც.

ხსოვნის ეს წიგნიც ჩემი უფროსი მეგობრისადმი პატივისცემის, სიყვარულის გამოხატულებაა.

შენიშვნა: როცა ლეილა კვანტალიანის მეცნიერულ მემკვიდრეობას გავეცანი, მინდოდა მისი სამი წიგნის გვერდით დამედო ახალი სხვა წიგნებიც, რათა ისინიც ხელმისაწვდომი გამხდარიყო ფართო მკითხველისათვის, პირველ რიგში, სტუდენტებისათვის. განსაკუთრებით მინდოდა დამებეჭდა საკმაოდ ვრცელი ხელნაწერი ნაშრომი „მასალები ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონისათვის“, რომელიც შედგენილი ჰქონდა ლეილას ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში. სამწუხაროდ, ავტორის გარეშე, ტექნიკურად ძალიან რთული გამოდგა მისი წიგნად დაბეჭდვა (ეს ხელნაწერი-დედანი ამჟამად ინახება ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში). სამაგიეროდ, 2016 წელს წიგნად გამოვეცი (მცირე ტირაჟით) ლ. კვანტალიანის ვრცელი გამოკვლევა „ქართული ენის სინტაქსის შესწავლის ისტორია“.

2019, თბილისი

ყოფილი სტუდენტების გახსენება

ია სუსარეიშვილი

ჩვენს ხსოვნაში შემორჩენილი ტკბილ-მწარე მოგონებანი განსხვავებულია თავისი შინაარსითა და მასშტაბურობით. ვის არ შეხვდები აქ! – ადამიანებს, რომლებთანაც გაკავშირებდა მრავალწლიანი ახლო ურთიერთობა და, სამწუხაროდ, შეხვდები იმათაც, მცირე ხნით, წამიერად რომ გაიელვეს შენს ცხოვრებაში, „განგებით დასჯილებმა" მალევე მიუხურეს კარი ამქვეყნიურ სინამდვილეს, შენ კი დაგიტოვეს ღრმა ტკივილი და მონატრების დიდი სურვილიც...

ამგვარი განცდა მეუფლება ყოველთვის, როცა ვიგონებ ჩემს ყოფილ სტუდენტებს: მაია დვალს, ია სუსარეიშვილს, ლუიზა მაკარიძეს, გრიგოლ ბოგვერაძეს, მელანო პაიკიძეს, შოთა ასათიანსა და კიდევ ბევრ სხვას, რომლებიც ჩემ თვალწინ იმედიანად შეუდგნენ ცხოვრების ალმართს, მაგრამ... ნაადრევად „განერიდნენ" სამზეოს და იმიერში გაიყოლეს აუხდენელი ოცნებები...

* * *

...1996 წლის 17 იანვარს, 20 წლის ასაკში, გარდაიცვალა ჩემი შვილი გია კაბულაშვილი (ისიც ჩემი სტუდენტი იყო). წლების მანძილზე ვიბრძოდით სიცოცხლისათვის, მაგრამ მაინც დაგვამარცხა ულმობელმა სიკვდილმა... ჩემი პირმშო, მიუხედავად ბოლო წლებში განსაკუთრებით „გააქტიურებული" ფიზიკური ტკივილებისა, მაინც იმედიანად შეჰყურებდა მომავალს... ასეთი გარეგნული სიმშვი-

დით მიაბარა მან უფალს უმანკო სული და ანგელოზად შეუერთდა ზეციურ საუფლოს.

თითქოს დაცარიელდა ჩემი სულიერი სამყარო, დარდს მხოლოდ იმით „ვიქარვებდი“, რომ ჩემს შვილს უხმოდ „ვესაუბრებოდი“, ჩვენი ოჯახის შესახებ ყველაფერს ვუყვებოდი... ისიც იცოდა, რომ მისი „წასვლის“ შემდეგ განგებამ ახალი მძიმე განსაცდელი მოუვლინა ჩვენს ოჯახს – უკურნებელი სენით დაავადებული მამამისიც მალევე (1998 წელს) დაიღუპა... აი, ასეთი ყოფით ვცხოვრობდი თუ ვცოცხლობდი იმ ხანებში და, როცა მოულოდნელად გავიგე, რომ ჩემს მესამეკურსელ სტუდენტს – **ია სუსარეიშვილს** მძიმე სენი (სიმსივნე) აღმოაჩნდა, თავზარი დამეცა. ისევ გამიახლდა ჩემი შვილის ბოლო თვეების სიმძიმე და კიდევ უფრო მეცოდებოდა მართლა იასავით ნაზი, საოცრად მშვენიერი გოგონა, არ მემეტებოდა იგი ასეთი ტკივილიანი აღსასრულისათვის... მას შემდეგ ყოველ ლექციაზე ვსაუბრობდით იას ჯანმრთელობის შესახებ. თანაკურსელები ხშირად ნახულობდნენ ავადმყოფს, მეც ბევრჯერ მოვინდომე მასთან მისვლა, მაგრამ ბოლოს მაინც გადავიფიქრებდი ხოლმე ამ გადაწყვეტილებას – ვერ ვბედავდი პირისპირ შეხვედრას... არ შემეძლო დამენახა საშინელი ტკივილებით დატანჯული მისი სახე; მინდოდა, მეხსიერებაში ჩამრჩენოდა ის ლამაზი, მომხიბლავი ია, რომელიც პირველად გავიცანი...

მართლა უსაზღვრო იყო ჩვენი (ჩემი და მისი თანაკურსელების) ტკივილი იმ მძიმე დანაკლისის გამო. ყოველ ლექციაზე თვალწინ მედგა მაღალი, შტოიანი ქალიშვილი, ღიმილით რომ წამოდგებოდა კითხვაზე პასუხის გასაცემად. ის მერხიც მახსოვდა, სადაც ჯდებოდა ხოლმე...

როცა იას ჯგუფმა ჩააბარა უნივერსიტეტის დამამთავრებელი სახელმწიფო გამოცდა ქართულ ენაში, მაშინაც ძალიან

განვიცადე, რომ სხვებთან ერთად ვერ ვისმენდი ჩემი გამორჩეული სტუდენტის პასუხს, თუმცა ხშირ-ხშირად უსიტყვოდ „ვეხმიანებოდი“ მის სურათს, საგამოცდო აუდიტორიის თვალსაჩინო ადგილიდან რომ გადმოგვცქეროდა...

იას ხანმოკლე ცხოვრება და ტრაგიკული დასასრული ჩემში ყოველთვის ასოცირდებოდა (და ახლაც ასეა!) ჩემი შვილის ცხოვრებასთან, ორივემ ერთ ასაკში დატოვა ამქვეყნიური საუფლო და ორივე ვერ ეღირსა საოცნებო დიპლომის აღებას. ამიტომ სახელმწიფო გამოცდების პერიოდში კიდევ უფრო გამიმძაფრდა სულიერი ტკივილი და ჩემი იმჟამინდელი შინაგანი განცდები გადავიტანე იასადმი მიწერილ წერილში **„ია სუსარეიშვილის ხსოვნას“** (დაიბეჭდა გაზეთში „ქუთაისის უნივერსიტეტი“, 2001, №6 (ივნისი).

გთავაზობთ ამ წერილიდან ორიოდე ამონარიდს:

„ჩემო ია, ხომ გახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა. მაშინ შენ ლიცეუმის მოსწავლე იყავი. საერთოდ არ გიცნობდი. ქუთაისში მოსწავლეთა შემოქმედებითს კონფერენციაზე გაიმარჯვა შენმა თემამ, რომელიც თურმე ჩემი დადებითი რეცენზიითა და რეკომენდაციით უნდა გაგზავნილიყო თბილისში რესპუბლიკურ კონფერენციაზე. სწორედ იმ ოფიციალურ შეხვედრაზე გნახე პირველად.

გავიდა ხანი და შენ ქუთაისის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი გახდი. 1996 წლის სექტემბერში ქართული ენის პირველ ლექციაზე რომ შეგიცანი, თბილად მოგიკითხე და თანვე დაგილოცე სტუდენტური ცხოვრების გზა.

... ასე სიყვარულით, ურთიერთის იმედითა და თანადგომით გრძელდებოდა ჩვენი – მასწავლებლისა და სტუდენტის – ყოველდღიური საქმიანობა, წიგნთან ჭიდილი. ლექტორისათვის ხომ ნამდვილი განძია ნიჭიერი და ბეჯითი სტუდენტი. შენც მუდამ იყავი ლექციაზე ჩემი საიმედო და-

საყრდენი, მთელი კურსის ლიდერად ითვლებოდი. მეორე კურსზე ჩემი ხელმძღვანელობით სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის სხდომაზე მოხსენებაც წარადგინე. ეს იყო შენი პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში. სამომავლოდაც შევარჩიეთ ახალი საკითხები, მაგრამ ვაი, რომ ეს წუთისოფელი მართლაც წუთი გამოდგა შენთვის.

...ჩემო ია, საშინლად ვიტანჯები, როცა ვიგონებ ჩემს ლექციაზე შენი ყოფნის ბოლო დღეს. იცი რატომ? თურმე საშინელი სენით შეპყრობილს თავის ტკივილი გაწუხებდა (მე კი ამის შესახებ არაფერი ვიცოდი). ლექციის დროს რამენჯერმე შეგამჩნიე რალაც უყურადღებობა, თითქოს გეტყობოდა, რომ არ ისმენდი ახალ მასალას შენეული გულისყურით. ალბათ, იმ წუთებშიც, როგორც ყოველთვის, მინდოდა აქტიური ყოფილიყავი და გითხარი: ია, ჩაერთე ჩვენს მუშაობაში, პასიურად ნუ ხარ-მეთქი. სევდიანად გადმომხედე, მაგრამ არაფერი გითქვამს. მაპატიე, ჩემო კარგო, ამ შენიშვნისთვის, მაპატიე ეს ჩემი უნებური „შეცდომა“, დღესაც მძიმე ტვირთად რომ აწევს ჩემს სულს.

... ასე მწუხარებითა და ცრემლით დასრულდა 1999 წელს სამი წლის წინათ დაწყებული ჩვენი თბილი ურთიერთობა“...

დიახ, ია სუსარეიშვილი მწვავე ტკივილად გამყვება ჩემი ცხოვრების დასალიერამდე.

აქვე მწუხარებით უნდა მოვიგონო იას თანაკურსელი **ლუიზა მაკარიძეც**, წარჩინებული სტუდენტი, რომელმაც უნივერსიტეტის დამთავრებიდან ორი წლის შემდეგ მეორე შვილი მოავლინა ამქვეყნად, თვითონ კი დაიღუპა. კიდევ ერთი საუკეთესო ახალგაზრდა, ბედნიერი დედა და ერთგული მეუღლე ნაადრევად გახდა იმიერის მკვიდრი...

შოთა ასათიანი

ჩემი შვილის გარდაცვალებიდან ზუსტად 20 წლის შემდეგ, 2016 წლის 7 იანვარს, მოულოდნელად დაიღუპა **შოთა ასათიანი** – ჩემი საუკეთესო სტუდენტი, საოცრად თბილი და მოსიყვარულე ყმაწვილი, შეწყდა კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე. შოთას სულმაც დაივანა მარადიულ სამყაროში.

...როცა წყალტუბოში პანაშვიდზე მისულს შოთამ სურათებიდან „შემომანათა“ ღიმილიანი, გაბრწყინებული თვალებით, უმალ გაცოცხლდა ჩემში მისი სტუდენტური ცხოვრების არაერთი ეპიზოდი. მართალია, შოთიკოს ბავშვობაშიც ვიცნობდი (ქუთაისში მისი დეიდა ნანი მიშვიძებასილაია ჩვენი მეზობელი იყო, თანაც ოჯახებით ნათელმირონობა და ახლო მეგობრობა გვაკავშირებდა), მაგრამ 1997 წლიდან, ხუთი წლის მანძილზე, ჩვენი – მასწავლებლისა და სტუდენტის – ურთიერთობა უფრო საინტერესო და საქმიანი გახდა (აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში შოთას ვასწავლიდი თანამედროვე ქართულ ენას).

მოგეხსენებათ, სტუდენტურ აუდიტორიაში გატარებული დღეები არაერთგვაროვანია: ლექტორის ლექციას ცვლის პრაქტიკული მეცადინეობა, ზეპირ გამოკითხვას მოსდევს წერითი სამუშაო... გარდა ამისა, სემესტრის ბოლოს ჩათვლებისა თუ გამოცდების გამო ნერვიულობა („ციებცხელება“), მეცნიერული ცოდნის დაუფლების გზაზე დიდი პასუხისმგელობა, ერთგვარი შიში თუ ემოციაც ჩვეულებრივი ამბავია...

შოთა ასათიანი საგამოცდო მაგიდასთან მახსოვს სახეაწითლებულიც, დაძაბულიც (ყოველნაირად რომ ცდილობდა მწყობრად, ლოგიკური მსჯელობით ჩამოეყალიბებინა სა-

კითხები) და უზომოდ გახარებულიც არა მხოლოდ მაღალი შეფასებით, არამედ იმითაც, რომ კარგი პასუხით გამოხატა საგნის სიყვარული, მასწავლებლის პატივისცემა და, რაც მთავარია, გაამართლა მისი იმედი. ასეთ შემთხვევებში შოთიკოს სულიერი სარკე სწორედ გაბრწყინებული თვალები და კეთილი ღიმილი გახლდათ.

გარეგნობით მშვენიერი ყმაწვილი, შინაგანი ბუნებით თბილი, მშვიდი, თავაზიანი, ზნეკეთილი იმავდროულად იყო სიცოცხლის ხალისით აღსავსე, მხიარული, საკმაოდ ენამოსწრებულიც – ყოველივე ამის წყალობით იგი ადვილად ახერხებდა ახლო ურთიერთობას როგორც უფროსებთან, ისე ტოლ-მეგობრებთან.

... იმ მძიმე წუთებში წარსულის მოგონებანი სწარაფად ცვლიან ერთმანეთს ჩემში, მაგრამ ზარივით გახმიანებულ სიტყვებს – „შვილო, ჩემო შვილო!“ – სწრაფად გამოვყავარ გარდასულ დღეთა შთაბეჭდილებებიდან. თვალწინ ისევ მწარე სინამდვილეა: ზღვა ყვავილები, სურათები, მოთქმა და გოდება, ცრემლი და ცრემლი...

ასეთ წუთებში როგორ უნდა ანუგეშო დედა, რომელმაც მოულოდნელად, უბედური შემთხვევით დაკარგა ერთადერთი შვილი, 35 წლის ვაჟკაცი მისი ქორწილისათვის მზადების დღეებში...

შოთიკო მართლაც საამაყო ახალგაზრდა იყო სანათესაოში, ნაცნობ-მეგობრებში; მისით ვამაყობდით ჩვენც – ყოფილი მასწავლებლებიც, უფრო იმიტომაც, რომ მან ძალიან მალე მოიპოვა გამორჩეული სახელი საუკეთესო პედაგოგისა, კარგი ორგანიზატორის (სკოლის დირექტორის) და, რაც მთავარია, არაჩვეულებრივი ადამიანისა, ერთნაირად საყვარელი რომ იყო ყველასათვის.

ასე წარმატებით იწერებოდა ჩვენ თვალწინ შოთა ასა-

თიანის – ერთი კარგი ქართველის – შემოქმედებითი ცხოვრების ისტორია, ლამაზი ცხოვრების წიგნი, რომელიც საუბედუროდ, ძალიან ადრე დაიხურა...

ასეთი შვილის დამკარგავ დედას რა უნდა უთხრა სანუგეშო... სამძიმარზე მისულს გრჩება მხოლოდ ცრემლი და ისევ ცრემლი...

იმ დღეებში სულ ამ ოჯახზე ვფიქრობდი, უსაზღვროდ მეცოდებოდა დედაც და მამაც – მშობლები, რომლებსაც ამ ქვეყნად თითქმის აღარაფერი დარჩენოდათ დარდისა და მწუხარების მეტი.

შოთიკოს გარდაცვალების შემდეგაც კვლავ გამიახლდა ჩემი შვილის მძიმე ცხოვრების ისტორია, მაგრამ ისევ ჩემმა გიამ „მიკარნახა“, შოთა ასათიანის ხსოვნის პატივსაცემად და მისი დედის სანუგეშოდ დამეწერა ეს **ღია წერილიც** და გამეგზავნა **ქალბატონ მარინა მიშვიძე-ასათიანისათვის**.

უბედური, ტანჯულია ყველა ის დედა, ვინც შვილის უდროოდ გარდაცვალებას მოესწრება, მაგრამ ყველაფერი ხომ უფლის ნებაა! სწორედ ამ შთაგონებით ვცხოვრობ უკვე ოცი წელია. „მე მისთვის დავრჩი, რომ ხსოვნას შენსას სიკვდილის ხელი არ მივაკარო“, – ამ სიტყვებით „ვესაუბრები“ ჩემს გიას და ვეფერები მის სურათებს. როცა საბედისწერო 17 იანვარს გიამ უხმოდ, უშფოთველად დაგვტოვა ისე, რომ ერთი საყვედურიც არ დასცდენია, ჩემში უზომო ტკივილთან, სასოწარკვეთასთან ერთად რაღაც ახალი ძალა თუ გრძნობა გაჩნდა – ჩემმა შვილმა გამძლეობის საუკეთესო მაგალითი მაჩვენა, თითქოს მიკარნახა, რომ მისი ხსოვნისათვის კიდევ უფრო მეტად უნდა მყვარებოდა ადამიანები, განსაკუთრებით – ჩემი სტუდენტები... იმდროიდან მოყოლებული, აუდიტორიის კარებს რომ მივუახლოვ-

დებოდი, ყოველთვის ვგრძნობდი გიას სიახლოვეს, მესმოდა მისი „გაფრთხილება“ – ჩემი ტკივილითა და უხასიათობით არ შემეწუხებინა სტუდენტები, მისივე თანატოლი გოგო-ბიჭები. მართლაც ძნელი იყო მაშინ ჩემთვის მუშაობაც და ცხოვრებაც: ჩემდაუნებურად (თავისთავად) ხშირ-ხშირად შემახსენებდა თავს სულიერი ტკივილიცა და ნატვრაც – ამათ გვერდით ჩემი შვილიც ყოფილიყო!!! თუმცა იმავდროულად გულში ვლოცავდი ყველას, არ ვზღუდავდი მათს ახალგაზრდულ სილაღეს, მათთან ერთად ვიცინოდი, ზოგჯერ საინტერესო ამბების მოსმენა-მოყოლაშიც ჩავერთვებოდი და ა. შ. ალბათ, ამიტომაც უცხო თვალი გარეგნულად ვერც შეამჩნევდა ჩემს უსაზღვრო სულიერ ტკივილს. ასე გავიდა წლები... **ჩვენ კვლავაც ვზრუნავთ ერთმანეთზე.**

დედაშვილური სიყვარული მძლეთამძლეა! ეს სიბრძნე „არახალია“, მაგრამ მისი ჭეშმარიტება უფრო ნათლად გავითავისე მას შემდეგ, რაც გია მხოლოდ ფიზიკურად აღარ იყო ჩემ გვერდით. იმ დროიდან მისი „ახალი სიცოცხლის“ (ახალი ცხოვრების) გასაგრძელებლად დავიწყე ზრუნვა: 1996 წელსვე გამოვეცი სტუდენტთათვის ქართული ენის სინტაქსის სახელმძღვანელო; წიგნი სათანადო წარწერით მივუძღვენი „მარად სტუდენტად შთენილ შვილს – გია კაბულაშვილს“. მალევე მისი სახელით დავბეჭდე პატარა წიგნი „ჩემი ცხოვრება“, რომლითაც მკითხველს შეუძლია გაიგოს ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული ერთი ნიჭიერი ყმაწვილის ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო ცხოვრების ისტორია... და ეს ყველაფერი მშობლის ნუგეშია, მისი ამქვეყნიური სიცოცხლის გაგრძელების საფუძველი.

ვიცი, რომ ჩემს შვილს ამიერში ჯერ კიდევ ვჭირდები, ის ჩემთვის ფიზიკურადაა გარდაცვლილი (მხოლოდ მისი სხე-

ული გადავიდა სხვა განზომილებაში), თორემ სული კვლავ ჩემთანაა. მას მოფერება, მოვლა უნდა... მერე კი, როცა უფალი ინებებს, ვალმოხდილი შევხვდები ზეციურ საუფლოში ჩემს **გიას**, ყოფილ სტუდენტებს, რომლებიც „ჭაბუკები დარჩნენ მარად“.

ქალბატონო მარინა, იმ უბედურების შემდეგ ძალიან ხშირად ვფიქრობ თქვენზე. მინდა ეს წერილიც (ჩემს სულიერ განცდებზე საუბარი) სალბუნად დაედოს თქვენს ამჟამინდელ ტკივილს, ტკივილს, რომელსაც მე უკვე 20 წელია უხმოდ დავატარებ. ვიცი, რომ დედაშვილობა ღვთიური მადლია, მაგრამ მძიმე ტვირთიც ყოფილა ზოგისთვის.

სანუგეშოდ ისიც კი დავიჯერე: „ღმერთსაც კარგები უნდაო“. ალბათ, ეს იყო ჩვენი შვილების ბედისწერა, სხვადასხვა ფორმით გამოხატული.

მიუწვდომელია უფლის განგება! ჭირისუფალს იმდენ **საზრუნავს** გაუჩენს, რომ არ აძლევს სასოწარკვეთის უფლებას და აიძულებს საქმეში ჩაკლას საკუთარი სისხლისა და ხორცის დაკარგვით გამოწვეული ტანჯვა.

ისევ და ისევ ჩვენი შვილების ხსოვნისათვის, მათი „ამქვეყნიური სიცოხლისათვის“ მოთმინებით ვატაროთ ეს მძიმე ჯვარი.

2016 წელი, 25 ივლისი
თბილისი

საქართველოზე შეყვარებული უცხოელი მეგობრები

მიშელ ვან ესბროკი

ბელგიელი ქართველოლოგი მიშელ ვან ესბროკი გახლდათ საქართველოს დიდი მეგობარი, ჩვენი უძველესი მწერლობის დაუღალავი მკვლევარი, საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება.

ბატონი მიშელი პირადად გავიცანი ქუთაისში 2002 წლის მაისში. კათოლიკურ ეკლესიაში საკვირაო წირვის დროს ჩვენმა მოძღვარმა – გაბრიელე ბრაგანტინმა მრევლს წარუდგინა უცხოელი სტუმარი – კათოლიკე მღვდელი და თან დაამატა: „მამა მიშელ ვან ესბროკი გახლავთ ცნობილი ქართველოლოგი“.

სტუმარმა მშვენიერი ქართულით დალოცა მრევლი, შემდეგ კი მოკლედ ისაუბრა თავის სამომავლო გეგმებზეც. ბ-ნი მიშელი მაშინ ორი კვირა დარჩა ქუთაისში. ჩვენც ვისარგებლეთ ამით და უფრო ახლოს გავეცანით, რამდენჯერმე მოვინახულეთ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მომუშავეც...

სანამ მ. ესბროკთან ჩვენი შეხვედრების შესახებ ვისაუბრებდე, მანამდე მოკლედ წარმოვადგენ მისი ცხოვრება-მოღვაწეობის უმთავრეს მომენტებს.

დაიბადა ბელგიაში 1934 წელს, 1970 წელს თეოლოგიაში მიიღო დოქტორის ხარისხი და აკურთხეს მღვდლად. პირველ ხანებში ეწეოდა აქტიურ სასულიერო საქმიანობას, მაგრამ „შემდეგ კი, – იგონებს ბ-ნი მიშელი, – მივხვდი,

რომ ღმერთს სურდა, ჩემი ცხოვრება წმინდანთა ცხოვრების შესწავლისა და ძველი ხელნაწერების დაზუსტებისათვის მიმეძღვნა, რის გამოც მივატოვე აქტიური სამოძღვრო მსახურება და ბერული ცხოვრებით დავკმაყოფილდი"...

სწორედ ამ საქმიანობამ დააკავშირა უცხოელი მკვლევარი საქართველოსთან, ძველ ქართულ მწერლობასთან, ქართულ ენასთან. მოვუსმინოთ თავად მიშელ ვან ესბროკს: „1960 წელს, ერთ მშვენიერ დღეს, მაშინ ბერძნულ-ლათინური ენების პროფესორი გახლდით, საჭირო წიგნისათვის შესვლა მომიხდა ბოლანდისტთა საზოგადოების ბიბლიოთეკაში. გადავშალე ერთი მათგანი და შემომანათა პ. პეეტერსის მიერ (ორიენტალისტთა „მეფედ" მიჩნეული ქართველოლოგი იყო – ჟ. ფ.) ბელგიაში გამოცემული ქართული ტექსტის ლამაზმა ასოებმა. ახლა[1] იმდენად მომხიბლა ამ ასოებმა, რომ მტკიცედ გადავწყვიტე, საფუძვლიანად შემესწავლა ქართული ენა"...

ასე გადაიდგა ქართველოლოგიაში უცხოელი მკვლევრის პირველი ნაბიჯები, რომელიც უფრო ინტენსიური გახდა 1970 წლიდან, როცა მუშაობა დაიწყო სადოქტორო დისერტაციაზე. მონოგრაფია ეძღვნებოდა უძველეს ქართულ ხელნაწერებს. ბ-ნი მიშელი მალევე დარწმუნდა, რომ საკითხის სიღრმისეული ანალიზისათვის აუცილებელი ჩანდა ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნა და აგრეთვე ქართულ „მრავალთავში" გაერთიანებული ძეგლების შედარება სხვა უძველეს ქართულ ხელნაწერებთან; ეს კი საქართველოში ჩამოსვლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

---

[1] მომავალმა ქართველოლოგმა ქართული ანბანი ადრე, ბავშვობაში, ნახა მამის ბიბლიოთეკაში დაცულ ერთ ფურცელზე ჩამოწერილ რამდენიმე ქართულ სიტყვასთან ერთად, მაგრამ მაშინ მისი შესწავლა არ დაუწყია.

მ. ესბროკი საქართველოს პირველად ეწვია 1972 წელს. თბილისში ცხოვრობდა 15 დღე, მუშაობდა ხელნაწერთა ინსტიტუტში. ამ დროიდან იწყება მისი საქმიანი თანამშრომლობა და მეგობრობა ქართველ კოლეგებთან (ესენი იყვნენ პროფესორები: ელ. მეტრეველი, ალ. ბარამიძე, ლ. მენაბდე, თ. მგალობლიშვილი, ზ. სარჯველაძე და სხვ.).

1975 წელს მიშელ ესბროკმა ბელგიაში ჟერარ გარიტის ხელმძღვანელობით დაიცვა **სადოქტორო დისერტაცია** თემაზე – **„უძველესი ქართული მრავალთავები"** (მონოგრაფია მაშინვე გამოსცეს ცალკე წიგნად). ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა. მათი აზრით, მ. ესბროკის ამ საინტერესო მონოგრაფიას, ისევე როგორც ამ მიმართულებით მის კვლევა-ძიებას, უდიდესი ღირებულება აქვს, რადგან მრავალთავის ტიპის კრებულები უკვე აღარ არსებობს, და, ამდენად, უძველესი ქრისტიანული ლიტერატურის შესასწავლად ქართული მრავალთავები პირველწყაროს მნიშვნელობას იძენს.

1999 წლიდან (პენსიაში გასვლის შემდეგ) ჩვენი უცხოელი მეგობარი ძირითადად შემოიფარგლა წმინდანთა ცხოვრების შესწავლით. გარდა ამისა, მას არ შეუწყვეტია მეცნიერული კონტაქტები და ახლო ურთიერთობა სხვა უცხოელ ქართველოლოგებთან, ნაყოფიერად თანამშრომლობდა საფრანგეთში გამომავალ ქართველოლოგიურ ჟურნალებში; აქვეყნებდა საინტერესო გამოკვლევებს, წერდა რეცენზიებსა და მიმოხილვებს ქართველ მეცნიერთა ნაშრომებზეც.... სისტემატურად მონაწილეობდა ქართველოლოგიური საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმებში. დიდია ბ-ნი მიშელის ღვაწლი ქართული კულტურის ისტორიაში იმ მხრივაც, რომ იგი წლების მანძილზე რუდუნებით, დიდი ინტერესით ეძიებდა უცხოურ წყაროებში გაბ-

ნეულ ქართულ მასალებს, თითოეულ მათგანს მეცნიერული კეთილსინდისიერებით აცნობდა სამეცნიერო წრეებს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ და ხელმისაწვდომს ხდიდა წიგნიერი საზოგადოებისათვის[1].

ქართველი ინტელიგენცია სათანადოდ აფასებდა ჩვენი კულტურის უცხოელი მოამაგის ქართველოლოგიურ ნაღვაწს. მიშელ ვან ესბროკი გახლდათ **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი, მარი ბროსეს სახელობის პრემიის ლაურეატი.**

ბ-ნი მიშელი გამოირჩეოდა არა მარტო ფართო ერუდიციით, მეცნიერული კვლევის სილრმითა და მასშტაბურობით, არამედ პიროვნული თვისებებითაც.

მ. ესბროკთან პირველი შეხვედრიდანვე იგრძნობდით, რომ იგი იყო კეთილი და უმწიკვლო, ბავშვივით გულწრფელი, გულისხმიერი, გულღია, ხალისიანი მოსაუბრე; იგრძნობდით, რომ სიკეთის მადლი ამშვენებდა მის საქმესაც. ბ-ნი მიშელის შემართება და შემოქმედებითი ენთუზიაზმი, საქმის სიყვარული ადვილად შესამჩნევი იყო და ერთგვარად გადამდებიც. ყველა ეს დადებითი თვისება მისი ხასიათის მუდმივი ნიშანი ჩანდა.

ჩვენს უცხოელ მეგობარს იცნობდნენ, როგორც საოცრად თავმდაბალ ადამიანს, საქმის ერთგულსა და კეთილშობილებით აღსავსეს. ამჯერად დავიმოწმებთ მხოლოდ ერთ ფაქტს: 1977 წელს კალისტრატე და ნინო სალიებმა თავიანთი მდიდარი ბიბლიოთეკა (14 ათასი წიგნი) საჩუქრად გადასცეს თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტს.

---

[1] მ. ესბროკის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ჩვენს წიგნში „ქართული ენის მოამაგენი“ (თბ., 2006), ასევე: ჟ. ფეიქრიშვილი, ი. ვაშაკიძე – „მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგიის ისტორიისათვის, წიგნი პირველი“ (თბ., 2012).

საჭირო იყო ამ წიგნების სათანადოდ შეფუთვა, თუთიის ყუთებში ჩალაგება და საქართველოში გამოგზავნა. ეს შრომატევადი სამუშაო დიდი გულმოდგინებით შეასრულეს მიშელმა და მისმა ფრანგმა მეგობარმა ბერნარ უტიემ.

მ. ესბროკი ფლობდა რამდენიმე ენას, საფუძვლიანად იცოდა ფრანგული, გერმანული, ინგლისური, იტალიური, ბერძნული, ლათინური, ქართული, რუსული, სომხური, არაბული, სირიული, კოპტური, ეთიოპიური, მაგრამ ქართული ენა მაინც გამორჩეული იყო მისთვის, რასაც ხშირად აღნიშნავდა ხოლმე: „ძალიან მიყვარს ქართული წერაც და ლაპარაკიც. ქართული ენა თითქოს ბერძნულს მაგონებს, მაგრამ, მე ვიტყოდი, რომ **ქართული არის უფრო სრულყოფილი, მწყობრი და ნათელი ენა**... განსაკუთრებით მომხიბლა ძველმა ქართულმა თავისი განსაკუთრებული ჟღერადობითა და მრავალფეროვანი ლექსიკით“...

ბ-ნი მიშელისათვის საქართველო, მისი ხალხი, მისი ენა ერთი მთლიანობაა, ერთნაირად საყვარელია მისთვის: „ქვეყანა, რომელსაც ასეთი უკვდავი და ლამაზი ენა აქვს, ადრიდანვე მხიბლავდა... მე აღმოვჩნდი ძველი ტრადიციების მქონე ულამაზეს კუთხეში. ქართველები ნიჭიერი, სტუმართმოყვარე და რაღაც თავისებური ხიბლის მქონე ხალხია, თითქმის ყოველი მეორე პოეტი და მომღერალია... საქართველოს 12-ჯერ ვესტუმრე და ვთვლი, რომ საქართველო, განსაკუთრებით თბილისი, ჩემი მეორე სამშობლოა“...

ამ კეთილშობილ სტუმარზე უფლის მადლი მართლაც ძალუმად იყო გადმოსული: იგი ემოციურად, ლამაზად გადმოსცემდა შინაგან განცდებს, გრძნობებს და ყველაფერ ამას სიტყვიერადაც ისე გამოხატავდა, რომ მის გულწრფელობაში ეჭვს ვერ შეიტანდით. ახლაც მადლიერებით ვიგონებ მაშინდელ ჩვენს ხანმოკლე საქმიან შეხვედრებს,

საუბრებს. იმ დღეებში ბ-ნმა მიშელმა, როგორც მკვლევარმა და როგორც ადამიანმა, ბევრი რამ მასწავლა.

...როცა ბელგიელ ქართველოლოგს პირველად შევხვდი ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში, მეორე დღეს მისი სტუმრობის შესახებ გავაგებინე ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და შევთავაზე, მოგვეწვია იგი საჯარო ლექციის წასაკითხად. მართლაც, 2002 წლის 30 მაისს მ. ესბროკმა ქართულ ენაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე **„რას წარმოადგენდა თავდაპირველად ძველ ქართულ ლიტურგიკულ წყაროებში მოხსენიებული ვარდობის დღესასწაული“.**

უცხოური წყაროების გათვალისწინებით, ბატონმა მიშელმა აუდიტორიას გააცნო ამ სადავო საკითხთან დავაკავშირებით საკუთარი კვლევის შედეგებიც: ვარდობის დღესასწაული უძველესი დროიდან მოდის; 13 მაისს მისი აღნიშვნა უკავშირდება IV საუკუნეში რომის პანთეონში აგებული ღვთისმშობლის ეკლესიის კურთხევის დღეს.

ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების შეხვედრა უცხოელ ქართველოლოგთან იყო საქმიანი, საინტერესო და ამავე დროს მეტად გულთბილი, რასაც განაპირობებდა არა მარტო, ერთი მხრივ, დამსწრე საზოგადოების აკადემიურობა და, მეორე მხრივ, ქართული სტუმართმოყვარეობის ტრადიცია, არამედ თვითონ სტუმრის პიროვნული თვისებებიც: საუბრობდა საქმის ცოდნითა და სიყვარულით, ემოციურად და ეს ემოციური მუხტი აშკარად იგრძნობოდა აუდიტორიაშიც.

აქვე, შეხვედრაზე, უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ა. ნიკოლეიშვილმა გამოთქვა სურვილი მიშელ ვან ესბროკი ქართული კულტურის ერთგულებისათვის, ჩვენი ენისა და ლიტერატურის უანგარო სამსახურისათვის მომავალში აგვერჩია ქუთაისის უნივერსიტეტის საპატიო დოქ-

ტორად. უცხოელი მოკეთე ძალიან კმაყოფილი იყო ჩვენს უნივერსიტეტში სტუმრობით; დაგვპირდა, რომ აუცილებლად მოგვაწვდიდა თავის ქართველოლოგიურ ნაშრომებს.

2003 წლის აგვისტოს ბოლოს უკანასკნელად ესტუმრა საქართველოს, სექტემბრის დასაწყისში ცოტა ხნით ეწვია ქუთაისსაც (მუზეუმში ეძებდა მასალებს). კვლავ ვინახულეთ. ხალისიანი და იმედიანი განწყობით ლაპარაკობდა სამომავლო გეგმებზე: 4 ოქტომბერს გერმანიაში მიფრინავდა, მაგრამ მალევე აპირებდა საქართველოში დაბრუნებას.

სამწუხაროდ, ვეღარ შეძლო დანაპირების შესრულება. მოულოდნელად გარდაიცვალა. თითქოს სიმბოლური იყო მისი სიკვდილიც. როგორც ამბობდნენ, ბოლანდისტთა საზოგადოებაში ინახებოდა მისი უნიკალური და უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელსაც, უკვე პენსიაში მყოფი, ნაწილ-ნაწილ ეზიდებოდა მანქანით საკუთარ ბინაში. თურმე სწორედ ამ წიგნებზე დამხობილმა დალია სული...

მ. ესბროკისათვის საქართველო ყოველთვის იყო გულთბილი მასპინძელი, მისი მეცნიერული ნაღვაწის პირუთვნელი შემფასებელი და დამფასებელიც. ყოველივე ამას თავადაც კარგად გრძნობდა და ცდილობდა, საკუთარი გამოკვლევები ფიზიკურადაც არსებულიყო საქართველოში, რათა ხელმისაწვდომი გამხდარიყო დაინტერესებულ პირთათვის. ამიტომ ყოველი ვიზიტის დროს საქართველოში ჩამოჰქონდა თავისი ნაშრომების ქსეროასლები, რომელთა უმრავლესობა დღეს ინახება თბილისის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ასევე თბილისელი კოლეგების არქივებში. უკანასკნელი სტუმრობის დროს გერმანიიდან ქუთაისის უნივერსიტეტისათვის საგანგებოდ ჩამოიტანა სათანადო მასალები: 54 დასახელების სამეცნიერო გამოკვლევა ამონაბეჭდებისა და ქსეროასლების სახით, სადოქტორო დისერტაცია წიგნად

გამოცემული, მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და 2002 წლის ჩათვლით ნაშრომთა ბიბლიოგრაფია (გამოკვლევების ძირითადი ნაწილი ფრანგულ ენაზეა დაწერილი, მცირე ნაწილი – გერმანულად და ინგლისურად).

ავტორმა ეს მასალა ჩააბარა ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მღვდელს გაბრიელე ბრაგანტინს, რომელსაც სპეციალური წერილით ატყობინებდა: მასალები გასაცნობად დროებით გადმოეცა ჩემთვის (როგორც უნივერსიტეტის თანამშრომლისათვის), რათა მომავალში შეგვძლებოდა საჭირო ნაშრომების ქსეროასლების გადაღება).

მ. ესბროკის ამ მასალას ყურადღებით გავეცანი, გამოკვლევების სათაურები (უცხო ენების სპეციალისტების დახმარებით) ვთარგმნე ქართულად, შევადგინე კატალოგი, დავალაგე ქრონოლოგიის მიხედვით. გარდა ამისა, ავტორისეული ბიოგრაფიული მონაცემების, საგაზეთო პუბლიკაციებისა, სამეცნიერო ნაშრომების გათვალისწინებითა და მისი თბილისელი კოლეგების ინტერვიუების შეჯერებით შეძლებისდაგვარად დავწერე ვრცელი სტატია „ბელგიელი ქართველოლოგი მიშელ ვან ესბროკი (ცხოვრება და მოღვაწეობა“).

მ. ესბროკის მასალები, სხვა ინფორმაციებთან ერთად, ინახება ქუთაისის კათლიკური ეკლესიის ბიბლიოთეკაში. დაინტერესებულ პირებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ ისარგებლონ ამ მასალებით.

საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული ჩვენი უცხოელი მეგობარი მიშელ ვან ესბროკი მართლაც გამორჩეული პიროვნება გახლდათ, ისეთი, რომლის მოგონებაც კი ყოველთვის მადლიერების გრძნობას ბადებს და მიბაძვის სურვილს აჩენს.

2018 წელი, თბილისი

კრისტიან ბარო

2016 წლის 3 იანვარს თბილისის კათოლიკეთა ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარი, სადღესასწაულოდ გაფორმებული, საშობაო სცენებით („პრეზეპე") დამშვენებული, ახლაც ლამაზად გამოიყურებოდა. საკვირაო წმ. წირვაზე დასასწრებად მოსულთა შორის, მრევლის გარდა, უცხო სტუმარიც ბევრი იყო. საკურთხევლის წინ თვალსაჩინო ადგილზე, ჩემთვის უცნობი მამაკაცის ფოტოსურათიც შევამჩნიე.

... წმ. წირვას უძღვებოდა ჩვენი ეპისკოპოსი **ჯუზეპე პაზოტო**. მოძღვრის ქადაგება, ლიტურგიის ტრადიციული ლოცვები, ორღანის მუსიკის თანხლებით გუნდის გალობა (რომელსაც დროდადრო მრევლის თანამონაწილეობაც მრავალფეროვანს ხდიდა) – ყველაფერი ეს სასიამოვნო მოსასმენი იყო და კიდევ უფრო აძლიერებდა სადღესასწაულო განწყობას.

ლიტურგიის მსვლელობისას მეუფემ მრევლს ამცნო, რომ დღეს პატივს მიაგებდნენ საქართველოში მოღვაწე ფრანგი დიპლომატის, პარიზში ახლახან გარდაცვლილი კრისტიან ბაროს ხსოვნას. შემდეგ ინფორმაციის გასაცნობად კათედრასთან მოიწვია დირიჟორი გოგი ჭიჭინაძე, რომელმაც მოკლედ ისაუბრა საქართველოს ერთგული მეგობრის კ. ბაროს ცხოვრება-საქმიანობის შესახებ, მის პიროვნულ თვისებებზე.

კრისტიან ბარო დაიბადა ნორმანდიაში, გაიზარდა პარიზში. აქვე მიიღო განათლება ეკონომიკური განხრით, თუმცა ახალგაზრდობიდანვე მისი ოცნება ყოფილა მოგზაურობა სხვა ქვეყნებში, პირველ რიგში – რუსეთში, ლევ

ტოლსტოის სამშობლოში. ჩანს, ამ გატაცებამ, რასაც ალბათ აძლიერებდა შინაგანი ბუნება-ხასიათის ინდივიდუალურობა, საბოლოოდ განსაზღვრა მისი ცხოვრების გზა – ემოღვაწა საზღვარგარეთის ქვეყნებში.

1964 წელს კ. ბარომ მუშაობა დაიწყო მოსკოვში, საფრანგეთის საელჩოს საკონსულოში. სამი წლის შემდეგ დიპლომატიური მისიით (მეტ-ნაკლები ხანგრძლივობით) გააგრძელა საქმიანობა რეიკიავიკის, ლენინგრადის, ლონდონის, ფლორენციის, როტერდამის, ტუნისის, ლიბიის საელჩოებში, 1995 წელს კი იგი საფრანგეთის ხელისუფლებამ ელჩ ფასიესთან ერთად საქართველოში გამოგზავნა საფრანგეთის საელჩოს გასახსნელად. აქ კ. ბაროს ოფიციალური მოღვაწეობა გაგრძელდა 2003 წლამდე. შემდეგ დაბრუნდა პარიზში და მალე პენსიაზე გავიდა. ამ დროიდან ბ-ნ კრისტიანს პრაქტიკულად (თავისუფალი დროის თვალსაზრისით) მიეცა შესაძლებლობა სრულყოფილად დაუფლებოდა ქართულ ენას. ამ მიზნით სამი წლის განმავლობაში, როგორც სტუდენტი, ისმენდა ქართული ენა-ლიტერატურის ლექციებს პარიზის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში.

კ. ბარო გარდაიცვალა პარიზში 2015 წლის დეკემბერში, 72 წლის ასაკში.

გ. ჭიჭინაძემ გულთბილად მოიგონა ფრანგი მეგობარი, რომელმაც იმთავითვე შეიყვარა ჩვენი ქვეყანა (მიუხედავად იმდროინდელი რთული პირობებისა, პოლიტიკური თუ ყოფითი პრობლემებისა) და გახდა ქართველი ხალხის – ამ კეთილი, სტუმართმოყვარე ადამიანების – გულშემატკივარი და ახლობელი. თავადაც გულისხმიერს, თავაზიანს განსაკუთრებით მოსწონდა ქართველთა თავმდაბლობა, სისადავე და გულწრფელობა... ამიტომაც ჰყავდა ჩვენში უამ-

რავი მეგობარი, ნაცნობი თუ ახლობელი, რომელთა მოსანახულებლად ჩამოდიოდა ხოლმე საქართველოში, ცდილობდა შეენარჩუნებინა მათთან ურთიერთობა.

ბ-ნი კრისტიანი, მეტად გულღია და გულთბილი პიროვნება, სამსახურეობრივი მოვალეობის გარდა აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა: საქართველოს ულამაზესი ბუნებით მოხიბლულს, შემოვლილი ჰქონია ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხე – მთაც და ბარიც, თოვლიანი მწვერვალებიც და ახავერდებული ველ-მინდვრებიც... ოჯახის წევრთა ინფორმაციით, კრისტიანის ფიქრები ყოველთვის საქართველოს დასტრიალებდა თავს. აკი ბოლოს კიდეც უთხოვია: „ჩემი ფერფლი ჩაიტანეთ საქართველოში და გერგეთის მთაზე (ყაზბეგში) მიმოაბნიეთო“. ამ სიტყვებით კიდევ ერთხელ გახმიანდა ქართველებისადმი უცხოელი მოკეთის გულწრფელი დამოკიდებულება და უდიდესი სურვილი – იმიერშიც თან გაეყოლებინა ჩვენი ქვეყნის სიყვარული და პატივისცემა.

... დამთავრდა წმ. წირვა, რომელიც თავისი ძირითადი და თანმხლები მომენტებით თითქმის ორ საათს გაგრძელდა. გარდა იმისა, რომ ყოველი საკვირაო ლიტურგია მორწმუნეთათვის სულიერი საზრდოა, დღევანდელი დღე განსხვავებულად ამაღლებული შემოვიდა ჩემში, როცა ვუყურებდი ტაძარში შეკრებილები (უცხოელი მეგობრის ნაცნობ-უცნობები), როგორი კრძალვით, მოწიწებით აღასრულებდნენ ყველა საეკლესიო რიტუალს და ერთნაირი გრძნობით მიაგებდნენ პატივს გარდაცვლილის ხსოვნას. ჩვენი – წმ. წირვის მონაწილეთა (რომელთა შორის, ალბათ, უმრავლესობა მართლმადიდებელი იყო) მაშინდელი სულიერი ერთობა უფლის მადლად, გულმოწყალებად მივიღე. გულმოწყალება ხომ ერთობა, თანაგრძნობა, ურთიერთ

სიყვარული და პატივისცემაა. ამ რწმენითა და თავად ღმერთის მაგალითით შთაგონებულნი გულმოწყალენი უნდა ვიყოთ ადამიანთა მიმართ ყველგან და ყოველთვის.

თუ აჭარის ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლის ოჯახებში მუსულმანი მშობლები და ქრისტიანი შვილები თანხმობით ცხოვრობენ და პატივს სცემენ ერთმანეთის რწმენას, გვერდიგვერდ ოთახებში ლოცულობენ თავიანთ წესით, კათოლიკური აღმსრულებლობის ქრისტიანს რატომ არ უნდა შეეძლოს მართლმადიდებელთა ტაძარში თავისუფლად შესვლა?! თუკი ევროპაში მცხოვრები ქართველი მართლმადიდებლები თავიანთ რელიგიურ დღესასწაულებს სრულიად ნებადართულად აღასრულებენ კათოლიკურ ეკლესიებში, საქართველოში ზოგიერთი მართლმადიდებელი მღვდელი და მათი წაქეზებით რელიგიაში გაუცნობიერებელი, უბირი მრევლის წევრები რატომ არიან აგრესიულად განწყობილი კათოლიკეთა მიმართ, მათ მიერ შეთხზული ყალბი ინფორმაციებით რატომ ქმნიან ხელოვნურ ბარიერებს და ხელს უშლიან ქრისტიანი ძმების მშვიდობიან თანაცხოვრებას, აპირისპირებენ ოჯახის წევრებს, მეუღლეებსაც კი და აქტიურად „ნადირობენ" კათოლიკეთა გადანათვლაზე?!

განა კ. ბარო კათოლიკე არ იყო? განსხვავებულ აღმსარებლობას მისთვის ხომ არ შეუშლია ხელი, ჰყოლოდა მრავალრიცხოვანი სამეგობრო წრე, რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა თაობისა და აღმსარებლობის ქართველებს და რომლებიც სწორედ ასეთმა გულწრფელმა ურთიერთობამ, სიყვარულმა შეკრიბა დღეს კათოლიკურ ტაძარში.

ბ-ნმა კრისტიანმა თავისი კეთილი საქმეებით, ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენით უხვად გასცა სითბო და სიყვარული ახლობელთა შორის და ასევე უხვად დაიბრუნა იგი ქართველთა მხრიდან თუნდაც ამ ერთი საკვირაო წმ. წირ-

ვის სახით, რომელიც ფაქტობრივად იყო ადამიანთა მეგობრობის, გულმოწყალებისა და ურთიერთპატივისცემის გამომხატველი ერთობლივი ლოცვა

კ. ბაროსა და მისი აქაური მეგობრების გულწრფელი ურთიერთობა საუკეთესო, სანიმუშო მაგალითი უნდა იყოს თანამედროვე ქართველთათვის.

2016, 3 იანვარი
თბილისი

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0186, ა. ჭოლიბაშვილის №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com